ჯორჯოხი

3 2021

აჭარის მწერალთა სახლი

ISSN 0134-3459
9 770134 345001 21003

ჭოროხი

გამოცემის 63-ე წელი | მაისი-ივნისი | №3 | 2021 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

სანდრო ბერიძე

სარედაქციო კოლეგია

როინ აბუსელიძე
ცისანა ანთაძე
გენრი დოლიძე
შოთა ზოიძე
იაშა თანდილავა
დავით თედორაძე
ლალი კონცელიძე
გურანდა ნიჟარაძე
ჯემალ სურმანიძე
ბელა ქებურია
ვახტანგ ღლონტი
თინა შიოშვილი
მაია ჯაფარიძე

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა

მალხაზ ფალავა

ოპერატორი

მარიკა ლაშხია

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2021

რედაქციის მისამართი:
6009, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: 599 91-84-80

გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში.
ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ. 33

ავტორთა საყურადღებოდ:
რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს
შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8);
რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

შინაარსი

ᲮᲠᲝᲜᲘᲙᲘ, ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

კაზუო იშიგურო – დარშიც და ავდარშიც (ინგლისურიდან თარგმნა მაია გოლაშვილმა) 3
ჯემალ სურმანიძე – ლექსები 28
მაია მახარაძე – ლექსები 36
ლევან ლორია – ვასოს ბებო აღარა ჰყავს (მოთხრობა) 48
შორენა დოლიძე – ლექსები 66
ტონინო გუერა – მოთხრობები (იტალიურიდან თარგმნა თეა ჭანტურიშვილმა) 70
დალი თედორაძე – ორი ზღაპარი 73
ჯონი ჩახვაძე – ლექსები 77

ᲮᲠᲘᲢᲘᲙᲘ, ᲔᲣᲚᲘᲡᲘᲚᲢᲘᲙᲘ

მაია ჯალიაშვილი – ოთარ ჭილაძის სიცოცხლის ფირფიტები 80
ადამიანად ყოფნის ტკივილი 84
სიძულვილის ჯოჯოხეთიდან სიყვარულის სამოთხემდე 88
სხვად ყოფნის მისტერია 91
მინიატურა – თავნება ჟანრი 94
ნოდარ გასილაძე – სენტ-ეგზიუპერი – ჰუმანისტი და მორალისტი 97

ᲬᲘᲜᲐᲚᲔᲑᲘ

მიხეილ მახარაძე – სახელოვანი მეცნიერი 103
აკაკი ბერიძე – ბუხენვალდის ტყვე №64206 ბათუმიდან 108
ოთარ გოგოლიშვილი – იაგო წულაძის ნაშრომი „გურია. წულაძეები“ 112

ᲠᲔᲪᲔᲜᲖᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲐᲜᲗᲝᲚᲝᲯᲘᲡᲐ

უჩა ოქროპირიძე – იაშა თანდილავა – პოეზია ფიროსმანული უბრალოებით 115

ᲙᲐᲖᲣᲝ ᲘᲨᲘᲒᲣᲠᲝ

ᲓᲐᲠᲨᲘᲪ ᲓᲐ ᲐᲕᲓᲐᲠᲨᲘᲪ

ემილის, ჩემსავით, ძველი, პოპულარული, ამერიკული სიმღერები უყვარდა. უმეტესად, სწრაფი ტემპით შესრულებული ისეთი მელოდიები ხიბლავდა, როგორიცაა ირვინგ ბერლინის[1] „ლოყა ლოყასთან“ და კოლა პორტერის[2] „ბიგინი იწყება“. მე შედარებით უფრო ტკბილ-მწარე ბალადები მერჩივნა, მაგალითად „წვიმიანი დღეა“ და „ეს არასოდეს მიფიქრია“. ბევრ რამეში ჩვენი გემოვნება ერთმანეთს ემთხვეოდა და ნებისმიერ შემთხვევაში, მაშინდელი სამხრეთ ინგლისის უნივერსიტეტის კამპუსში საერთო ინტერესების მქონე ადამიანის პოვნა ნამდვილი სასწაული იყო. დღევანდელი ახალგაზრდები ყველა ტიპის მუსიკას უსმენენ. ჩემს ძმისშვილს, რომელიც ამ შემოდგომაზე უნივერსიტეტის სტუდენტი ხდება, არგენტინული ტანგოთი გატაცების პერიოდი აქვს. გარდა ამისა, ედიტ პიაფსაც ისეთივე ხალისით უსმენს, როგორც ინდის ანსამბლებს. მაგრამ ჩვენს დროში გემოვნება ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. ჩემი თანაკურსელები ორ დიდ ბანაკად ვიყოფოდით: გრძელთმიანი, თავისუფალ ტანისამოსში ჩაცმული ჰიპები, „პროგრესული როკი“ რომ მოსწონდათ და აკურატულ ტვიდებში გამოპრანჭული გოგო-ბიჭები, რომლებსაც კლასიკური მუსიკის გარდა, ყველა დანარჩენი აუტანელ გრუხუნად მიაჩნდათ. შესაძლოა, იშვიათად, ჯაზის მიმდევარსაც გადაჰყროდით, თუმცა ყოველთვის აღმოჩნდებოდა, რომ მათაც შეცვლილი ორიენტაცია ჰქონდათ. უპირატესობას იმ დაუსრულებელ იმპროვიზაციებს ანიჭებდნენ, რომელთაც ყველაზე მთავარ საკითხთან, სიმღერის ლამაზ, პროფესიონალურ დონეზე შექმნილ მელოდიასთან საერთო არაფერი ჰქონდა.

ასე რომ, ისეთ ვინმესთან შეხვედრა და მით უმეტეს გოგოსთან, რომელიც „ამერიკული სიმღერების დიდ წიგნს“ აფასებდა, მართლაც იშვიათობას წარმოადგენდა. მეც და ემილიც ყველაზე ცნობილი სიმღერების დახვეწილ, ნამდვილ ვოკალური ინტერპრეტაციების ჩანაწერებს ვაგროვებდით. ასეთი დისკების იაფად შოვნა ძველმანების ფარდულში შეიძლებოდა, სადაც მათ ჩვენი მშობლების თაობის ადამიანები აბარებდნენ. ემილის საყვარელი მომღერლები სარა

[1] ირვინგ ბერლინი (1888-1989) – დიდი ამერიკელი კომპოზიტორი და ლირიკოსი.
[2] კოლა პორტერი (1891-1964) – ამერიკელი კომპოზიტორი და სიმღერების ავტორი.

ვოენი[3] და ჩეტ ბეიკერი[4] იყვნენ, ჩემები – ჯული ლონდონი[5] ან პეგი ლი[6]. სინატრასა და ელა ფიცჯერალდის მიმართ ორივეს საკმაოდ ცივი დამოკიდებულება გვქონდა.

პირველ კურსზე ემილი კოლეჯთან ცხოვრობდა და ოთახში პორტატული ფირ-საკრავი ედგა, რომელიც იმ დროისთვის მოდაში იყო და დიდშლიაპიან ყუთს ჰგავდა, რომელსაც ღია ცისფერი, ხელოვნური ტყავის ზედაპირი და შიგნით მოთავსებული მხოლოდ ერთი დინამიკი ჰქონდა. ფირ-საკრავის დისკის ამოსაღებად თავსახური უნდა აგეხადათ. თანამედროვე სტანდარტებთან შედარებით, ძალიან პრიმიტიული ხმა ჰქონდა, თუმცა, მის გარშემო გატარებული უამრავი მხიარული საათი მახსოვს. ერთი ფირფიტიდან ნემსს ფრთხილად ვიღებდით და მეორეზე ვდებდით. ერთი და იმავე მელოდიის სხვადასხვა ვარიანტების მოსმენა გვიყვარდა და მერე ან სიმღერის ტექსტზე ვკამათობდით ან კიდევ, შემსრულებელთა ინტერპრეტაციებს ერთმანეთს ვადარებდით – სინამდვილეში ესა თუ ის სტრიქონი ნამდვილად ირონიულად იყო დაწერილი, თუ მხოლოდ მომღერალი მღეროდა ასე? ან კიდევ, „ჯორჯია ჩემს ხსოვნაში“-ს[7] უკეთესად შესრულება როგორ შეიძლებოდა: სიტყვა „ჯორჯიაში“ ქალის სახელს გულისხმობდნენ თუ შტატის? განსაკუთრებული სიამოვნება რეი ჩარლზის „დარშიც და ავდარშიც”[8] ჩანაწერის აღმოჩენამ მოგვანიჭა, სადაც ტექსტი მხიარული იყო, მაგრამ ნამღერი სევდიანად ჟღერდა.

ემილის ასეთი ჩანაწერებისადმი სიყვარული ისეთი აშკარა და ღრმა იყო, რომ ყოველთვის უკან ვიხევდი, როცა სტუდენტებთან რომელიღაც პრეტენზიული როკ-ჯგუფის ან კალიფორნიული, უაზრო მომღერალ-კომპოზიტორთა შესახებ საუბრისას, მოულოდნელად თავზე წავადგებოდი ხოლმე. დროდადრო, იმ რაღაც „კონცეპტუალურ“ ალბომზე კამათის მომენტში, სახეზე ზუსტად ისეთივე გამომეტყველება ეხატებოდა, როგორც მაშინ, ჩვენ ორნი, გერშვინსა და ჰაროლდ ალენზე[9] რომ ვსაუბრობდით. არ მსურდა ჩემი გაღიზიანება შეემჩნია და ტუჩებს მოვიკვნეტდი ხოლმე.

მაშინ ემილი მოხდენილი, ლამაზი გოგო იყო და უნივერსიტეტში მოსვლისთანავე ჩარლი რომ არ აერჩია, დარწმუნებული ვარ, უამრავი თაყვანისმცემელი ეყოლებოდა, მაგრამ ის ტიპი არ იყო, ყველასთან ფლირტი რომ უყვართ. ამიტომ, რადგან მის ცხოვრებაში ჩარლი უკვე არსებობდა, სხვა დანარჩენ ბიჭებს შანსი აღარ ჰქონდათ.

– მე ჩარლი მხოლოდ ამისთვის არ მჭირდება, – სრულიად სერიოზულად გამომიცხადა ერთხელ და ჩემს გაოგნებულ გამოხედვაზე სიცილი წასკდა.

– გეხუმრები, ჩერჩეტო. ჩარლიზე ვგიჟდები, ჩემი სიყვარულია, ჩემი სიყვარული...

ჩარლი უნივერსიტეტის ჩემი საუკეთესო მეგობარი გახლდათ. პირველ კურსზე სულ ერთად დავეხეტებოდით და ემილიც მისგან გავიცანი. მეორე კურსზე, ჩარლიმ და ემილიმ ქალაქში სახლის ერთი ნაწილი იქირავეს და, მათთან ხშირი სტუმრობის მიუხედავად, ემილის ძველი ფირ-საკრავის გარშემო გამართული საუბრები წარსულს ჩაბარდა. თავდაპირველად, როცა შინ შევუვლიდი, იქ სხვა სტუდენტებიც მხვდებოდნენ. ისხდნენ და ლაყბობდნენ. ახლა უკვე თანამედროვე სტერეოსისტემას გაუთავებლად უკრავდნენ და იძულებული ვხდებოდი, ხმისთვის ჩამეწია.

მთელი ეს წლები მე და ჩარლი ისევ მეგობრებად დავრჩით. შეიძლება, ერთმანეთი დიდი ხნით ვერც ვნახოთ, როგორც ერთხელაც დაგვემართა, მაგრამ ძირითადად იმიტომ, რომ

---

[3] სარა ვოენი (1924-1990) – ამერიკელი ჯაზ მომღერალი.

[4] ჩესნი ჰენრი ბეიკერ ჯრ (1929-1988) – ამერიკელი ჯაზ მესაყვირე და ვოკალისტი.

[5] ჯული ლონდონი (1926-2000) – ამერიკელი მომღერალი და მსახიობი.

[6] პეგი ლი (იგივე ნორმა დელორის ეგსტრომი. 1920-2002) – ამერიკელი ჯაზ და პოპ მუსიკის მომღერალი, კომპოზიტორი, მსახიობი.

[7] „ჯორჯია ჩემს ხსოვნაში“ – სიმღერა, რომელსაც ასრულებდა პოპულარული ამერიკელი მომღერალი რეი ჩარლზი (1930-2004).

[8] „დარშიც და ავდარშიც“ – სიმღერა რეი ჩარლზის შესრულებით.

[9] ჰაროლდ ალენი (1905-1986) – ამერიკელი პიანისტი, მომღერალი და კომპოზიტორი.

მანძილი გვაშორებს. მე აქ, ესპანეთში, ისევე როგორც იტალიასა და პორტუგალიაში, უკვე რამდენიმე წელი გავატარე, ჩარლი კი ყოველთვის ლონდონში იყო მყარად დაფუძნებული. სასაცილოა, თუ ახლა, ჩემი ნათქვამი ისე ჟღერს, თითქოს მე კოსმოპოლიტი ვიყო და ის კი შინაყუდა, რადგან ფაქტობრივად, ჩარლი ის ადამიანია, რომელიც სერიოზული, საქმიანი შეხვედრებისთვის ყოველთვის ტეხასში, ტოკიოში და ნიუ-იორკში დაფრინავს, მაშინ, როცა მე, წლობით, რომელიღაც ნესტიანი შენობების კუთხეში ვარ შეყუჟული, მართლწერის ტესტებს ვასწორებ ან სულაც, ნელი ტემპით, ინგლისურ ენაზე ერთსა და იმავე დიალოგებს ვიმეორებ: მე რეი მქვია. თქვენ რა გქვიათ? გყავთ შვილები?

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ხელი ინგლისურის მასწავლებლობას მოვკიდე. მომწონდა ასეთი ცხოვრება, თანაც თითქოს სტუდენტობის წლები გავიხანგრძლივე. ენების შემსწავლელი სკოლები მთელ ევროპაში სოკოებივით იყო მოდებული და, მასწავლებლის მოსაბეზრებელი რუტინის და ძალიან დატვირთული გრაფიკის მიუხედავად, ახალგაზრდა ასაკში ეს არც თუ ისე საშინლად გეჩვენება. ბარებში გაუთავებლად დაყიალებ, მეგობრების ფართო წრეს იძენ და თავს მთელი სამყაროს ნაწილად გრძნობ. ისეთ ადამიანებს ხვდები, რომლებმაც ინგლისურის შესწავლა ეს-ესაა დაიწყეს; ზოგი პერუელია, ვიღაცა ტაილანდიდანაა და გგონია, რომ მთელ მსოფლიოს გარშემო უვლი. ნაცნობების წყალობით სამუშაოს ყველაზე შორეულ კუთხეშიც კი იოლად იშოვი და სამუდამოდ იმ საიმედო, მოხეტიალე მასწავლებელთა დიდი ოჯახის წევრი ხდები, რომლებიც სასმელთან ერთად ყოფილი კოლეგების, სკოლის ფსიქოზიანი დირექტორებისა და ბრიტანეთის საბჭოს ექსცენტრიული თანამშრომლების შესახებ ერთმანეთს უამრავ ჭორებს უყვებიან.

80-იანი წლების მიწურულს, ხმა გავარდა, რომ იაპონიაში მასწავლებლობით ბევრი ფული კეთდებაო და მეც გეგმების შედგენა დავიწყე, თუმცა იქ წასვლა ვერ შევძელი. ბრაზილიაზეც ვფიქრობდი. მის კულტურაზე რამდენიმე წიგნიც წავიკითხე და სამუშაოს მოთხოვნის აპლიკაციებიც შევავსე, მაგრამ ასე შორს წასვლა ვერ გავრისკე. იტალიის სამხრეთსა და პორტუგალიაში მოკლე ხანი დავყავი და ისევ ესპანეთში დავბრუნდი; მერე... უკან მოხედვას ვერ მოასწრებ და უკვე ორმოცდაშვიდის ხარ, იმ ადამიანებსაც, ვისთან ერთადაც მთელი ცხოვრება მოდიოდი, თურმე ახალი თაობები ჩაენაცვლნენ, რომლებიც სრულიად განსხვავებულ რამეებზე ჭორაობენ, ნარკოტიკსაც განსხვავებულს იღებენ და მუსიკაც სხვანაირი მოსწონთ.

ამასობაში ჩარლი და ემილი დაქორწინდნენ და ლონდონში დასახლდნენ. ერთხელ, ჩარლმა მითხრა, შვილები როცა გვეყოლება, ერთ-ერთის ნათლია შენ უნდა იყოო. თუმცა ეს ასე არ მოხდა. იმის თქმა მინდა, რომ აქამდე შვილი არ ეყოლათ და ვფიქრობ, ახლა უკვე გვიანია. სიმართლე გითხრათ, ამის გამო ცოტა გულგატეხილიც ვარ, რადგან რომელიმე ბავშვის ნათლია რომ ვიყო, მათთან – ინგლისში და ჩემს საზღვარგარეთ ცხოვრებას შორის, უმნიშვნელო, მაგრამ საპასუხისმგებლო ძაფი გაიბმებოდა.

ასე იყო თუ ისე, ზაფხულის დადგომისთანავე ჩარლისა და ემილისთან დასარჩენად ლონდონში გავემგზავრე. წინასწარვე შევთანხმდით და, როცა სტუმრობამდე რამდენიმე დღით ადრე დავურეკე, ჩარლიმ მითხრა, რომ თავს არაჩვეულებრივად გრძნობდნენ. ამიტომაც ღრმად მჯეროდა, რომ ჩემი მაშინდელი ცხოვრების ბოლო თვეების განმავლობაში ამაზე უკეთესს ვერც ვერაფერს მოვიფიქრებდი და, ნებივრობისა და დასვენების გარდა, იქ სხვა არაფერი უნდა მეკეთებინა.

მართლაც, იმ მზიან დღეს, როცა ადგილობრივი მეტროდან თავი ამოვყავი, იმაზე ფიქრმა შემიპყრო, „ჩემი“ საძინებელი ოთახის სრულყოფისთვის რა შეიძლებოდა, რომ დაემატებინათ. ყოველი წინა ვიზიტის შემდეგ, წლების მანძილზე, იქ ცვლილებებს თითქმის მუდამ ვითხოვდი. ერთხელ, კუთხეში რაღაც მოკაშკაშე ელექტრო მოწყობილობა დამახვედრეს, მეორედ – ოთახის მთლიანად შეცვლილი ინტერიერი და, როგორც

უკვე წესად იყო ქცეული, „ჩემს“ ოთახს მდიდრული სასტუმროს ნომერივით მიმზადებდნენ: საწოლზე დაკეცილი პირსახოცები ელაგა, იქვე, დაბალ ტუმბოზე – ტკბილეულით სავსე ყუთი, ხოლო ტუალეტის მაგიდაზე – კომპაქტდისკების ნაკრები იდო. რამდენიმე წლის წინათ, ჩარლი ოთახში შემიძღვა და უდარდელი სიამაყით ელექტრო ჩამრთველები გადაატრიალა, საიდანაც ყველა მიმართულებით – საწოლის, ტანსაცმლის კარადის თავიდან და ა. შ. საძინებელი პატარა, უხილავი ლამპების სინათლით განათდა. მერე, კიდევ ერთი ჩამრთველის ღილაკს თითი დააჭირა და ორივე ფანჯარაზე ჟალუზები ზუზუნით ჩამოუშვა.

– მისმინე, ჩარლი, ჟალუზები რად მინდა? – ვკითხე მაშინ, – ახალგაღვიძებულს გარეთ გახედვა მინდა. ჩვეულებრივი ფარდებიც საკმარისი იქნებოდა.

– ეს შვეიცარიული ჟალუზებია, – მიპასუხა მან და თითქოს ამით ყველაფერი ამიხსნა.

მაგრამ ახლა, როცა წინ მიმიძღოდა, თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა და უკვე ოთახში მივხვდი, რომ მებოდიშებოდა... და მერე საძინებელი ისეთ მდგომარეობაში დამხვდა, მანამდე რომ არასოდეს მენახა. საწოლზე ლოგინი არ ეგო, მთლიანად დალაქავებული ლეიბი ცერად იდო. იატაკზე ჟურნალებისა და რბილყდიანი წიგნების მთელი გროვა და ძველი ტანსაცმლის ფუთები ეყარა, ჰოკეის ჯოხი და გადაყირავებული რეპრუდოქტორიც აქვე ეგდო. ვიდრე ჩარლი ჩემი ჩანთის დასადებად სუფთა ადგილს ეძებდა, კართან შევყოვნდი და ნაგავს მივაშტერდი.

– ისე იყურები, თითქოს მენეჯერის მოთხოვნას აპირებდე, – მწარედ მითხრა მან.

– არა, არა. უბრალოდ ოთახის ასეთ უჩვეულო მდგომარეობაში დანახვა გამიკვირდა.

– არეულია, ვიცი. ნაგვითაა სავსე, – ლეიბზე ჩამოჯდა და ამოიოხრა, – მეგონა, დამლაგებელი გოგოები მოაწესრიგებდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ისევ ისე დატოვეს. თუმცა, ღმერთმა იცის, რატომ.

ძალიან დაღონებული ჩანდა, მაგრამ უეცრად ისევ ფეხზე წამოხტა.

– მისმინე! მოდი, სადმე, ლანჩისთვის გავიდეთ. ემილის წერილს დავუტოვებ. შეგვიძლია არც ვიჩქაროთ და, როცა დავბრუნდებით, შენი ოთახიც დალაგებული დაგვხვდება.

– ყველაფრის მოწესრიგება ემილის რატომ უნდა ვთხოვოთ?

– ოჰ, ამას თვითონ არც გააკეთებს. დამლაგებლებს მოიყვანს. თვითონ იცის, როგორც უნდა მოძებნოს. მე მათი ტელეფონის ნომრებიც კი არ მაქვს. მოდი, წავიდეთ, რაა, წავიდეთ. სამი თავი კერძი, ერთი ბოთლი ღვინო ავიღოთ... ყველაფერი ისე, როგორც წესია.

რასაც ჩარლი თავიაანთ სახლს ეძახდა, რეალურად ოთხსართულიანი სტანდარტული კორპუსის ბოლო ორი სართული იყო, მოწესრიგებულ, მაგრამ საშინლად ხმაურიან ქუჩაზე. სახლიდან გამოსვლისთანავე ხალხისა და ტრანსპორტის ზღვაში აღმოვჩნდით. ჩარლის მივყვებოდი. მაღაზიებსა და ოფისებს ჩავუარეთ და ერთ პატარა, კოპწია იტალიურ რესტორანს მივადექით. მაგიდა წინასწარ შეკვეთილი არ გვქონდა, მაგრამ მიმტანები ჩარლის მეგობრულად მიესალმნენ და მაგიდისკენ გაგვიძღვნენ. გარემო მოვათვალიერე... უმეტესად ჰალსტუხებსა და პიჯაკებში გამოწყობილი საქმიანი მამაკაცები შევნიშნე და თავი იმით დავიმშვიდე, რომ ჩარლისაც ჩემსავით დაუდევრად ეცვა.

მგონი, მიხვდა, რაზეც ვფიქრობდი, რადგან როცა მაგიდასთან დავსხედით, მითხრა:

– ეჰ, დედაქალაქის ცხოვრებას გადაჩვეული ხარ, რეი. ისე, სხვათა შორის, აქ ყველაფერი შეცვლილია. საზღვარგარეთ უკვე ძალიან დიდი ხანია, რაც ცხოვრობ, – შემდეგ აღელვებულმა ხმამაღლა დაუმატა: – ჩვენ წარმატებული ადამიანებივით გამოვიყურებით, ყველა სხვა დანარჩენი კი საშუალო დონის მენეჯერებს გვანან.

მერე ჩემკენ გადმოიხარა და შედარებით ხმადაბლა მითხრა:

– მისმინე, უნდა დავილაპარაკოთ. შენთან საათხოვარი მაქვს.

უკვე აღარც მახსოვდა, ჩარლიმ დახმარება ბოლოს როდის მთხოვა, თუმცა, რაც არ უნდა

ეთქვა, თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე და მოსასმენად მოვემზადე. მენიუ ხელში ცოტა ხანს ისევ ატრიალა და მერე გვერდით გადადო.

– სიმართლე რომ გითხრა, მე და ემილის ახლა უმნიშვნელოდ არასასიამოვნო პერიოდი გვიდგას. მოკლედ, ამ ბოლო დროს, ერთმანეთს გავურბივართ. ამიტომაც არ დაგხვდა შინ, როცა ჩამოხვედი. ვშიშობ, შენ ახლა ჩვენთან ურთიერთობა სათითაოდ მოგიწევს, იმ მსახიობის მსგავსად, სპექტაკლში ორ როლს რომ ასრულებს. ოთახში მეც და ემილისაც ერთდროულად ვერ გვნახავ. ბავშვურ საქციელს ჰგავს, ხო?

– ვხვდები, რომ ძალიან ცუდ დროს გესტუმრეთ. ლანჩის შემდეგ დაუყონებლივ გავემგზავრები. ფინჩლში დავრჩები, დეიდაჩემ ქეითთან.

– რას ამბობ? არ მისმენ. ერთი წამის წინ გითხარი, რომ შენი დახმარება მჭირდება-მეთქი.

– მეგონა, გულისხმობდი...

– არა, იდიოტო! მაინცდამაინც სიტყვა-სიტყვით უნდა აგიხსნა, რაა. ფრანკფურტში მივდივარ, შეხვედრაზე. უკვე ნაშუადღევს მივფრინავ. ორ დღეში დავბრუნდები, არა უგვიანეს ხუთშაბათისა, მაგრამ შენ მთელი ეს დრო ჩვენთან დარჩები. სიტუაციას განმუხტავ და ყველაფერი ისევ კარგად იქნება. მერე, მეც დავბრუნდები, მხიარულად მოგესალმებით, ჩემს საყვარელ ცოლს ვაკოცებ, ისე, თითქოს ბოლო ორი თვის მანძილზე სულაც არაფერი მომხდარა და კვლავ შევრიგდებით.

ამ დროს მიმტანი ჩვენი შეკვეთის წასაღებად მოგვიახლოვდა და მისი წასვლის შემდეგ, ჩანდა, რომ ჩარლის იმავე თემაზე საუბრის გაგრძელება აღარ სურდა. სამაგიეროდ, ჩემი ესპანეთში ცხოვრების შესახებ შეკითხვები დამაყარა და ყოველ ჯერზე, როცა რაიმეს ვპასუხობდი, ცუდსაც და კარგსაც, ოდნავ მჟავედ იღიმოდა და თავს ისე დამიქნევდა ხოლმე, თითქოს მის ყველაზე ცუდ შიშებს ვუდასტურებდი. შევეცადე ამეხსნა, თუ როგორი კულინარი დავდექი, სრულიად მარტომ როგორ მოვამზადე საშობაო სუფრა ორმოცი სტუდენტისა და პედაგოგისთვის, მაგრამ სათქმელი შუაში გამაწყვეტინა.

– მისმინე, – მითხრა ჩარლიმ, – უიმედო მდგომარეობაში ხარ. კონტრაქტი დაუყონებლივ შეწყვიტე, თუმცა, ახალი სამუშაოს ძებნას უნდა შეუდგე. ეს სასოწარკვეთილი პორტუგალიელი შუაკაცად გამოიყენე. მადრიდში თანამდებობას მიიღებ, შემდეგ ბინაზე უარს იტყვი. უპირველეს ყოვლისა, ასე უნდა მოიქცე.

ხელი მაღლა ასწია და ჩემთვის რჩევების მიცემა თითებზე ჩამოთვლით დაიწყო. საჭმელი მოგვიტანეს, მაგრამ ჩარლის რამდენიმე თითი ჯერ კიდევ დაუთვლელი ჰქონდა და, ვიდრე არ დაასრულა, საჭმელი პირში არ ჩაიდო. მხოლოდ ამის მერე მითხრა:

– ვიცი, რაც გითხარი, აქედან არაფერსაც არ შეასრულებ.

– არა, არა. ძალიან ჯანსაღი აზრები გაქვს.

– დაბრუნდები და ისევ ისე გააგრძელებ. მერე ერთი წლის შემდეგ, ერთმანეთს აქ შევხვდებით და იგივე რამეებზე იწუწუნებ.

– არ მიწუწუნია...

– იცი, რეი, სხვებს მხოლოდ რჩევების მოცემა შეუძლიათ. გარკვეული დროის შემდეგ, საკუთარ ცხოვრებაზე პასუხისმგებლობა მხოლოდ შენ გეკისრება.

– კარგი, ასე ვიზამ, გპირდები, მაგრამ მეუბნებოდი, შენგან დახმარება მჭირდებაო.

– ოჰ, დიახ, – საჭმელს ჩაფიქრებული ღეჭავდა, – გულწრფელად რომ გითხრა, ზუსტად ამისთვის მოგიწვიე. რა თქმა უნდა, შენი ნახვა ყოველთვისაც მიხარია და ასეა, მაგრამ ახლა ჩემთვის მთავარია, რომ შენგან რაღაც მინდა. ბოლოს და ბოლოს ჩემი ძველი მეგობარი ხარ, დიდი ხნის მეგობარი...

უცბად ისევ ჭამა დაიწყო და გაოცებულმა შევამჩნიე, რომ ჩუმად ტიროდა. მაგიდაზე გადავიხარე და ხელი მხარზე მოვუთათუნე, მაგრამ ჩემკენ არც მოუხედია და პირში მაკარონის ჩატენას განაგრძობდა. რამდენიმე წუთს მოვიცადე და მხარზე ისევ შევეხე, მაგრამ ისევ ამაოდ. მერე მხიარული ღიმილით, მიმტანიც გამოჩნდა, რათა ჩვენთვის ანგარიში მოეტანა. ორივემ ვუთხარით, რომ ყველაფერი ჩინებული იყო და, როგორც კი გაბრუნდა, ჩარლი თითქოს გონზე მოვიდა.

– კარგი, რეი, მომისმინე. რის გაკეთებასაც გთხოვ, ძალიან იოლი შესასრულებელია. ერთადერთი, რაც შენგან მინდა, ისაა, რომ ჩემს დაბრუნებამდე ემილისთან რამდენიმე დღით დარჩე და გაამხიარულო. აი, სულ ეს არის.

– სულ ეს არის? მხოლოდ იმას მთხოვ, რომ მივხედო, ვიდრე დაბრუნდები?

– ზუსტად... ან სულაც, ემილიმ იზრუნოს შენზე. ბოლოს და ბოლოს, სტუმარი ხარ. შენთვის პროგრამა მაქვს შედგენილი. თეატრის ბილეთები ავიღე და ასე... ხუთშაბათზე გვიან არ დავბრუნდები. შენი დავალებაა, რომ ემილის გუნება გამოუსწორო და მოწყენის ნება არ მისცე. ასე, რომ როცა შინ დავბრუნდები და ვეტყვი: „გამარჯობა, საყვარელო!“ და გულში ჩავიხუტებ, ის მიპასუხებს: „ოჰ, გამარჯობა, საყვარელო! კეთილი იყოს შენი დაბრუნება, როგორ იმგზავრე?“ და თვითონაც ჩამეხუტება. მერე ცხოვრებას ისევ ისე გავაგრძელებთ, როგორც ამ საშინელი ისტორიის დაწყებამდე. სულ ეს არის შენი დავალება. მეტი არაფერი.

– გამეხარდება, თუ ყველაფერს შევძლებ, – ვთქვი მე, – მაგრამ, ჩარლი, იცი, რაა? დარწმუნებული ხარ, რომ ის ახლა სტუმრების გართობის ხასიათზეა? როგორც ვხედავ, ორივეს კრიზისული პერიოდი გაქვთ. ისიც შენსავით გულგატეხილი უნდა იყოს. გულწრფელად რომ გითხრა, სულაც ვერ ვხვდები, რატომ დამპატიჟე ზუსტად ახლა.

– და გაუგებარიც რა არის? იმიტომაც მოგიწვიე, რომ ჩემი ძველი მეგობარი ხარ. დიახ, მე ბევრი მეგობარი მყავს, მაგრამ როცა გამიჭირდა, ძალიან ბევრი ვიფიქრე და მივხვდი, რომ ერთადერთი შენა ხარ, ვინც ამ გასაჭირში გვერდით დამიდგება.

უნდა გამოგიტყდეთ, რომ ამ სიტყვებმა ჩემზე საკმაოდ იმოქმედა, თუმცა ვგრძნობდი, საქმე მაინცდამაინც კარგად ვერ იყო. რაღაც ისეთი ხდებოდა, რასაც არ მეუბნებოდა.

– ორივეს შინ ყოფნის შემთხვევევაში თუ დამპატიჟებდი, ალბათ მივხვდებოდი, – ვუთხარი მე, – რეალობა ასეთია: თქვენ ერთმანეთზე გაბუტულები ხართ, ამიტომაც, სიტუაციის განსამუხტად, სტუმარს ეპატიჟები. მერე ორივე თავაზიანად იქცევით და დაძაბულობაც თანდათან ქრება, მაგრამ შენს გარეშე ამას აზრი არ ექნება, არ გამოვა.

– უბრალოდ გააკეთე ის, რასაც გთხოვ. ვფიქრობ, გაამართლებს. ემილი შენთან თავს ყოველთვის მხიარულად გრძნობდა.

– თავს მხიარულად გრძნობდაო? იცი, რაა, ჩარლი, შენი დახმარება ნამდვილად მინდა, მაგრამ მგონია, რომ ცდები. სიმართლე გითხრა, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ემილი ჩემთან ერთად თავს კარგად მაშინაც არ გრძნობს, როცა ერთმანეთთან საუკეთესო ურთიერთობა გაქვთ. ამ ბოლო ხანს, თქვენთან რამდენჯერმე სტუმრობისას, მას... მას აშკარად ყელში ამოუვედი.

– იცი რაა, რეი... შეგიძლია მენდო. ვიცი, რასაც ვაკეთებ.

* * *

როცა დავბრუნდით, ემილი შინ დაგვხვდა. უნდა ვაღიარო, რომ მის დანახვაზე სახტად დავრჩი. ჩემი მათთან ბოლოდროინდელი ვიზიტის შემდეგ, მხოლოდ წონაში არ მოემატებინა: ერთ დროს ბუნებრივი სილამაზით სავსე სახე საშინლად ჩამობერებოდა, ტუჩის კუთხეშიც ასაკისთვის შეუფერებელი ნაოჭები გასჩენოდა. სასტუმრო ოთახის დივანზე ჩამომჯდარიყო და „ფაინენშელ თაიმსს“ კითხულობდა. ჩემს დანახვაზე ფეხზე საკმაოდ შუბლშეკრული წამოდგა.

– შენი დანახვა გამეხარდა, რეიმონდ, – მითხრა მან და ლოყაზე სწრაფად მაკოცა, მერე ისევ დაჯდა. ისე იქცეოდა, რომ სურვილი გამიჩნდა, უდროო დროს სახლში შეჭრისთვის დიდი ბოდიში მომეხადა, მაგრამ, ვიდრე რამეს ვეტყოდი, დივანს თავის გვერდით ხელი გადაუსვა და მითხრა:

– აბა, რეიმონდ, გვერდით დამიჯექი და კითხვებზე მიპასუხე. მინდა, შენ შესახებ ყველაფერი ვიცოდე.

დავჯექი და ემილიმაც, როგორც იქ, რესტორანში, ჩარლის მსგავსად შეკითხვები დამაყარა.

ამასობაში ჩარლი ბარგს იმზადებდა, ოთახში გადი-გამოდიოდა და წასაღებად სხვადასხვა ნივთებს ეძებდა. შევამჩნიე, რომ ერთმანეთს ზედაც არ უყურებდნენ, მაგრამ, ჩარლის სიტყვების მიუხედავად, რაც რესტორანში მითხრა, მათთვის ოთახში ერთად ყოფნა იოლი სულაც არ იყო. მართალია, ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ, მაგრამ ჩარლი უცნაური მანერით, საუბარში შორიდან დროდადრო მაინც ერთვებოდა, მაგალითად, როცა ემილის ვუხსნიდი, რომ მეგობრის შოვნა, რომელთან ერთადაც ბინის ქირას გავიყოფდი, როგორი რთული იყო, ჩარლიმ სამზარეულოდან გამომძახა:

– მისი ახლანდელი ბინა უბრალოდ ორ ადამიანზე არაა გათვლილი! მარტო ერთს თუ ეყოფა და თანაც ისეთს, რომელსაც რეიმონდზე ცოტა მეტი ფული აქვს!

ემილი ქმარს არ გამოპასუხებია, თუმცა ინფორმაცია მტკიცებულებად მიიღო, რადგან ცოტა ხნის შემდეგ დაამატა:

– ასეთი ბინა არ უნდა აგერჩია, რეიმონდ.

ასე გაგრძელდა დაახლოებით ოცი წუთი: ჩარლი რეპლიკებს ხან კიბიდან და ხანაც სამზარეულოდან მესროდა, უმეტესად რაღაც შენიშვნებს ხმამაღლა მიყვიროდა და მესამე პირში მომიხსენიებდა. უცბად ემილიმ თქვა:

– ეჰ, რეიმონდ, სიმართლე თუ გინდა, ყველას ნებას აძლევ გამოგიყენოს – ენების იმ საშინელ სკოლაშიც და შენი სახლის პატრონსაც, როგორც სულელს, ფულს რომ გცინცლავს და შენ თვითონ რის მაქნისი ხარ? ერთ თავცარიელ, ლოთ გოგოს გადაჰკიდებიხარ, ალკოჰოლის გარეშე ცხოვრება რომ არ შეუძლია, მაგრამ თვითონ სასმელის ფულის შოვნის თავიც არა აქვს. ისე იქცევი, თითქოს ჯიბრით ცდილობ იმ ადამიანებს ნერვები მოუშალო, ვისაც ჯერ კიდევ ფეხებზე არ ჰკიდიხარ.

– ამისთანები მალე წამოეგებიან ხოლმე! – ჩარლიმ შემოსასვლელიდან დაიყვირა. ჩემოდნის იქ გახოხების ხმაც მომესმა, – იმ პატარა ბიჭივით ცხოვრობ, ათი წლის წინათ ამ ასაკიდან რომ გამოვიდა, თუმცა ორმოცდაათისაც ისევ ისე აგრძელებ!

– მე მხოლოდ ორმოცდაშვიდის ვარ...

– რა გინდა ამ „მხოლოდ“-ით რომ თქვა? – ძალიან ხმამაღლა თქვა ემილიმ, მიუხედავად იმისა, რომ გვერდით ვიჯექი, – მხოლოდ ორმაცდაშვიდის. ზუსტად ამ „მხოლოდმა“ დაგინგრია ცხოვრება, რეიმონდ. მხოლოდ, მხოლოდ, მხოლოდ... მხოლოდ იმას ვაკეთებ, რაც შემიძლია. ჯერ მხოლოდ ორმოცდაშვიდის ვარ. სულ ცოტაც და მხოლოდ სამოცდაშვიდიც მოგიკაკუნებს და მხოლოდ ისევ იმ დაწყევლილ წრეში აქეთ-იქით მიაწყ-მოაწყდები, და სულელი, თავისთვის თავშესაფრის პოვნას შეეცდები.

– მაგას ტრაკზე კარგად უნდა მოსცხო, – კიბიდან დაიყვირა ჩარლიმ, – ვიდრე ჭკუას არ ისწავლის და სისულელეების კეთებას თავს არ დაანებებს.

– რეიმონდ, რატომ არ გინდა, რომ წამით მაინც შეჩერდე და საკუთარ თავს ჰკითხო, ვინ ხარ? – მკითხა ემილიმ, – არ გრცხვენია, როცა შენს ყველა მონაცემზე ფიქრობ? აბა, შეხედე, როგორ ცხოვრობ! ეს... ეს უბრალოდ გასაცეცხლებელია! შენს გამო შეიძლება, ადამიანი ჭკუიდანაც გადავიდეს!

კართან ლაბადაში გამოწყობილი ჩარლი გამოჩნდა და ცოტა ხანს ორივე ერთდროულად რაღაცეებს მიყვიროდა. მერე ჩარლიმ მოკეტა და ისეთნაირად გამოაცხადა, მივდივარო, რომ თითქოს ჩემი ატანა აღარ შეეძლო და გაუჩინარდა.

მისი წასვლის შემდეგ ემილიმაც შეწყვიტა ღვარძლიანი კრიტიკა და მეც ამით ვისარგებლე, წამოვდექი და ვთქვი:

– უკაცრავად, წავალ და ჩარლის ბარგის აწევაში მივეხმარები.

– დახმარება რაში მჭირდება? – ჰოლიდან გამომძახა ჩარლიმ, – მხოლოდ ერთი ჩემოდანი მიმაქვს.

თუმცა გაცილების ნება მაინც მომცა და ჩემოდანიც დამიტოვა, როცა თვითონ ტაქსის გასაჩერებლად ტროტუარს გაუყვა. მანქანები საერთოდაც არ ჩანდნენ, შეწუხებული ჩარლი წინ გადაიხარა და ხელიც სანახევროდ აწეული ქონდა.

ახლოს მივედი და ვუთხარი:

– ჩარლი, ვფიქრობ, არ გამოვა.

– რა არ გამოვა?

– ემილის ჩემი დანახვაც არ უნდა. სულ რაღაც რამდენიმე წუთითაც კი ვერ ამიტანა. სამი დღის შემდეგ რა იქნება? რატომ გგონია, რომ როცა დაბრუნდები, შინ სიმშვიდე და კეთილგანწყობა დაგხვდება?

სათქმელი დამთავრებულიც არ მქონდა, რომ გონება უცბად გამინათდა და გავჩუმდი. ჩარლიმ ცვლილება შემამჩნია, მოტრიალდა და შემომხედა.

– მგონი, – ვთქვი ბოლოს, – ვხვდები, არჩევანი ჩემზე რატომაც შეაჩერე და არა სხვა ვინმეზე.

– აჰაა, მიხვდა რეი საქმე რაშიც არის?

– დიახ, მგონი, ასეა.

– და ამით რა იცვლება? ჩემი შენდამი თხოვნა იგივეა, ზუსტად იგივე.

თვალები ისევ ცრემლებით აევსო. – გახსოვს, რეი, ემილი ყოველთვის ამბობდა, რომ ჩემი სჯეროდა? წლების მანძილზე სულ ამას გაიძახოდა: „მე მჯერა შენი, ჩარლი. შენ ისეთი ნიჭიერი ხარ, რომ ყველაფერი გამოგივა“. სამი თუ ოთხი წლის წინათაც მისგან იგივე მესმოდა. იცი, ამას როგორი ძალისხმევა სჭირდებოდა? თავს ყველაფერს მართლაც კარგად ვართმევდი. ახლაც ასეა. კიდევ უფრო უკეთესადაც, მაგრამ ის თვლიდა, რომ მე უნდა გავმხდარიყავი... ღმერთმა უწყის, ამ წყეული მსოფლიოს პრეზიდენტი... ღმერთმა იცის! მე კიდევ მხოლოდ ერთი ჩვეულებრივი ახალგაზრდა ბიჭი ვარ, რომელსაც ყველაფერი კარგად გამოსდის, თუმცა ეს მას არ ესმის. ესაა საფუძველი, იმ ყველაფრის საფუძველი, რის გამოც ჩვენი საქმე უკან წავიდა.

საკუთარ ფიქრში ჩაძირული ტროტუარზე ნელა მიდი-მოდიოდა. ჩემოდანთან სასწრაფოდ დავბრუნდი და გავაგორე. ქუჩა კვლავ ძალიან გადაჭედილი იყო, ამიტომ ვცდილობდი, რომ არც ჩარლის ჩამოვრჩენოდი და ფეხით მოსიარულეებისთვისაც ჩანთა არ გამეკრა, მაგრამ ჩარლი ყურადღებას არც მაქცევდა და იმავე ტემპით მიაბიჯებდა.

– ემილის ჰგონია, რომ გული ამიცრუვდა და აღარ ვცდილობ, – განაგრძობდა ის, – მაგრამ ასე არ არის. ყველაფერს ისევ ძალიან წარმატებულადაც ვართმევ თავს. უსასრულო მასშტაბები ახალგაზრდებისთვისაა, მაგრამ როცა ჩვენს ასაკს მიაღწევ, საჭიროა, რომ... საჭიროა, რომ პერსპექტიული იყო. აი, ეს არის რაც სულ თავში მიტრიალებს, როცა მისი ჩიჩინი უკვე აუტანელი ხდება, პერსპექტივა, მას პერსპექტივა სჭირდება და მეც საკუთარ თავს ვუმეორებ: „ყველაფერსაც მშვენივრად ვაკეთებ. აბა, ჩვენს ნაცნობებს შეხედე. რეის შეხედე. შეხედე, წუთისოფელი როგორ გამოაღამა“. ემილის პერსპექტივა სჭირდება.

– და ჩემი დაპატიჟებაც ამიტომ გადაწყვიტე, რომ იქნება და მისტერ პერსპექტივა გახდე.

ჩარლი, როგორც იქნა, შეჩერდა და თვალებში შემომხედა.

– ცუდად ნუ გამიგებ, რეი. მე არ ვამბობ, რომ შენ საშინლად წარუმატებელი ხარ ან რაღაც ამდაგვარი. ვხვდები, არც ნარკომანი ხარ და არც მკვლელი. მაგრამ საჭიროა, აღიარო, რომ, ჩემთან შედარებით, შენი მიღწევები არაფერია. ამიტომაც გთხოვ, ზუსტადაც შენ გთხოვ ჩემთვის ამის გაკეთებას. ლამის გაშორების ზღვარზე ვართ, არაფრის იმედი აღარ მაქვს. შენი შველა მჭირდება და ისეთსაც რას გთხოვ, ღმერთო ჩემო? უბრალოდ, ისევე ადამიანურად მინდა მოიქცე, როგორც ყოველთვის. არც მეტი, არც ნაკლები. უბრალოდ, გააკეთე ეს ჩემთვის, რეიმონდ. ჩემი და ემილის გულისთვის. ჩვენს შორის ჯერ კიდევ ყველაფერი არ დამთავრებულა, ვიცი. უბრალოდ, რამდენიმე დღე არსად არ წახვიდე, ვიდრე არ დავბრუნდები – ჩვეულებრივად მოიქეცი. ნუთუ ასეთი რთული შესასრულებელია, რასაც გთხოვ?

ღრმად ჩავისუნთქე და ვუთხარი:

– კარგი, კარგი... თუ თვლი, რომ ეს გიშველის... მაგრამ, ადრე თუ გვიან, ემილი მაინც არ მიხვდება?

– რას უნდა მიხვდეს? იცის, რომ ფრანკფურტში მნიშვნელოვანი შეხვედრა მაქვს. მის თვალში ყველაფერი ბუნებრივად გამოჩნდება. ის

სტუმარს უმასპინძლებს, მხოლოდ ეს არის. მას ეს ეხალისება და შენს მიმართაც კარგადაა განწყობილი. აი, ტაქსიც გამოჩნდა.

ჩარლიმ ხელი გაშმაგებით დაუქნია და, როცა მძღოლი ჩვენსკენ წამოვიდა, მკლავზე ჩამაფრინდა:

– გმადლობ, რეი. ეჭვიც არ მეპარება, რომ გვიხსნი.

* * *

შინ დაბრუნებულს ემილი სულ სხვანაირად შემხვდა. ოთახისკენ ხნიერი და უკვე დაჩაჩანაკებული ნათესავივით გამიძღვა. პირზე გამამხნევებელი ღიმილი ადგა და მკლავზე სათუთად მეხებოდა. როცა ჩაიზე დავთანხმდი, სამზარეულოში გამიყვანა, მაგიდასთან დამსვა, რამდენიმე წამით იდგა და დაფიქრებული მიყურებდა. ბოლოს რბილად მითხრა:

– მაპატიე, რეიმონდ. ასე არ უნდა დაგძგერებოდი. ასეთი ტონით საუბრის არანაირი უფლება არ მქონდა, – მერე ჩაის დასაყენებლად მიტრიალდა და განაგრძო: – უკვე წლები გავიდა, რაც სტუდენტები აღარ ვართ. მუდამ მავიწყდება. არც ერთ სხვა მეგობართან თავს უფლებას არ მივცემდი, ასე მესაუბრა, მაგრამ, რომ გიყურებ, ჩემი თავი ისევ სტუდენტი მგონია, ისევ ისეთი, მაშინ როგორებიც ვიყავით და, უბრალოდ, მავიწყდება ხოლმე. გულთან არ მიიტანო, რაა.

– არა, არა. საერთოდაც არ მწყენია.

სულ ცოტა ხნის წინათ ჩარლისთან დასრულებულ საუბარზე ვფიქრობდი და, ალბათ ფიქრებში წასული ვჩანდი. მგონი, ემილიმ სწორად ვერ გამიგო, რადგან კიდევ უფრო მეტად ტკბილად მითხრა:

– ძალიან ვწუხვარ, რომ გაწყენინე. – ჩემს წინ, თეფშზე, ნამცხვრის ნაჭრებს საგულდაგულოდ ალაგებდა.

– საქმე ისაა, რეიმონდ, რომ მაშინ, ფაქტობრივად, ყველაფერი შეგვეძლო, შენთვის გვეთქვა, რაც ენაზე მოგვადგებოდა. შენ მხოლოდ გაიცინებდი, ჩვენც ვხარხარებდით და ყველაფერი ხუმრობაში გადაიზრდებოდა ხოლმე. სულელეა ჩემი მხრიდან იმის გაფიქრება, რომ შენ ისეთივე ხარ, როგორიც მაშინ.

– ფაქტობრივად... მეტ-ნაკლებად ისევ ისეთი ვარ. არ მწყენია.

– ვერ მივხვდი, – გააგრძელა მან. ჩანდა, რომ არ მომისმინა, – თუ როგორი სხვანაირი ხარ, ახლა, საფრთხესთან და უამრავ რისკებთან როგორ ახლოს ხარ.

– მისმინე, ემილი, ასეთი ცუდიც არ ვარ.

– სავარაუდოდ, განვლილმა წლებმა სულ მთლად მშრალზე დაგტოვა. უფსკრულის პირას მდგომი ადამიანივით ხარ, – ერთი პატარა ბიძგი და დაიმტვრევი.

– ჩავარდებიო, ამის თქმა გსურდა.

ემილის ჩაიდანი უნდა აეღო, მაგრამ ჩემკენ მოტრიალდა, რომ ისევ სახეზე შემოეხედა.

– არა, რეიმონდ, ასე ნუ მელაპარაკები, ხუმრობითაც კი. არავითარი მსგავსის გაგონების სურვილიც კი არ მაქვს.

– არა, ვერ გამიგე. შენ მითხარი, რომ დაიმტვრევიო, მაგრამ, თუ უფსკრულის პირას ვდგავარ, ეს იმას ნიშნავს, რომ შიგ ჩავვარდები და არა დავიმტვრევი.

– ეჰ, შე საცოდაო... – ჩანდა, რომ ჩემი ნათქვამის გაგონება ისევ არ სურდა, – იმ ძველი რეიმონდის მხოლოდ ნაშთიღაა დარჩენილი.

ამჯერად, გადავწყვიტე, რომ საუკეთესო გამოსავალი მისი უპასუხოდ დატოვება იყო და ცოტა ხანს ჩაიდნის ადუღებას ასე უსიტყვოდ ველოდით. მან მხოლოდ ერთი ფინჯანი გაავსო და წინ დამიდგა.

– ძალიან ვწუხვარ, რეიმონდ, მაგრამ ოფისში უნდა დავბრუნდე. ორი კრებაა დანიშნული და ვერც ერთს ვერ გავაცდენ. სხვა დროს გადავიტანდი, შენი სტუმრობის შესახებ რომ მცოდნოდა, მაგრამ ახლა აღარ შემიძლია. მელოდებიან. საწყალი რეიმონდი. მარტომ აქ რა უნდა აკეთო?

– გადასარევად ვიქნები. ნამდვილად. ფაქტობრივად, მოვიფიქრე კიდეც: შენ აქ არ ყოფნაში სადილი ხომ არ მომემზადებინა? შეიძლება, არც დაიჯერო, მაგრამ ძალიანაც კარგი მზარეული დავდექი. როცა საშობაოდ საჭმელების მომზადება დაგვჭირდა...

– ძალიან სასიხარულოა შენგან, ჩემი დახმარების სურვილი რომ გაქვს. მაგრამ, ვფიქრობ, რომ შენთვის უკეთესი ახლა დასვენება იქნება. ბოლოს და ბოლოს, უცხო სამზარეულოში ტრიალი არც თუ ასე იოლია. მოდი, ისე იგრძენი თავი, როგორც საკუთარ სახლში – მცენარეული აბაზანა მიიღე, რამე მუსიკას მოუსმინე. როცა დავბრუნდები, სადილზე მე ვიზრუნებ.

– სულაც არაა აუცილებელი, რომ ხანგრძლივი სამუშაო დღის შემდეგ, სადილის მომზადებაზე იფიქრო.

– არა, რეი, მიდი, დაისვენე... – სავიზიტო ბარათი ამოიღო და მაგიდაზე დადო, – აქ პირდაპირ ჩემთან დასაკავშირებელი ტელეფონის და მობილურის ნომრები წერია. ახლა უნდა წავიდე, თუმცა ნებისმიერ დროს შეგიძლია დამირეკო და, გახსოვდეს, რომ ჩემს მოსვლამდე არაფერი გააკეთო.

* * *

ამ ბოლო დროს სათანადოდ საკუთარ სახლშიც ვერ ვისვენებ. თუ მარტო ვარ, საშინელი მოუსვენრობა მჭირს; ის აზრი მაწუხებს, რომ სადღაც რაღაც მნიშვნელოვან შეხვედრას ვაკლდები, მაგრამ თუ უცხო სახლში მარტოდ ყოფნა მიწევს, მაშინ სიმშვიდის სასიამოვნო გრძნობა მეუფლება. სხვის დივანში ჩაფლობა და ხელში ნებისმიერი წიგნის აღება ასეთ დროს ჩემი საყვარელი საქმიანობაა და მაშინაც ზუსტად ასე მოვიქეცი, როცა ემილიმ კარი გაიხურა. ყოველ შემთხვევაში, „მენსფილდის პარკიდან“[10] ორი თავის წაკითხვა მაინც მოვასწარი, ვიდრე ასე, ოცი წუთით წავთვლემდი.

როცა გამეღვიძა, ოთახში შუადღის მზე ანათებდა. დივნიდან წამოდგომისთანავე ცხვირი აქეთ-იქით შევყავი. შესაძლოა, დამლაგებლები მართლაც მოვიდნენ, როცა ჩვენ ლანჩისთვის გავედით ან სულაც ასევე შესაძლებელია, რომ ემილიმ სახლი თვითონვე დაალაგა. ასე იყო თუ ისე, დიდი სასტუმრო ოთახი არაჩვეულებრივად გამოიყურებოდა. სისუფთავის გარდა აქ თანამედროვე დიზაინის ავეჯი, ხელოვნების ნიმუშებიც დაემატებინათ, თითქოს იმიტომ რომ ვინმე არაკეთილმოსურნეს ეთქვა: „ცხადია, ყველაფერი ეფექტის მოსახდენად არისო“. ჯერ წიგნები შევათვალიერე, მერე კომპაქტდისკების კოლექციით დავინტერესდი. ძირითადად თითქმის მხოლოდ როკი ან კლასიკა იყო, თუმცა საბოლოოდ, მცირე ხნის ძებნის შემდეგ, ფრედი ასტერის[11], ჩეტ ბეიკერის და სარა ვოენის კოლექციებისადმი მიძღვნილ ბნელ კუთხეში შეყუჟულ, არც თუ ისე მოზრდილ განყოფილებას წავაწყდი. გამიკვირდა, რომ ემილის კომპაქტ-დისკებით თავისი საყვარელი ვინილის ფირების მხოლოდ მცირე ნაწილი ჩაენაცვლებინა, მაგრამ დიდხანს არ მიფიქრია და სამზარეულოსკენ წავედი.

კარადებში ნამცხვარსა და შოკოლადს ვეძებდი, როცა სამზარეულოს მაგიდაზე პატარა უბის წიგნაკი შევნიშნე. იისფერი ბალიშივით ამობურცული ყდა ჰქონდა, რომელიც სამზარეულოს თანაბარი, პრიალა, მინიმალისტური ავეჯის ზედაპირზე იოლი შესამჩნევი იყო. როცა ჩაის ვსვამდი, სამსახურში წასვლამდე, ემილიმ ჩანთა მაგიდაზე ამოაპირქვავა და შიგ სხვა ნივთები ჩაალაგა. სიჩქარისაგან უბის წიგნაკის უკან ჩადება დაავიწყდა და შეცდომით მაგიდაზე დარჩა. თუმცა, უცბად, თავში სხვა აზრმაც გამიელვა, რომ ეს იისფერი ბლოკნოტი რაღაც ინტიმურ დღიურს ჰგავდა და ემილიმ შეგნებულად დატოვა, რათა შიგ ჩამეჭვრიტა. ამა თუ იმ მიზნით, ჩემთან მეტი გულახდილობა ვერ შეძლო და გულში ნადების გაზიარება ასეთნაირად გადაწყვიტა.

ცოტა ხანს ასე ვიდექი – დღიურს მიშტერებული. მერე წინ გადავიხარე, საჩვენებელი თითი შუაში შევყავი და ფრთხილად გადავშალე. ემილის ჩაწიკწიკებული ხელნაწერის დანახვაზე ბლოკნოტიდან თითი უმალვე გამოვაძრე და მაგიდას მოვშორდი; საკუთარ თავს ჩავძახოდი, რომ იქ ცხვირის ჩაყოფის უფლება მაშინაც კი არ მქონდა, ემილის დღიური ნამდვილად ჩემს დასანახად რომც დაეტოვებინა.

[10] „მენსფილდის პარკი“ – ცნობილი ინგლისელი მწერლის ჯეინ ოსტენის (1775-1817) რომანი.

[11] ფრედი ასტერი (1899-1987) – ამერიკელი მოცეკვავე, მომღერალი, მსახიობი და ქორეოგრაფი.

ისევ სასტუმრო ოთახში დავბრუნდი, დივანზე მოვეწყე და „მენსფილდ პარკის“ რამდენიმე ფურცელი წავიკითხე, თუმცა ვგრძნობდი, რომ კონცენტრირების უნარი არ მქონდა. ჩემი გონება ისევ იმ იისფერ უბის წიგნაკს დასტრიალებდა. იქნებ, ეს შემთხვევითობა სულაც არ არის? იქნებ, ემილი ამას რამდენიმე დღეც გეგმავდა? იქნებ, გულმოდგინედ დაწერა, შეადგინა, რომ მე წამეკითხა?

ათი წუთის შემდეგ სამზარეულოში შევედი და იისფერ უბის წიგნაკს ისევ მივაშტერდი. მერე იქ დავჯექი, სადაც ბოლოს ჩაის ვსვამდი, ბლოკნოტი ჩემკენ მოვწიე და გადავშალე.

ერთ რამეს უმალვე მივხვდი: ეს რომ ის დღიური ყოფილიყო, რომელსაც ემილი საკუთარ ფიქრებს ანდობდა, მაშინ სადმე სხვაგან შეინახავდა. ჩემ წინ, რაც კი შეიძლებოდა, საუკეთესო შემთხვევაში ყოფილიყო, მხოლოდ შელამაზებული სახით წარმოდგენილი შეხვედრების დღიური იდო: ემილის რომ არ დავიწყებოდა, თითოეული თარიღის ქვეშ შენიშვნები ჰქონდა მიწერილი; ზოგიერთ შემთხვევაში ეს მხოლოდ სურვილი იყო. ერთ-ერთი ასეთი ჩანაწერი მსხვილი ფლომასტერით იყო გაკეთებული: „თუ ჯერ არ დაგირეკავს მატილდასთვის, **რა ჯანდაბას ელოდები???? დარეკე!!!!**“

მეორე ასეთი იყო: „დაამთავრე წყეული ფილიპ როთის[12] კითხვა. დაუბრუნე მარიონს!“

მერე, გვერდების გადაფურცვლისას ასეთ რამეს წავაწყდი: „ორშაბათს რეიმონდი ჩამოდის. ოჰ, უბედურება, უბედურება!“

რამდენიმე ფურცელი კიდევ გადავშალე: „რეი ხვალ აქ იქნება. როგორ გადავიტანო?“

ბოლოს, ზუსტად იმ დილით, სხვადასხვა ყოველდღიური საქმეების გასწვრივ მიწერილი: „ღვინის ყიდვა წუწუნის პრინცისთვის“.

წუწუნის პრინცი? ცოტა ხანს იმაზე ფიქრი დამჭირდა, ეს სიტყვები ნამდვილად მე მეხებოდა თუ არა. სხვა შესაძლო ვარიანტების მოსინჯვასაც შევეცადე, მაგალითად, კლიენტი? სანტექნიკი, მაგრამ, თარიღიდან და კონტექსტიდან გამომდინარე, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ჩემზე სერიოზული კანდიდატი არ არსებობდა. უცბად, ჩემი ასე მოხსენიების გამო, უსამართლობის განცდა დამეუფლა და ისე, რომ, ვერც კი გავაცნობიერე, რას ვაკეთებდი, შეურაცხმყოფელი ფურცელი დავჭმუჭნე.

ეს რაიმე განსაკუთრებულად ფიცხი ქმედება სულაც არ იყო: ფურცელი არც კი დამიხევია. უბრალოდ, თითები იმპულსურად მოვუჭირე და მერე, სულ რამდენიმე წამში, როცა მივხვდი, რაც ჩავიდინე, უკვე გვიან იყო. მუჭა გავხსენი და დავინახე, რომ კიდევ ორი მომდევნო ფურცელიც ჩემი სიბრაზის მსხვერპლი გამხდარიყო. გასწორებას შევეცადე, მაგრამ ისე ჯიუტად იკუჭებოდნენ, თითქოს ქაღალდის ბურთის ფორმის მიცემის და მერე ნაგავში გადაგდების დიდი სურვილი ჰქონდათ.

ამის მიუხედავად, რამდენიმე ხანი დაზიანებულ ფურცლებს ხელით ვასწორებდი და ვასწორებდი. ის-ის იყო თავის დანებებას ვაპირებდი, რადგან მივხვდი, რომ ჩემი ძალისხმევა ამაო იყო, რომ რომელიღაც ოთახში ტელეფონის ზარი გაისმა.

გადავწყვიტე, არ მეპასუხა. თავში ისევ ფურცლების გასწორებაზე ფიქრი მიტრიალებდა, მაგრამ მერე ავტომოპასუხე ჩაირთო და ჩარლის ხმა გავიგონე, მესიჯს მიტოვებდა. შეიძლება ამ ზარში სასიცოცხლო მნიშვნელობის რამ ვიგრძენი ან, შეიძლება, უბრალოდ, ვინმესთვის ჩემი მდგომარეობის გაზიარება მსურდა, ფაქტი ის არის, რომ სასტუმრო ოთახში თავ-ქუდმოგლეჯილი გავვარდი და მინის დაბალ მაგიდაზე ტელეფონს დავწვდი.

– უი, აქ ყოფილხარ, – ჩარლი ცოტა გაღიზიანებული ჩანდა, შეტყობინება რომ ბოლომდე არ დავამთავრებინე.

– ჩარლი, მომისმინე... ეს-ესაა რაღაც დიდი სისულელე ჩავიდინე.

– აეროპორტში ვარ, – მითხრა მან, – ფრენა გადაიდო. მინდა, ფრანკფურტის ტრანსპორტის მომსახურების ფირმაში დავრეკო, რომ ტაქ-

[12] ფილიპ როთი (1933-2018) – ცნობილი ამერიკელი მწერალი.

სი გამომიგზავნონ, მაგრამ მათი ნომერი თან არ მაქვს. ასე რომ, შენი დახმარება მჭირდება, იქნებ ნომერი მიკარნახო?

მან ინსტრუქციების მოცემა დამიწყო, სად მეპოვა ტელეფონის წიგნი, მაგრამ შევაწყვეტინე:

– მომისმინე, ეს-ესაა რაღაც სისულელე დამემართა. არ ვიცი, რა ვქნა.

ცოტა ხანს ჩუმად იყო, მერე მითხრა:

– შესაძლოა, ფიქრობ რეი, ალბათ, გგონია, რომ ვიღაც სხვა მყავს და სახლიდან სწორედაც მის სანახავად წამოვედი. თავში აზრმა გამიელვა, რომ შეიძლება ასეც ფიქრობდე. ბოლოს და ბოლოს, იმ ყველაფრის მერე, რაც ნახე, შეიძლება, ასეთი დასკვნაც გააკეთე. ემილის ქცევიდან გამომდინარე, როცა აქეთ მოვემგზავრებოდი, და ყველა სხვა რამესთან ერთადაც, მაგრამ ცდები.

– დიახ, მესმის შენი, მაგრამ შენთან სხვა რამეზე მსურდა საუბარი...

– აღიარე ეს, რეი. შენ ცდები. სხვა ქალი არ არსებობს. ფრანკფურტში დანიშნულ შეხვედრაზე ჩვენი პოლონეთის სააგენტოს შეცვლის თაობაზე მივდივარ. აი, სად მივდივარ.

– კარგი, გასაგებია.

– სხვა ქალი არც არასოდეს მყოლია. სხვისთვის არც შემიხედავს, ოდნავ სერიოზულადაც კი. ეს სიმართლეა. წმინდა წყლის სიმართლეა და მეტიც არაფერი!

ჩარლი ყვირილზე გადავიდა, ალბათ, გარშემო, სამგზავრო დარბაზის ხმაური რომ გადაეფარა, მერე დადუმდა და ვცდილობდი გამერკვია, ისევ ხომ არ ტიროდა, მაგრამ, აეროპორტის ხმაურის გარდა, ვერაფერი გავარჩიე. უცბად მითხრა:

– ვიცი, ახლა რასაც ფიქრობ. ფიქრობ: „კი ბატონო, სხვა ქალზე ლაპარაკი არ არის. მაგრამ ვინმე კაცი ხომ არაა საქმეში გარეული?“ გამოტყდი, ხომ ესაა, რაზეც ფიქრობ? მიდი, აღიარე!

– არა, თავში არასოდეს აზრადაც არ მომსვლია, რომ შეიძლება გეი იყო. მაშინაც კი, როცა გამოსაშვებ გამოცდებს მოვრჩით და ისე დათვერი, რომ თავს აჩვენებდი თითქოს...

– მოკეტე, იდიოტო! სხვა კაცში ემილის საყვარელი ვიგულისხმე! ემილის საყვარელი! ნეტა საერთოდაც ბუნებაში თუ არსებობს ასეთი წყეული ვინმე? ამის შესახებ მაქვს საუბარი და ჩემი გამოტანილი გადაწყვეტილების მიხედვით, არა, არა და არა! მთელი ეს წლები ის საკმაოდ კარგად გავიცანი, მაგრამ უბედურება იცი რაშია? ზუსტადაც იმიტომ, რომ მას ასე კარგად ვიცნობ, სხვა რამის თქმაც შემიძლია. შემიძლია გითხრა, რომ მან ამაზე ფიქრი უკვე დაიწყო. ეს ასეა, რეი, თვალი სხვა მამაკაცებისკენაც უჭირავს. მათ შორის ერთ-ერთი ის წყეული დევიდ ქორეია!

– ეგ ვინღაა?

– წყეული დევიდ ქორეი – მლიქვნელი, არამზადა ადვოკატი, თანდათან რომ იფურჩქნება. ზუსტად ვიცი, წარმატებებს აღწევს, რადგან ემილი მიყვება ხოლმე იმ აუტანელ დეტალებზე.

– შენ ფიქრობ, რომ... ისინი ერთმანეთს ხვდებიან?

– არა, შენ რაა? არ მისმენ? ასეთი ჯერ-ჯერობით არაფერია! წყეული დევიდ ქორეი მას ზედაც არ შეხედავს. ცოლად ერთი ლამაზმანი ყავს, რომელიც „Qondeé nust“-ში მუშაობს.

– მაშინ, არც უნდა გეშინოდეს...

– უნდა მეშინოდეს, იმიტომ რომ არსებობს კიდევ მაიკლ ედისონი და როჯერ ვან დერ ბერგი – „მერილ ლინჩის“[13] ამომავალი ვარსკვლავი, რომლის გარეშეც მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი არც ერთ წელს ისე არ ჩაივლის...

– მომხედე, ჩარლი, მომისმინე, გეთაყვა. აქ უსიამოვნება შემემთხვა. უმნიშვნელო, რა თქმა უნდა, თუმცა, რაც არ უნდა იყოს, მაინც არასასიამოვნოა. მომისმინე, გთხოვ.

როგორც იქნა, მოვახერხე და ვუთხარი, რაც დამემართა. რამდენადაც შემეძლო ყველაფერი გულახდილად ვუამბე, თუმცა მხოლოდ გაკვრით ვახსენე ჩემი ვარაუდი იმის შესახებ, რომ ემილიმ უბის წიგნაკი ჩემ დასანახად შეგნებულად დატოვა.

– ვიცი, რომ ნამდვილად გავბრიყვდი, – დავუმატე ბოლოს, – მაგრამ, უბის წიგნაკი პირდაპირ იქ იდო, სამზარეულოს მაგიდაზე.

[13] „მერილ ლინჩი“ – ამერიკის ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკი.

– დიახ, – ჩარლი ცოტა დაწყნარდა, – დიახ, გასაგებია. საკუთარ თავს ცხვირის იქ ჩაყოფის ნება მიეცი.

მერე ჩარლიმ გაიცინა. ამით შეგულიანებულს, მეც გამეცინა.

– ალბათ, ეს ამბავი გულთან მეტისმეტად ახლოს მიმაქვს, – ვთქვი მე, – ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ პირადი უბის წიგნაკი არ არის?! უბრალოდ, ჩანაწერების ბლოკნოტია, მეტიც არაფერი...

მეტი აღარაფერი მითქვამს, რადგან ჩარლი არ ჩერდებოდა და სიცილი თითქოს ისტერიკაში გადაუვიდა, მერე შეწყვიტა და კატეგორიულად განაცხადა:

– ემილი რომ გაიგებს, ყვერებს დაგაჭრის.

წუთიერი დუმილი ჩამოვარდა, აეროპორტის ხმაური მესმოდა. მერე გააგრძელა:

– დაახლოებით ასე, ექვსი წლის წინათ, მე თვითონაც გადავშალე ეს უბის წიგნაკი ან, შეიძლება მაშინდელი სხვა... შემთხვევით, სამზარეულოში ვიჯექი და ემილი საჭმელს აკეთებდა. იცი? უბრალოდ, დაუდევრად გადავშალე, როცა რაღაცას ვამბობდი. ემილიმ მაშინვე შენიშნა და უკმაყოფილება გამოხატა. სწორედ მაშინ მითხრა, რომ ყვერებს დამაჭრიდა. თან ხელში ცომის გასაბრტყელებელი ეჭირა, ამიტომ შევნიშნე, რომ რასაც მემუქრებოდა, კარგად ვერ გამოუვიდოდა. მერე ასე მითხრა: „ცომის საგორავი, მერე – ჯერ ყვერებს მოგაჭრი და მერე გაგაბრტყელებო“.

ყურმილში თვითფრინავში ჩასხდომის გამოცხადების ხმა გაისმა.

– რას მირჩევ? რა გავაკეთო? – შევეკითხე.

– რა უნდა ქნა? რა და, ფურცლების ხელით დაუთოება განაგრძე. შეიძლება, ვერც შეამჩნიოს.

– ვეცადე, მაგრამ არაფერი გამოვიდა. არ არსებობს, არ შეამჩნიოს...

– მისმინე, რეი, თავში უამრავი აზრი მიტრიალებს. რის თქმასაც შენთვის ვცდილობ, ის არის, რომ ყველა ის მამაკაცი, რომლებზეც ემილი ოცნებობს, პოტენციური საყვარლები არ არიან. უბრალოდ, აღტაცებულია, რადგან მათში სრულყოფილებას ხედავს, ნაკლს ვერც კი ამჩნევს, მათ აშკარა... ცხოველურ ხასიათს. ნებისმიერ შემთხვევაში, მათთან საერთო არაფერი გააჩნია. საქმე ისაა, რომ სამწუხაროა თუ სასაცილო, გულის სიღრმეში მე ვუყვარვარ. ისევ ვუყვარვარ. ამაში დარწმუნებული ვარ.

– ასე, რომ ჩარლი, ვერაფერს მირჩევ.

– არა! არ მაქვს ეს წყეული რჩევა! – ისევ მთელი ხმით მიყვიროდა, – შენ თვითონ მოიფიქრე! შენ შენს თვითმფრინავში ჩაჯექი, მე – ჩემსაში და ვნახავთ, რომელი მათგანი ჩამოვარდება!

ამ სიტყვებით ჩარლიმ ტელეფონი გამითიშა. დივანზე დავეცი და ღრმად ჩავისუნთქე. საკუთარ თავს შთავაგონე, რომ ასეთი უმნიშვნელო რამის საქმედ ქცევა და ნერვიულობა არ ღირდა, თუმცაღა, შინაგანად გულისამრევი პანიკის შეგრძნება დამეუფლა. თავში სხვადასხვა აზრმა გამიელვა. ერთი ის იყო, რომ უბრალოდ გავპარულიყავი და ჩარლისთან და ემილისთან ყოველგვარი კონტაქტი გამეწყვიტა და მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ მათთვის ფრთხილი, კარგად აწონ-დაწონილი სიტყვებით დაწერილი წერილი გამეგზავნა, მაგრამ ჩემს მაშინდელ მდგომარეობაში მყოფმაც კი, ამ გეგმაზე უარი ვთქვი, რადგან ზედმეტად სავალალოდ მივიჩნიე. უპრიანი იქნებოდა, რომ მათი ბარის სასმელები საგულდაგულოდ შემესწავლა და, როდესაც ემილი შინ მობრუნდებოდა, გალეშილი დავხვედროდი. მაშინ იოლად შევძლებდი მეღიარებინა, რომ მის დღიურს გადავხედე და ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ფურცლები დავაზიანე. ფაქტობრივად, უზომოდ მთვრალს შემეძლო დაზარალებული მხარის როლიც მომერგო, მეყვირა და სიტყვა გადამეკრა, თუ როგორ მწარედ მატკინა გული იმ ადამიანის მიერ დაწერილმა სიტყვებმა, რომლის სიყვარულსა და მეგობრობასაც ყოველთვის მნიშვნელობას ვანიჭებდი; მათ მაშინაც არ ვივიწყებდი, როცა იმ უცხო ქვეყანაში, მარტოდმარტოდ ცხოვრების ყველაზე რთული პერიოდი მედგა. პრაქტიკულად, ამ გეგმას განსაკუთრებული უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ სადღაც, მის სიღრმეში, იქ, სადაც წამით

შეჭვრეტაც კი არ მინდოდა, მარწმუნებდა, რომ ეს მიუღებელი იყო.

ცოტა ხნის შემდეგ ტელეფონმა დარეკა და ისევ ჩარლის ხმა გაისმა. როცა ყურმილი ავიღე, წინანდელთან შედარებით, წყნარად მესაუბრა.

– უკვე გასასვლელთან ვარ, – მითხრა მან, – ბოდიშს გიხდი, თუ წეღან ცოტა აღშფოთებულმა გესაუბრე. აეროპორტებში ყოველთვის ასე ვარ. ვიდრე ასაფრენ ბილიკზე არ დავდგები, ვერ ვწყნარდები. რეი, მისმინე, რაღაც ახალი აზრი გამიჩნდა, ჩვენ სტრატეგიასთან დაკავშირებით.

– ჩვენი სტრატეგია?

– ჰო, ჩვენი საერთო სტრატეგია. რა თქმა უნდა, ხვდები, რომ საკუთარი თავის უკეთესად წარმოჩენის მიზნით, ჭეშმარიტების შელამაზების დრო სულაც არ არის. ამ სიტუაციაში უწყინარი ტყუილის თქმაც არაფრით არ შეიძლება. არა, არა. ეს დავალება რატომაც მოგეცი, ხომ არ დაგავიწყდა? მე შენ გენდობი, რეი. ისე მოიქეცი, როგორიც ბუნებრივად ხარ. ჩვენი სტრატეგია ამას საჭიროებს.

– მომისმინე, რაა. მე მგონი, მივხვდი, რომ მის თვალში დიდებული კერპივით უნდა გამოვჩნდე.

– დიახ, სიტუაციას სწორად აფასებ და ამისთვის მადლობელი ვარ, მაგრამ ეს-ესაა რაღაც სხვა აზრი მომივიდა – შენს რეპერტუარში ერთი პატარა რამ არის, ერთი უმნიშვნელო დეტალი, რომელიც შეიძლება, შენი როლისთვის არ გამოგადგეს. რეი, ემილი აღირებს, რომ შენ კარგი მუსიკალური გემოვნება გაქვს.

– ეჰ...

– ის ამას მხოლოდ იმ იშვიათი შემთხვევების დროს ამბობს, როცა ჩემთან რაიმე მაგალითისთვის სჭირდები. ეს ერთადერთი ის მცირე დეტალია, რომელმაც შესაძლოა, ხელი შეგიშალოს. ამიტომ, რეი, უნდა დამპირდე, რომ ემილის ამ თემაზე არ ესაუბრები.

– ოჰ, ღვთის გულისათვის...

– უბრალოდ, ჩემთვის გააკეთე ეს, რაა, რეი. ისეთს არაფერს გთხოვ. მის საყვარელ საესტრადო სევდიან მუსიკაზე არ ილაპარაკო, მეტი არაფერი და თუ ამ თემაზე საუბარს თვითონ დაიწყებს, გაატარე, ვითომ არ გესმის. სულ ესაა, რასაც გთხოვ. დანარჩენ შემთხვევაში ჩვეულებისამებრ მოიქეცი. ასე, რომ რეი, შენს იმედად ვიყო, ხო?

– კარგი, ასე იყოს. ასეა, თუ ისე, ეს ყველაფერი მაინც თეორიაა. რაღაც მგონია, რომ ამ საღამოს ჭორაობა სულაც არ მოგვიწევს.

– კარგია! ასე რომ, შევთანხმდით. მოდი, ახლა, ისევ შენს უმნიშვნელო პრობლემას დავუბრუნდეთ. შენთვის სასიამოვნო უნდა იყოს, ამაზე რომ ვიფიქრე და გამოსავალიც ვიპოვე. მისმენ?

– დიახ, გისმენ.

– ერთი წყვილია, დრო და დრო გვაკითხავენ ხოლმე – ანჯელა და სოლი. ცუდი ადამიანები არ არიან, მაგრამ მეზობლები რომ არ იყვნენ, მათთან საერთო სულაც არაფერი გვექნებოდა. მიუხედავად ყველაფრისა, ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე, ხშირად შემოგვივლიან ხოლმე ფინჯან ჩაიზე. საქმეც სწორედაც რომ ამაშია. დღის სხვადასხვა დროს გამოჩნდებიან ხოლმე, როცა ჰენდრიქსს ასეირნებენ.

– ჰენდრიქსი?

– ჰენდრიქსი ერთი აყროლებულსუნიანი, დაუმორჩილებელი, ადამიანის ნამდვილი მკვლელი ლაბრადორია, თუმცა ანჯელასა და სოლის შვილის მაგივრობას უწევს, რომელიც არ ჰყავთ ან ჯერ არ გაუჩენიათ. სრულიად სარწმუნოა, რომ ჯერ კიდევ ამის ასაკი არა აქვთ, მაგრამ, არა, მთავარია, რომ ძვირფასი, საყვარელი ჰენდრიქსი ჰყავთ და, როცა ისინი გვსტუმრობენ, საყვარელი ჰენდრიქსი ყველაზე ბოროტი მძარცველის მსგავსად, ყველაფერს აფუჭებს, რასაც კი მისწვდება. ტორშერი გადმოაგდო. „ოჰ, ძვირფასო, ნუ ინერვიულებ, საყვარელო. ხომ არ შეგეშინდა?“ აი, ასეთი ამბებია. ახლა კი მომისმინე: გასულ წელს სახლში, დაბალ მაგიდაზე, ერთი ძვირადღირებული, ნახატების ფოტოებით სავსე სასაჩუქრე ალბომი გვედო, რომელზეც ჩრდილოეთ აფრიკის ციხესიმაგრესთან ახალგაზრდა გეების პოზიორობის ამსახველი ფოტოც იყო აღბეჭდილი. ემილის ალბომის განსაკუთრებით ეს

გვერდი მოსწონდა და მაგიდაზეც ყოველთვის ასე გადაშლილს დებდა, რადგან თვლიდა, რომ დივნის ფერს შეეფერებოდა. ჭკუიდან შეიშლებოდა, თუ ალბომს სხვა გვერდზე გადაშლილს დატოვებდი. მიუხედავად ყველაფრისა, გასულ წელს ჰენდრიქსი გვესტუმრა და მთელი ალბომი დაღრღნა. ზუსტად ასე: ზუსტად იმ პრიალა ფოტოს ჩაავლო კბილები და, ვიდრე დედიკო დაარწმუნებდა, რომ უნდა გაჩერებულიყო, ასე, ოცამდე გვერდი მთლიანად პირში ჩაიდო და დაღეჭა. ხვდები, ხომ ამას რატომაც გიყვები?

– დიახ. ვხვდები, რომ რაღაცას გადაკრულად მეუბნები, მაგრამ...

– კარგი, მაშინ სიტყვა-სიტყვით, პირდაპირ გეტყვი. აი, რაც ემილის უნდა უამბო: კარზე დარეკეს, შენ გააღე. ზღურბლზე ეს წყვილი იდგა ჰენდრიქსთან ერთად, რომელიც გააფთრებული შემოვარდა. მათ გითხრეს, რომ სახლის პატრონის მეგობრები – ანჯელა და სოლი იყვნენ და ერთი ჭიქა ჩაის დალევა სურდათ. შენ ისინი შინ შემოიპატიჟე. ჰენდრიქსი გადარეული დარბოდა, უბის წიგნაკს დააცხრა და დაგლიჯა. მეტისმეტად დამაჯერებელია. რა იყო? მადლობას რატომ არ მეუბნები? თუ ეს ვარიანტი არ მოგეწონათ, სერ?

– ძალიანაც მადლიერი ვარ, ჩარლი. უბრალოდ, ჩავფიქრდი. მხოლოდ ერთი რამ არის... მაშინ რა ვქნა, თუ ისინი ნამდვილად გვესტუმრებიან? ვგულისხმობ, მაშინ, როცა ემილი უკვე შინ იქნება?

– შესაძლოა, რომ ასეც მოხდეს. მაშინ, ასეთ შემთხვევაში, მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია, რომ ძალიან, ძალიან უიღბლო ყოფილხარ, თუ ასე მოხდა. „ხშირად სტუმრობაში“ მაქსიმუმ თვეში ერთხელ ვიგულისხმე. ასე რომ, რაღაც წვრილმანების კირკიტს მორჩი და ჩემი მადლიერი იყავი.

– მაგრამ ჩარლი, ცოტა უცნაური ხომ არ არის, რომ ძაღლი მაინცდამაინც იმ უბის წიგნაკს მივარდა და ზუსტად ის გვერდები დაგლიჯა?

გავიგონე, როგორ ამოიოხრა.

– აი, ეს კი აღარ მიფიქრია, რომ ყველაფრის ახსნა დეტალურად მომიწევდა. ბუნებრივია, ოთახის უმნიშვნელოდ მომზადება დაგჭირდება. ტორშერს გადააყირავებ, სამზარეულოს იატაკზე შაქარს დაყრი. ისეთნაირად მოაწყობ, თითქოს ეს ყველაფერი ჰენდრიქსმა ჩაიდინა. უნდა წავიდე, თვითმფრინავში ჩასხდომა იწყება. უკვე გერმანიიდან დაგიკავშირდები.

როცა ჩარლის ვუსმენდი, ისეთი გრძნობა დამეუფლა, როცა ვინმე თავის სიზმარს გიამბობს ან იმას გიხსნის, როგორ დაამტვრია ავტომობილის კარი. საუცხოოდ მოფიქრებული გეგმა იყო, გონივრული, მაგრამ არ ვიცოდი, რა უნდა მეთქვა ან გამეკეთებინა, როცა ემილი შინ დაბრუნდებოდა და უფრო და უფრო ვნერვიულობდი, თუმცა, როცა ჩარლიმ ყურმილი დაკიდა, ვიგრძენი, მისმა საუბარმა ჩემზე ჰიპნოზის მსგავსი გავლენა მოახდინა. მიუხედავად იმისა, რომ მის შემოთავაზებას იდიოტურად ვთვლიდი, მთელი არსებით გადაწყვეტილების შესასრულებლად მოვემზადე.

ტორშერი იატაკზე დავამხე. ვფრთხილობდი, არაფერი გამეტეხა და ჯერ აბაჟური მოვაძვრე და მხოლოდ მაშინ დავაფარე უკუღმა, როცა უკვე იატაკზე მქონდა წაქცეული. მერე, წიგნის თაროდან ლარნაკი გადმოვიღე, ფარდაგზე დავდე და გარშემო ის გამხმარი ბალახები მიმოვაბნიე, რომელიც შიგ იყო. დაბალ მაგიდასთან მოხერხებული პატარა ადგილი ავარჩიე, სადაც ქაღალდებით სავსე კალათა უნდა ამომეპირქვავებინა. ისე უცნაურად ვმოქმედებდი, თითქოს უსხეულო ვიყავი. იმედი არ მქონდა, რომ აქედან რამე გამოვიდოდა, მაგრამ მთელმა ამ პროცედურამ რაღაცნაირად დამამშვიდა. მერე გამახსენდა, რომ ეს ვანდალიზმი დღიურის გამო დამჭირდა და სამზარეულოსკენ გავწიე.

მცირე ხნის ფიქრის შემდეგ, ჭურჭლის კარადიდან საშაქრე გამოვიღე, მაგიდაზე, იისფერ უბის წიგნაკთან ახლოს მოვათავსე და ფრთხილად ამოვატრიალე. ასე იქამდე დავტოვე, ვიდრე იქიდან შაქარი გადმოიყარა. ცოტა წვალება დამჭირდა, რომ წონასწორობა დამეცვა და საშაქრე მაგიდის ნაპირიდან იატაკზე არ გადაგორებულიყო, მაგრამ საბოლოოდ მაინც

მოვახერხე. იმ დროისთვის ის შემაწუხებელი პანიკის შეგრძნებაც უკვე აღარ მტანჯავდა. ვერ ვიტყვი, რომ თავს ბოლომდე მშვიდად ვგრძნობდი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, იმას კი ვაცნობიერებდი, თუ როგორ სულელურ მდგომარეობაში აღმოვჩნდი.

ისევ სასტუმრო ოთახში დავბრუნდი, დივანზე წამოვგორდი და ჯეინ ოსტენის წიგნი გადავშალე. რამდენიმე ხაზის წაკითხვის შემდეგ, საშინელი დაღლილობა დამეუფლა და, ვერც მივხვდი, ისე ღრმად ჩამეძინა.

ტელეფონის ზარმა გამომაღვიძა. როცა ავტომოპასუხემ ემილის ხმით დაილაპარაკა, წამოვდექი და ყურმილი ავიღე.

– ღმერთო ჩემო! რეიმონდ, როგორც ჩანს, შინ ხარ. რას შვები, ძვირფასო? თავს როგორ გრძნობ? დასვენება თუ მაინც მოასწარი?

დავარწმუნე, რომ დავისვენე და მეძინა კიდეც.

– ოჰ, შე საწყალო! ალბათ, კვირებია, რაც წესიერად არ გძინებია და, როგორც კი წათვლიმე, მეც დავრეკე! მაპატიე, თუ შეიძლება! და კიდევ იმიტომ უნდა მაპატიო, რომ შენი წყენინება მომიწევს. აქ, სამსახურში, უამრავი საქმეა და იმ დროს ვერ მოვალ, როგორც მეგონა. ფაქტობრივად, სულ მცირე, აქ ჯდომა კიდევ ერთ საათს მომიწევს. უჩემოდ არ მოიწყენ, ხომ?

გავუმეორე, რომ დავისვენე და თავსაც ბედნიერად ვგრძნობდი.

– აშკარაა, ახლა გაცილებით მტკიცე ხმით მელაპარაკები. ძალიან ვწუხვარ, რეიმონდ, მაგრამ საქმე არ იცდის. ისე იგრძენი თავი, როგორც საკუთარ სახლში. ნახვამდის, ძვირფასო.

ყურმილი დავკიდე და გავიზმორე. უკვე ბინდდებოდა, ოთახებს ჩამოვუარე და სინათლე ავანთე. მერე ჩემს „გაფუჭებულ“ სასტუმრო ოთახშიც შევიხედე და, რაც უფრო დიდხანს ვუმზერდი, უწესრიგობა სულ უფრო და უფრო ზედმეტად არაბუნებრივად მეჩვენებოდა. შინაგანად კვლავ იმ პანიკურმა შიშმა მომიცვა.

ტელეფონი ისევ აწკრიალდა. ამჯერად ჩარლი რეკავდა. როგორც მითხრა, ფრანკფურტის აეროპორტში ბარგის ასაღებ მბრუნავ კონვეიერთან იდგა.

– დიდი დრო სჭირდება. ჯერ ერთი ჩანთაც არავის აუღია. მანდ რას შვები? ქალბატონი ხომ არ დაბრუნებულა?

– ჯერ არა. მისმინე, ჩარლი, ის შენი გეგმა... არა მგონია, რომ გამოგვადგეს.

– ამით რისი თქმა გსურს? არ მითხრა, რომ მთელი ეს დრო, მოქმედების ნაცვლად უსაქმოდ ჩხირკედელაობდი.

– არა, ყველაფერი ისე გავაკეთე, როგორც მითხარი. ყველაფერი ავურ-დავურიე, მაგრამ რაღაც არადამაჯერებლად გამოვიდა. ძაღლის ნამოქმედარის ნაცვლად ნახატების გამოფენას უფრო დაემსგავსა.

ცოტა ხანს ჩუმად იყო, ეტყობოდა, რომ მთელი ყურადღება მბრუნავ კარუსელზე ჰქონდა გადატანილი. მერე მითხრა:

– მესმის შენი პრობლემის. სხვის საკუთრებაში ხარ. ხელს წესიერადაც ვერ ანძრევ. მისმინე, რამდენიმე ნივთს დაგისახელებ, რომლის გაფუჭებაც უზომოდ მინდა. გესმის, რეი? მინდა, რომ ის ნივთები დააზიანო. ის სულელური ფაიფურის ხარი, სი-დი პლეიერთან რომ დგას. იმ ოხრად დასარჩენი დევიდ ქორნეის ლაგოსიდან ჩამოტანილი საჩუქარია. ამით დაიწყე. ფაქტობრივად, სულაც ფეხებზე მკიდია, რას გააფუჭებ. თუ გინდა, ყველაფერიც დალეწე!

– ჩარლი, მგონი, უნდა დაწყნარდე.

– კარგი, კარგი. ეს სახლი ნაგვითაა გამოტენილი. ჩვენს ამჟამინდელ ოჯახურ ცხოვრებას ჰგავს. ძველმანებითაა გადატენილი. კიდევ ის წითელი ფუმფულა დივანიც. ხვდები, რომელზეც გეუბნები, რეი?

– დიახ. ეს ესაა მასზე მეძინა.

– დიდი ხნის წინათ უნდა მოგვესროლა. რატომ არ გინდა, რომ გადასაკრავი გაარღვიო და მისი შიგთავსი ოთახში დაყარო?

– ჩარლი, თავი ხელში უნდა აიყვანო. ასე მგონია, თითქოს სულაც არ გინდა, რომ დამეხმარო. უბრალოდ, შენი გაცოფებისა და იმედგაცრუებიდან თავის დასაღწევ იარაღად მიყენებ...

– ოჰ, მოკეტე, რაა. სისულელეებს ნუ ლაპარაკობ! რა თქმა უნდა, ვცდილობ, რომ დაგეხმარო, და, რა თქმა უნდა, ჩემი გეგმაც კარგია. გარანტიას გაძლევ, რომ გამოგადგება. ემილის ის ძაღლი ისევე ეზიზღება, როგორც ანჯელა და სოლი, ასე, რომ მათი კიდევ უფრო მეტად შეზიზღების შანსს ხელიდან არ გაუშვებს. მისმინე: – უცბად ჩურჩულზე გადავიდა, – ერთ სანდო დარიგებას მოგცემ, საიდუმლოს, რომელიც ემილის ყველაზე მეტად დაარწმუნებს. ამაზე ცოტა ადრე უნდა მეფიქრა. რამდენი დრო დაგრჩა?

– დაახლოებით ერთი საათი.

– მშვენიერია. ყურადღებით მომისმინე. სუნი... აი, რაც უნდა მეთქვა. სახლი ძაღლის სუნით უნდა ყარდეს. მაშინვე, რა წამსაც ემილი კარის ზღურბლს გადმოაბიჯებს, ამ სუნს იგრძნობს, თუნდაც ქვეცნობიერად მაინც. ოთახში შემოვა, იატაკზე ძვირფასი დევიდის ნაჩუქარ, ჩინური ფაიფურის ხარის ნამსხვრევებს დაინახავს, იმ წითელი დივნის ყველგან მიმოფანტულ ჭუჭყიან შიგთავსს თვალს მოჰკრავს...

– იცი, რაა, მე არ მითქვამს, რომ...

– მოიცა, მისმინე! ყველა ამ ნამსხვრევ-ნამტვრევს დაინახავს და მყისიერად, შეგნებულად თუ შეუგნებლად, მათ ძაღლის სუნთან დააკავშირებს. სიტყვის სათქმელად პირის გაღებასაც ვერ მოასწრებ, რომ თვალწინ მაშინვე ჰენდრიქსი დაუდგება მთელი თავისი შემოქმედებით. ამაშია მთელი მშვენიერება!

– რაღაცას ნუ მიედ-მოედები რა, ჩარლი. კარგი და, ძაღლის სუნი რანაირად უნდა დავაყენო?

– როგორ და ზუსტად ვიცი... – ისევ იმ გაღიზიანებული ჩურჩულით ლაპარაკობდა: – ზუსტად ვიცი, რაც უნდა გააკეთო, რადგან მე და ტონი ბარტონი მეექვსე კლასში ასე ვაკეთებდით ხოლმე. მას ამის რეცეპტი ჰქონდა, მაგრამ მე უფრო დავხვეწე.

– მაგრამ, რატომ?

– რატომ? იმიტომ, რომ მისი რეცეპტით მიღებული სუნი მყრალი კომბოსტოსას უფრო ჰგავდა, ვიდრე ძაღლისას.

– არა, მინდოდა მეთქვა, თუ რამ მოგაფიქრა... კარგი, ჰო, დაივიწყე. შეგიძლია, მიკარნახო, მხოლოდ თუ გარეთ გასვლა და ქიმიური რეაქტივების ყიდვა არ დამჭირდება.

– კარგი. როგორც იქნა, მიხვდი, რეი. კალამი მოიმარჯვე. ჩაიწერე. და აი, ისიც მოდის, როგორც იქნა.

ტელეფონი, ალბათ, ჯიბეში ჩაიდო, რადგან რამდენიმე წუთით მხოლოდ მისი მუცლის ბუყბუყი მესმოდა. მერე ისევ გავიგონე:

– ახლა უნდა წავიდე. ასე, რომ, ჩაიწერე. მზად ხარ? აიღებ საშუალო ზომის ქვაბს. ალბათ, უკვე ქურასთან ახლოს, ლითონის თაროზე იდება. ჩაასხამ ასე, დაახლოებით, ერთ პინტამდე წყალს, დაუმატებ საქონლის ხორცის ორ კუბიკ ნახარშს, ერთ დესერტის კოვზ კვლიავს, ერთ სუფრის კოვზ წიწაკას, ორ სუფრის კოვზ ძმარს, დიდი რაოდენობით დაფნის ფოთოლს. ყველაფერი გასაგებია? ახლა შიგ ტყავის ფეხსაცმელი ან ბათინკი ისე მოათავსე, თავდაყირა, რომ ლანჩი მთლიანად არ ჩაიძიროს, თორემ დამწვარი რეზინის სუნს მიიღებ. შემდეგ ქურას ჩართავ, სითხეს ადუღებამდე მიიყვან, ცოტა ხანს ნელი ცეცხლი მიეცი და ძალიან მალე სუნსაც იგრძნობ. საზიზღარი სუნი სულაც არა აქვს. ტონი ბარტონისეულ რეცეპტში ბაღის მოლუსკებიც შედიოდა, მაგრამ ჩემი უფრო დახვეწილია. ზუსტად ძაღლის სუნს გავს. ვიცი, რომ მკითხავ, ინგრედიენტები სად ვიშოვოო. ყველა სანელებელი და საჭირო ინგრედიენტი სამზარეულოს კარადაშია, ხოლო კიბის ქვეშ, საკუჭნაოში ძველ ბათინკებს ნახავ. ბათინკები და არა ჩექმები. მხედველობაში გაცვეთილი წყვილი ბათინკი მაქვს, ყოველ დღე მეცვა ხოლმე. ახლა უკვე გაცვდა და უკვე გადასაყრელია. იქიდან ამოარჩიე. რა დაგემართა? იცი, რაა, რეი, ყველაფერი ისე გააკეთე, როგორც გითხარი, კარგი? საქმეს მიხედე. გეუბნები, გაბრაზებული ემილი საშინელებაა-მეთქი. ახლა უნდა წავიდე და გახსოვდეს, რომ შენი გასაოცარი მუსიკალური ცოდნით თავი არ უნდა მოიწონო.

ალბათ, მკაფიო და გასაგები, თუმცა არასანდო ინსტრუქციის გამო იყო – როცა საუბარი დავამთავრე, მაშინვე დავმშვიდდი და საქმიანი

განწყობა დამეუფლა. ზუსტად ვიცოდი, რაც უნდა მექნა. სამზარეულოში შევედი და სინათლე ავანთე. საშუალო ზომის ქვაბი მართლაც ლითონის თაროზე დამხვდა და გამოსაყენებლადაც მზად იყო. წყლით ნახევრამდე ავავსე და ისევ ქურაზე დავდგი. როცა ამას ვაკეთებდი, მივხვდი, რომ ვიდრე საქმიანობას გავაგრძელებდი, რაღაც სხვა რამეც უნდა გამეთვალისწინებინა. უფრო ზუსტად, უნდა განმესაზღვრა, ამ ყველაფრის მოსასწრებად რა დრო დამჭირდებოდა.

სასტუმრო ოთახში შევედი და ემილის სამსახურის ტელეფონის ნომერი ავკრიფე.

მისმა ასისტენტმა მიპასუხა და მითხრა, რომ ემილი შეხვედრაზე იყო. ისეთი მეგობრული, თუმცა მტკიცე, დაჟინებული ტონით ვთხოვე ემილისთან დალაპარაკება, რომ იძულებული გახდა შეხვედრიდან გამოეყვანა (თუ ნამდვილად იქ იყო). მალე ემილის ხმაც გავიგონე:

– რეიმონდ, რაშია საქმე? რამე მოხდა?

– არაფერიც არ მოხდა. უბრალოდ, მაინტერესებს, როგორა ხარ.

– რეი, რაღაც უცნაური ხმა გაქვს. რაშია საქმე?

– უცნაურ ხმაში რას გულისხმობ? უბრალოდ, მინდა ვიცოდე, როდის დაბრუნდები. შენი აზრით, უსაქმური ვარ, მაგრამ დღის განრიგი ჩემთვის მაინც რაღაცას ნიშნავს.

– კარგი, კარგი, რეიმონდ. გასაბრაზებელი აქ არაფერია. ახლავე გეტყვი. ასე, ალბათ ერთ საათში... შესაძლოა საათ-ნახევარშიც. საშინლად ვწუხვარ, მაგრამ აქ იმდენი საქმეა, რომ...

– ერთი საათიდან ოთხმოცდაათ წუთამდე. მშვენიერია. სულ ეს არის, რისი გაგებაც მსურდა. კარგი, მალე განახავ. შეგიძლია, ახლა ისევ შენ საქმეს მიხედო.

მგონი, ემილი კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ყურმილი დავკიდე და ისევ სამზარეულოსკენ გავემართე, რადგან გადაწყვეტილების შეცვლის შემეშინდა. ფაქტობრივად, აშკარად გავხალისდი და თავადაც ვერ ვიგებდი, სულ ცოტა ხნით ადრე, სასოწარკვეთილება რატომ დამეუფლა. კარადებში შევძვერი და ლითონის შემოსადგმელზე ყველა საჭირო ბალახეული და სანელებლები აკურატულად ჩამოვამწკრივე. შემდეგ მათი ზუსტი რაოდენობა გავზომე, წყალში ჩავყარე, სწრაფად მოვურიე და ბათინკების მოსაძებნად საკუჭნაოსკენ გავეშურე.

კიბის ქვეშა საკუჭნაოში ნახმარი და გაცვეთილი ფეხსაცმელების მთელი გროვა დამხვდა. რამდენიმეწუთიანი გულმოდგინე ძებნის შემდეგ, ზუსტად ის ბათინკები ვიპოვე, რომელიც ჩარლიმ აღმიწერა: განსაკუთრებული ნიმუში, რომლებსაც ქუსლთან ძველისძველი ტალახი ისევ შერჩენოდა. ბათინკები ორ თითზე ჩამოვიკონწიალე, სამზარეულოში შევიტანე და წყალში ფრთხილად ჩავდე, ისე, რომ ლანჩები ჭერს უყურებდნენ. მერე ქვაბს საშუალო ცეცხლი მივეცი, მაგიდასთან მოვკალათდი და წყლის გაცხელებას დაველოდე. როცა ტელეფონმა დარეკა, ქვაბის მიტოვება არ მინდოდა, მაგრამ ჩარლი ავტომოპასუხეზე რაღაცას გაუთავებლად ბუზღუნებდა. იძულებული გავხდი, ცეცხლისთვის ჩამეწია და ტელეფონთან მივედი.

– მანდ რას ამბობდი? – ვკითხე, – მგონი, რაღაცაზე ბუზღუნებდი, მაგრამ დაკავებული ვიყავი და ვერ გიპასუხე.

– სასტუმროში ვარ. მხოლოდ სამვარსკვლავიანია. მოგვატყუეს! ასეთმა დიდმა კომპანიამ! ჩემი ნომერი კედლის კარადის ხელაა!

– ჰო, მაგრამ მანდ ხომ მხოლოდ ორი ღამე უნდა გაათენო...

– მისმინე, რეი. რაღაც ისეთის თქმა მინდა, ადრე რომ ვერ გითხარი. ეს ჩემი მხრიდან უსინდისო საქციელია. ბოლოს და ბოლოს, ჩემთვის ირჯები, მეხმარები, ცდილობ, რომ ემილისთან შემარიგო, სიტუაცია განმუხტო, მე კიდე შენთან გულახდილი არ ვარ.

– თუ ძაღლის სუნის რეცეპტს გულისხმობ, უკვე გვიანია. ყველაფერი მზად მაქვს. თუმცა, ცოტაოდენი სხვა მცენარეების ან რაღაცის დამატება ისევ შემიძლია...

– თუ ბოლომდე ყველაფერი გულახდილად არ გითხარი, ეს იმიტომ, რომ საკუთარ თავსაც ვუმალავდი, მაგრამ, ახლა, რაც სახლიდან წამო-

ვედი, ფიქრი უკეთესად შემიძლია. რეი, გითხარი, რომ არავინ არა მყავს-მეთქი, მაგრამ ეს ასე არ არის. ერთი გოგოა. დიახ, დიახ, გოგო. ასე, ოცდაათამდე იქნება. მსოფლიოს განვითარებასთან ერთად, ძალიან აინტერესებს განათლების მდგომარეობის და საერთაშორისო ვაჭრობაში სამართლიანობის დამკვიდრების საკითხები. საქმე მისადმი სექსუალურ სწრაფვაში არაა. უბრალოდ, შუალედური პროდუქტია. მთავარი მისი შეულახავი იდეალიზმია. ჩვენ, ყველა როგორებიც ვიყავით, ის დრო გამახსენა. შენც ხომ გახსოვს, რეი?

– უკაცრავად, ჩარლი, მაგრამ, რამდენადაც მახსოვს, განსაკუთრებულად იდეალისტი არასოდეს ყოფილხარ. აი, ეგოისტი და ჰედონისტი, კი ბატონო, ყოველთვის იყავი...

– გეთანხმები. შესაძლოა, ჩვენი უმრავლესობა მაშინ უგერგილო დოყლაპიები ვიყავით, მაგრამ სადღაც, ჩემს შიგნით, სხვა ადამიანი ყოველთვის იყო და თავის დაღწევა სურდა. აი, ზუსტადაც ეს არის, მისკენ რომ მიბიძგებს.

– ჩარლი, ეს როდის იყო? ეს როდის მოხდა?

– რა როდის მოხდა?

– ეს რომანი.

– არავითარი რომანი არ ყოფილა! სექსის მსგავსი ჩვენს შორის არაფერი ყოფილა. მასთან ერთად მაგიდასთანაც არ ვმჯდარვარ. მე, უბრალოდ... უბრალოდ, ისე მოვახერხე, რომ მხედველობიდან არ დამეკარგა.

– ამით რისი თქმა გსურს? – ამ დროისთვის ისევ სამზარეულოში ვიყავი და ჩემს ნაზავს ყურდღებით მივშტერებოდი.

– იმის, რომ მხედველობიდან არ დამიკარგავს, – თქვა მან, – შეხვედრებზეც შევთანხმდით.

– ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ მეძავია?

– არა, არა... ხომ გითხარი, სექსი არასოდეს გვქონია-მეთქი. არა, სტომატოლოგია. მე მასთან დავდიოდი, მიზეზებს ვიგონებდი: ხან ვითომ კბილი მტკიოდა, ხან, ვითომ ღრძილების პრობლემა მქონდა. მკურნალობას ვიხანგრძლივებდი, ხომ ხვდები? და, რა თქმა უნდა, ბოლოს ემილი მიხვდა. ერთი წამით... – ჩარლი ლამის სლუკუნით დაიხრჩო. მერე ამოაფრქვია: – მან გაარკვია... მან გაარკვია... რადგან კბილების საწმენდი ძაფებით მეტისმეტად გავერთე... – ჩარლი ახლა კივილზე გადავიდა. – მან მითხრა: „არასოდეს, არასოდეს მიგიხედავს შენი კბილებისთვის, ასე ძალიან“.

– მაგრამ ეს სისულელეა. რაც უფრო კარგად უვლი კბილებს, სულ უფრო ნაკლები მიზეზი გაქვს სტომატოლოგთან მისასვლელად...

– მერე ვის ჰგონია, რომ ასე არ არის? უბრალოდ, მსურდა, რომ მესიამოვნებინა!

– მისმინე, ჩარლი, მასთან ერთად არ გივლია, სექსიც არ გქონია, მაშ, რა პრობლემაა?

– პრობლემა ისაა, რომ ასეთი ვინმე ძალიან მინდოდა, ვინმე, რომელიც იმ ჩემში დამალულ მეორე „მეს“ გარეთ გამოიყვანდა.

– ჩარლი, მისმინე. შენი ბოლო ზარის მერე ცოტა დავმშვიდდი და გულწრფელად გეუბნები, რომ შენც უნდა დაწყნარდე. როცა დაბრუნდები, ამ ყველაფერზე მერე ვისაუბროთ, მაგრამ ემილი ასე, ნახევარ საათში უკვე შინ იქნება და ყველაფერი მზად უნდა მქონდეს. აქ, ახლა, ამ პროცესის კონტროლის უმაღლეს წერტილში ვიმყოფები, ჩარლი. ალბათ, ხმაზეც მეტყობა.

– შესანიშნავია! პროცესის კონტროლის უმაღლეს წერტილში ხარ. დიდებულია! მეგობარიც ასეთი უნდა...

– ჩარლი, მე მგონი ხასიათზე იმიტომ არ ხარ, რომ სასტუმროს ნომერი არ მოგწონს, მაგრამ აუცილებლად უნდა დამშვიდდე. სიტუაციას ცოტა უფრო ოპტიმისტურად შეხედე. და ვაჟკაცობას მოუხმე. პროცესის კონტროლის უმაღლეს წერტილში ვარ. ძაღლთან დაკავშირებულ საქმიანობას მოვრჩები და მერე მთლიანად შენს საქმეს მივხედავ. „ემილი...“ – ვეტყვი მე. – „ემილი, აბა, შემომხედე, შემომხედე, როგორი საცოდავი ვარ და მხოლოდ მე არ ვარ ასეთი, ადამიანების უმრავლესობა ასეთი უბადრუკები ვართ, მაგრამ ჩარლი სულ სხვაა. ჩარლი სხვა კატეგორიას ეკუთვნის“.

– ასეთი რამის თქმა არ შეიძლება. ძალიან ხელოვნურად ჟღერს.

– არა, იდიოტო. რა თქმა უნდა, ასეთი სიტყვებით არ ვეტყვი. მე მომანდე. ყველაფერს მე თვითონ მივხედავ. ასე, რომ დამშვიდდი. ახლა უნდა წავიდე.

ყურმილი დავდე და ქვაბს ჩავხედე. სითხე დუღდა და ორთქლიც უხვად ასდიოდა, თუმცა ძაღლის სუნი სრულებითაც ვერ ვიგრძენი. ცეცხლს ავუწიე, რომ უფრო ძალიან ადუღებულიყო.

სუფთა ჰაერის ჩაყლაპვა მომინდა და რადგან მათი ტერასიანი სახურავი ჯერაც არ მენახა, სამზარეულოს კარი გამოვაღე და იქით გავეშურე.

ადრეული ივნისის, ინგლისისთვის უჩვეულოდ სურნელოვანი საღამო იდგა. ოდნავ ცივი სიო რომ არ ყოფილიყო, თავი ესპანეთში მეგონებოდა. ბინდი ჯერ კიდევ არ ჩამოწოლილიყო, მაგრამ ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი. კედლის უკან, რომელიც ტერასას გარს ერტყა, მეზობელი სახლების უამრავი ფანჯარა და უკანა ეზოები შევნიშნე. ბევრი ფანჯრიდან სინათლე გამოდიოდა, ხოლო ცოტა უფრო შორს მდგარი სახლების ფანჯრებში, თუ თვალებს ოდნავ მოჭუტავდით, ვარსკვლავებით სავსე ცის გაგრძელება გეგონებოდათ. ეს ტერასიანი სახურავი დიდი არ იყო, თუმცა მასში რაღაც რომანტიკული ნამდვილად იგრძნობოდა. შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ თბილ საღამოს მოსეირნე წყვილი: გარშემო ქალაქის ყურისწამღები ხმაური ისმის, ისინი კი, მკლავგაყრილნი, აქ, ქოთანში ჩარგული ბუჩქების გარშემო დასეირნობენ და ერთმანეთს იმ დღეს თავსგადახდენილ ამბებს უყვებიან.

შემეძლო, უფრო დიდხანს დავრჩენილიყავი, მაგრამ დროის დაკარგვის მეშინოდა. სამზარეულოში დავბრუნდი და პირდაპირ მდუღარე ქვაბთან მივედი. სასტუმრო ოთახის კარის ზღურბლთან შევჩერდი და ჩემს ადრინდელ ნამოქმედარს თვალი შევავლე. ჩემი ყველაზე დიდი შეცდომა, როგორც მივხვდი, ის იყო, რომ ოთახი ისე არ ავურ-დავურიე, როგორც ამას ცხოველი და ამ შემთხვევაში ჰენდრიქსი იზამდა, საჭირო იყო, რომ ამ საქმისთვის ძაღლის გონებით და თვალით შემეხედა.

როცა საქმეს ამ პოზიციიდან შევხედე, არა მარტო საკუთრად ჩემი, არამედ ჩარლის ბევრი რჩევაც არასაიმედოდ მეჩვენა. ნუთუ გამხეცებულ ძაღლს შეეძლო, რომ მუსიკალური აპარატურის შუა მოთავსებულ ფაიფურის ხარის მომცრო სტატუეტკას მისწვდომოდა, ჩამოეგდო და ნამსხვრევებად ექცია? და დივნის დაჭრის და იქიდან შიგთავსის გადმოყრაც ასევე იდიოტური იდეა იყო. მაშინ, ჰენდრიქსს სამართებელივით მჭრელი კბილები უნდა ჰქონოდა, რომ ყველაფერი ასე მომხდარიყო. სამზარეულოში გადმოყირავებული საშაქრე მშვენიერი იყო, მაგრამ სასტუმრო ოთახს კი, როგორც მივხვდი, მთლიანად გადაკეთება ესაჭიროებოდა.

ოთახში შევედი და შევეცადე, რომ ყველაფერი ჰენდრიქსის თვალით დამენახა. დაბალ მაგიდაზე დახვავებული პრიალა ჟურნალების ხილვამ მაშინვე იდეა გამიჩინა და ზუსტად იმ ტრაექტორიით, როგორც ეს ძაღლის პირს შეეძლო, დავწვდი და იატაკზე გადმოვყარე. ძირს დაყრილი ჟურნალები სავსებით დამაჯერებლად გამოიყურებოდა. წახალისებული, მუხლებზე დავდექი, ერთ-ერთი მათგანი გადავშალე და გვერდი ისე დავჭმუჭნე, რომ, როცა ემილი უბის წიგნაკს ნახავდა, განსხვავება თვალში მოხვედროდა. მაგრამ ამჯერად შედეგმა არ დამაკმაყოფილა: აშკარად ადამიანის ხელის კვალი ძაღლის მიერ დამჩნეული კვალისგან მკვეთრად განსხვავდებოდა. ისევ წინა შეცდომა გავიმეორე: საქმეს ჰენდრიქსის თვალით არ შევხედე.

ამიტომ ოთხზე დავდექი, თავი იმავე ჟურნალთან დავხარე და კბილებით გვერდებს დავეძგერე. სუნამოს სუნი ჰქონდა და არასასიამოვნო საერთოდაც არ იყო. მეორე ჟურნალიც შუაში გადავშალე და იგივე გავიმეორე.

ტექნიკა, როგორც მივხვდი, ზუსტად ბაზრობის თამაშის მსგავსია, როცა ხელით არ უნდა შეეხო და წყალში მოცურავე ვაშლი პირით უნდა ამოიღო. რაც ყველაზე მეტად დამეხმარა, მსუბუქი, ღეჭვითი მოძრაობები იყო. უბრალოდ, მთელი პროცესის განმავლობაში ყბები მოქნილად უნდა ამოძრაო. მათი საშუალებით გვერდები ზიანდება და მშვენივრადაც იჭმუჭნება. მეორეს მხრივ, გამეტებით კბენის შემთხვევაში,

ფურცელი მხოლოდ იხვრიტება და სასურველ ეფექტსაც ვერ იძლევა.

ჩემი მახვილგონივრობით ისე ვიყავი გატაცებული, რომ ემილი ვერც კი შევამჩნიე, რომელიც ჰოლში იდგა და კარის ზღურბლიდან მიყურებდა. როგორც კი გავაცნობიერე, რომ შინ იყო, პირველად არც შიში მიგრძვნია და არც დაბნეულობა, უფრო მეწყინა, რადგან ისე დაბრუნდა, წინასწარ ერთი სიტყვაც არ უთქვამს. სულ რამდენიმე წუთის წინ ოფისში დავურეკე, ზუსტადაც იმიტომ, რომ იმ არასასიამოვნო სიტუაციიდან თავის დაღწევას ვცდილობდი, რომელშიც ჩემდაუნებურად აღმოვჩნდი და, როგორც კი ეს გავაცნობიერე, საკუთარ არსებაში წინასწარგანზრახული სიცრუის მსხვერპლი აღმოვაჩინე. ალბათ, ამის საპასუხოდ, ფეხზე მაშინვე არ წამოვდექი და მხოლოდ დაღლილმა ამოვიოხრე. ჩემს ამოოხვრაზე ემილი მაშინვე ოთახში გაჩნდა და ზურგზე ხელი ნაზად დამადო. არ მახსოვს, თვითონაც მუხლებზე დადგა თუ არა, მაგრამ ეს სიტყვები ზუსტად ყურთან ახლოს მითხრა:

– რეიმონდ, დავბრუნდი. მოდი, დავსხდეთ, კარგი?

ემილიმ ფეხზე ფრთხილად წამომაყენა და მეც ვცდილობდი, რომ მისთვის ძალა არ დამეტანებინა.

– რაღაც უცნაურად მეჩვენება, – ვუთხარი მე, – სულ რაღაც რამდენიმე წუთის წინ შეხვედრაზე აპირებდი შესვლას.

– მართალია, ასე იყო, მაგრამ შენი ზარის შემდეგ, მივხვდი, რომ ჩემი შინ მოსვლა საჭირო იყო.

– „საჭიროში“ რას გულისხმობ? ემილი, გეთაყვა, ჩემი ხელი ასე ნუ გიჭირავს, წაქცევას არ ვაპირებ. რას ნიშნავს „ჩემი შინ მოსვლა საჭირო იყო“?

– შენი სატელეფონო ზარიდან გამომდინარე, მივხვდი, რატომაც მირეკავდი – ეს დახმარების თხოვნა იყო.

– არაფერი მსგავსი არ ყოფილა. უბრალოდ, მინდოდა... აქ კი შევყოყმანდი, რადგან შევამჩნიე, რომ ემილი ოთახს გაოცებული ათვალიერებდა.

– ოჰ, რეიმონდ... – თითქმის თავისთვის ჩაიბუტბუტა მან.

– აქ ცოტა რაღაცეები ავურ-დავურიე. დალაგებას ვაპირებდი, მაგრამ ძალიან ადრე დაბრუნდი.

ძირს დაგდებული ტორშერისკენ გადავიხარე, მაგრამ ემილიმ შემაჩერა.

– ამას მნიშვნელობა არა აქვს, რეი. სრულებითაც არაფერია. მოგვიანებით ორივემ ერთად დავალაგოთ. უპრიანია, დაჯდე და დაწყნარდე.

– მისმინე, ემილი. მესმის, რომ ეს შენი სახლია, მაგრამ ასე ჩუმად რატომ შემოიპარე?

– არ შემოვპარულვარ, ძვირფასო. როცა შემოვედი, დაგიძახე, მაგრამ არ ჩანდი. ამიტომაც ცოტა ხნით ტუალეტში შევედი და როცა გამოვედი, შენც უკვე აქ დამხვდი, მაგრამ ასეთი წვრილმანები რაში გჭირდება? საქმე ამაში სულაც არაა. მე უკვე აქ ვარ, და საღამოსაც დასვენებას მივუძღვნით. დაჯექი, რეიმონდ, გეხვეწები. ჩაის მოვამზადებ.

ამის თქმა იყო და სამზარეულოსკენაც წავიდა. ტორშერის აბაჟურთან ჯახირი დავიწყე და, როცა გამახსენდა, ემილის სამზარეულოში რაც დახვდებოდა, უკვე გვიან იყო. მივაყურადე, მაგრამ მხოლოდ სიჩუმე იყო. ბოლოს აბაჟურს თავი დავანებე და სამზარეულოს კარისკენ გავწიე.

ქვაბი ისევ მშვენივრად დუღდა, ბათინკის ლანჩი მთლიანად დაორთქლილიყო. სუნი, რომელსაც აქამდე ძლივს ვგრძნობდი, სამზარეულოში მკვეთრად ტრიალებდა. ძალიან მწარე და ცხარე სანელებლის არომატი ჰქონდა. ყველაზე მეტად იმ სუნს გაგახსენებდა, რომელიც ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ ცხვირში გეცემა, როცა ოფლში გაწურულ ფეხს ბათინკიდან ამოიღებ.

ემილი ღუმელიდან მოშორებით იდგა, რაც შეიძლება უსაფრთხო მანძილიდან კისერი წაეგრძელებინა, რათა კარგად დაენახა, ქვაბში რაც ხდებოდა. ნანახით ისე იყო მონუსხული, რომ როცა ჩუმად გავიცინე, არც ჩემკენ მოტრიალებულა და ზედაც არ შემოუხედავს.

მის ზურგს უკან გავძვერი და სამზარეულოს მაგიდასთან ჩამოვჯექი. ბოლოს ემილი კეთილგანწყობილი ღიმილით მომიტრიალდა.

– რა საყვარლად მოგიფიქრებია, რაიმონდ, საშინლად საყვარლად.

მერე, თითქოს საკუთარი სურვილის მიუხედავად, ისევ ღუმელს მიაშტერდა.

გადმოყირავებული საშაქრე დავინახე, დღიურიც და საშინელი დაღლილობა ვიგრძენი. მოთმინების ფიალა საბოლოოდ გადამევსო და გადავწყვიტე, რომ თამაშისთვის თავი უნდა დამენებებინა და ყველაფერი მეღიარებინა. ღრმად ჩავისუნთქე და დავიწყე:

– მისმინე, ემილი. ალბათ, სახლის სიტუაცია უცნაურად გეჩვენება. ყველაფერი შენი დღიურის გამო მოხდა. აი, ამის გამო... – დაზიანებულ გვერდზე გადავშალე და დავანახე, – ჩემი ბრალია, დამნაშავე მე ვარ და ძალიანაც მრცხვენია. შემთხვევით გადავშალე და ფურცლები დამიზიანდა. აი, ასე.

ფურცლის გაფუჭების, ადრინდელთან შედარებით, ნაკლებად ბოროტული იმიტირება მოვახდინე, მერე ემილის შევხედე.

ჩემდა გასაოცრად, დღიურს თვალი მხოლოდ ოდნავ შეავლო და ისევ ქვაბისკენ მიტრიალდა.

– ოჰ, რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ უბრალო უბის წიგნაკია. არაფერი პირადული აქ არ წერია. ამაზე არ ინერვიულო, რეი... – ქვაბს რამდენიმე ნაბიჯით კიდევ უფრო მიუახლოვდა, რადგან ყველაფერის უკეთესად გაგება სურდა.

– ამით რისი თქმა გსურს? „არ ინერვიულოში“ რას გულისხმობ? როგორ შეგიძლია, ასე ილაპარაკო?

– რა დაგემართა, რეიმონდ? ჩვეულებრივი უბის წიგნაკია, რომ რაღაცეები არ დამავიწყდეს.

– მაგრამ ჩარლიმ მითხრა, რომ ჭკუიდან შეიშლებოდი!

კიდევ უფრო მეტად აღვშფოთდი, რადგან ამას ისიც დაემატა, რომ აშკარად ჩანდა, ემილის სულ მთლად დაავიწყდა, დღიურში ჩემზე რაც დაწერა.

– მართლა? ჩარლიმ გითხრა, რომ გავბრაზდებოდი?

– დიახ! მისი თქმით, შენ ერთხელ უთხარი, რომ ყვერებს დააჭრიდი, თუ ცხვირს ამ უბის წიგნაკში ჩაყოფდა!

ზუსტად არ ვიცი, რატომ ჰქონდა ემილის გაოცებული მზერა: ჩემმა სიტყვებმა იმოქმედა, თუ ისევ ქვაბი აინტერესებდა? გვერდით მომიჯდა და მცირე ხანს ჩაფიქრდა.

– არა... – თქვა ემილიმ ბოლოს, – საქმე სხვა რამეში იყო. ახლა ზუსტად გამახსენდა. გასულ წელს, დაახლოებით ამ დროს, ჩარლი რაღაცის გამო იყო გულგატეხილი და მკითხა, რას ვიზამდი, თავი რომ მოეკლა. უბრალოდ მცდიდა. მას ასეთი რამისთვის გამბედაობა არ ეყოფა, მაგრამ მკითხა და ვუპასუხე, რომ ასეთ შემთხვევაში ყვერებს დავაჭრიდი. ეს მხოლოდ ერთხელ ვუთხარი. ასეთ რამეებს ყოველ წუთს არ ვისვრი.

– ვერ გავიგე. თუ ის თავს მოიკლავს, ასე მოექცევი? იმის მერე?

– რეიმონდ, ეს გადატანითი მნიშვნელობით იყო. უბრალოდ, ავუხსენი, თუ როგორ ძალიან არ მომწონდა მისი ასეთი განზრახვა. მინდოდა, სცოდნოდა, როგორ ვაფასებდი.

– ჩემს შეკითხვას პასუხი მაინც არ გაეცი. თუ მერე ამას იზამ, ამით მას მაინც ვერ შეაკავებ, ხომ ასეა? ან შეიძლება, მართალი ხარ, ეს იქნებოდა...

– რეიმონდ, მოდი, რა, დავივიწყოთ. ყველაფერი დავივიწყოთ. გუშინდელი ნახევარი ქვაბი ბატკნის კესეროლი დამრჩა. გუშინ გემრიელი იყო, დღეს კიდევ უფრო გემრიელი იქნება და შეგვიძლია, ერთი ბოთლი ბორდოც გავხსნათ. ვხედავ, რომ ჩვენთვის რაღაცის მომზადებას ცდილობდი. ეს შენგან ძალიან საყვარლობაა, მაგრამ, მგონი, კესეროლი უკეთესია ამაღამ, არა?

ახლა ახსნას აზრი აღარ ქონდა.

– კარგი, კარგი. ბატკნის კესეროლი... დიდებულია... კარგი, კარგი...

– ასე რომ... ამას ახლა გადავდებთ?

– დიახ, დიახ. გეთაყვა. გადავდებთ, დიახ.

წამოვდექი და სასტუმრო ოთახში შევედი, რომელიც, რა თქმა უნდა, ისევ არეული იყო,

თუმცა დალაგების თავიც არ მქონდა. დივანზე მივწექი და თვალები ჭერს გავუშტერე. მერე ემილი შემოვიდა, შევნიშნე და მეგონა, რომ ჰოლისკენ წავიდოდა, მაგრამ ჩემგან მოშორებით, კუთხეში ჩაკუზულიყო და მუსიკალურ აპარატურასთან რაღაცას ჯახირობდა. მერე, ოთახი სიმების სასიამოვნო აკორდებით, სევდიანი მელოდიით აივსო და სარა ვოენის ხმაც გაისმა, რომელიც „შეყვარებულებს“ მღეროდა.

სიმშვიდისა და სიამოვნების განცდა ერთდროულად დამეუფლა. ნელ რიტმებს ავყევი, თვალები დავხუჭე და მახსენდებოდა, მრავალი წლის წინათ, როცა კოლეჯში ვსწავლობდით, ემილისთან ერთად, ლამის მთელ საათზე მეტ ხანს, როგორ ვკამათობდით, ამ სიმღერას ბილი ჰოლიდეი[14] უკეთ ასრულებდა, თუ სარა ვოენი.

ემილი მხარზე შემეხო და წითელი ღვინით სავსე ჭიქა გამომიწოდა. საქმიან პიჯაკზე ფურფუშებიანი წინსაფარი ეკეთა და ხელში თვითონაც ღვინის ჭიქა ეჭირა. დივნის ბოლოში დაჯდა, ჩემი ფეხების გვერდით და ღვინო მოწრუპა, მერე პულტით ხმას ცოტა ჩაუწია.

– საშინელი დღე მქონდა, – თქვა მან, – მარტო სამსახურს არ ვგულისხმობ, იქ ყოველთვის საქმე თავზე მაყრია. ჩარლის გამგზავრება და საერთოდაც ყველაფერი მაქვს მხედველობაში. არ იფიქრო, ამაზე გული არ მწყდება: საზღვარგარეთ ისე წავიდა, რომ არ შევრიგდით და ამ ყველაფრის დასასრულს, შენც ყოველგვარ ზღვარს გადახვედი... – მან ღრმად ამოიოხრა.

– არა, ნამდვილად არა, ემილი, ყველაფერი ისე ცუდად არაა, როგორც შენ გგონია. ჯერ ერთი, ის, რომ ჩარლი შენზე მაღალი აზრისაა, მე რაც შემეხება, თავს მშვენივრად ვგრძნობ, ნამდვილად მშვენივრად.

– მტკნარი სიცრუეა.

– არა, მართლა. თავს მშვენივრად ვგრძნობ...

– ჩარლი რომ ჩემზე მაღალი აზრისაა, ის ვიგულისხმე.

– ოჰ, გასაგებია. მაშინ, რადგან ფიქრობ, რომ ეს სიცრუეა, ძალიან, ძალიანაც სცდები. ვიცი, რომ ჩარლის ახლა ისე უყვარხარ, როგორც არასდროს.

– საიდან იცი, რეიმონდ?

– ვიცი, იმიტომ, რომ... კარგი, დავიწყოთ იქიდან, რომ ლანჩის დროს თვითონ რაღაც ამგვარი მითხრა. შეიძლება, ზუსტად ამ სიტყვებით არა, მაგრამ მე ასე გავიგე. მომისმინე, ემილი, ვიცი, რომ ახლა უმნიშვნელოდ უსიამოვნო პერიოდი გაქვთ, მაგრამ, შენ, თუ შეიძლება, მთავარი რამ დაიმახსოვრე – ის, რომ მას ისევ ისე ძალიან, ძალიან უყვარხარ.

ემილიმ ისევ ამოიოხრა.

– იცი, საუკუნეა ამ დისკისთვის არ მომისმენია, ჩარლის გამო. როგორც კი ასეთ მელოდიას ჩავრთავ, მაშინვე აბუზღუნდება ხოლმე.

ცოტა ხანს ჩუმად ვისხედით, სარა ვოენს ვუსმენდით. მუსიკალური პაუზის დროს, ემილიმ მითხრა: – რეიმონდ, ვფიქრობ, ამ სიმღერის მისი ეს ვარიანტი გირჩევნია. მხოლოდ ფორტეპიანოსა და ბასზე შესრულებული.

არაფერი მიპასუხია, მხოლოდ თავი ოდნავ წამოვწიე, რომ ღვინო უკეთესად მომეწრუპა.

– სანაძლეოს დაგიდებ, რომ ასეა, – თქვა მან. – ის ვარიანტი გირჩევნია, არა, რეიმონდ?

– კარგი, – ვუთხარი მე, – ნამდვილად არ ვიცი. სიმართლე რომ გითხრა, ის ვარიანტი არც მახსოვს.

ვიგრძენი, რომ ემილიმ დივანზე ადგილი შეიცვალა.

– ხუმრობ, რეიმონდ.

– თუ გინდა გაიცინე, მაგრამ ამ ბოლო დროს ამ ტიპის მუსიკას იშვიათად ვუსმენ. გულწრფელად რომ გითხრა, თითქმის ყველა თავიდან ამომივარდა. ზუსტად არც ის ვიცი, ეს რა სიმღერაა... – მსუბუქად გავიცინე, მაგრამ, მგონი, სიცილი ბუნებრივად არ ჟღერდა.

– რას ამბობ? – მის ხმაში უცბად გაბრაზება ვიგრძენი, – უბრალოდ, სასაცილოა. მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეიძლება, რომ დაგვიწყებოდა – ლობოტომიას თუ გაგიკეთებდნენ.

[14] ბილი ჰოლიდეი (1915-1959) – აფრო-ამერიკელი ჯაზ მომღერალი.

– იცი, მრავალი წელი გავიდა. ყველაფერი იცვლება.

– რას ამბობ? – ხმაში უკვე შიშიც შეეპარა. – არ შეიძლება, რომ ყველაფერი ასე ძალიან იცვლებოდეს.

საუბრის თემა აუცილებლად უნდა შემეცვალა. ამიტომაც ვუთხარი:

– ძალიან ვწუხვარ, რომ სამსახურში მთელი დღე ბევრი საქმე გაქვს.

ემილის არანაირი რეაქცია არ ჰქონია.

– და, რა გინდა, რომ ამით თქვა? რომ ასეთი სიმღერები აღარ გიყვარს? გინდა, რომ გამოვრთო, ხო?

– არა, არა, ემილი, გეთაყვა... მშვენიერია. ის... წარსულს მახსენებს. გთხოვ, მოდი, ისევ ისე წყნარად დავსხდეთ და განვიტვირთოთ, როგორც რამდენიმე წუთის წინ.

მან ისევ ამოიოხრა და, როცა დამელაპარაკა, უკვე მშვიდი ხმა ჰქონდა:

– მაპატიე, ძვირფასო. ისევ დამავიწყდა. არავითარ შემთხვევაში შენთვის არ უნდა დამეყვირა. ღმერთო ჩემო, ბოდიშს გიხდი.

– არა, არა, ყველაფერი კარგადაა, – წამოვჯექი, – იცი, ემილი, ჩარლი წესიერი ბიჭია. ძალიან წესიერი ბიჭი და უყვარხარ. უკეთესს ვერც იპოვი, ხომ იცი.

ემილიმ მხრები აიჩეჩა და ღვინო ისევ მოსვა.

– შეიძლება, მართალი ხარ. უკვე ახალგაზრდები აღარ ვართ. ერთმანეთის შესაფერისებიც ვართ. შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ გაგვიმართლა. თუმცა მაინც ყოველთვის უკმაყოფილონი ვართ. არ ვიცი, რატომ. როცა ამაზე ფიქრს ვიწყებ, ვხვდები, რომ ნამდვილად სხვა არავინ მინდა.

ცოტა ხანს ღვინოს წრუპავდა და მუსიკას უსმენდა. მერე მითხრა:

– იცი, რეიმონდ, დავუშვათ, რომ წვეულებაზე ხარ, სადაც ცეკვაცაა. ნელ საცეკვაო მუსიკას უკრავენ, შენი მეწყვილეც ზუსტად ისაა, ვისთან ყოფნასაც ისურვებდი და აუცილებელია, რომ ყველა დანარჩენნი ოთახიდან გაუჩინარდნენ, მაგრამ ისინი არ უჩინარდებიან, არ უჩინარდებინ და მორჩა! შენ იცი, რომ შენს პარტნიორზე მშვენიერი იქ არავინაა. და მაინც... ოთახი მაინც ხალხითაა სავსე. მარტოდ არ გტოვებენ. ყვირიან, ხელებს იქნევენ და ისეთ რამეებს აკეთებენ, რომ ყურადღება მიაქციო. „ოჰ, რანაირად შეიძლება, რომ ამით კმაყოფილი იყო?! შენ უკეთესს იმსახურებ! აბა, იქით გაიხედე!“ – ალბათ ყოველთვის ასეთ რამეებს გაჰყვირიან და შენც ხასიათი გიფუჭდება. პარტნიორთან წყნარად ცეკვაც უკვე აღარ გამოგდის. ხვდები, რასაც ვგულისხმობ, რეიმონდ?

ცოტა ხანს დავფიქრდი და ისე ვუპასუხე:

– კარგი. მე ისე არ გამიმართლა, როგორც შენ და ჩარლის. შენნაირი პარტნიორი მე არ მყავს, თუმცა შენი რაღაც დონეზე მაინც მესმის. ძნელია, მიხვდე, რისთვის გაჩერდე ან ვისთან გაჩერდე.

– ცამდე მართალი ხარ. ძალიან მინდა, რომ ყველა ამ მიუტევებელმა მრჩეველმა თავი დაგვანებოს. თავი დამანებონ და ისე ვიცხოვროთ, როგორც ვცხოვრობთ.

– იცი, ემილი, მართლა არ მიხუმრია. ჩარლი ძალიან გაფასებს. განიცდის, რომ ამ ბოლო დროს ერთმანეთში უსიამოვნება გაქვთ.

ზურგით სანახევროდ მომიტრიალდა, და დიდხანს არაფერი უთქვამს. შემდეგ, სარა ვოენმა თავისი მშვენიერი, მაგრამ შეიძლება „აპრილი პარიზში“[15] ძალიან ნელი ვერსია იმღერა და ემილი უცბად შეკრთა, თითქოს სარა ვოენმა დაუძახა, შემდეგ ჩემკენ მოტრიალდა და თავი დამიკრა.

– ამასთან შეგუებას ვერასოდეს შევძლებ, რეი. ვერასოდეს შევეგუები, რომ შენ ასეთ მელოდიებს აღარ უსმენ. ჩვენ მაშინ სულ ამ ჩანაწერებს ვუკრავდით ხოლმე. იმ პატარა ფირ-საკრავზე, დედამ რომ მიყიდა, ვიდრე სტუდენტი გავხდებოდი. ამის დავიწყება როგორ შეგიძლია?

წამოვდექი და ღვინის ჭიქით ხელში ფრანგული ფანჯრისკენ წავედი. როცა ტერასას გავხედე, მივხვდი, რომ თვალები ცრემლით მქო-

[15] „აპრილი პარიზში“ – პოპულარული სიმღერა სარა ვოენის შესრულებით.

ნდა სავსე. კარი გამოვაღე და გარეთ გავედი, რადგან არ მინდოდა, ჩემი ცრემლები ემილის დაენახა და თვალები მოვიწმინდე, მაგრამ უკან გამომყვა და, ალბათ, შემამჩნია, არ ვიცი.

სასიამოვნოდ თბილი საღამო იდგა და სარა ვოენის და მისი ორკესტრის ხმებიც ტერასაზეც ისმოდა. ვარსკვლავები, ადრინდელთან შედარებით, უფრო მეტად ანათებდნენ და მეზობლების სახლის ფანჯრებიც ღამის ცის გაგრძელებასავით ბრწყინავდნენ.

– მიყვარს ეს სიმღერა, – თქვა ემილიმ, – მგონი, შენ ესეც არ გახსოვს, მაგრამ, თუ არ გახსოვს, მასზე ცეკვა ხომ მაინც შეგიძლია?

– დიახ. ვფიქრობ, რომ შემიძლია.

– ფრედი ასტერსა და ჯინჯერ როჯერსს[16] დავემსგავსებით.

– დიახ, შეიძლება.

ღვინის ჭიქები ქვის მაგიდაზე დავდგით და ცეკვა დავიწყეთ. განსაკუთრებულად კარგად ვერ ვცეკვავდით. მუხლებით ერთმანეთს ვეჯახებოდით, მაგრამ ემილი მაგრად მყავდა მიხუტებული და მთელი სხეული მისი ტანსაცმლის, თმის, კანის სურნელით ამევსო. ასე ჩახუტებულმა, კიდევ ერთხელ მივხვდი, წონაში როგორ მოემატებინა.

– შენ მართალი ხარ, რეიმონდ, – წამჩურჩულა ყურთან, – ჩარლი კარგია. უნდა შევრიგდეთ.

– დიახ. აუცილებლად.

– ნამდვილი მეგობარი ხარ, რეიმონდ. უშენოდ რა გვეშველებოდა?

– თუ ასეა, მიხარია, რადგან სხვა არაფერში ვარგივარ. ფაქტობრივად, ვერაფერში გამომიყენებ, ნამდვილად.

მხარზე ძლიერი მოქაჩვა ვიგრძენი.

– ასე ნუ ამბობ, – წამჩურჩულა მან, – ასე ნუ ლაპარაკობ.

ცოტა ხნის შემდეგ, ისევ გაიმეორა:

– შენი ისეთი კარგი მეგობარი ხარ, რეიმონდ.

ეს სარა ვოენის „აპრილი პარიზში“ 1954 წლის ვერსია იყო, კლიფონ ბრაუნის[17] მიერ საყვირზე შესრულებული. რაც ვიცოდი, სულ ის იყო, რომ გრძელი ჩანაწერი იყო, ასე, რვა წუთამდე და ეს ძალიან მსიამოვნებდა, რადგან ვიცოდი, რომ სიმღერის დასრულების შემდეგ აღარ ვიცეკვებდით, კესეროლის საჭმელად წავიდოდით. ასევე ვეჭვობდი, დაფიქრების შემდეგ, ჩემი უბის წიგნაკისადმი ასეთი მოქცევის გამო, ემილი გადაწყვეტდა, რომ სადილს იოლად მისატევებლად არ ვიმსახურებდი. შემეძლო კი, რამეში დარწმუნებული ვყოფილიყავი? მაგრამ მომდევნო რამდენიმე წუთს, საფრთხე არსაიდან გველოდა და შეგვეძლო, ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ ცეკვა გაგვეგრძელებინა.

ინგლისურიდან თარგმნა **მაია ბოლაშვილმა**

[16] ჯინჯერ როჯერსი (1911-1995) – ამერიკელი მსახიობი, მოცეკვავე და მომღერალი.
[17] კლიფონ ბრაუნი (1930-1956) – ამერიკელი ჯაზ მესაყვირე.



ჯემალ სურმანიძე

ნარიყალა

ცას ღრუბელი
გაეყარა,
იღიმება ნარიყალა,
მზიან დღეებს
რა დაულევს,
რის ხარკი და
რისი ღალა.
ცრემლი ისე
შეშრობია,
ვით ფოთოლზე
ქრება ნამი,
არაგველთა
თავდადებით
ეზვარაკა მამულს
ლამის,
რათა ჩვენი
დამარცხებით
არ მოეთბო
მომხდურს ხელი...
ყველა სხვაზე
მეტადაა
ის ძირძველი
თბილისელი.

სხვა რა გინდა

მცხეთის გზა
და
მონასტერი
ჯვარის,

სვეტიცხოვლის
გუმბათებზე
მზერები,
უძველესი ეპოქების
ფეთქვა,
უცხოელის ხოტბა
ასამღერები.
სხვა რა
გინდა,
განძეული შენი –
როცა არის
სხვისი
მოსაფერებიც.

* * *

გორგასალი
მოჩანს შორით,
ჭორფლიანი მთით
და გორით,
სპარსს
დააცხრა
როგორც ქორი,
აადინა ბდღვინი.
დღეს მომხდური
სახლში გვიზის
(გაგრძელება
ყოფილ ძიძის),
ჩვენ კი
ისევ
ერთურთს
ვკორტნით,
რომ
გავმართოთ
ლხინი,
ერთმანეთის
დამარცხება
ვადღეგრძელოთ
ღვინით.

შიო მღვიმის მონასტერს

სამიათასწლოვანი
მშობლიური ძირები,
ქვაში – ღვინის
ქვევრები,
კოკას
განატირები.
აღმართების
მეგზური –
თვალმიმკრთალი
იები,
მღვიმეების
სამზერზე
ბერების კელიები...
კლდეში
სიმაღლეებზე
სადგომი ვინც
აკეთა,
არსებიდან განდევნა
სულის
სასოწარკვეთა.

* * *

ექვთიმე თაყაიშვილს

დიადემას
რწმენის ძალის –
– ღვთისკაცს, რჩეულს
ძებნის თვალი.
ვისთვის
უსაქართველოოდ
არ მზეობდა
ცის ცარგვალი.
გზად წალეკვას
უპირებდა
უმადურთა
ნიაღვარი,

თუმც
სამსალა
შეურიეს,
ვერ გაახმეს
ვაზის ზვარი.
განცდა ისე
გადალახა,
მოიშორა როგორც
მტვერი,
რაც არ
უნდა დრო
გავიდეს,
მოჩანს, როგორც
მყინვარწვერი.

* * *

გაწვიმდა
და
ჩვენს ნალიას
ჩამოუვლის,
ალბათ,
არემარე
გამომშრალი
თვალწინ
უცებ დალბა.
გაწვიმდა
და
ჩემი სახლი
გაშლილ
ქოლგას
მოჰგავს,
მე კი – იმ
მგზავრს,
უეცრად რომ
შეეფარა
ქოლგას.
ეგ, ციმციმი
ცის წვეთებო,
ფიქრებსა

მგვრის
მრავალს,
ნელ წვიმას,
რომ
შხაპუნა ცვლის
თავსხმაში რას
მალავს?!
ზეცისაგან
შეფარვითაც, რომ
გვატაროს შარა,
მართალია, არ
ვუფრთხივართ,
ვერც დარს
განვლი
წყნარად.

* * *

შებერვებით ქარი
წვერს
გაკრიჭავს ველად,
მერე პირტიტველი
ჩანს ბაბუაწვერა
და, როდესაც
ფუტკრის
არ ჩაესმის
მღერა,
თანაგრძნობით უმზერს
მას ყვავილი
ყველა.

* * *

ენძელა მარტში
თოვლმა დაფარა,
თეთრბაფთიანი,
სულ ერთი
ციდა,
ეძებდა სითბოს

და უხაროდა,
როდესაც
წვიმა
მიწას კოცნიდა
და ამ
ალერსში
ციდან, რომ
ცრიდა,
ყვავილს
ზამთარი
დასცვივდა
მხრიდან.

* * *

თებერვალმა
გამიხმო
ფიფქებიან
სცენაზე,
თოვლზე ნატერფალები
გზას მიკვლევდა
შენამდე.
ქარის კორიანტელი
ნამქერს იწვა
დაღლილი,
წინ გარბოდა
ბილიკი
მაძებარი ძაღლივით.
ქარბუქობდა,
ბარდნიდა,
ზამთრის ვიყავ
მეც ლანდი
და როს
ვიგრძენ მიღწევას
ვერ შევძლებდი
მიზნამდის,
შენს ხასიათს
ვამსგავსე
გადმოფერთხვა
ცის ნაბდის.

* * *

დადგა ნოემბერი,
მოეძალება
არემარეს
ლიმონის ფერი,
კვლავ დაიწყება
ფოთლების
წვიმა,
და თუმც
საღერღელს
ამიშლის წერის,
ეს მიმსგავსება
გედის
სიმღერის,
მე ამ
დღეების
თბილი სიო
ვეღარ
გამათბობს.
ხეც შემოდგომის
კანკალებს და
მზეს
ეფიცხება,
ის ბუხართან
მჯდომ
მოხუცს მაგონებს.
ამ დროს
ყოველთვის
მიფიქრია,
რომ დამრთონ
ნება,
გავაყოლებდი
ზამთარს
ძირში
მობნეულ ფოთლებს
და მოვიყვანდი
ისევ
გაზაფხულს...

* * *

შვილიშვილებს – ლიზას და მათეს

დაიქანცა ველო,
მათე, დაუღლელო, –
ეუბნება ლიზა, –
რბოლა გავაგრძელოთ.
ორი თვალი რაგინდ
მარჯვედ გააჭენო,
სამი ბორბლით უკეთ
ვიკვლევ გზას
და მდელოს, –
იმსაჯეო, – იტყვის, –
ბაბუ, საყვარელო!

* * *

ფერდობებზე გაშლილ
შროშანს
ტოლს არ უდებს
ლიზა შნოში,
შვილიშვილის
მონატრებამ
ჩამიყვანა ბახმაროში.
რაც შემეძლო,
ავუხდინე,
რის სურვილი
ჰქონდა გონში,
ვერ ვიკმარე
მოფერება,
ვეღარ ჩავეტიე
დროში
და, როცა
შინ ვბრუნდებოდი,
აგრძელებდა ქარი
ქოშინს,
ამიჩქროლა მკერდში
გული
დაშორებით განათოში.

მაია მახარაძე

მე და სამება

ვგრძნობ არ განიცდი, შეეგუე
ჩემს დავიწყებას,
თურმე არც არა თავდება და
არც რა იწყება,
თურმე ამაოდ მეგონა, რომ
ისე მიცნობდი,
დამინახავდი ზეცად გაკრულს
ფიქრის ნისლებად...

ძალიან მალე მიეჩვიე იმ აზრს,
აღარ ვარ
შენში და შენთვის, სულიერი ცის
მეგობარი,
შენ ვერ გამიგე? გაოცებით მართლაც
სახტად ვარ,
განვიცდი, ვუსმენ, დაწყვეტილი
სიმის მოძახილს...

ვუსმენ გულის ხმას, როგორც კვაზი,
რეკვას ზარების
და მეგობრობის ფოთოლცვენას
ველარ ვაჩერებ,
სულ ღია იყო შენთვის ჩემი,
ქოხის კარები,
რომ ვერ შემიცან ეს მტკივა და
გულს ვერ ვაჯერებ...

თუმც არაუშავს, მე ხომ მუდამ
მცდის ბედისწერა,
დადგება ჟამი და ყველაფერს
დრო თავად განსჯის,

მეზიზღებოდა მიზეზებთან
ყალბი ჯვრისწერა,
ჩემი შარბათი შარბათია,
თაფლი კი, თაფლი...

და არ გავურევ მათში გველის
შხამს და სულის გესლს,
რაკი არ ჩქარობს დრო, მეც არსად
მიმეჩქარება,
შენგან მოკლული გული ახლა,
მხოლოდ ლექსში ძგერს,
ახლა მარტო ვართ სამყაროში,
მე და სამება...

თან დამაქვს უფლის წმინდა წერილი...

დამძიმდა ყოფა, დასკდა სამყარო,
არეულია ერთურთში ყველა,
შენიც არ სჯერათ მუხის ნაყარო,
არ ესმით ადამთ, ერთურთის ენა...

გაცივდა მზეც და შეერწყა მთვარეს
და ორ ცივ სხეულს, ვერ უძლებს მიწა,
უფალი ხურავს იმედის კარებს,
უმადურ ცოდვილთ, ისიც არ იცავს...

ცეცხლი მარტოდენ, სულში ბრიალებს,
წვავს ნედლ ფოთლებსაც ცად მწვდომი ალი,
ქარი ნაპერწკლებს, ფანტავს, გრიალებს,
ჩაფიქრებულა ცრემლსავსე წყალი...

ირგვლივ ქაოსი და ბურუსია,
ნისლში ეხვევა ზეცის ნათელი,
მგლები ბნელ ღამეს, ისე უცდიან,
როგორც მომლოცველს, წმინდა სანთლები...

ყმუის ძაღლების ალღო, გუმანი,
დღეის „მინდიას“, მათი არ ესმის,
ვართ, წუთისოფლის, წამის სტუმარნი,
ვიცით, თუმც გვხიბლავს, ხმალი ნალესი...

ვფიქრობ... ფიქრები სულს მიწრიალებს,
ჩამოეშალა ქონგური სიბრძნეს,
ღმერთო! როგორ ვერ ავამზიანეთ,
დედამიწა, ან ბნელს, როგორ ვითმენთ?!..

ვუმზერ, მაოცებს არსი ადამთა,
ყოფიერების ომში ჩაბმული,
ლუკმაპურისთვის შემოაღამდათ,
ყოფით ძაღლურით...

ვნატრობ... შემომრჩა სანატრებელი,
ვნატრობ ჟამს, როცა გვქონდა ედემი,
როცა ცად გვედგა ხორბლის ბეღელი,
როს არ ტიროდნენ, ტბაში გედები...

როცა ერთმანეთს გულში იკრავდნენ,
კაცი და ვეფხვი, – ზღაპრად შთენილი,
ღმერთო! ვიღვრები ულევ ფიქრად მე,
წამით ავ ფიქრებს გადარჩენილი...

რატომ ვერ ვხედავ გვირაბის ბოლოს,
იმ შუქს, რომელსაც გაყვება რწმენა,
მასწავლე! ბოლო მოეღოს, რომ ომს,
რომ ყველას ესმას, ერთურთის ენა...

ვერ შევეგუე დაცინვას კაცთა,
გაჩენისდღიდან, გვამაიმუნეს,
მრევლი აღარ ჰყავს ნდობის დიდ ტაძარს,
ვის შევავედრო სული, იღუმენ?!..

არავინ იცის თუ რას გვიმზადებს,
მომავალი, თუმც აწმყოს გავურბით,
ვერასდროს ვისმენთ იმ იდუმალ ხმებს,
რაიც ღიღინებს, გზებით საურმის...

სად გავიხედო, ვინ რით დავმოძღვრო,
ვის ვუთხრა სიტყვა დაიმედებით,
თავადაც შველას, მხოლოდ უფალს ვთხოვ,
არეულია ზეცის ხედებიც...

და დავალ ასე, თვალსულხელილი,
მინდა ვიყვირო: სინათლე არ ჩანს,

თან დამაქვს უფლის, წმინდა წერილი,
წერილს არჩევენ, ვერცხლსა და მარჯანს...

ამიტომაა ჩხრიალებს ვერცხლი,
სულიერებას სცვივა ფოთლები,
გაკოჭილია თავ-ფეხით ვერძი,
ობლობას ტირის, ალგეთს ბოკვრები...

მე ვერაფერი დამაჩოქებდა...

მე ვერაფერი დამაჩოქებდა,
არა! არ მყავდა ქვეყნად მომრევი,
აუხდენელმა მომკლა ოცნებამ
და გახდა იგი ყოფის მორევი.

მე ვერაფერი გადამტეხავდა,
გრძნობის მუხა და ვნების თარი ვარ,
სულის კვართი, რომ არ გაგეხადა,
იქნებ შენს ფიქრებს, ვერ მივმხდარიყავ...

მე ვერაფერი შემაძულებდა
სიყვარულს, მაგრამ ის შევიძულე,
რადგან ჩემს სულში ხელებს ურევდა, –
მისი მოყვასი, ჩემი მოძულე...

არ ვიყავ, გავხდი დაუნდობელი,
მე, უსასჯელო პატიმარი ვარ,
მთვარის განედზე მზეს არ მოველი,
იმედებისგან უკვე მკვდარი ვარ...

თავად ვაქციე რებუსად არსი,
ვარდებს ჩავაცვი ცრემლის ძაძები,
კვირტი ჩახმა და ყვავილებს არ შლის,
მე? – მეორედ არ დავიბადები...

საზიზღარია არყოფნის ყოფნა
და ყოფის არსი საზიზღარია,
სისხლი, ცრემლები, კვნესა და ოხვრა,
კაცობრიობის ავი დარია...

ზოგჯერ გიჟური ხარხარი მინდა,
შევაზანზარო, რომ უმეცრება,
აღარაფერი შემოგვრჩა წმინდა,
თავი მოიკლეს ჩემმა ლქსებმა...

ერთს, ყელზე ყულფი გამოუბამს და
მეორეს, ლულა მიუბჯენია,
ვინძლო მესამე, – მკვდრეთით თუ აღსდგა, –
ამისი რწმენა უკვე ძნელია...

არ ვიცი ფიქრი რისკენ მივმართო,
(რა გიხარიათ მშვენიერებო?!)
იქნებ ჩაგრულთ წინ თავი იმართლოთ, –
ფუფუნებაში ბედნიერებო!..

არსად არ არის სულის სავანე,
რწმენა, ოცნება, დროის ფარსია,
ვინაც იმედებს ცაში ავანებს,
დამიჯერეთ, რომ ფრთებს ვერ გაშლიან...

მე ეს ტკივილი მომაქვს ზეციდან,
რადგან მიწაზე არ მიცხოვრია,
მე ავშრიალდი ცაში ვერხვიდან, –
შუალედ გზებზე მხოლოდ თოვლია...

მონად ვაქციე სული ობოლი,
პოეზიის და მონად თემიდას,
სამყაროს, თუნდაც უფლის მოგონილს,
რომ შევიცანი, მიტომ ვერ ვიტან...

ღმერთია შენი გადასარჩენი...

ო, რა უბრალოდ
დაავიწყდები,
ნაფიც საძმოს და
ნაქებ მეგობრებს,
ჩუმად ხარ, მაგრამ
უღვთოდ მიწდები,
როცა უთმობდი
დემონთ სამოთხეს...
როცა უსმენდი

ფაუსტს და უხმოდ,
ბჭობდნენ ზურგსუკან,
ა ს ი ნ ე თ ა ნ ი,
წარსულს თვალებში
უმზერ,
არ უხმობ,
უკვე გაღიმებს,
ფარსი მ ე დ ა ლ ი:
ყალბ მეგობართა,
რომლებმაც სულზე,
ფეხი დაგადგა,
გადაგიარა,
დუმხარ და უძლებ,
დუმხარ და უძლებ,
დანაპრალებულს,
მკერდში, იარას...
გრძნობ დღე გადიქცა
უკუნეთ ღამედ,
თუმც ვერ ხვდებიან
ამას ისინი,
არ მიაჩნიხარ
მათ უკვე რამედ, –
და ამ შეგრძნებით,
კვდები სიცილით...
მიზეზს ეძებ და
მიზეზი არ ჩანს,
იციან არ ხარ
ჩამშვებ-გამცემი,
როს მოგონებებს
კინძავ და მარხავ,
მხოლოდ რიდი გაქვს,
წმინდა გამჩენის...
წყდება მაჯაზე
გიშრის მარჯანი,
იპნევა თვალნი
პატიოსანი,
ზღვაზე გაივლის
სულით მართალი –
გრძნობის მგოსანი...
ყველაფერს წაშლის
ალბათ დროება,
ვერ მოკლავს ლექსში
ჩადებულ გრძნობებს,

ხელოვნებაა, რაც მეორდება,
ამ უკვდავებას,
თვით ღმერთიც ჰმონებს...
არაფერია ძმობის სადარი
და სიყვარულის
მსგავსება ქვეყნად,
ეს ტანაყრილი
არის ჭადარი,
ესაა წმინდა სამების
ფეთქვა...
თუნდ დაგივიწყოს
მთელმა სამყარომ,
არ დაგივიწყებს,
გწამდეს, გამჩენი,
შენ, დამწვარ მუხის
ა მ ო ნ ა ყ ა რ ო,
ღმერთია შენი
გადასარჩენი...

შევეწირები სულის სამეფოს...

არ ვიცი რატომ მოვედი ქვეყნად,
მოსვლა არ მახსოვს, წასვლა მაშინებს,
ზურგით დავათრევ ცოდვილის ერთ ქვას,
მძიმეს, საშინელს...

აზრი ვერ ვპოვე ველარაფერში,
ბედის მაძებარ, ზღაპრის გმირს ვგევარ,
შუა ზღვაში ვარ, თუმც აფრებს ვერ ვშლი,
ბრძოლის ველზე ვარ, ვერ ვფლობ სატევარს...

იმ სამყაროში, რომელშიც ვიშვი,
არაფერია სულმომხიბლავი,
არავინ არ გრძნობს, სისხლისღვრით სირცხვილს,
ყველა გამხდარა, ბედის მჩხიბავი...

სულ სხვებს ვაბრალებთ, რაც თვით ჩვენშია,
ეგოს, ვითარც ცხვარს, წინ მივუძღვებით,
სუყველაფერი ნდომით შეგვშლია,
თუმცა სხვებია, შვილი უძღები...

ვუმზერ ადამთ და ყველა ერთნია:
„მეფეც“, „მხედარიც“, „პაიკიც“, „ეტლიც“,
თვით „დედოფალი“, თავის ღმერთია,
ყველა მას ჰმონებს, უჩოქებს, ეტრფის...

დროებითია ბედნიერება,
წამიერია ჟამთა სამანი,
ისლის ქოხია ქვეყნიერება,
ფიფქია მიწის თეთრი საბანი...

და ერთმანეთში არეულია,
დადებითი და უარყოფითი,
დაჭრილს, ყოველთვის წყალი წყურია,
ცოცხალს, აბრმავებს არსი ყოფითი...

მე ამ ყველაფერს, ვხედავ სარკეში,
ცირკის არენას, ვამსგავსებ ყოფას,
ჩვენ ვერ ჩავხედეთ, ერთურთს თვალებში,
ვერ მოვისმინეთ, ერთურთის ოხვრა...

ვართ ქარიშხლისგან აგორებული,
ტოტებს გაცლილი, ხმელი ფოთლები,
ჰერბარიუმთა დამაქვს კრებული,
იმედით, ტოტზე შევიფოთლებით...

ქვეცნობიერი დაცარიელდა,
დაცლილ ჭურს ვგევარ, ბადაგს ვნატრულობ,
გადავეფარე მკერდით შიშველ ბავშვს,
სადა ხარ ბედო?! ოდეს ზღაპრულო?!...

სისხლი წყურია კაცობრიობას,
ვფიქრობ, მშვიდობა გაუფასურდა,
რწმენა უკვდება, თვით ემბრიონსაც,
ვერ ვქმენი ღმერთო, ის, რაც არ მსურდა...

ანუ, ვერ დავთმე ომი დემონთან,
გადავიკიდე თავად თემიდა,
ყველას ნატვრისხეს, მარტო მე მოვრთავ,
თუნდაც მომკვეთოს „თემმა თემიდან“...

ოქროს ხანისკენ ილტვის გონება,
დავითს, თამარს და რუსთაველს ვუხმობ,
გმირი არავის არ ემონება,
თუნდაც, რომ დარჩეს, უხმლოდ და უყმოდ...

შევეწირები სულის სამეფოს,
რომანტიული გრძნობის ამალით,
კაცთა დაცინვა, ღმერთო! არ გეყო?!
რატომ არა აქვს, სიკვდილს წამალი?!...

დახამხამება გვაშინებს თვალის,
ერთი წამია, – გვმოძღვრავენ – ჩვენი,
აქამდე რად ვერ დავფარეთ ვალი, –
უ ფ ა ლ ო! შ ე ნ ი?!...

შენს სიყვარულში გარდავიცვლები...

მე სიყვარულში გარდავიცვლები,
წამოვალ ციდან თოვლის ფიფქებად,
ჩემი სიცოცხლე, იყო და არა,
იყო და არა იყო იქნება...

შენზე სიმღერით, გულს მოვიოხებ,
შევქმნი ამურზე მითს და ლეგენდას,
დავიჩოქებ და ხატთან ვილოცებ,
რომ დაგაბრუნოს უფალმა ჩემთან...

თუ ასე მოხდა, ბედნიერებას,
ქედს მოვუხრი და გადავეხვევი,
ჩვენი იქნება ქვეყნიერება,
აგავსებ სულით ნაძერწ ლექსებით...

და თუ ოცნება, ფიქრი, იმედი,
მოლოდინებში ნაცრად იქცევა,
ჩავთვლი, ეს მოხდა, მხოლოდ ღვთის ნებით,
შევეკედლები ღვთიურ ღირსებას...

ცალმხვრივი გრძნობა განწირულია,
ზოგჯერ უსამნოდ ქრება ორმხვრივიც,
როცა გულისთქმა სრულყოფილია
ორში, – მას ჰქვია, სულთა ქორწილი...

შენს სიყვარულში გარდავიცვლები,
უცხო ყვავილთა არ მსურს ძიება,
აჩრდილად დაგდევს ჩემი ფიქრები,
ეს, იმედია, მეპატიება...

პასუხს ველოდი, პასუხი არ ჩანს,
რომ ჩემი ბედის გზები ვიცოდე,
რწმენის ხრიოკში, იმედის ბზას ვრგავ,
წერაქვი მაინც გამომიწოდე...

ჩავსაფრებივარ სიღრმეთა ჩურჩულს,
(მტრედებს „რგოლი“ ხომ არ გავუკეთო?)
გულისკარს მიღმა, საშინელ უკუნს,
გსურს, რომ სარკმელიც გამოუკეტო?!...

უსიყვარულოდ ვერ ძლებს უფალიც,
სიყვარულისთვის, მას, ჩვენ, ვჭირდებით,
მე ხომ სული ვარ თავისუფალი,
მომიხმე, ოდეს თუ დაგჭირდები...

ხელს გამოგიწვდი, მე ხომ მიყვარდი,
ამ გრძნობას უკვდავება დავარქვათ,
ჰერბარიუმს აქვს ახლა ის ვარდი,
ხელოვნებამ რომ, მისთვის წამართვა...

ვუმზერ ხმელ ფოთლებს, აწ უსახურებს,
მოგონებასავით გაცრეცილებს,
რაც ბედად მერგო, არ ვიმსახურებ,
გრძნობა სულ მწვანედ ავაჯეჯილე...

თუმც, მართალი ხარ, მე არ მეცალა,
(„სატაშფანდურად“, „სარიტუალოდ“,)
ყანწი თალიის, რომ დამეცალა,
არსი მომწონდა ღვთისებრ უბრალო...

შენ, სიამაყემ გაგანადგურა,
ახლა ხომ ხვდები, ნებით დამკარგე,
არ გამოვდგები ყალბთა სადგურად,
გული ცივი აქვს მთვარეს და მკვდარ მზეს...

მე ვერასოდეს დავწერ სხვებივით,
ვერ შევიყვარებ, – კევრად საზიდად,
დახლართული ვარ ფიქრში გზებივით,
უფლის სიწმინდე, ვერვინ ვერ ზიდა...

რადგან მძიმეა, ძალზედ ღვთიური,
უსახსრებო და უსახლკაროა,

სიყვარულია მხოლოდ წრიული,
ის კლდეთა შორის, წმინდა წყაროა...

უფალი ყველას სულში ქარგას ჭრის,
ჩემიც ექნება ალბათ აჭრილი,
დადგება ჟამი, ჯვრიდან გადმოხსნის,
სისხლს გადარეცხავს, თეთრი აპრილი...

ის, რაც მოხდება და რაც ჩაიარს,
აღარასოდეს არ დაბრუნდება,
ტყვიას ივიწყებ, განა ნატყვიარს?
სულის იარა, მხოლოდ დუმდება...

ცრემლი სდის ნინოს ჯვარს...

მოვედი...
არ ვიცი, სიცოცხლის
მიზანი,
ვუმზერ სამყაროს, –
ვერ შევიცანი...
მეზრდება ფრთები და
მოკლდება საფრენი,
ვერ ვპოვე მიწიდან –
ცად ასაფრენი...
მესმის ხმები და
ერთურთში ვერ ვარჩევ,
მივდივარ... ვჩერდები...
ვუმზერ ცის ხერხემალს,
უშორეს ოცნებებს,
ვით პეპლებს, ვსდევ და ვსდევ
და სამწუხაროდ,
ჟამის სულს, ვერ ვხედავ...
წამები ჩქარობენ წუთებად
აკინძვას,
წუთები ერთვიან ულმობელ
საათებს,
სიცოცხლევ, არ ვიცი ისეთი
რა გითხრა,
ღამეს, რომ უტურფეს, დღედ
ამოანათებ...

ერთია მოსვლა და მეორე,
დახვედრა,
უფესვო ხეები, არ
იფოთლებიან,
ვერ ვაგებ სულისთვის,
გრძნობების ტახტრევანს,
ურგძნობო ვნებები ეულად
კვდებიან...
მოვედი...
ეს მე ვარ, ტაძრისკენ
მავალი,
შენ ვინ ხარ, ვინც დამხვდი?
ან რა გზით მიდიხარ?!
იესოს არ ჰყავდა
შთამომავალი,
როცა მოძღვრავდა ერს:
თქვენი ხიდი ვარ...
შუა გზაში ვარ,
არც აქეთ, არც იქით,
დაბლა მიწაა, მაღლა კი,
ზეცაა,
ხანდახან სუყველა მგონია
ნარცისი,
გაგვინარცისდა სრულიად
ქვეყანა...
ჩაკეტილია ფიქრების
გისოსში,
კაცობრიობა და სარკმელს
ვერ აღებს,
შეგუებულან მონები
მეფის ძილს,
ცრემლი სდის ნინოს ჯვარს,
აჭრილ ზვრის ვენახებს...
ვდგავარ...
სად წავიდე, სივრცეა
დახშული,
მზერა ეხება შორეულ
ჰორიზონტს,
აღარაფერი შემოგვრჩა
ზღაპრული,
ყველაფერს ზვარაკად,
სასტიკი დრო ითხოვს?!...

ლევან ლორია

ვასოს ბებრო აღარა ჰყავს

ალიკამ დარეკა: სადგურში ხო ხარ, ბილეთები აიღეო. – თითქოს ბილეთების ასაღები ფული ციდან ცვივა პაჭკობით, თან უცხოური ვალუტა.

სადგურში რატო ვარ? „კაჭკაზე“ ვმუშაობ... „მესტა“ – თუ დიდია, ორი ლარი, პატარა – ლარი. არის ფასდაკლებაც, მომატებაც... კლიენტს გააჩნია, როგორ აცვია, რა „ვიდი“ აქვს – ფეის კანტროლ!..

ჩემს პროფესიაში რა მხიბლავს? თავისუფალი ხარ, არავინ გეთამაშება უფროსობანას: გინდა იმუშავებ, გინდა – არა... ისე როგორ გავა დღე ათი ლარი არ გავაკეთო... ყოფილა, ორმოცდაათიც გამიკეთებია – მარწყვობაზე... ხო, იმასაც გააჩნია, პირველი ვინ შეგხვდება დილით. რიჟა-გრიჟა – მე არ ვიცი, მე ვიცი, რომ თუ პირველი დილით ბავშვი დავინახე, ანუ კარგი დღეა...

ტაქსისტების არ იყოს, სულ კაჭკისტი კი არ ვიყავი... მთლად დიპლომი არ მაქვს, მაგრამ დავამთავრე ზოოვეტის ერთი კურსი... ცოტაც და ცხოველთა მკურნალი ექიმის დიპლომიც მექნებოდა, მაგრამ ერთი წლის სწავლის შემდეგ გამრიცხეს, იმიტომ, რომ არ ვსწავლობდი ლათინურს... ვერაფრით მივხვდი, რაში სჭირდებათ ავადმყოფ ძროხებს ლათინური...

თუმცა, ვერმიღებული პროფესიის წყალობით ვიშოვნე ცოლი, რომელსაც ავად ჰყავდა ძაღლი, სახელად ჯესიკა... მაშინ ალიკასთან ვიყავი სოფლიდან სტუმრად ჩამოსული და დიდთოვლობის გამო შემოვრჩი და შემოვრჩი. ის პერიოდია, ერთი თვის სტუმრობა კი არა, ხალხი საერთოდ არ აღებდა კარებს და ფანჯრებს, ვინმეს არ ეგონოს, სახლში ვართო. სინათლე კი ისედაც არ იყო. ჰოდა, ერთი თვის მერე სოფელში რომ დავაპირე დაბრუნება, ისე სიხარულით მაცილებდა ალიკას ოჯახი, თითქოს ლატარეაში მოეგოთ მილიონი. ხო, თვითონ ალიკამ სადგურამდე გამაცილა, ეტყობოდა არ იჯერებდა სოფელში რომ ვაპირებდი დაბრუნებას. თოვს. იარა მატარებელმა გორამდე და გაჩერდა. თურმე შუქი ჩაქრა. ზუსტად არც „პრავადნიკმა“ იცოდა, როდის წავიდოდით და არც მემანქანემ. მერე ვიღაცამ თქვა, ავტობუსი მიდის თბილისისკენო (მაშინ ავტობუსიც იშვიათი იყო) და გაცვივდა გარეთ ნახევარი ვაგონი. სადაც სხვა, მეც იქ-მეთქი და ორი საათის მერე ისევ ალიკას ვუკაკუნებდი კარებზე. ვალიკო ბიძიამ, ალიკას მამამ, გამიღო კარი და რომ დამინახა, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ლატარიის ბილეთი, აი ის, მილიონი რომ მოიგო, დაუხია ვიღაცამ. ხო მშვიდობაა? – მკითხა, – კი, უბრალოდ მატარებელი გაჩერდა გორში-მეთქი. – ასეა, ბიძია, მატარებელი ჩერდება გორში, ხაშურში, ზესტაფონში, ხოდა, მიდის მერეო. მარა შენ რას გერჩი, რაც თვითონაა ალიკა, ისეთი ამხანაგები ჰყავს, შემოი, შემოი გაცივდა სახლიო,

– დააყოლაა. ალიკა ამ დროს ვიღაცას ელაპარაკებოდა ტელეფონზე, თან ვაშლს ჭამდა და რო დამინახა, ალბათ მოჩვენება ვეგონე – ლუკმა გადასცდა და კინაღამ გაიგუდა. ვაშლი მე შემრჩა ხელში, ტელეფონის „ტრუბკა“ მას და საუბარი ისე გააგრძელა, თითქოს ორი წუთის წინ არ იხრჩობოდა. თურმე ჩემს მომავალ მეუღლეს ესაუბრება, რომელიც ალიკას ნაცნობი იყო. ის იქედან ეუბნება, ვინმე კარგი ცხოველთა ექიმი ხომ არ იციო. ალიკამ – კიო, აიბოლიტიო. მესმოდა იქედან როგორ უთხრეს, – შენ გეხუმრება და მე ჯესიკა მიკვდებაო. ალიკამ „ტრუბკას“ დაადო ვაშლისგან განთავისუფლებული ხელი და მეუბნება, – ეს ის ლიკაა, რო გირიგებდი და შენ რომ ამბობდი, შენ ალიკა ხარ და რა ხარ და ლიკა რაღა იქნებაო. ხო სწავლობდი სავეტერინაროზე, ძაღლი ჰყოლია ავად. წავიდეთ, ვნახოთო, შენ სოფელში წამსვლელი მაინც არ ხარო... მე ვუთხარი, – ზუსტად ამიხსენი, ლიკა ვნახოთ თუ ჯესიკა-მეთქი, – ორივეო.

წავედით. ჯესიკა არ ვიცი, მაგრამ ლიკა კი მომეწონა, თან მაშინ მივხვდი, სახელს არაფერი მნიშვნელობა აქვს, გააჩნია ვის ჰქვია. ხოდა, ეს ლიკა, გონწასული და ძლივს მსუნთქავი ჯესიკას შემხედვარე, ისე ღვარ-ღვარად ყრიდა ცრემლებს, ვიფიქრე, ძაღლი როგორ უყვარს, ამას ადამიანებიც ეყვარება-მეთქი და პირველი, რაც მოვიფიქრე, სამზარეულოდან წყალი მოვუტანე ჭიქით, სითხისგან არ დაიცალოს-მეთქი. ლიკას თურმე მაშინ ჩავვარდნილვარ გულში, მივხვდი რა გულთბილი იყავიო. ამასობაში შევამჩნიე, რომ ჯესიკამ სუნთქვა შეწყვიტა – საწყალი, ისე მიიცვალა, რომ მისი გასინჯვაც ვერ მოვასწარი. მერე ალიკას დაურეკეს და წავიდა, თუ განგებ დამტოვა და შემატოვა ეს მომტირალი ქალი, რომელიც, მეტი რომ ვერაფერი მოვიფიქრე, გულზე მივიკარი, თან თმებზე ვუსვამდი ხელს, ვამშვიდებდისავით. ამანაც რომ არ გაჭრა, ვაკოცე (კოცნით დამშვიდება თუ შეიძლებოდა, მანამდე არც ვიცოდი) და...

ამ დროს ქალბატონი დარეჯანი, იგივე ჩემი სიდედრი, სამოგზაუროდ იმყოფებოდა ეგვიპტეში, არ მინდა ვინმემ გაიგოს, მაგრამ მგონი რაღაცა წვლილი მაშინდელ ეგვიპტურ რევოლუციაშიც მიუძღვის. იმიტომ, რომ წელსაც იყო წასული და სფინქსის ქანდაკებასთან ნაპოვნი ქვა ჩამოიტანა, თან დაგვამადლა, ძლივს გამოვაპარე საბაჟოზეო. ასეთი ქვებით სავსეა ჩემი სოფლის შარა, ჩავუტანე კიდეც საჩუქრად, მაგრამ ზედაც არ დაუხედავს. ეს მერე. მანამდე კი ეგვიპტიდან უკან დაბრუნებულს, ჯესიკას ნაცვლად მე დავხვდი ლოჯიაში. გაკვირვებულმა ლიკას ჰკითხა, – ეს ვინ არისო და ჯესიკა სად არისო? ლიკამ, გიმალავდი რომ არ გეღელვა, ჯესიკა მოკვდა, ეს კი ჩემი ქმარიაო. მე ვერ მივხვდი, რომელ ამბავს უმალავდა ლიკა დედამისს, მე რომ ქმარი ვიყავი თუ ჯესიკა რომ მოკვდა. ამის შემდეგ ჩემს ახლადმოვლენილ სიდედრს ჯერ თვალები გადაუტრიალდა, მერე ეტყობა გული და ასე გულთვალებგადატრიალებული შეაცქერდა ჭერს, ანუ ლოჯიის რბილ ნოხზე მოადინა არც თუ მსუბუქი ბრაგვანი. ამ დროს, ვიცი, ხელოვნური სუნთქვა მოქმედებს კარგად, მაგრამ არა სიდედრზე... ერთი-ორი რომ ვწყვიტე ლოყაში, იკადრა წამოხტომა და – მომაცილეთ ეს კაციო! – ზუსტად ისე იყვირა, სესილია რომ ყვირის ერთ ფილმში. მოცილების რა გითხრა, მისი ქალიშვილის მეორე ნახევარი ვიყავი უკვე. ქალბატონ დარეჯანს თურმე სხვა სასიძო ჰყავდა შეგულებული სკაიპში, ვიღაც ჰოლანდიელი ფერმერი ექვსნიშნიანი ანგარიშით ბანკში და, როგორც ლიკა ამბობს, ჯორის გამოხედვით და ვირის სიცილით. თუმცა, ქალბატონი დარეჯანის რჩეული დიდად არ ეპიტნავებოდა მის ქალიშვილს, აწ უკვე ჩემს მეორე ნახევარს... სიდედრზე ჩემი მკურნალობის მეთოდმა აშკარად გაამართლა – ამის შემდეგ გული არ წასვლია.

რო ამბობენ, ტურამ თქვა, ჩასიძებულ კაცს მაინც ვჯობივარო, სულ ტყუილია. აბა, რითი მჯობია მე ტურა? ვცხოვრობ ქალაქის ცენტრში, ტურა კი სადღაც ტყეში. თან საქმე საქმეზე რომ მიდგა, ჰოლანდიელ ფერმერს ვაჯობე, ექვსნიშნიანი საბანკო ანგარიშით, როცა მე თვითონ არც ერთ ბანკში არ მაქვს ანგარიში და სა-

ერთოდ ვფიქრობ, ფული თუ გაქვს, იმის შნოც უნდა გქონდეს, დახარჯო და რა საჭიროა საერთოდ ბანკი?!

ეუფ, გავერთე ფიქრებში... ხო, ბილეთებიო – თან პლაცკარტი არა, კუპე...

მეთქი, კი, ასე ვიზამ...

თან ვკითხულობ, – რა ხდება?

ვასოს ბებო აღარა ჰყავს, მივდივართ... მთელი კლასი, ვინც თბილისში ვართ, მივდივართ. – თითქოს შატალოა...

ეს ვასოც კლასელია და ისიც, როგორც თითქმის ყველა, ახლა თბილისშია. ვეკითხები: ვასომ იცის თუ უმალავენ?

უმალავენო – იცინიან. სასაცილო რა არის? ბებია მოკვდა... თინა ბებო... ეჰ, ბებია რომ კვდება, მაშინ მთავრდება ეპოქა... თინა ბებია რომ კეცზე ხაჭაპურს დააკრავდა, ყველი რომ გადმოდიოდა სიფრიფანა ცომის თხელი კედლებიდან, იმაზე გემრიელს რას ჭამდი... ეს აბდლები კი იცინიან...

– უკვე წავიდა? – ისევ მე ვკითხულობ. – კი, წავიდა გაღმა, მარილზეო. არა, კაცო, ვასოზე ვამბობ-მეთქი. ვასო ჯერ ცოცხალია. ხო, ისე გაკოჭილი წაიყვანეს, რამე თავს არ უხიმანდროსო. თურმე სახლიდან რომ დაურეკავთ, ჩამოი, არ გვყავს შენი საყვარელი ბებიაო, – ასე უთქვამს: არა მჯერა, აბა, თუ მოკვდა – დამალაპარაკეთო!

კიდე იცინიან – აბდლები.

ხვალ მივდივართო. ხო, კარგი, ვეუბნები, ბილეთს ავიღებ.

გულში ვფიქრობ, პლაცკარტს ავიღებ – იაფია, მერე ვიტყვი, კუპე არ იყოო, აბა, ესენი ხო ფულს არ მოგცემენ.

მივდივარ სალაროებთან. ჩემი ბედი რა ვთქვი! არ იყო პლაცკარტი – მხოლოდ კუპე. სამი ბილეთი – ოცდათექვსმეტი ლარი – ფაფუ...

სახლში ვთქვი, სოფელში მივდივართ ბიჭები, ვასოს ბებო აღარ ჰყავს...

ცოლი მეუბნება: წადი, ცოტას დავისვენებ...

– რისგან? – ვეკითხები... – შენგან, – მპასუხობს. არადა, რომ ჰკითხო, ვუყვარვარ... ბავშვებიც წაიყვანე, ჰაერს გამოიცვლიან... – ამას სიდედრი მეუბნება, დარო... ეჰ, ვისთვის დარო, ვისთვის ავდარო, წარღვნავ და ცუნამო...

მეთქი, რატო უნდა ვაწვალოთ ბავშვები, მატარებლით მივდივართ...

– ხო, წადიიი... – აგრძელებს ცოლი, – შენ ბავშვებს განდობ?! – თითქოს მარტო მისი იყოს, თან უფროსს თავში უპარტყუნებს, წიგნს უყურეე...

– მამაა!... – ტირის ბავშვი.

პედაგოგია ახლა ეს? მე დირექტორი ვიყო, ამას საკლასო ოთახშიც არ შევუშვებდი, დიდი-დიდი საძინებელ ოთახში შემეშვა – ფიქრებში ვბრაზობ ცოლზე, მაგრამ ხმამაღლა ვერ ვბედავ. დაცვა გვერდით უზის – სიდედრი.

– მოდი, შვილო, ჩემთან, – ვეძახი.

– იჯექი! – ეს ცოლი უბრიალებს თვალებს. მიშველე, – თვალებით მეუბნება ბიჭი. ეჰ, რა გიშველო, შვილო... კიდე კარგი, მეორე ბავშვიც მყავს, იმას მაინც მოვეფერო. გოგოს ვეძახი. ის მოდის და მუხლზე მისკუპდება... უცებ, არ ვიცი რატომ, ცხვირზე წაივლო თითი სიდედრმა.

– ბებო, რემონტი გაქვს? – არ გამორჩა მისი მოძრაობა პატარას... ახლა ერთი გულიანი გაცინება ყველაფერს მირჩევნია, მაგრამ თავს ვიკავებ, პირიქით, საუბრის თემას ვცვლი.

– აბა, მამიკო, ვისი გოგო ხარ შენ? – ჩემი ანგელოზი, ოთხი წლისაა უკვე... კევის ღეჭვის გარდა დათვლაც იცის – ინგლისურად. ნეტა, რაში სჭირდება?!

– გიგა გაგუასი!

ცივად ჩამოვსვი ბავშვი მუხლიდან – გამისკდა გული. ლიკას ვუბრიალებ თვალებს, ვინ არის ეს გიგა გაგუა-მეთქი?! თურმე ბაღში ჯგუფელია...

– მეორედ არ დავინახო იმ ბაღში წასული! – დავწყნარდი ცოტა.

– ვაიმე, რა გეშველება შენ! – მოსწყდა ცოლი ვაჟის განათლებას.

– გეუბნებოდი!? დამიჯერე!? ვერ ხედავ – ვერ არი! – სიდედრის დასკვნა, წყალგაუმტარი. ეჰ, რად შევიკავე წელან გაცინება. როგორ უთხრა? ბებო, რემონტი გაქვსო... აშკარად მჯობია შვილი...

* * *

მატარებელი გადის თერთმეტზე, თერთმეტის ნახევარია, არავინ ჩანს, მოვლენ. გავიდა ათი წუთი, კვლავ არავინ ჩანს. ვრეკავ ალიკასთან – იგივე ბატონი ალექსანდრე – დიდი ქიმიკოსი, რომელიღაც უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

– პროფესორ, სად ხარ? – ვეკითხები, თან ხალხს ვათვალიერებ, იქნებ რომელიმე გამოჩნდეს.

– აქ! – აქეთ-იქეთ ვიყურები, არსად ჩანს. ა, გიჟი, ხო უნდა თქვას, სად აქ?

– სად აქ? მატარებელი გადის სადაცაა.

– ხო, რა იყო, მანდ არა ხარ!? გააჩერე!

ხო ვთქვი, გიჟი! ამას ჰგონია სადგურის უფროსი ვარ!

– გიჟი ხო არა ხარ, რა გავაჩერო!

– მოვდივარ!

ახლა მეორეს ვურეკავ, სოსოს. ამას საერთოდ გათიშული აქვს. თუმცა, მოიცა, მეორე ნომერი.

– მე მირეკავ? – თურმე ჩემს უკან დგას, მომცრო ზომის ჩანთა გადაუკიდია, ხელები ქურთუკის ჯიბეში ჩაუწყვია და იცინის.

– სად ხართ, გავა მატარებელი სადაცაა...

– მე აქ ვარ, ალიკა სად არის?

– მე რა ვიცი! ალბათ ბანაობს.

– ბიჭებს გაუმარჯოს, – როხროხებს ალიკა. მოსულა.

მისალმებ-ჩახუტება გავიარეთ, ვაგონისკენ მივდივართ.

– საწყალი თინა ბებია, – ამბობს ალიკა.

– კი.

– ნოკიას სატენი გაქვს?

რა შუაში იყო.

– არა.

– რატო, შენ ხო ნოკია გაქვს?

– ნოკია მაქვს, სატენი – არა, დატენილია ჩემი.

– მეც მეგონა დატენილი იყო, ჯდება.

– მეც მეგონა, ტვინით ხარ დატენილი, მობილური დაუტენავი მოგაქვს.

– არა უშავს, შენი ხოა დატენილი.

– თავი თუ ტელეფონი?

– ტელეფონი!

– კი!

– ხოდა, შენით დავრეკავ!

ეძახე ახლა პროფესორი.

* * *

ავდივართ ვაგონში, კუპეების კარები ღიაა, არის ფუსფუსი, დაბარება, კოცნა.

– გამცილებლებმა დატოვონ კუპეები, სამ წუთში გავდივართ! – ყვირის ვიღაც... გამცილებლები ფაცხაფუცხით ტოვებენ ვაგონს.

ჩვენი ადგილებია 33, 34, 35... ერთი სტუმარი გვეყოლება. აი ისიც. რა ლამაზია. ამასობაში ალიკა ანეკდოტს ყვებოდა, გურულს რომ წნევაზე ეკითხება ექიმი, რამდენს ატარებო. გურული ეუბნება, წნევას კი არა, პირადობის მოწმობას არ ვატარებო. გასაგებია, მაგრამ თუ გაგისინჯავთ მაინც, რამდენი გაქვთო? არ იცის რა უპასუხოს. ცოტას ხო არ ვიტყვიო და სამასი, ოთხასი, ხუთასიო – თან ეჭვობს, ხო არ მივაკელიო. მართლაო? – უკვირს მოსაუბრეს. გურულმა – ეს რა არის, თუ გამაბრაზეს ათასხუთასამდეც ავდივარო... ჩვენ რომ რეაქცია არ გვქონდა, მზერას გააყოლა თვალი... მასაც ჩაუვარდა ხმა.

– მეათე კუპეა? – რა ნარნარი ხმა აქვს... ამათ პირები ისევ დაფჩენილი აქვთ, მე ვპასუხობ.

– კი.

– 36-ე ადგილი აქ არის.

– კი.

– შეიძლება შემოვიდე?

– არა, უფრო სწორად, კი.

შემოდის. თავიდან არა რატო ვუთხარი, ვერ ვხვდები.

– პლაცკარტი მინდოდა, არ იყო... ეს ბილეთი მომცეს, – თქვა, თითქოს მოიბოდიშა და ჩემს გვერდით დაჯდა.

– მეც პლაცკარტი მინდოდა და არ იყო, – ვამბობ ისევ მე. სილამაზე სიმართლეს გათქმევინებს.

– შენ ხო არ გააფრინე, გოგო! – უცებ ყვირილის ხმა გვესმის...

– ჩავკეტოთ რა კარები... – ამბობს გოგო და დამფრთხალი იწყებს კარებზე ჯაჯგურს... ჩვენ სამივე გაშტერებულები ვუყურებთ, გოგო კარის დაკეტვას ვერ ასწრებს.

– ლიკა, დაბრუნდი სახლში! – აქაც ლიკა.

– არა, წადი შენს კახპასთან!..

– ლიკა, დაბრუნდი სახლში! – ყვირის ისევ ის კაცი. ალბათ ქმარი და ჯიბიდან პისტოლეტს იღებს... რაღა მაინცდამაინც ლიკა. სახელების მეტი რა არის?!

– ბიჭებო, მომეხმარეთ, – ყვირის გოგო.

ეს მინდოდა. ლიკა მაინც არ ერქვას, რო მოკლას ამ გიჟმა, რას იტყვის ჩემი ცოლი? ხო გაიგებს მერე ახალი ამბებიდან, რომ ლიკა ერქვა ამ ქალს. ამ ორ პროფესორს ისევ პირი აქვს დაფჩენილი, მე ვდგები, მინდა ეს გაგიჟებული – ალბათ ქმარი, გავაჩერო... პირველ რიგში განიარაღებას ვცდილობ და პისტოლეტიან ხელს ფეხს ვუქნევ – ავაცილე და კარებს ვგლიჯე. მოტეხვას გადავრჩი. ახლა ხელით ვცდილობ პისტოლეტის წართმევას... ამ ჯაჯგურში კუპის გარეთ გავდივართ. უცებ კამერას ვამჩნევ, ციხის არა, გადამღებ კამერას, ალბათ ვიდეო პატრული. ასე უცებ საიდან გაიგეს...

უცებ ეს კაცი, თურმე ვითომ ქმარი, ყვირილიდან სიცილზე გადადის, – გაიღიმეთ, ფაარრული კამერაა...

ვერ არიან რა!.. გაიგდო უნდა ესენი ახლა ორივე წიხლქვეშ, ოპერატორიც მიაყოლო და თავზე დააფშვნა უნდა ეს კამერები... გაიღიმონ მერე!..

* * *

წავიდა მატარებელი, წავედით ჩვენც... მეოთხე მგზავრიც შემოგვემატა, დაახლოებით ჩვენი ხნის კაცი იყო. ეტყობა იმას სთხოვეს ფარულმა მეკამერეებმა ბილეთი დროებით... კუპეში რო შემოვიდა, გამარჯობის ნიშნად თავი დაგვიქნია, ხმა არ ამოუღია მერე... ზის თავისთვის... შეიძლება მუნჯია, თუმცა, თუ მუნჯია, თავს ხომ არ დაგვიქნევდა, ალბათ ხელებით გვეტყოდა რამეს.

მერე „პრავადნიკი“ მოვიდა – ზანგი. თავიდან გამურული კახელი მეგონა, იმიტომ, რომ ბილეთებს როცა ამოწმებდა, თან წინწყაროს ღიღინებდა. ფხიზელი ვიყავი, თორემ ვიტყოდი, მეჩვენება-მეთქი. ასე წინწყაროს ღიღინით შეგვიმოწმა ბილეთები ოთხივეს და წავიდა – ვითომც და არაფერი. ჩვენს „მუნჯ“ თანამგზავრს თვალები ეხუჭებოდა. ეტყობა, დაღლილი იყო. ცოტა ხანში აძვრა მეორე „კოიკაზე“, კიდე ცოტა ხანში ფშვინვა ამოუშვა. ფშვინვას არა უშავს, მთავარია, არ ხვრინავს.

სოსოია მეკითხება, – ის შავი კაცი ვინ იყოო? – მე რავიცი-მეთქი. ამ დროს ტელეფონმა დარეკა. ცოლი მირეკავს, სად ხარო? – მატარებელში-მეთქი. – კაიო... ხმაზე ვატყობ, დიდად არ მოვნატრებივარ. აბა, ცუდიო ხომ უნდა ეთქვა. – რას შვებიან ბავშვები-მეთქი. – სძინავთო. ზრდილობის გულისთვის სიდედრიც უნდა მომეკითხა წესით, მაგრამ არ ვარ ზრდილობიანი.

სოსო სახლში რეკავს, შვილთან: ბიჭო, ნოდარა, ყანის მორწყვა არ დაგავიწყდეს, ძროხები დროზე მოდენე, მოწველე, წყალი დაალევინე... სპილოს ბალახი აჭამე, თუ მეზობლის ნაკვეთში გადავიდა, დროზე მოაბრუნე უკანო...

ვფიქრობ, რა ფერმა, რის ფერმა, ან რაის სპილო – სოფელში საყანე ფართობები ჰქონდა, სულ დაყიდა, მერე სახლი მიაყოლა: სულ სართულ-სართულ, აგურ-აგურ... ფიცარ-ფიცარ... და ნასახლარი და პატარა ეზო დარჩა მხოლოდ, ერთი ხურმის ხით, რომელსაც იაპონურს ეძახის და დიდი ამბით ეპატიჟება ყველას, ქართველებსაც და იაპონელებსაც, იაპონურ ხურმას გაჭმევთო...

ხო, კიდე ჭიშკარი აქვს დარჩენილი, რომლის ერთი ნაწილი მყარად დგას, მეორე კი მორყეულია. ვიღაცის მანქანა დაეჯახა და შუაში გაღუნულია, წელში ორად მოკეცილი კაცივით: „ანტრე ბატონოო“, რომ ამბობს, მაგრამ რაზე პატიჟებს ხალხს, თვითონაც არ იცის...

სახლი რო არ აქვს, მე მეუბნება, ვითომ შენი სახლი ჩემი სახლიაო. ჰოდა, ერთად მივდივართ სტუმრები თუ მოჰყავს. დედას ვაფრთხილებ, აი, შენი მეორე ბიჭია იცოდე-მეთქი... მაინც სოფელში თუა, სულ ჩემთან ათევს ღამეს...

მორჩა სოსო ინსტრუქტაჟს ბიჭთან და მაშინ ვკითხე, – რა ფერმაზე საუბრობ-მეთქი. ფერმა მაქვს ფეისბუკზე, მეთხუთმეტე ლეველზე ვარ, სპილოც მყავსო. სპილო რად გინდა-მეთქი, რავი იყოს, ძალიან ბევრს არ ჭამს, ცოტა ბალახი ყოფნის, თან მეზობლის საძოვრებზე ვაპარებ, ხორთუმით ბალახს ვაპარინებ, ან მე თვითონ ვიპარავ ბალახსო. თუ გამიგეს, მაშინ ნახე შენო... – იცინის...

– მაგ ფერმას არ ჯობდა შენი სახლიზა მიგეხედა?! – ვეკითხები.

– მაცალე ერთი რა, იცი შენ, იდეა მაქვს, ჩავიგდებ ფულს ხელში და რომ მქონდა სახლი, სამი იმხელა მინდა გამოვჭიმო!

– ვიცი ამის იდეა! – ალიკა ერთვება საუბარში, – ამას წინათ მოდის ჩემთან და ერთი აზრი მაქვსო – მეუბნება, უბრალოდ დაფინანსება მინდა, სულ რაღაც მილიონი დოლარი და ერთ თვეში მილიონი მრჩება და ვალსაც ვისტუმრებო...

– ა, გაუხსენი ახლა კაცს გული, გამყიდე ხო?!

– გაგყიდდი, ვინ არის რამეს მომცემი?!

– მაინც რა ბიზნეს იდეა გაქვს ასეთი?! – ვეკითხები მე სოსოს.

– გაქვს მილიონი? თუ გაქვს, გეტყვი!

– ვთქვათ და მაქვს!

– ვთქვათ და ასე სად არის! დამანახე მილიონი და გეტყვი იდეას!

– ბიჭო, ის პირველი მილიონია ძნელი, თორემ მერე იდეის მეტი რა მოვა! – იცინის ალიკა.

– არც შენ გაგანდო?!

– არა...

– მე მაქვს იდეა, ამაღამ შეიძლება მოგვშივდეს! – ამბობს ალიკა, – აბა ამოყარეთ რაც გაქვთ.

თვითონ ჩანთიდან კონიაკს იღებს, რომელსაც ოქროსფრად აწერია – „ენისელი“, ჯერ ერთს, მერე მეორე ბოთლს. ვითომ სულ კონიაკით გაიზარდა. მერე ოთხი ერთჯერადი ჭიქაც ამოაყოლა და დაშაქრული თხილი. ვეკითხები, მეოთხე ჭიქა რად გინდოდა-მეთქი? ხო იქნებოდა ვიღაც მეოთხე კუპეშიო. პლაცკარტი რომ ამეღო, მაშინ რას იზამდა, ერთი მაცოდინა. მე ვერცხლისფერ ქაღალდში გახვეული პური და კატლეტები ამოვალაგე, სოსომ კიტრს და პამიდორს ჯერ დოქტორსკი ძეხვი, მერე კი დასაკეცი დანაც ამოაყოლა და დაჭრა დაიწყო.

– წიწაკა გვაქვს? – კითხულობს ალიკა.

– რათ უნდა წიწაკა, სიდედრის ჩალაგებულია ჩანთაში! – ვცდილობ გავიცინო.

– კარგად ნახე, ბომბი ხომ არ არის შით!... – ალიკა აცინე, მეტი რა უნდა.

– კი აბა, ბომბის დასამზადებელ ფულს გაიმეტებდა ზუსტად ამიზა! – აჰყვა სოსო, – იცი, რა ძვირია?

– თამადა მე ვარ, არჩევნები საჭირო არ არის! – მისცა თავის თავს თანამდებობა ალიკამ და კონიაკს ასხამს.

უცებ კუპეში რადიო ჩაირთო და ნიაზ დიასამიძემ, „აბა რა ხდება“-ო, ასე რომ იწყება სიმღერა, ის დაიწყო. მერე კუპეში ორმა პოლიციელმა შემოყო თავი. ახალგაზრდა ბიჭები იყვნენ, გაშლილი პურმარილი და კონიაკის ბოთლები არ ესიამოვნათ და იმათაც იკითხეს „აბა, რა ხდებაო“. ამ ცხოვრების ანი და ბანი ეს არის რა, ყველას უნდა უხსნა რა ხდება, თორემ კონიაკსაც ვერ დალევ. რადიო ისე უცებ გაჩერდა, როგორც ამუშავდა.

– პროფესორი ალექსანდრე გოგუაძე, – წამოდგომა დააპირა ალიკამ, მაგრამ თავი იმ „კოიკას“ აარტყა, მეოთხე მგზავრი რომ იყო წამოწოლილი და ისევ დაჯდა, – ბიჭებო, ჩვენს ძმაკაცს ბებია გარდაეცვალა. ჰოდა, თითო გვინდა წავუქციოთ, თქვენც თუ შემოგვიერთდებით...

ვერ არის რა, კონიაკი არ ენანება!? კარგი და დათანხმდნენ. იმათმა – არა, სამსახურში ვართ, დალევა არ შეიძლება, არ იხმაუროთ და წესრიგი არ დაარღვიოთო. – ჭკუა დაგვარიგეს და წავიდნენ... ამათი დარიგებული რა ვთქვი, ანდა რომ არიგებ, ცოტა შენთვისაც ხომ უნდა დაიტოვო!

ჩვენმა კუპის თანამგზავრმა გამოგვხედა ზემოდან... ალიკამ კინაღამ რომ აანგრია თავით კოიკა, ეტყობა მაშინ გაეღვიძა. გადაგვათვალიერა და სანამ გვერდის შეცვლას გადაწყვეტდა, სოსომ მოიპატიჟა, – მოდი, ძამა, დაგვეწვიეო. თუ ხმა ამოიღო, ე. ი. მუნჯი არ არის... ეს ტიპი

უთქმელად ჩამოძვრა და სოსოს გვერდით დაჯდა, თან ხელი ხელს გადაუსვა, თითქოს იბანდა – უწყლოდ...

ალიკამ კონიაკის ჩამოსხმა გააგრძელა. მეოთხე ჭიქაც გამოგვადგა.

– შენი სახელი, ძმა! – სოსო კონიაკიან ჭიქას აწვდის მუნჯს...

– ვალოდია! – კიდევ კარგი, ლუკმა არ მქონდა პირში, აუცილებლად გადამცდებოდა, მით უმეტეს, „დოქტორსკი“ ძეხვი.

– ეუჰ, ეს არ გეთქვა და გესროლა რამე! – ამოიოხრა ალიკამ.

– გვარი გექნება კარგი... – სოსოს გააჩერებ აწი! ახლა ლენინიც რომ თქვას ამ ტიპმა, არ გამიკვირდება.

– ტუტინი...

– პუტინი?

– არა, ტუტინი...

– გვაშაყირებს ეს კაცი... – შემოგვხედა ალიკამ.

– არა, დას ვფიცავარ, როგორ გეკადრებათ, გაჩვენოთ პირადობის მოწმობა... – უხერხულად იშმუშნება ვალოდია. რაღა მაინცდამაინც დას, ჯერ არის დედა, მერე მამა... რას გაუგებ. მინდა ვკითხო, არადა, უხერხულია.

– არც პასპორტი გვინდა, არც მოწმობა. კაი, გვჯერა, შე კაცო... – სოსომ მხარზე ხელი დაადო.

– ხოდა, ჩემო ვალოდია, – კონიაკის ჩამოსხმას მორჩა ალიკა და ერთჯერადი ჭიქა ისე შემართა, თითქოს ყანწი ჭეროდეს. ალიკა თუ თამადაა, მისია ყველა უკვე, აგრძელებს – ახლა ჩვენც გაგეცნობით. ხო, სად მიდიხარ შენ?

– სამტრედიაში!

– უფ, გაიხარე, ესე იგი, დრო გვაქვს. ხოდა, სამტრედიაშიც მივდივართ ჩვენც, უფრო სწორად კი, ჯერ სამტრედიაში, მერე ჩახატოურში. ხო იცი ჩახატოური?

– ჩოხატაური რავა არ ვიცი!

– ხოდა, გვიჭუკჭუკია აბა სამტრედიამდე! ხო, პროფესორი ალექსანდრე გოგუაძე... – თქვა და ჩამოართვა ხელი. მერე ჩვენც გადმოგვხედა.

– სოსო, ძამა, – სოსოიამაც ჩამოართვა ხელი...

– დევიდ! – რატომღაც ინგლისურად ვთქვი მე. არ მოეწონა ჩემი სახელი მგონი, რაღაც ეჭვით მომაცქერდა.

– დევიდ კი არა, ტოლმა. დათოიეა, ბიჭო, აი, – „გაუიასნა“ ვითომ ალიკამ, – ხოდა, ხო გვიყურებ აგერ, ძმები ვართ ჩვენ. რა გაგიკვირდა, მკვიდრი ძმები კი არა, ისე ძმები, ხო ხვდები. ხოდა, კლასელებიც ვართ და ჩვენს კიდე ერთ ძმას და კლასელს ბებია მოუკვდა, ხო ხვდები?! მიხდი?!

ოურია თამადამ, საიდან უნდა მიხვდეს, თუ არ ეტყვი.

– აი, ნასვამია, – მიჩურჩულა სოსომ. ხო-მეთქი, – დავუქნიე თავი. – რო გადამეხვია, კი მეცა კონიაკის სუნი, მაგრამ იმდენი სუნია ქალაქში...

– ხოდა, თინა ბებია აცხონოს უფალმა, – თქვა ალიკამ და დალია...

– ამას თუ ამბობდი, ფეხზე უნდა გეთქვა, – თქვა სოსოიამ და წამოდგა. მე და ტუტინიც ფეხზე ავდექით.

– თინა ბებია მაინც ვერ დამინახავს და ვასოიას მე ვეტყვი ბოდიშს, – თქვა ალიკამ. ეტყობა წამოდგმის ეშინია უკვე.

– მაცალე ახლა მე, აცხონოს უფალმა, კაი ქალი იყო საწყალი, არ უნდა მომკვდარიყო წესით ჯერ, – თავი გადააქნია სოსოიამ, ნწუ, ნწუო თქვა და დალია.

– ხსოვნა იყოს! – შეთანხმებულივით ერთად ვთქვით მე და ვალოდიამ.

– საწყენად კი არ მიიღო, მარა, კაცო, მართლა ვალოდია გქვია და მართლა ტუტინი ხარ გვარად! – ცნობისმოყვარეობა არ ასვენებს სოსოს.

– კი, დას გეფიცები!

– რაღა მაინცდამაინც და, სხვა არ გყავთ ოჯახში!? – ძალიან უზრდელურად ეკითხება ალიკა. დიდი ზრდილობიანი არასდროს ვყოფილვარ, დიდად არ მეხატება გულზე ეს ვალოდია, თუ ვინ ჩემი ფეხებია, მარა არაა ლამაზი კაცს იმაზე დაუწყო ჩხუბი, დას რაზე იფიცებო. თან ჩვენ სამნი ვართ და თან სტუმარივით გამოდის ეს კაცი. ალიკა ძმა არ იყოს, გადავახევდი თავზე პროფესორის დიპლომს, თუ აქვს თან წამოღებული.

– არ მყავს სხვა, უპატრონო ბავშვთა სახლში გავიზარდეთ მე და ჩემი და! – თქვა ვალოდიამ.

რამდენიმე წამი უხერხულად ვიჯექით. მე ხველა ამიტყდა, უხერხულობის დიდი ლუკმა გადამცდა თითქოს. ალიკა წამოდგა და ისევ გლიჯა თავი საწოლს. მერე მივხვდით, რომ შეგვეძლო აგვეწია ეს მეორე „კოიკა“, მაგრამ ალბათ გაბზარული იყო უკვე, ან თავი ან კოიკა, თუმცა მაინც ავწიეთ.

– ხოდა, ჩემო ვალოდია, შენს დას გაუმარჯოს, შენი საფიცარი რომაა, ალბათ უფროსია და გზრდიდა, ხო?

– არა, ხუთი წლით უმცროსია ჩემზე.

– არა აქვს მაგას მნიშვნელი და მრიცხველი, შენს დას გაუმარჯოს! – თქვა და დალია.

ჩვენც დავლიეთ. კაია კონიაკი. გრძნობ, როგორ დაივლის ძარღვებს. ალბათ რაღაცის შემადგენლობას ცვლის სისხლში, კონიაკს რომ დალევ, ლამაზი გეჩვენება ცხოვრება. ჰოდა ვალოდია ტუტინი კი არა და, ვალოდია პუტინიც შეიძლება კაი კაცად მოგეჩვენოს.

ჩემი ტელეფონი რეკავს ამ დროს, ალბათ ისევ ცოლი. მოვენატრე. იქ არ ვიყავი, – წადი, დამასვენეო რომ მეძახდა? რა ცოლი, ვასო იყო, ხმამაღლა მოლაპარაკეს ვრთავ. ვიცი, დაიწყებს ლაი-ლაის, ამას ის უთხარი და იმას ის უთხარიო. ჰოდა, აჰა, ყველას ესმის, ვალოდია ტუტინსაც. წამოით უკვეო? კი, მატარებელში ვართ და თინა ბებიას ხსოვნის და ვალოდიას დის სადღეგრძელო უკვე ვთქვით-მეთქი. ვალოდია ვინააო, – ჩვენი კიდე ერთი კლასელის, ვეფხვიეს ხმა მესმის. ეტყობა, იქაც ხმამაღლა მოლაპარაკით გვესაუბრებიან. ვალოდია ვინ არის და ტუტინიო, – ალიკამ. აგენი უკვე კაი მთვრალები არიენ, რას გააგებიებ, პუტინი ელანდებათ უკვეო, – ვეფხვია ეუბნება ვასოს. იმან – რა ლოთები ხართ, ჩამოსულიყავით და აქ დაგველიაო, – არ ვართ, კაცო, მთვრალები, ორ-ორი ჭიქა კონიაკი ვლეწეთ ჯერ-მეთქი. – მეტი რა გინდათ, თქვენ ორიც გეყოფოდათო. ბიჭო, თებზის დამატება დაგვჭირდება საღამოს სუფრიზა, ვერ ვიშოვნეთ ჩახატოურში და ვერ მოვასწარი დარეკვაო. – ალიკამ, – შენ მაგაზე არ იდარდო, მატარებელს გავაჩერებთ და მტკვარზე დავიჭერთ, ოღონდ გვითხარი, რამდენი კილო გინდაო. – ათიო, – იმან. მტკვარზე დაჭერას და მაიმუნობას თავი დაანებეთ, სამტრედიაში რომ გამეივლით ხვალ დილით, თან წამეიღეთო – ყვირის იქედან ვეფხვია. ეტყობა, ნასვამია. ეს ვეფხვიაც ჩამოყალიბებული ლოთია, ყოველდღე მთვრალია, ისე ოქროს გული აქვს და, თუ დაჭირდა, ვინმეს შუაზე უყოფს.

– ბიჭებო, თევზი ჩემზე იყოსო, – ამბობს ამ დროს ვალოდია. მეგონა, მომეყურა. გაკვირვებული ვუყურებ. ლოქო ხო წავაო – აგრძელებს, ანუ არ მეჩვენება. წავა კი არა და გაშლიგინდებაო, – იქედან ყვირის ვასო. იმასაც ესმის. – მე თევზის ბიზნესში ვარ. მოკლედ, თევზის ამბავს მე ვკისრულობო, – ვალოდიამ. ვეფხვიამ, – ვინაა მაი კაციო? ხო გითხარით, ეს ვალოდიაა, ტუტინი-მეთქი. ვასომ, – სად ვთქვა სოფელში, თევზი პუტინმა გამომიგზავნა-თქო, ხო მომეჭრა თავიო, – კაცო, პუტინი კი არა, ტუტინი-მეთქი, – ვუსწორებ მე. ვეფხვიამ, – ხო იცი, ახლა მაგენი კაიფში იქნებიან, გამორიცხულია პუტინი იყოს მაგათთან ვაგონშიო. ვასომ, – მთავარია, თევზი ვიშოვნეთო. მერე ჩვენ გვეუბნება, – ფული ხო გაქვთ, გადაუხადეთ მაგ კაი კაცს და აქ მოგცემთო. რაის მომცემია, ისე ამბობს. – რაის ფულიო, – გაიგიჟა თავი ვალოდიამ. რას შობა მაინც კონიაკი! ერთი ნაჭერი „დოქტორსკი“ კალბასი არ უჭამია ამ კაცს და ათი კილო ლოქო აკისრებია. – აუ კაცო, რა კაი სახელს აფუჭებდნენ ადრე ლენინი და ახლა პუტინიო, – ჩაილაპარაკა სოსიკომ.

ამასობაში ტელეფონიც გაითიშა.

* * *

ალიკა წამოდგა, უკვე აღარ ეშინია, რომ თავს აარტყამს რამეს. ერთჯერადი ჭიქა შემართა და მივხვდი – დაიწყო. თუ იშტაზე მოვიდა, იმხელა სადღეგრძელოებს ამბობს, დაიწყებს და ბოლოში ავიწყდება რას ამბობდა...

– ჰოდა, ჩემო კარგო ხალხო, ერთი სადღეგრძელო მინდა შემოგთავაზოთ...

ვალოდია ყურადღებით უსმენს, იმან რა იცის, რა ელის. სოსიკო მე მეჩურჩულება, – გაზეთი არ გაქ რამე? სანამ აი სადღეგრძელოს დაამთავრებს, თვალს გადავავლებდიო.

– ...ერთ ქალაქში ცხოვრობდა ცოლი და ქმარი, – აგრძელებს თამადა, – ამათ ჰყავდათ ერთი შვილი. ჰოდა, რო მოსაღამოვდა, ცოლმა ქმარს უთხრა, კაცო, ჩაი ხო არ დაგველია, ბავშვი ბულკებზე გავაგზავნოთო.

ამან მთლად დაუბერა, რაის ჩაი და რაის ბულკია, კონიაკს ვსვამთ აგერ მშვენიერს, მაგრამ ეჩხუბები და შეიძლება უკონიაკოდაც დარჩე, მისი მოტანილია. რა გამახსენდა თან, მეშვიდე კლასში ვართ, არ მახსოვს ზუსტად, წყალში ჩავარდნილთათვის თუ ფუტკრით დაკბენილთათვის ოც კაპიკს აგროვებდნენ. ჰოდა, გაიგიჟა მაშინ ალიკამ თავი, ოც კაპიკად, ბიძია, ორი ბულკი მოვაო. ეძახე ახლა პროფესორი, ბულკებს ვერ გასცდა. აგრძელებს...

– მართლაც გაუშვეს ბავშვი ბულკებზე და მისცეს სამი ლარი: შვილო, აჰა, წადი და ათი ბულკი მოიტანეო. ბულკი იმ ქალაქში და იმ საფუნთუშეში ზუსტად ოცდაათი თეთრი ღირდა. წავიდა ბავშვი და მოიტანა პარკით ბულკები. ხო იცით, ქალი მაინც ქალია, დათვლა უყვარს და დაითვალა. აღმოჩნდა, რომ პარკში თერთმეტი ბულკია. გაბრაზდა ქალი, – ალბათ მოიპარეო, – შვილს ჩხუბი დაუწყო. ყურებზეც წაეტანა. ქმარმა, – დედაკაცო, ბავშვს თავი დაანებე, იქნებ გამყიდველს შეეშალა, შენ რა იციო... აბა, თქვენ მითხარით, რომელი იყო მართალი, ქმარი თუ ცოლი?

– რა თქმა უნდა, ქმარი, – ამბობს სოსო, – იმიტომ, რომ თუ ბავშვმა მოიპარა, გზაშივე შეჭამდა ამ ბულკს...

– კი, მეც ქმრის მხარეს ვარ... – ქმრის და სოსიკოს მხარე ერთად დაიჭირა ვალოდიამ... ახლა ყველამ მე შემხედა.

– რა მაინტერესებს, სიდედრი თუ იყო სახლში? – ვამბობ მე.

– არა...

– ბედნიერი ყოფილა აბა ის კაცი... ჰოდა, რისი სადღეგრძელოა – ბულკის? – დალევა მეჩქარება, თან ხომ ვიცი, ღია ჭიქაში ორთქლდება კონიაკი.

– გეტყვით, არადა, იმ საბულკეში თურმე ახალი წესი შემოეღოთ, თუ ათს იყიდდი, ერთს ჩუქნიდნენ, პრემიად. ანუ, რა მინდა ვთქვა... – სათითაოდ გადმოგვხედა ყველას ისე, თითქოს ჩვენ ვიცოდით, რა უნდა ეთქვა. ხომ ვთქვი, ალბათ დაავიწყდა უკვე, რა უნდა ეთქვა... აგრძელებს...

– ...მოდი, ნაჩქარევ დასკვნებს ნუ გავაკეთებთ და ჭეშმარიტებას გაუმარჯოს... ჰოდა, აგერ რომ არის ახლა ჩვენს გვერდით კაცი, თავიდან რომ ვიღაცა ისე კაცი მეგონა, თურმე ოქროს კაცი ყოფილა და მე ნაჩქარევი დასკვნა გამიკეთებია... ჰოდა, შენ გაგიმარჯოს, ჩემო ვალოდია, – თქვა თამადამ და დალია.

არ იყო საჭიროო, ისე დაიმორცხვა ვალოდიამ, თითქოს ხუთი წუთის წინ ქელეხის თევზი არ ეჩუქებიოს ნახევარი საათის წინ გაცნობილი ხალხიზა.

მე და სოსიკომაც რიგრიგობით დავლიეთ ყოველგვარი იგავ-არაკების გარეშე და ზანგმა „პრავადნიკმა“ შემოიხედა, ისევ წინწყაროს სიმღერით, თან ჩაამატა, – თეთრეული არ გინდათო? ამ შავ კაცს რა თეთრეული უნდა ჰქონოდა. თამადამ, – ჩვენ თეთრეულის ხალხი არ ვართ და ერთი ეს კონიაკი დაგვილიეო, – საკუთარი ჭიქა მიაწოდა. – ვერ დავლევ, არ შეიძლებაო, – იმან, – შეიძლება კონიაკის სუნი ამივიდესო და კანტროლი დადისო, – არა უშავსო, – ალიკამ, კანტროლი პირდაპირ ჩემთან გამოუშვი, იმათაც დავალევინებ და ვერაფერს მიხვდებიანო. რა გულუბრყვილო ხალხია ზანგები, დაუჯერა. აბა, რა სადღეგრძელოაო? – იკითხა...

ჩვენ ვასოს ბებიის ხსოვნის, ვალოდიას დის და თვითონ ვალოდიას სადღეგრძელო დავლიეთ და რაც შენს გულს გაუხარდება, შენ ის თქვიო, – ნება დართო თამადამ. ის გაკვირვებული იყურებოდა, აზრზე არ იყო, ან ვალოდია ვინ იყო, ან მისი და ან ვასო და მისი ბებია. თუმცა, არ დაიბნა: ჰოდა, მაშინ მოდი, თქვენ ნათქვამს გაუმარჯოსო, – თქვა და დალია.

ახლა სოსიკო ეკითხება: – ძამა, მართლა ზანგი ხარო? ამ აბდალმა ტყუილად ზანგი სად ნახა... – კი, მართლა ზანგიო, იმან... გავიცნოთ აბა ერთმანეთიო. – თურმე ისმაილა ჰქვია და კახეთშია დაბადებულ-გაზრდილი. ჩვენც გავეცანით. – ქართული კი იცი, მარა აბა ზანგური თუ იცი-მეთქი? – უცებ დამებადა კითხვა. – კიო, პოეტზე მეკითხები, ხოო? – კიო, კიო, პოეტზე გეკითხებაო, ალიკამ – იცინის. რაის პოეტი, ვფიქრობ. თურმე პოეტი ყოფილა, გვარად ზანგური. – მაგრად მომწონს, მაგარი ლექსები აქვს, გითხრათ ერთიო? – კაიო, დავაიო... – ალიკამ.

„ლამაზო, ფეხები მიადგი ერთმანეთს,
კაბის ქვეშ გიყურებს მთელი დედამიწა,
გვირილა გაკოცებს კანჭებზე ღმერთმანი,
შეგრცხვება, იცოდე და მე ვერ დაგიცავ...“

თქვა და ახლა ბრიგადირმა არ ჩამოიაროს, თორემ საყვედურს მეტყვისო და წასვლა დააპირა... – ეს ეროტიკული ლექსი რომ გვტყორცნე, ვითომ ეს რა იყოო, – უთხრა ვალოდიამ და ცხვირი გაუწითლდა, თუ მანამდე ჰქონდა გაწითლებული, არ ვიცი – არ შემინიშნავს. ისე, აშკარად ეტყობა, რომ ხასიათზე მოიყვანა კონიაკმა. – არა, ისე უბრალოდ მომწონს, რომ კაცი ქალს აფრთხილებს, დედამიწა გიყურებს ქვეშიდან და ფრთხილად იყავიო... – იცინის ისმაილა. სოსიკო ალიკას ეუბნება, – აქამდე დედამიწა ქალი მეგონა, ამ ლექსით კაცი გამოდისო...

ტელეფონი რეკავს. ანუ რადგან ტელეფონი მაქვს, აუცილებლად უნდა დამირეკონ. ისევ ვასოა. შენ ხარო? კი-მეთქი. აბა, ვინ უნდა ვყოფილიყავი. რა ხმაურია მანდო. შენ თუ იცი, დედამიწა ქალია თუ კაცი-მეთქი? – იქეთ დავუსვი კითხვა. ერთი წამით კუპედან გამოდი, არ მესმის შენი ხმაო. კარგი-მეთქი, ვეუბნები და ტამბურში გავდივარ. იქ ვიღაც პატარა ცხვირაპრეხილი ბაღანა დამხვდა ფანჯარაზე ჩამოპორწიალებული, მაიმუნივით. ნეტა, პატრონი არ ჰყავს. მარტო ხარო? – ვასო მეკითხება. – არა, ვიღაც პატარა რუსი ბაღანაა აგერ ფანჯარაში-მეთქი. – ვინ რუსი ბაღანაო, – მეკითხება. – აბა, მე რა ვიცი-მეთქი. შენ უთხარიო, – ვასოს ხმა მესმის ახლა. ეტყობა, ვეფხვიას ეუბნება. – რას შვებითო? – ახლა ვეფხვია მეკითხება. – რას ვიზამთ, კონიაკს ვსვამთ და ზანგი „პრავადნიკი“ ზანგურის ლექსებს გვიკითხავს-მეთქი. – რა ზანგი „პრავადნიკიო“, – ვასო მეკითხება. – მატარებელში „პრავადნიკი“ გინახავს-მეთქი? – კიო. – ზანგი ხო გინახავს-მეთქი? – კი, კინოშიო. – ჰოდა, ჩვენთან მატარებელში ზანგი „პრავადნიკია“, ვიღაც პოეტი ყოფილა, ზანგური და იმის ლექსებს გვიკითხავს-მეთქი. – ბიჭო, ხო გითხარი, ესენი დაბოლილებია, რეის თევზის ჩამომტანები არიენო, – ვეფხვია ეუბნება ვასოს. – რაის დაბოლილები, მხოლოდ ორი ჭიქა კონიაკი დავლიეთ-მეთქი. – ის პუტინი სად არისო? – ახლა ვასო მეკითხება. – არა, რა პუტინი, ტუტინია გვარად და ისიც ჩვენთან არის-მეთქი. – ბიჭო, არ გვასიაბანდებდეს, მართლა კისრულობს თევზსო? – ისევ ვეფხვიაა. – რავი, ასე თქვა და ხელწერილს ხო არ დავადებიებდით-მეთქი. – დააკვირდი ერთი, სიცხე არ ჰქონდესო. – რა ეჭვიანია ეს ვეფხვია. – ალაოდ ხო არ ხარ, ახლა სიცხის გასინჯვას ხო არ დავუწყებ, ან თერმომეტრი სად ვიშოვნო-მეთქი. გაითიშა ისევ.

ველოდები, იქნებ გადმორეკოს. ტელეფონს აწერია – „ლიმიტედ სერვისეო“, ანუ არ იჭერს. ის ბაღანა ისევ ფანჯარას ეპოტინება, ჩიქორთული რუსულით ვეკითხები: – მალჩიკ, კაკ ტებია ზავუტ? რაღაცა მითხრა, მატარებლის ხმაში ვერ გავარჩიე, მგონია ბერდიაულ. ვფიქრობ, ეს რა სახელია. მალჩიკ, კაკ ტებია დომა ზავუტ? – კიდევ ვეკითხები. პერტიაულ, – მეუბნება. ან პერტიაული რა სახელია, ვფიქრობ და მესამედ ვეკითხები – მალჩიკ, ა კაკ ტებია დრუზია ზავუტ? – მივახარჯე მთელი რუსული ზედ. ბიჭი ალბათ ფიქრობს, რომ ყრუ ვარ და ხმამაღლა და დამარცვლით – პე-რტია-რა-ულ. ახლა ვხვდები – პერტია რაული ყოფილა, არადა, რუსი მეგონა. მერე ქალმა გამოყო თავი კუპედან. – რაულ, ვ კუპე ზახადი, ნი შალიო! რა შუაშია შალი?! ააა, გამახსენდა, „შალიტ“ ცელქობაა. პერტია რაულმა, – სიჩას ბაბუშკაო, – კი უთხრა, მარა დიდად არ შეუწუხებია თავი, ისევ ფანჯარას ებღაუჭე-

ბა. თურმე ეს ქალი ბებია ყოფილა, ალბათ დედის მხრიდან. მივხვდი, ანუ გამოდის, ეს ქალი რაულ პერტიას მამის სიდედრია. აქაც სიდედრი. მერე ის ქალი გამოვიდა, ისე სქელი იყო, გამიკვირდა კუპეში რაფერ ეტევა-მეთქი. მე ეჭვით გადმომხედა, თქმით არაფერი უთქვამს, რაულს ხელი მოჰკიდა და კუპეში შეიყვანა.

ჩემი ბიჭის ამბები მახსენდება. კივილით დამხვდა ერთხელ ცოლი სახლში. რა გჭირთ-მეთქი, მიხედე ამ შენს მოჩხუბარ შვილსო. ვხედავ, ბიჭს დაბღოტილი აქვს ცხვირ-პირი. რა გჭირს, მამა-მეთქი. დოვუნგრიე ერთ კლასელს სახეო, უარესად აქ იმასო. არ მითხრა ვის ეჩხუბა, ან რაზე. სულ პატარა რომ იყო, ოთხი წლის, ერთ ზაფხულს სოფელში რომ ვიყავით, მეზობლის ბავშვი იყო გადმოსული ჩვენთან, შვიდი წლის. ეჩხუბა იმასაც რაღაცაზე და ჩაუგდია იმას წყალში. პატარა წყარო ჩამოდის ჩემს ეზოში და იმაში. დაინახა დედამისმა, გამოუცვალა სველი ტანსაცმელი. მივიდა ისევ იმ ბიჭთან. კიდე ეჩხუბა და კიდე ჩაუგდია იმ ბიჭს წყალში. მისულა კიდე ჩემი ცოლი, შეშინებულა და გაქცეულა ის მეზობლის ბავშვი, ეს კი ეტრაბახება დედამისს, – ნახე, რაფერ გავაქციეო! არადა, თვითონ იყო ისევ დასველებული...

ტელეფონი ისევ არ იჭერს. მეც ჩვენს კუპეში შევდივარ. კონიაკი... რაის კონიაკი. აქ ცხარე კამათი აქვთ გაჩაღებული...

– საყვარლები ჰყავთ, კაცო, თურმე. კაცი ოჯახს რომ უღალატებს, ქვეყანას რა ხეირს დააყრის იგი... – მე მეუბნება ისმაილა, თითქოს ჩემი ბრალი იყოს, ვინცხას თუ საყვარლები ყავს. ალბათ უცხოურ სერიალებზე საუბრობენ, მარა ქვეყანა რა შუაშია... მართალი ხარ-მეთქი, მე თავს ვუქნევ.

– ყველაზე ჭკვიანი ხალხია ჩინელები. სამოცწლამდე უფლება არ აქვს ადამიანს ქვეყნის მეთაური გახდეს, სამოცი წლის კაცი კიდე, სად გაგიგია, ქალს დასდევდეს? – ეს სოსიკოა, საიდან იცის ნეტა ჩინეთში რომელ წლამდე დასდევენ ქალებს.

– კაცო, რო გამოდიან ეს გაზეთები და რომ წერენ, ამ ქალს გაეკიდა და იმ ქალს გაეკიდაო, მოუწყონ იმპიჩმენტი. ერთხელ შეცდა კლინტონი მდივანთან და კინაღამ დაატოვებინეს პრეზიდენტობა! – საიდან აქვს ალიკას ეს ინფორმაციები, ახლა ვხვდები ვისზეცაა ეს პოლიტიკური დებატები...

– არაა, ძამა, საქმე ასაკში. თხუთმეტი წლის იყო დავით აღმაშენებელი, მეფე რო გახდა და ქალებიზა არ უდევნია, ქვეყნის მტერს დასდევდა აღმა და დაღმა, – თქვა ალიკამ.

– კაცი ქალს უნდა დასდევდეს, აბა კაცს? – ვბრაზობ მე, – რა არის შენ, გაგითავდა სიტყვა და კონიაკი?

– უბრალო კაცი რომ ხარ, სდიე ვისაც გინდა, პრეზიდენტი რომ ხარ, დოუკვირდე უნდა შენ სიტყვას და შენს საქციელს! – ცხარობს ალიკა. არადა, ვარდების თუ ეკლების რევოლუციის დროს მეორე პრეზიდენტი, თან გურული, რომ გაუშვეს სახლში და ახალს ირჩევდნენ, ძალად წამიყვანა სოფელში (იქ ვართ ჩაწერილები), ხმა არ დაიკარგოს, დიდი იმედი მოდის ხალხისო... კი ვეუბნებოდი, არავინ არ მოდის, ძამა, ხალხიზა, გზის ფული უნდა დამახარჯინო ტყუილადმეთქი, მარა ვინ დამიჯერა?!

– თამადას მინდა ერთი სადღეგრძელო ვთხოვო... – ამბობს ვალოდია და დგება. ა, კაცი, თანდათან უფრო მევასება ეს ვალოდია.

– თქვი, ძამა, – თანხმდება ალიკა. რას შვრება ლოქო?! აბა, ისე შანსი არაა სადღეგრძელო დაუთმოს ვინმეს, თან საკუთარ მოტანილ კონიაკზე...

– ჰოდა, ისმაილთან ვარ ალავერდს...

– ალავერდის მადლი არ მოგშლოდეს... – ფეხზე დგება ისმაილა...

– ჩვენი სამშობლოს სადღეგრძელო მინდა ვთქვა, – აგრძელებს ვალოდია, გაიგე ახლა ან ამის სამშობლო რომელია, ან ისმაილას, – საქართველოს გაუმარჯოს, ბიჭებო!.. – თქვა და დალია. შემრცხვა ცოტა, რა არ ვიფიქრე.

– საქართველოს გაუმარჯოს! – ამბობს ისმაილა და ტირის. ამისთანა გულჩვილი ზანგი თუ მენახოს, მოვკვდე რა... უცებ ვალოდიაც აცრემლდა. ახლა ალიკა დგება... ვიცი, ლექსს იტყვის – აკაციებზე.

„მივდივარ და მომდევენ გვერდით აკაციები,
ვხედავ აქაც იები, ვხედავ იქაც იები...
ცაო შენი ბრალია, მიწას რომ არ ატყვია,
ჩემი პატარაობის, მკრთალი ნაფეხურები,
ცავ, გაშლილო ჯეჯილად, ცად გაშლილო ჯეჯილო,
ვერა, მე ვერ გავძღები საქართველოს ყურებით“.

მერე, ასე გაუმაძღარმა, საქართველოს გაუმარჯოსო, დააყოლა და დალია... ახლა შეიძლება ისიც ატირდეს. ასეა, საქართველოს საღეგრძელოს რომ სვამს, ტირის. მერე ამბობს, თვალში რაცხა ჩამივარდაო. მათლაც ატირდა. ხო ვთქვი, ატირდება-მეთქი. შეენახა პაწა ცრემლი საწყალი თინა ბებიაზა. ან ახლა მაინც გადმოერეკა ვასოიას, ხო მეტყოდა, რას აკეთებთო, ვეტყოდი, ვალოდია ტუტინი, ზანგი ისმაილა და ალიკა ტირიან, რა მნიშვნელობა აქვს ვის ტირიან, თინა ბებოს თუ საქართველოს...

* * *

მართლაც დარეკა. ახლა უკვე ჩემით გამოვედი გარეთ. არ მიყვარს ეს სენტიმენტალური რაფსოდიები. ცრემლის ღვრა და პანაშვიდები, სოფელში რომ ჩავიდოდი, მაშინაც მეყოფოდა. ვასო რეკავდა, რას შვებითო. ვალოდია ტუტინი, ზანგი ისმაილა და ალიკე სულ პეშვებით ყრიან ცრემლებს, სოსიკო კი ამშვიდებს სამივეს, რო იცოდე, რა კაი ცრემლი მიყვება ბებიაშენს-მეთქი, – დავიწყე ბოდიალი. რას ღადაობო, – არ დაიჯერა. ახლა კუპეში რომ შემეგეხედა, ხო არ იტყოდი ამას-მეთქი. დამიპატიჟე ეს ხალხი გასვენებაშიო. – ვერ არი! ვალოდია კიდევ ხო და ისმაილა მატარებელს ხომ არ დატოვებს-მეთქი. ახლა ვეფხვია ყვირის, არ დატოვებს და თან წამოიღოსო. ისიც ვერ არი... კიდევ გაითიშა.

ტამბურში რაულ პერტიას მამის სიდედრს ვხედავ. ეტყობა, ვიღაცას ეძებს, ალბათ რაულს. – კაკ რაულ? – ვეკითხები. – ა ვი ატკუდა ზნაიტე რაულაო? – აქეთ მეკითხება. – მი სნიმ დავნიე დრუზია-მეთქი. ბებიამისმა, – ონ მენია ს უმა სვოდით, ვსიო კაკ ატეც, ზა ბაბამი ბეგაეტო... – ეტყობა, ვიღაც გოგოებთან შესულა კუპეში ეს რაული... მერე გოგოების სიცილის ხმაც მესმის, შევიჭყიტე გვერდით კუპეში, სახეგაბადრულ რაულს გოგოები ევლებიან თავზე... მალადეც რაულ, ა კაცი! – ეს მე დავამატე, გუნებაში...

კუპეში შევდივარ. თვალი კონიაკის ბოთლისკენ გამირბის. ასეა, თვალი იქით გარბის, საითკენაც უხარია. ვაკვირდები, აკლია. ჭიქებიც ცარიელია. რაღაცა უთქვამთ. ჩემს ჭიქაში კი არაფერი ასხია. რა მუხანათობა და ბოროტებაა. – ვინ იყოო? – ალიკა მეკითხება, – ჯერ ის მითხარით, რა დალიეთ-მეთქი, – არ მომისვენა გულმა. – კონიაკიო, – ალიკამ. ვითომ სხვა რამეც გვქონოდა დასალევი. არა, მართლა ვინ იყოო. აბა, ამათ რა უნდა ელაპარაკო, ერთი ჭიქა კონიაკი მომიტეხეს, – ვასო იყო და მთხოვა, აი კაი ხალხი ქელეხში დამიპატიჟეო. მოკლედ დაპატიჟებული ხართ-მეთქი – მოვილიე საქმე. ვალოდიამ – გასვენება როდის არისო? – ზეგ-მეთქი. ანუ, თუ უკვე თორმეტს გადასცდა დრო, ხვალ, ისე კი ზეგ-მეთქი, – სულ ავურიე. ასე იცის იმან, კონიაკის ჭიქას რო გამოტოვებ... თუმცა მორცხვი არ ვარ და – რა სადღეგრძელო თქვით უჩემოდ-მეთქი, – ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე მივახალე თამადას, – ცამეტი მაისისო. ხო ვამბობ, ვერ არი. რა შუაში იყო... ჯერ ეს ერთი, რომ დღეს ოცდაშვიდი ოქტომბერია, მეორეც და, თუ ცამეტი მაისისას ამბობ, პირველმა რა დააშავა... სულაც პარადებზე დავდიოდი მაგ დღეს და მიხაროდა... რატო წაართვეს მშრომელებს ეს დღე, ვერ გამიგია, ან რატო არავინ ამბობს არაფერს, ანუ ან მშრომელები აღარ დარჩნენ, ან რაიმეს მთქმელი ხალხი!.. – ესო, დინამომ თასი აიღოო, – თამადა მიხსნის... ქართველებს თასი უნდა აეღოთ, აბა, სხვა რას აიღებდნენ და თუ თასი აიღეს, იასნია, იმ თასიდან დალევდნენ. ჰოდა, აბა, დამისხი-მეთქი... იფ, რა წავიდა! რო დავლიე, – სხვა თასი არ აუღიათ-მეთქი?.. მომინდომა ამან ევერესტზე მოფსმაო, – ალიკე იცინის. აგრძელებს, – ისე, გამახსენდა კალათბურთელებსაც აქვთ ერთი თასი, ევროპულიო – ჰოდა, ახლა იმათიც ვთქვათო... ასე ერთჯერადი ჭიქებით ვთქვით მეორე თასის სადღეგრძელო... მერე ისმაილამ „გლესავ

და გლესავ ნამგალოო“, – წამოიწყო... – ვერ არის ეს კაცი, სად ნამგალი და სად თასი!..

მერე სოსიკო კოლმეურნეობების დროინდელ ანეკდოტს ყვება, ალბათ ნამგალზე თუ გაახსენდა: გურიაში ერთ კოლმეურნეობაში კრებაა, გამოაქვთ დადგენილება, ამერიკამ გამოიყვანოს ჯარი ვიეტნამიდან, ერთი კოლმეურნე – გურული, რა თქმა უნდა, წამოდგება და გაბრაზებული ეკითხება კრების თავმჯდომარეს, კი მარა, ძამა, აი დადგენილება წინა სხდომაზე მივიღეთ, ხომ კიო? – კიო, მივიღეთო... – დაუდასტურა თავმჯდომარემ. ჰოდა, თუ მივიღეთ, რავა, კიდო არ გამოუყვანია ჯარი ამერიკასო?! – ბრაზობს...

ალიკა ყვება, რაფერ გადირია ერთი გურული და თოფით დაჭრა მეზობელი. მოვიდა პოლიცია და მთელ სოფელში ყველას ჩამოართვა თოფი – დაჭრილსაც. ჰოდა, გაბრაზდა დაზარალებული, თუ ასე იქნებოდა საქმე, თოხი ესროლა იმ აბდალას ჩემდა და თოხებს ჩამოგვართუმდნენ, დევისვენებდი პაწას, აი თოხია რო მკლავს მე, თუ არა, თოფი რას მიზამსო...

მერე მეც ჩავარტყი ერთი ამბავი, ორი გურული რო ხვდება ერთმანეთს და საუბრობენ: რავა ხარ, ძამა? – ერთი ეკითხება, – გადასარევადო, შენ რავა ხარო? – ახლა მეორე ეკითხება... – მე გადვირიე უკვეო... – პირველმა.

ისეთი ხარხარია კუპეში, ვის დაუმტკიცებ ახლა, რომ გასვენებაში მივდივართ. კიდე კარგი, საწყალი თინა ბებია რას შეგვხედავს აწი და ვასოია არ გვიყურებს... ალიკე მეუბნება, – აბა, ის მოყევი, ბანკში რომ შედიოდი, მოძრავი კარები რომ არ გაიღო და შენ რომ ხელით გინდოდა გაღება. პოლიცია რომ მოვიდა და ხელების გადაჯვარედინებით რომ გაჩვენა დაკეტილიაო, შენ რომ პაროლი გეგონა კარების და ერთი საათი რომ უჩვენებდი კარებს გადაჯვარედინებულ ხელებს, იქნება გეიღოსო... მოყვა უკვე და მე რაღა მოვყვე!..

მერე მე ვეუბნები ალიკას, – აბა, შენ ის მოყევი, კარატისტებზე რო გადაცემა ნახე და ერთ გოგოს რომ ემარიაჟებოდი, მეც გავტეხავ აგურებსო, რო გლიჯე ხელი აგურს და მერე სამი თვე გიფსით რომ დადიოდი-მეთქი...

მერე ისმაილამ, – წავედი ახლაო, ხალხს უნდა მივხედოო... ა, კაცი, კიდე დარჩენილა ადამიანი, ხალხის მიმხედავი... გავაცილე კუპეს კარამდე და ზეგ, ანუ ხვალ ხო გცალია, დავაფასოთ თინა ბებია-მეთქი... კიო, არა, უფრო სწორად, არ მცალია, მარა უარი როგორ ვთქვა. გადავცვლი სმენასო... წავიდა. რო დავაკვირდი, მთლად სწორად ვერ გაიარა ტამბურში, მაგრამ წაქცევით არ წაქცეულა, ერთი მხრიდან ფანჯრები უშლიდა, მეორე მხრიდან კუპის კარები... ამ დროს რაულიც გამოძვრა გოგოების კუპედან. შავი კაცი რომ დაინახა, ეტყობა, არ მოეწონა და ისევ უკან შეძვრა... ასე შემეშინდა მეც თავიდან, ისმაილა რომ დავინახე, მარა ახლა შევეჩვიე. ძაან შავიც არ არი, უფრო შოკოლადის ფერში გადის... მაგარი იქნება, უნდა გადავრიო მეზობლები, რაღაც არ მახსოვს ჩვენ სოფელში ზანგი ყოფილიყო სტუმრად. ვასოიას პრესტიჟს ავუწევ. სოფელში ვიტყვი, ობამას ბიძაა, გაუგია თინა ბებიას ამბავი და შეწუხდა ძალიან, თვითონ ვერ შეძლო წამოსვლა და ა, ბიძა გამოუგზავნია-მეთქი... შეიძლება არ დამიჯერონ, მერე რა. მთავარია, ისმაილამ არ გამთქვას და არაფერი არ თქვას – თან ქართულად, თორემ იმაზე რა ვუთხრა ხალხს, ქართული საიდან ისწავლაო, რომ მკითხონ? არადა, მკითხავენ აუცილებლად... კაცს კიდე ხო არ ვეტყვი, ხმა არ ამოიღოს. ხო, მოვიფიქრე: ჩვენი პრეზიდენტი და მთავრობა, ამერიკაში რო დადის, სხვას კი არაფერს აკეთებს, ობამას ბიძას ქართულს ასწავლიან-მეთქი ვიტყვი, სულ იქეთ არ დაფრინავენ!.. მარა ერთია პრობლემა, ობამას ბიძა თურმე პოლიციას დაუჭერია ამას წინებზე, მთვრალი მჯდარა საჭესთან. მაინც რა ქვეყანაა ეს ამერიკა, აქ რომ გააჩეროს პატრულმა პრეზიდენტის ბიძა, ზვანიას და თანამდებობას კი არა, თავს დაატოვინებენ – ქუდიანად. თუმცა ობამას ბიძის ამბავი ეცოდინებათ უეჭველი... სოფელში რომ ჩავდივარ, აქეთ მახვედრებენ ცინცხალ და ცხელ-ცხელ მსოფლიო ამბებს, საიდან, არ ვიცი... მოვიფიქრე, ვიტყვი მეორე ბიძაა-მეთქი... ბიძების მეტი რა ეყოლება ობამას.

ტუტინი უნდა დავმალო ტუტინი რომ არის, თუ არა, დათვრებიენ და არჩიე მერე ტუტინია თუ პუტინი, შემეელახება ვინცხას. წესით კი უნდა დავიცვა – სტუმარია და მეც მიმაყოლებენ ზედ...

დილაა... მე მეორე კოიკაზე ვწევარ, პირველი ვინც მოვიძებნიე, ვალოდიაა. წევს და ფშინავს. არადა, ღამით სიზმარში ვნახე, თითქო ისევ კუპეში ვარ და ვალოდიას მაგივრად ჩემს მეზობლად, მეორე კოიკაზე თევზი წევს – ლოქო... ახლა კოიკაზე ისევ ვალოდია წევს... ქვემოთ სოსიკო და ალიკა... მატარებელი კი დგას... პატარა მაგიდაზე კონიაკის ცარიელი ბოთლები აწყვია, მოწყენილი... ფანჯარაში გავიხედე... წარწერას ვხედავ – „ბროწეულა“, ანუ ბროწეულაში ვართ, სოფელია სამტრედიამდე. ადრე აქ ბროწეულებიც დამინახია, ახლა არ ვიცი, არის თუ არა... კაია ბროწეული, კუპატს უხდება... წვიმს... თუმცა წუხელ საკმაოდ შევთვერი, მაგრამ მახსოვს, ვასოიამ და ვეფხვიამ სამტრედიაში დაგხვდებითო, რომ თქვეს...

სამტრედიაში ისე წვიმდა, გეგონებოდა, წყალი დარჩა მეზობელს ზედა სართულზე მოშვებული...

მართლა დაგვხვდნენ ვეფხვიე და ვასოიე მეზობლის დანჯღრეული ვილისით, ისმაილა და ვალოდია გავაცანით... მანამდე ვალოდია და ისმაილა შეთანხმდნენ, აქვე სადგურში შეხვდებოდნენ და ერთად ამევიდოდნენ სოფელში თინა ბებიას დასაფასებლად... რო წამოვედით, ვასო მეუბნება, – ძალიან შავია აი კაცი და ვინმეს გასვენებაში გული არ წოუვიდესო. გასვენებაში გული უნდა წოუვიდეს ვინმეს, აბა ისე სად გინახავს-მეთქი, დავაწყნარე. მთავარია, თინა ბებიას არ დაემართოს რამე-მეთქი... – წავუშტერე. აბა, თინა ბებიას რა დაემართებოდა აწი...

მერე ვალოდიამ სადღაც საწყობ-მაცივრებში მიგვიყვანა, ვიღაცა ფუშფუშა ქალს ათი კილო ლოქო ააწონია, ჩემს სახელზე ჩაწერეო, უთხრა... ვასოიე მეჩურჩულება, მადლობა რაფერ ვუთხრა ამ კაცსო, რაფერ და ქართულადმეთქი...

წამოვედით. გზაში ვასოიე ჯავრობდა, ბებიაჩემი ფოსტალიონად გამიხადეს, ვის რა დარჩა სახლში იქეთ წასულ მეზობლებს, ყველას უნდა ბებიამ წოუღოს, ზოგს თბილი ნასკი, ზოგს სათვალე, ზოგს კიდე საათი, თბილი ნასკი და სათვალე კიდე გასაგებია, მარა იქ საათი რაღათ უნდათ, ნეტა სად ეჩქარებათო... რა იცის ვასოიამ, იქ რა ხდება, აქ თუ ჭირდებათ საათი, ვითომ იქ რატომ არ დაჭირდებათ...

ავედით სოფელში... გამოდარებული დაგვხვდა. სეფის გაშლას ამთავრებდნენ მეზობლები... თევზი მზარეულს ჩავაბარეთ... მისამძიმრებ-მისალმებები გავიარეთ... დედაჩემი სხვა მეზობელ ქალებთან ერთად საინებს რეცხავდა... დედა, უნდა მოკვდეს ვინმე ან ცოლი უნდა მოიყვანოს, რომ გნახოო?! საყვედურით ამავსო... ბაღნები და ცოლიც წამოგეყვანაო. კიდე კარგი, სიდედრი არ მითხრა... კლასი აქ ბაღნებს-თქვა, გავიმართლე თავი... ცოლი წამოგეყვანაო, იმასაც კლასი აქვს-თქვა. მართლა ასეა.

დაპირებული ვარ დედაჩემზე, ბაღნები კლასს რომ დაამთავრებენ, ცოლსაც დავამთავრებინებ კლასობანას, მოვკიდებ ხელს და სულ აქ ჩამოვალ-მეთქი... დაბარებულივით ცოლმაც დარეკა ამ დროს, რა შვებიო... ა, ელაპარაკე ნენას, ის გეტყვის თქვა... ტელეფონი დედაჩემს დავუტოვე და ბიჭებს გავყევი, ვეფხვიასთან საქმეა პატარა და იქ მივდივართო, ალიკა ხელებით მანიშნებდა...

რა საქმე უნდა ყოფილიყო, ალბათ გადმოსატანია რამე ვასოიასთან-თქვა... ასეა, თუ რამე შემთხვევაა, ერთ ოჯახში იყრის თავს მთელი სოფლის ჭურჭელი, მაგიდები და ბრეზენტი... ვეფხვიას ჩვენი კლასელი ჰყავს ცოლად, ნესტანი... რომ მივედით, სუფრას შლიდა... ბიჭო, რაის სუფრაა, გადავიტანოთ თუ რამე გადასატანია-მეთქი, – ვამბობ. მართალი ხარ შენო, – ვეფხვია მეუბნება, – უნდა გადევიტანოთ ეს ამბავი რამენაირად, დაჯექი ერთი, თუ კაცი ხარო და დამადო უშველებელი ტორი. ნუ დაჯდები, თუ ბიჭი ხარ!...

იქედან ჩემთან სახლში სოსიკომ წამომიყვანა, თუ მე წამევიყვანე სოსიკო, არ მახსოვს... სო-

სიკომ თავის ოთახში დაიძინა (მისაკუთრებული აქვს ერთი ოთახი)...

მერე ზუსტად არც მახსოვს, მე მიკითხავს, – დედა, მამა სად არის-მეთქი... არადა, მამაჩემი უკვე ხუთი წელი იქ არის, სადაც ახალ თინა ბებია მიემგზავრება... ის მახსოვს, დედაჩემი მეუბნებოდა, რაფერ გიძლებს შენი ცოლი, სულ მთვრალი იყვეს ადამიანი, შეიძლებაო?!

დილით თავი მისკდება... არ იცის ვეფხვიამ ღვინის დაყენება... ბომბივითაა, ოღონდ შენელებული მოქმედების, პირველ დღეს კაია რო სვამ, აფეთქებით მეორე დღეს ფეთქდება, თან ტვინში... ალიკას თავი გვერდზე გადაუგდია და სძინავს... ე, ბიჭო გაასვენეს ქალი, თან ისმაილა და ვალოდია ამოსულან, – ვატყუებ, – სირცხვილია, მოგვეჭრა თავი-მეთქი და წამოხტა. არადა, თერთმეტი საათი იყო ჯერ...

ვასოიასთან რომ გადავედით, მომპატიჟებლები, მესამარეები, სუფრის მომსახურე ხალხი, მერიქიფეები, ეზოდან გასვენების წინ სიტყვით ვინ გამოვიდოდა – თავკაცს დანიშნული ჰყავდა უკვე ყველა. მე და ალიკას დაგვევალა მესამარეებთან სადილის ატანა...

სოფლის სასაფლაო გორზეა... სულ რამდენიმე წუთის სავალია, მარა მთელი ცხოვრება ამ სავალიზა მზადებაა კაცის... ეს გორა ყველა სახლის ეზოდან ჩანს. თუ ვინმეს მოენატრება იქ წასული, პირდაპირ ეზოდან ან ფანჯრიდან ელაპარაკებიან. ასე მგონია, იქეთ წასულებიც ასე უყურებენ თავის სახლ-კარს და დანატოვარს...

რომ ავედით, ამთავრებდნენ უკვე საქმეს... ალიკამ ჩახედა სამარეს და არ მოეწონა სიღრმე, ეს არ ეყოფა, კიდე გათხარეთო, – ვინ ეკითხებოდა. ვითომ რაც იყო ამოთხრილი, იქედან ამოხტებოდა საწყალი თინა ბებია, თუ რაი?!.

უკან რომ დავბრუნდით, ისმაილა და ვალოდია დაგვხვდნენ. ასეთი სიტყვის კაცი არც აფრო-ამერიკელი და არც რუსი არ მყავდა ჯერ ნანახი. რიგ-რიგობით მოდიოდნენ მეზობლები და ხელს ართმევდნენ...

– ნენა, რეიზა მიდიხარ, ნენაა, რა ხალხი მევიდნენ, ნენა, ამერიკაც აქ არის, ნენა და რუსეთიც, ახლა მიდიხარ, ნენაო – ტიროდა ვასოიას მამიდა. ეტყობა ვასოიას ეთქვა ისმაილაზე და ტუტინზე...

პანაშვიდზე გული არავის წასვლია, ისე ერთი-ორი მეზობელი კი მოვიდა და ისმაილაზე მკითხა, მართლა ზანგიაო. არა, შეღებილია-მეთქი...

დადგა გამოსვენების დრო. ძირითადი გამომსვლელი ისე იყო მთვრალი, სიტყვა ეთქვა კი არადა, ენას ვერ აბრუნებდა პირში, გინდ ჰქონოდა, გინდ არა, ლუღლუღებდა რაცხას... თავკაცმა ალიკას უთხრა, შენ ხარ პროფესორი და თქვი რამეო... დეიმორცხვა იმან, არ ვარ მომზადებულიო. მარტო ჭიქა რომ აქვს ხელში, მაშინაა მზად და გეიკრიფება ენად.

კლიმენტიეა ერთი, ადრე რკინიგზელი იყო, ახლა პენსიონერია. ცალი ფეხის ტერფის ნახევარი არ აქვს, მატარებელმა გადაუარა (რაფერ მოახერხა). მერე კი მოირჩინა ის ნახევარი ფეხი, მაგრამ რად გინდა? ბალზე იყო გასული, გადმოვარდა და სამი დღე კომაში იყო. მოუვლია ის ქვეყანა, არ მოწონებია და დაბრუნდა უკან. მაგარი კაცია ეს კლიმენტია, ნიჭიერს ეძახიან სოფელში, იმიტომ რომ ზარმაცია. ხო ამბობენ, ყველა ქართველზე, ნიჭიერია და ზარმაციო. კლიმენტიას ნიჭიერებაზე არაფერი გამიგია, აი, ზარმაცი კი ნამდვილად არის. რაც ნახევარი ტერფი არ აქვს, ხელჯოხით დადის. ავტობუსში ასულა ერთხელ და ხელჯოხით რომ დაუნახავს, დაბრძანდითო, ამდგარა ვიღაც კაცი. არა, ვერ დავჯდები, მეზარებაო. რა გეზარებაო, იმას უკითხავს. მერე ადგომაო, – მას უპასუხია. მე მგონია, ფეხი ედო ლიანდაგზე, გამოწევა დაეზარა და იმიტომ გადაუარა მატარებელმა – აბა ვის უნახავს, კაციზა მატარებელს ნახევარ ტერფზე გადაევლოს. ჰოდა, მე გამოვალ სიტყვითო. უარს რავა ეტყოდა ვინმე, მით უმეტეს, ერთნახევარტერფიან და იმ ქვეყანაში უკვე ნამყოფ კაცს... თინა ბებია, თინა ბებიაო, ორჯერ თქვა – ალბათ უფრო კარგად რომ გაეგო – შენი გამომცხვარი ხაჭაპური მომენატრება და შენი მოწოდებული არაყი და თხილიო. იქ არ იყო, რას

მორბოდა აქეთ? ჩავიდოდა თინა ბებია და დოუცხობდა ხაჭაპურებსო, – ალიკე მეჩურჩულება. სიტყვა თუ გინდოდა, გითხრეს და გეთქვა-მეთქი, მე ვუთხარი, – მარა ღვთის განგება ყოფილა ამფერი, – აგრძელებს კლიმენტია, – დაფასებული ქალი იყავი და ახლაც გაფასებს მთელი დუნია, მოგყვება უკან ამერიკა და რუსეთი, ობამას ბიძა, ვალოდია პუტინი (აქ აურია), ნათესაობა და მთელი სოფელიო... მოკლედ, არ დაგვტია არავინ აქეთ, ყველა გაგვაყოლა თინა ბებიას... ვინც მიხვდა, რა თქვა, ვერ შეიკავეს თავი და ატყდა ფხუკუნი ხალხში...

წავიდა მერე მთელი ხალხი და პროცესია აუყვა აღმართს პატარა გორისკენ, პატარას რომ ეძახიან და ყველაზე დიდი რომაა...

– ნა დაროგე სმერტ, პოსლე პასადკაო, – ანუ ჯერ გასვენება და მერე კიდო ჯდომა იქნებაო, ხალხს ისმაილას და ვალოდია ტუტინის ხათრით რუსულად პატიჟებდა კლიმენტიე – ინგლისური არ იცოდა...

* * *

ავედით. ალბათ, ბავშვობაში რამდენჯერ ვუტარებივართ თინა ბებიას, ახლა ჩვენ ვატარეთ – სასახლით. რამდენიმე აღმართია ასავლელი. ხშირად ვენაცვლებოდით ერთმანეთს, ტუტინი და ისმაილაც გვეხმარებოდნენ... გავუსწარით უკან მომავლებს. აღმართზე ხნე ხალხს უჭირდა სწრაფი სიარული და ჩამოგვრჩენ. ერთი-ორი კი იყვირეს, დაგველოდეთო, ვინ მოისმინა... ავედით სასაფლაოზე. დავასვენეთ სამარის გვერდით ჩვენი ბავშვობა და მოგონებები. ველით სხვებს, ბოლო სიტყვა უთხრან და დაემშვიდობონ. მე მამაჩემის საფლავზე გადავედი. დასუფთავებული ჰქონდა ნენას, რაფერ ხარ, მამა-მეთქი, ჩუმად გავესაუბრე სურათს, მოვეფერე... მერე მივბრუნდი ისევ...

რა არის, ბიჭო, ესო, მაღაროა თუ საფლავიო?! – ვასო ეკითხება ერთ მესამარეს. ეტყობა, ჩახედა საფლავს და ფსკერს ვერ უწვდინა თვალი. ეს ისე, ხმადაბლა, მარა მე ხო მესმის. იმან – ეცი ახლა კაცს პატივი, გოუთხარე სამარე, გოუთხარო კი არა და გათხრილი უნდა ამოუვსო მიწითო. ალიკას გავხედე. იმან მზერა ამარიდა და ირგვლივ მთებს დაუწყო თვალიერება, თითქოს პირველად ხედავდა. ერთი დიდი მთა – მიწის იქვე იყო, საფლავის გვერდით, ფენა-ფენა სხვადასხვა ფერის, სიმაგრის და სხვადასხვა წონის ოფლნაპკურები. განძს ეძებდით? ამოხტებოდა ბებიაჩემი ზეით თუ რაო, – ისევ მესამარეების გასაგონად ბურტყუებს ვასო. მე ვაწყნარებ, არც ისე ღრმაა-მეთქი. თუ არაა ღრმა, შენ უნდა ჩაგაგდოს კაცმა შითო, – მთლად გააბდლდა. რეის ჩამგდებია, ბაღნობაში სულ ვერეოდი, არა მგონია, ახლა მომერიოს. თინა ბებიას რიდი მქონდა, თუ არა, გავიგდებდი წიხლქვეშ. კაი საყურებელი კი ვიქნებოდით, ახლა რო დაგვეცხო ერთმანეთიზა. – გაჩერდით, სირცხვილიაო, – ალიკა გვამშვიდებს, ვითომ თვითონ არ ყოფილიყოს დამნაშავე, თინა ბებია რჩება უსაფლაოდ თუ არა, ალიკაა ჩასაგდები შიგნით და წააყარო უნდა მიწა. ვინ ეკითხებოდა ამას სამარის სიღრმეს და ზომას... ვასო თინა ბებიას ჩაეხუტა, სად უნდა ჩაგასვენო ბებიაჩემოო?!

გროვდებიან აღმართზე ამოსვლით დაღლილი ჭირისუფლები, თინა ბებიას ბოლო გზაზე გამცილებლები. ვასო მეუბნება, ჩემი ტელეფონი ხო არ იციო, არა-მეთქი... შენი მათხოვე, ზარი გავუშვაო. ჯიბეები მოვიჩხრიკე, ვერ ვიპოვე, არც ჩემი ვიცი-მეთქი. მერე გამახსენდა, ცოლი რომ რეკავდა და დედაჩემს დავუტოვე, ალბათ ისევ ლაპარაკობენ. ვასო ახლა ალიკას ეუბნება, ჩემს ტელეფონზე ზარი გაუშვიო... იმანაც გაუშვა...

ზარის ხმა ისმის... საიდან, ვერ ვხვდებით. ვასო მეჩურჩულება. მგონი ვიღაცამ ტელეფონი ამომაცალა, იმ ვიღაცას ახლა ღრანჭში მოხვდებაო. კიდევ რო გაუშვა ალიკამ ზარი – მერეღა მივხვდით, თინა ბებიასთან იყო ტელეფონი. ეტყობა, ვასო რომ ჩაეხუტა, მაშინ ამოუვარდა. აბა, თინა ბებია ამოცლით ვერ ამოაცლიდა. ჰქონდეს, იქნებ როგორ ჭირდება-მეთქი. ერთი წამით დაფიქრდა, მერე მეუბნება ვერა ხარ შენო, კიდევ ერთხელ ჩაეხუტა განსვენებულს, ტელეფონი აიღო და ჯიბეში ჩაიდო. არადა, გა-

დაყოლი იყო თინა ბებია ვასოიაზე, ახლა ერთი უბადრუკი ტელეფონი ენანება...

ამასობაში მოიყარა ყველა ჭირისუფალმა თავი. კიდე უთხრეს რამდენიმე მოკლე სიტყვა, ეჰ, ეჰ, ეჰო – თავი გადააქნიეს და მივაბარეთ თინა ბებია მიწას. სამი მუჭა თბილი მიწა მეც დავახურე თბილ საბნად და წამოვედით. კლიმენტიე აფრთხილებს ოჯახის წევრებს – სასაფლაოდან ტირილი არ წეიყოლოთ და უკან არ მეიხედოთო...

მოვდივართ უკან. ტუტინი და ისმაილა ხელებს შლიან, – რა სილამაზეა, აქ კაცი რაფერ უნდა მოკვდესო. მე კლიმენტიე ამომიდგა გვერდით, დიდი კაცი ხარ ახლა შენ და საქმე მაქვს შენთანო. რომელი დიდი კაცი მე ვარ, მაგრამ ერთხელ ხუმრობით ვთქვი სოფლის ბირჟაზე, ქალაქის გადაზიდვების მენეჯერი ვარ-მეთქი, ის არ დამიმატებია, კაჭკით რო ვაწარმოებ გადაზიდვებს. ახლა მეზობლებს დიდი კაცი ვგონივარ. ის უკვირთ, ტელევიზორში რომ არ მიწევს გამოსვლა. ამ კლიმენტიამ იმის მერე, რაც ნახევარი ტერფი დაკარგა და კომაში იყო, სამი წელი საფრანგეთშიც მოასწრო ყოფნა. რადგან სახელში „ჟ“ ასო არ მაქვს, ვითომ რატო არ უნდა მცენ ფრანგებმა პატივიო... არ ვიცი, იქ ფრანგებმა კლიმენტიაში რა ნახეს, მაგრამ საფრანგეთის მოქალაქეობა და 800 ევრო პენსია მომცესო, ბინასაც მაძლევდნენ და წამოვედი, ჩემი სახლი და წყაროს წყალი მომენატრაო...

ჯერ ეს მითხარი, მართლა საფრანგეთის მოქალაქე ხარ-მეთქი... კიო, სახლში მაქ პასპორტიო, იქაურ საპასპორტოში თუ სოციალურ სამსახურში ფრანგი-უზბეკი შემხვდაო, საბჭოთა კავშირის დროს ქუთაისში უმსახურია ჯარში, რო გაიგო, ქართველი ვიყავი, გააბდლდა კინაღამ სიხარულით, ასე მითხრა, საქართველოში ხუთი სანტიმეტრი გავიზარდეო, საქართველო უზბეკეთივით მიყვარს, პასპორტს რავა დაგიკავებო... – საქართველო და უზბეკეთი თუ უყვარს, საფრანგეთში რა უნდა-მეთქი. ეს არ ვიციო. პასპორტი რამდენი სანტიმეტრია-მეთქი. ეს არ ვიციო... აბა, ის თუ იცი, საფრანგეთის მოქალაქე თუ ხარ, საქართველოს მოქალაქეობას რომ წაგართმევენ-მეთქი. არც ეს არ ვიციო... – სათხოვარი მაქვს შენთან, პრეზიდენტთან მიმეგზავნე, სამასი ევრო მინდა პენსიაო. იცი, საფრანგეთში რამდენია, რვაასიაო და აქ მე სამასზეც თანახმა ვარო...

მთვრალია კლიმენტია. ამას ალბათ დეპუტატი ვგონივარ. გამაგებინე, მარტო შენ გინდა სამასი ევრო, თუ ყველა პენსიონერიზა ცდილობ ამ ამბავს-მეთქი. კაცო, სხვის ამბავს რას ვჩივი, ყველამ თავის კოჭლ მამიდას მოუაროსო... მეო კოჭლი რომ ვარ ნახევარი ფეხი რომ არ მაქვს, იმიზა მინდა პენსიაო... იციო, აქო ბანკში კინაღამ მცემესო, პენსია რომ მოვითხოვე სამასი ევროო... მარტო მაგისთვის არ გცემდნენ, რაცხას კიდე დააშავებდი-მეთქი... სიცილი დაიწყესო, მერე-მეთქი და... მერე ვაგინე ყველასო, აგული ერისთავივით მეუბნება. აბა, თუ აგინე, კიდე კარგად გადარჩენილხარ-მეთქი. მე კი გადავრჩი, მაგრამ ამ ინვალიდ კაცს რომ ცემას მიპირებდნენ, არ შერცხვათო?! კი, შერცხვათ, დაიწვნენ სირცხვილით-მეთქი...

მომიყევი ერთი, რა ხდება საფრანგეთში-მეთქი. გაწიე იქითო, რა ჭუჭყიანი ქალაქია პარიზი, ეს ეიფელის კოშკი კი ისეა დაჟანგებული, შემეცოდაო... ერთი ძველი ანეკდოტი მახსენდება, ორი გურული რომ საუბრობს – პოლიტიკაზე, რა თქმა უნდა, თან ერთი რო თხოვს მეორეს, დამიტოვე მაი პრიმაო, გემრიელად რო გააბოლებს და მერე რო ეკითხება, რაო, რა თქვა იმ მათხოვარმა რეიგანმაო... მოვუყევი აი, იცინის... აია ცხოვრება, წეღან თინა ბებია გავაცილეთ, ახლა ვიცინით. აგრძელებს, იცი რა უსირცხვილოები არიენ? გაჩერებასთან ვდგავარ და ინდოელი ქალი იდგა, მოფსმა მოუნდა, აიწია კაბა და მოფსაო... – შენ რა იცი, რომ ინდოელი იყო? – ვიცი, შუბლზე უშველებელი ხალი ქონდაო... – თუ ინდოელმა ქალმა მოფსა, ფრანგებმა რა დაგიშავეს-მეთქი? – მე კი არ მინახავს, მარა ალბათ სხვაც ასე შობაო... მერე ყვება, – საჭმელს მეორე დღისთვის არ ინახავენ, თუ რამე რჩებათ, ყრიანო... – და რატო ყრიან, მათხოვრებს დაუ-

რიგონ. ააა, ალბათ მათხოვრები არ არიან-მეთქი... – კი, როგორ არ არიან, მაგრამ არ შეიძლება მათხოვარს ის მისცე, რაც შენ არ გჭირდებაო, ნაგავში არ იქექებიან იქო...

ჩამოვედით ამასობაში ვასოს ეზოში. ჭიშკართან ორი ბაღანა დაგვხვდა, ხელში ღვინონარევი წყლით სავსე დოქით და პირსახოცით... ისმაილამ და ტუტინმა მეიკლეს თავი, გვეჩქარებაო... ვინ იყო გამშვები... სანამ თამადამ წასულების შვიდი სადღეგრძელო არ მეილია და მერვე ის არ თქვა, აწი ვინც მოკვდება, იმათი ხსოვნაც იყოსო, ანუ ჩვენც, ცოცხლებიც გაგვრია პოტენციური მკვდრების ამარაში, მანამდე არ გაგვიშვია არც ერთი... კაი შეჟუჟუნებულები იყვნენ უკვე, ერთი მეზობელი მანქანით სამტრედიაში მიდიოდა და იმას გავატანეთ ორთავე...

მეც კაი მთვრალი ვიყავი უკვე... ალიკას ვუთხარი, წევიდეთ-მეთქი. არაო, წაი და ჩემით მოვალ, ხო ვიცი, სადაც უნდა დავწვეო...

ნენა სახლში დამხვდა. ჭადს აცხობდა ფეჩზე და ჯვარს აკეთებდა ზედ. როის ბრუნდები, ნენა, უკან, რაი გაგატანოო, – მეკითხება... რა მინდა, დედა, თბილისში, წამევიყვან ცოლს და ბაღნებს და ჩამოვალ-მეთქი. ინდოურები გავზარდოთ, იცი რა ღირს თბილისში, ას ლარზე ავიდა უკვე ფასი-მეთქი, – ვბჟუტურებ რაცხას მთვრალი და გაშტერებული. – კაი, შვილო, ასე ქენი, ოღონდ ახლა დაიძინეო, ცოლი და ბაღნები გირეკავდნენო... მეც მინდოდა დარეკვა, არ მქონდა ანგარიშზე... თბილისში რო ჩავალ, პირველი, რასაც ვიზამ, ცეცხლი უნდა წავუკიდო კაჭკას, მერე მოვკიდებ ხელს ბაღნებს და ცოლს და სოფელში ჩამოვალ. კლიმენტიეზე ნაკლები რით ვარ, კაცი საფრანგეთიდან დაბრუნდა... მეცინება, ჩემი ბიჭის სადღეგრძელო გამახსენდა, სამი წლის არ იყო მაშინ და ერთხელ, ახალი წლის სუფრაზე, სადღეგრძელოს ამბობს, – იმ კაცს გაუმარჯოს, რო დალევს და საკუთარი ფეხით სახლში ვერ წავაო. მამა, ვეუბნები, იმ კაცმა რა დააშავა, ვინც საკუთარი ფეხით მივა სახლში? ის კაცი უფრო ცოდოა, ვინც ვერ წავაო, მარა შენი ხათრით იმათაც გაუმარჯოს, ვინც წავაო. არ დატოვა არავინ სახლის გარეშე... ალბათ ჩემი ბაღანას ლოცვამ თუ მომიყვანა სახლში...

ᲨᲝᲠᲔᲜᲐ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ

* * *

(ლაზია)

რაკანებზე ოდა მიდგას,
სინორს[1] გასდევს ვაზის რიგი,
მხოლოდ ერთი კოცნა მინდა,
ნეტავ, რა მაქვს მოსარიდი.
წისქვილის წყლით ნაპირს ჩაველ,
ნაპირთან დგას თეთრი ნავი,
ტალღა ჩემსკენ მონარნარებს,
ნავსაც ანანავებს ქარი.
რაკანებზე სახლი მიდგას,
სინორს აქეთ ბაღებია,
სინორს მიღმაც, ოდა რომ დგას
მუხის ძელით ნაგებია.
დაღამდება, შენზე ვდარდობ,
გათენდება, შენთან მინდა,
ზღვაში მზე რომ ჩაბრუნდება,
იქაც მუხის სახლი მიდგას.
მოდი, დარდი გამიქარვე,
რას დაეძებ ცას ან კარავს,
და იმ ნისლებს გამოჰყევი
რაკანებზე[2] სახლს რომ ფარავს.

* * *

ოჰ, ღმერთო, ნისლი კი არა,
თეთრი ირმების რძეა,
გაღმა, ფიჭვების ტევრში,
ანგელოზების დღეა.

---

[1] სინორი – თურქ. საზღვარი. იყენებენ აჭარულ დიალექტსა და ლაზურ ენაში.
[2] რაკანები – ლაზ. მთის ფერდი.

მე რა გიშველო სიზმარო,
ხარ შენი გზებით მდენარი,
სადღაც, გულს იქეთ, სარკმლიდან,
თეთრი ნისლების მცქერალი.
მე გამოღმიდან შეგნატრი,
შენ გადაღმიდან მტირი,
ვინ გამოუღებს დარაბას,
ჩემს უსაშველო ტკივილს.
ოჰ, ღმერთო, ნისლი კი არა,
თეთრი ირმების რძეა,
გაღმა, ფიჭვების ტევრში,
ანგელოზების დღეა.

* * *

ჭიანური უკრავს სადღაც,
სადღაც გარინდულა მტერი,
სერზე ქარი დათარეშობს,
ქარში: სევდა ძველისძველი,
წყალი მოწანწკარებს რუში,
ჩემი გულის გამომცდელი,
არც კრავია წისქვილებთან,
ჭალაშიაც არ ძოვს ცხენი,
ერთი სოფლის განაპირას,
სერზე მიდის სამი მგელი.

* * *

რაი ვთქვა, ჩემო სწორფერო,
წახვალ, იანი ჭკნებიან,
დაბრუნდები და ყოილნი,
თავისით აყვავდებიან.
ჩამაივლიან ნისლები,
მანდილს ხევებში ჩაჰფენენ
თივთიკის კაბა-ჯუბასა
იალაღებზე გაჰფენენ.
გაიშლებიან მინდორზე,
ცვარ-ნამად დაიშლებიან,
ნანდაურისა ხვევნითა
არასდროს დაიღლებიან,
ნეტავ, მეც ნისლად წამიღო,

არხვატის ხევებს ჩამფინა,
ჩემითა ნაჭრელაითა
იალაღებზე დამფინა.
დამაფერინა ხმალ-ფარი,
მკლავს თავი დამადებინა,
ამ სოფლის ჯავრი, ტიალი,
იმ სოფლად წამაღებინა.

* * *

გამოგიჩენ ბროლის ყელსა,
მოხვალ, მომეგურგურები,
სტვენენ თვალებმინაბული,
ჩემი ბაღის ბულბულები.
ყელსა მარჯნის მძივი მებას,
არც დღე იყოს, არც დაღამდეს,
მარჯანში რომ მზე გაებას,
შენი სიყვარული ჭირდეს.

* * *

აღარ ვეკუთვნი სამზეოს,
შენც ქარმა გადაგიყოლა,
ყოფნა რად ჰგავდა არყოფნას,
იყო და არცა იყო რა.
მომიხვიდოდი დილაბნელს,
გულისპირს მომეკვრებოდი,
დამიკოცნიდი ძუძუ-მკერდს,
მკლავებზე მომედებოდი,
უდროო დროზე მოსულო,
უდროოდ დამხსენ ხუნდები,
თუკი მოვსულვარ სამზეოს,
უკან რაღატომ ვბრუნდები.

* * *

ჭადრები, ჩვენი ტრფობის მოწმენი,
აგვისტოს ფერებს ოქროში ცვლიან
და ქარებს ჩვენი სულების ნაცვლად
ჭადრის დამჭკნარი ფოთლები მიაქვთ.

გულმკერდზე იის ყვავილებს მაყრი,
ყვავილებს ახლავს თითების სითბო
და ჭადრის ფოთლებს, როგორც შესაწირს,
ცა სიყვარულის სანაცვლოდ ითხოვს.

* * *

გულზე ასხმული ღილები,
სადაფისა და ბროლის,
კოცნით დამშრალი მორევი,
წამწამს და წამწამს შორის.
მე რაც გიამბე, წყალს მიაქვს,
ქარს მიაქვს, რაც შემპირდი:
ტყის აქეთ ლურჯი კარავი,
თეთრი ჩრდილების ბინდი.
გულზე შეხსნილი ღილები,
სადაფისა თუ ბროლის,
ტრიალი ცრემლის მორევის,
წამწამს და წამწამს შორის.

* * *

(გლოვისა)

გაფრენილა სულის ჩიტი, წითელფეხება,
უფლის ბაღში წმინდა კარვის კალთებს ეხება,
ჩიტო, ერთი ცრემლის წონა იაგუნდი ხარ,
გლოვის ნაცვლად სიხარულის ჭიკჭიკს უნდიხარ.
თეთრ ალვებზე თეთრი ბუდე მოგიქსოვია,
არავისთვის თავთავიც არ მოგითხოვია.
აჰა, ჩემი გული გქონდეს, ცალი მძივითა,
შენს ბუდეში ჩაასვენე ბადახშივითა.

* * *

მწუხარეა ჩემი გული: ზამთრის ცარიელი ღამე,
და ხეები ბნელ ღამეში მუხლზე დაჩოქილებს ჰგავენ,
რა სუსტია მთვარის სითბო, შენი სიყვარულის სხივი,
ეს მთრთოლვარე, ღამის ცაზე კენტად დარჩენილი მძივი.
კენტად დარჩენილი ქარი, კუშტად გადაშლილი ველი,
ვეღარც ჩემს თავს ვუსამძიმრებ, და შენც ვეღარაფერს გშველი.



ტონინო გუერა

უდაბნოს იდუმალება

ერთ ველურ და უკაცრიელ ადგილას, მიწის ქანების მოძრაობით შექმნილ, დამსკდარ მიწასა და ბორცვების გარემოში, განდეგილების მიერ დიდი ხნის შექმნილი, მარმარილოს ძველი ჭადრაკის დაფა იყო გაშლილი. აქაურობას ერთი მოხუცი წმინდანი ბერი პატრონობდა. ის უვლიდა ჭარდაკის დაფას, რომელიც მუდმივი ქარებისაგან მოტანილი ქვიშით იფარებოდა. მოხუცი ქვიშისაგან ათავისუფლებდა დაფას.

განწმენდა

მცხუნვარე და მწველი მზისაგან მოხუცს მძიმე ქსოვილის კარავი იცავდა, სადაც ისვენებდა და იძინებდა კიდეც. კარავი ერთმა უსახლკარომ დაუტოვა. თავიც მცირედი შეწირულობებით გაჰქონდა ღარიბ მეთვალყურეს, რომელსაც წმინდა ჭადრაკის სანახავად და განსაწმენდად მოსულნი უბოძებდნენ. აქ ხშირად მოდიოდნენ უსახლკარონი და მიუსაფარნი, ასევე მომთაბარე ოჯახებიც, რომლებიც ამ ქვიშიანი სამყაროს ერთი მხარიდან მეორეში გადადიოდნენ. მთვარიან ღამეებში, დიდი ჭადრაკის დაფა ისე ირეკლავდა მნათობის შუქს, რომ ირგვლივ ყველაფერი ნათდებოდა. ბებერი მეთვალყურე მუდამ იმეორებდა ეული ცოდვილისა თუ ახალგაზრდების მოძრაობებს, რომლებიც განწმენდის რიტუალის შემდეგ, მარმარილოს თეთრ დაფაზე ნელი ნაბიჯებით ცეკვავდნენ. ისეთი დღეებიც იყო, როდესაც, არავინ მოდიოდა და მაშინ, გახურებული მარმარილოს დაფა, თეთრი წეროების ლაშქართა ფეხების ქვეშ ვარვარებდა.

მოცეკვავე

ასე გრძელდებოდა იმ საღამომდე, სანამ აქ არ გამოჩნდა უდაბნოს მუცლის ცეკვის ყველაზე სახელგანთქმული მოცეკვავე ქალი. იგი ალბათ 40 წლისა იქნებოდა, ნარნარი და მსუბუქი მიხვრა-მოხვრის. ამ წმინდა დაფაზე კი, თითქოს წარმოსახვით ფიგურებს ხატავდა თავისი მოძრაობებით. ეს კი, ცოდვებისგან განთავისუფლების მისეული აქტი იყო მხოლოდ. მშვენიერი ქალის ცეკვით მონუსხული მოხუცი მეთვალყურე თვალს ვერ წყვეტდა მას. ქალი კი, რომელიც ჭადრაკის დაფაზე იქნებ, მხოლოდ საკუთარი თავისთვის ცეკვავდა, მოულოდნელად შეჩერდა, შეწყვიტა როკვა და ისე გაეშურა, თითქოს მოხუცსაც თავისკენ იხმობდა. და ისიც გაჰყვა. ბევრი საათი მიჰყვებოდა უკან მოხუცი წინ მიმავალ ახალგაზრდა ქალს, მხოლოდ იმ ჟინით შეპყრობილი, რაც მის ჩამქრალ სხეულში ახლაღა აღმოცენდა.

ქარი და ჭუჭყიანი განთიადი

ქარიანი, ჭუჭყიანი განთიადის ქვიშა, რომელიც უმალ ფანტავს ორი ფიგურის გამოსახულებას. ქალი თავს აფარებს მომთაბარეების დიდ კარავს, მოხუცი კი დიდ ქვას ეფარება. სასტიკად მძვინვარებს უდაბნოს ქარი, ბერიკაცი ცდილობს დაუბრუნდეს ჭადრაკის დაფას, მაგრამ ვეღარ აგნებს და იცის, რომ ვერც ვეღარასოდეს იპოვის იმ ადგილს. ქვიშამ უკვე სამუდამოდ ჩამარხა ეს წმინდა ადგილი.

2001 წლის 3 ივნისი

მასტროიანის ტალიატელები

ჩემი სტუდიოს სამუშაო ოთახში მოხერხებულად დავჯექი დივანზე, რომ შემინული ვერანდიდან მეცქირა დაბლობისთვის; მოულოდნელად ქარი და ჭექა-ქუხილი ამოვარდა, რომლის ზუზუნ-გრუხუნს, ხეებიდან წამოსული ფოთლებისა და ტოტების ხმაურიც დაემატა. ფეხზე წამოვდექი, რომ მინაზე მოხეთქილი წყლის წვეთების დინებისთვის შემეხედა და უეცრად დამეუფლა უსასრულო სევდა. რომიდან ვიღაცას დაერეკა, რომ მასტროიანი გარდაცვლილიყო. ეს იგივეა, როგორც ზაფხული, სადაც მოულოდნელად ყველაფერი თოვლით იფარება და მომავლის განცდა, რომ ის აღარასოდეს აღარ იქნება ისეთივე, როგორიც იყო ადრე, ჩვენთვის ყველასთვის... შეიძლება ასეც ჯობდეს, რომ არ გადაიქცე გარიყულ და დაბნეულ მოგზაურად, რომელსაც მსოფლიომ წაართვა ყველაფერი ის, რაც აკავშირებდა წარსულთან.

როგორც ბაყაყი

როცა შეწყდა წყლის ეს ხმაური, მინაზე წყლის მილიონი წვეთი დარჩა, რომლებიც ვეღარ სრიალებდნენ უკვე. ამ წვეთებში ირეკლებოდა მილიონი ნათურა ისე, როგორც შიგნით თავმოყრილი ჰაეროვანი ღრუბლები, რომლებიც დაბლობებს ფარავდნენ. ვჯდები ისე, როგორც ბაყაყი, რომელიც დიდი გუბის კუთხეში ზის.

მოწყენილობაზე ისე უნდა ილაპარაკო, თითქოს სამკვირიანი მომაბეზრებელი წვიმით სველს ისევ გაწვიმს თავზე. ძალიან ხშირად, სევდა ტკივილზე უფრო ძნელი ასატანია, იმიტომ, რომ ტკივილი ზუსტია, იტანჯები, მაგრამ შეგიძლია კიდეც მოერიო მას სახლის რომელიმე კუთხეში. მოწყენილობას კი სახეც არა აქვს და არც ის იცი, როგორ გაუმკლავდე მას. შენს წინ უზარმაზარი ნისლია და ყველაფერს ეკარგება ფასი; როდესაც უკან იხედები, ვერ ხვდები ვის მისდევ, ან ვინ მოგდევს შენ.

მისი აკანკალებული ხელი

მასტროიანისთან ბოლო შეხვედრა იყო სანტ-არკანჯელოს ზანინის ტრატორიაში, ტალიატელების საჭმელად. მისი ხელი კანკალებდა და ის სიგარეტს ეწეოდა. მე ვეუბნებოდი: – მარჩელო, ნუ ეწევი, ნუ ეწევი. უცებ, სიმშვიდით სავსე თვალებით შემომხედა და მითხრა: – ტონინო, იცოდე, რომ ცხოვრებამ ბევრი რამ მომცა და მეც ბევრი რამ მივეცი ცხოვრებას.

წასვლისას, გაღიმებულები დავემშვიდობეთ ერთმანეთს მანქანასთან. იმ მომენტში, გზაზე შავმა კატამ გადაირბინა.

2001 წლის 29 ივლისი

შეუძლებელი ჩუმი შეხვედრა გენიოსთან

ჯერ დავინახე მისი მეუღლე, გამხდარი სახით, მაგრამ არა ტანით. გაფართოებული თვალებით ათვალიერებდა ჩემი სახლის კედლებზე გამოფენილ ნივთებს. მისი ქმარი კი, დიდი კერი მულისი იქვე იყო და მომეჩვენა, რომ მას საერთოდ არ აინტერესებდა არაფერი.

შეუძლებელი საუბარი

პენაბილიში მედიკოსების საერთაშორისო კონგრესზე ჩამოსულები, ახლა მე მყავდნენ სახლში. საზამთროს და ნესვს მიირთმევდნენ. ვერაფრით გავიგე, რატომ ლაპარაკობდნენ ისინი მხოლოდ ინგლისურად, რომელზეც არ ვლაპარაკობთ მე და ჩემი მეუღლე, ჩვენ ვპასუხობდით იტალიურად და რუსულად. ჩემმა მცდელობამ, ფრანგულად შემეღწია მათ ტვინებში, ისეთი რეაქცია გამოიწვია, როგორც ნისლში გასროლილმა თოფმა. უცებ სრული სიჩუმე ჩამოვარდა და სწორედ ამ დროს ოთახში შემოვიდა ბაბა. ჩვენი დიდი, პურის ნაჭერივით კეთილი ძაღლი.

ნათელი ტვინი

შევეცადე დამერეკა ჟურნალისტ სალვატორე ჯანელასთან, რომელთანაც ვთანამშრომლობდი (პიო მანძოსთან მომუშავე, ხარისხიანი კომუნიკაციის ექსპერტი) და რამდენიმე წუთის შემდეგ ჩემი ყურები აივსო ამბებით: „კაცი, რომელიც სუნთქავს და შენგან ორ ნაბიჯზე დგას, არის კერი მულისი, თანამედროვე კაცობრიობის ყველაზე ნათელი ტვინი. 1993 წლის ქიმიის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი, რომელმაც აღმოაჩინა „გენეტიკური კოდის ფოტოასლი“, ანუ დნმ-ის მასის გაორმაგება, cioe replicare in massa del DNA; ის ფეხბურთის ჩემპიონის ო. ჯ. სიმპსონის წინააღმდეგია, რომელიც თავისი ცოლის მკვლელობაში არის ეჭვმიტანილი; მან მიაწოდა გამოძიებას უტყუარი დნმ-ის მასალა, რომელმაც საბოლოოდ ბრალი დასდო და დააპატიმრებინა სიმპსონი. კიდევ ბევრი სხვადასხვა დამსახურებები აქვს... და ახლა, შენ ხვდები მას და მე მშურს შენი“.

მოფერების ენა

ბოლო ფრაზა ბევრჯერ გამიმეორა, თან არც კი იცოდა, რომ მე და დიდმა მეცნიერმა ერთი სიტყვაც ვერ გავცვალეთ. ვიჯექი სავარძელში ტელეფონის გვერდით და შევამჩნიე, რომ მულისი, რომელიც მაგიდასთან იჯდა, ჩუმად მყოფი სხვა ადამიანების ჯგუფის გვერდით, თავისი გაშიშვლებული ფეხით, მაგიდის ქვეშ დაწოლილი ჩემი ძაღლის ბეწვიან მუცელს ეფერებოდა.

21 ოქტომბერი 2001 წელი

იტალიურიდან თარგმნა **თეა ჭანტურიშვილმა**

დაღი თედორაძე

დათუნიას ჯადოსნური ბაღი

ერთ დიდ, უღრან ტყეში, სხვა უამრავ ცხოველთან ერთად, მურა დათვი ცხოვრობდა. მთელი წლის განმავლობაში ფოთლებით და კენკრით იკვებებოდა. ხანდახან პირის ჩასატკბარუნებლად ფუტკრებს ესტუმრებოდა, რომლებსაც სახლი ხის ფუღუროში ან კლდის ნაპრალში ქონდათ გაკეთებული. სტუმრობა ყოველთვის ცუდად მთავრდებოდა, რადგან ჯარისკაცი ფუტკრები, რომელთა მისია ოჯახის დაცვაა, თავს ესხმოდნენ დაუპატიჟებელ სტუმარს და კბენდნენ. გამწარებული დათვი ტორების ქნევით იგერიებდა მათ. იღვრებოდა თაფლი, ნადგურდებოდა ფიჭა, იხოცებოდნენ ფუტკრები.

მიილია შემოდგომა და დათუნიამ ზამთრის ძილისთვის მზადება დაიწყო. გამოასუფთავა ბუნაგი, დააგო ხმელი ბალახი, გემრიელად ივახშმა და დასაძინებლად დაწვა, მაგრამ ვერა და ვერ დაიძინა. თვალს დახუჭავდა თუ არა, დახოცილ ფუტკრებს და განადგურებულ სკებს ხედავდა. ბევრი წრიალის და ტრიალის შემდეგ, ერთმა აზრმა გონება გაუნათა, გადაწყვეტილება მიიღო და ტკბილად დაიძინა.

გავიდა ზამთარი. როგორც კი გაზაფხულის მზის სხივი დაეცა ბუნაგს, დათვს გაეღვიძა, გემრიელად გაიზმორა. ეს, ის დრო იყო, როცა ზამთარს თეთრი საბანი დათხელებოდა, ალაგ-ალაგ დაცრეცოდა, მაგრამ ჯერ კიდევ არ აეკეცა. დათვს გაახსენდა საკუთარი თავისთვის მიცემული პირობა და გზას გაუდგა.

დიდი ხნის სიარულის შემდეგ ტყე დამთავრდა და ტრიალ მინდორზე აღმოჩნდა. მიეწონა ადგილი. თავისი დიდი ტორებითა და ბასრი ბრჭყალებით ორმოების ამოთხრა დაიწყო. თხრიდა და თხრიდა, შეუსვენებლად, დილიდან საღამომდე, საღამოდან დილამდე. უშველებელ მინდორზე უამრავი დიდი, საშუალო და პატარა ორმო ამოთხარა. მერე წავიდა ტყეში, ფრთხილად მოთხარა ნერგები და დიდ ორმოებში აკაციის, ცაცხვის, წაბლის, რცხილას ნერგები დარგო, მომდევნო ორმოებში მოცვი, ქაცვი, დეკა, იელი, ასკილი, ძახველი, ცხრატყავა. ხოლო წინა რიგებში, ისე, რომ ამომავალი მზის სხივები უხვად დაჰფენოდა, მინდვრის ყვავილების – ვარდკაჭაჭას, სამყურას, გვირილას, ფერისულას – ჩითილები ჩაამწკრივა. ოფლი მოიწმინდა, ბედნიერი სახით გადახედა ნამუშევარს და თავს დასვენების უფლება მისცა. ტყეში პირის ჩასატკბარუნებლად წავიდა. უკან დაბრუნებულს საშინელი სურათი დახვდა. ნერგები და ჩითილები მოწყვეტილი, თავდახრილები დახვდა. სასწრაფოდ მოტეხა ხის მოზრდილი ტოტი, გააკეთა ხარიხა, ბოლოებში სათლები ჩამოდო და მდინარეზე წყლის მოსატანად წავიდა. მდინარე საკმაოდ შორს იყო, იქ სათევზაოდ წასვლაც კი ეზარებოდა, მაგრამ, ახლა ნერგები უნდა გადაერჩინა.

ყოველ დღე რწყავდა, სარეველებისგან ასუფთავებდა მიდამოს, აფხვიერებდა მიწას და სულ მალე ულამაზესი, ათასფერად გადაყვავი-

ლებული ბაღნარი გაშენდა. ჯერ პეპლები მოფრინდნენ, მერე ერთი ბზუილა ფუტკარი. წრე დაარტყა ბაღნარს და გაფრინდა. ცოტა ხანში ცა გადაშავდა და გუნდ-გუნდად მოფრენილი ფუტკრები მხიარული ბზუილით შეესივნენ ყვავილებს.

იქვე, ბაღნარში, მოლზე წამოკოტრიალებული დათვი, ბედნიერი ღიმილით თვალს ადევნებდა ფუტკრების დაუღალავ შრომას და გრძნობდა, როგორ უმსუბუქდებოდა დანაშაულის შეგრძნება.

მალე, გამოჩნდნენ წაბლისფერი, ცელქი ციყვები. უგემრიელესი ნაყოფით დახუნძლულ ხეებზე დახტოდნენ, თამაშობდნენ და ნებიერად მხართეძოზე წამოწოლილ დათუჩას გირჩებს ესროდნენ, სათამაშოდ იწვევდნენ.

ზღარბიც გამოჩნდა შვილებთან ერთად. ჯერ უნდობლად უყურებდა დათვს, რომელიც ხან მზეს ეფიცხებოდა, ხან ჩეროში კოტრიალებდა. მერე, გათამამდა და ძირს ჩამოყრილ ნაყოფს შეექცა, ბოლოს კი, ეკლიან ზურგზე აისხა და სახლისკენ გასწია.

უამრავი გადამფრენი ფრინველი დათუჩას ბაღში ისვენებდა, ბუდეს იკეთებდა, კვერცხს დებდა და შვილებს აფრთიანებდა. მათი გალობა და ჭიკჭიკი მზის უთბილეს სხივებთან, ფუტკრების საამო ზუზუნთან, ფოთლების შრიალთან და უამრავი მწერის მადლიერ ფაცაფუცთან შერწყმული ულამაზეს მელოდიად ჩაესმოდა დათვს.

დათუჩას ჯადოსნური ბაღის ამბავი სწრაფად მოედო ტყეს.

გავიდა გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა. დათუნიამ ზამთრის ძილისთვის მზადება დაიწყო. ღიღინით გამოალაგა ბუნაგი, სასთუმლად გამომშრალი ბალახი დაიფინა და ის იყო დაწოლას აპირებდა, რომ კარებზე კაკუნის ხმა გაისმა. გამოაღო კარი და ზღურბლთან, ლამაზ ქილებში ჩასხმული, კოხტად თავწაკრული აკაციის, ცაცხვის, წაბლის და მინდვრის ყვავილების თაფლი დახვდა.

გახარებულმა და ბედნიერმა დათუჩამ თაფლის ქილები თაროზე ფრთხილად დააწყო, დაწვა და მთელი ზამთარი გემრიელად ეძინა.

როგორ გაჩნდა ცისარტყელა

ძალიან დიდი ხნის წინათ, უხსოვარ დროში, სამყაროს მუქი ნაცრისფერი დასდებოდა. ხე, ქვა, მიწა, ბალახი, მდინარე, ფოთოლი, ფრინველი, ცხოველი ერთნაირი შეფერილობის იყო. ნაყოფი ერთმანეთისგან მხოლოდ ფორმით განსხვავდებოდა. გემო კი ერთნაირად ლაყე და მწკლარტე ქონდა. ადამიანებიც ნაცრისფერი და მოჟამულები იყვნენ. ცას სქელი, მუქი რიდე სოკოს ქუდივით ეხურა და სუნთქვა ჭირდა. ბედნიერი, მხოლოდ ურჩხული გახლდათ, რომელიც სამყაროს დაპატრონებული მუსრს ავლებდა იქაურობას. ჭამდა, ნთქავდა, ანგრევდა, კლავდა...

იმ ქვეყნის ხელმწიფე, რომელმაც მთელი თავისი ჯარი ურჩხულთან ბრძოლას შეალია, ერთ დღეს მოწყენილი და იმედგადაწურული სახლიდან გამოვიდა და ბილიკს დაუყვა, რომელმაც მდინარემდე მიიყვანა. მწარე ფიქრებში გართულმა ვერ შეაჩნია, როდის გაჩნდა მის წინ გრძელწვერიანი, ხელჯოხიანი მოხუცი.

– ვიცი შენი დარდის მიზეზი, ისიც ვიცი ხელი და მონდომება არ დაგიკლია ქვეყნის და შენი ხალხის გადარჩენისთვის. ამიტომ, მინდა დაგეხმარო. შენი ნაბოლარა შვილი, ახალ შერთულ ცოლთან ერთად, იმ გამოქვაბულში უნდა მიიყვანო, სადაც წინათ ჯუჯები ცხოვრობდნენ და დღეს, ეს ადგილი ყველას დავიწყებული აქვს. აი, ეს ორი კოლოფი. როცა ბიჭები გაუჩნდება, გახსნას ერთი, როცა დაიბადებიან გოგონები – მეორე. ეს ხმალიც გადაეცი. თვითონ მიხვდება როდის გამოიყენოს, – უთხრა მოხუცმა და სანამ ხელმწიფე გონს მოვიდოდა, მდინარეში შევიდა და გაუჩინარდა.

ხელმწიფე ასეც მოიქცა. შვილები გამოქვაბულში დატოვა და გულდამძიმებული, მაგრამ იმედიანი სახლში დაბრუნდა.

გავიდა ხანი. უფლისწულს და დედოფალს მართლა გაუჩნდა შვიდი ვაჟი და შვიდი უმშვენიერესი ქალი. მშობლებმა გახსნეს ერთი კოლოფი თუ არა, მოხდა საოცრება. კოლოფიდან მუსიკალური ბგერები ამოფრინდნენ და ბიჭებთან მოფრინდნენ. ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს და ამღერდნენ: დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი. უცნაური,მელოდიური ხმებით გაოცებულმა და გახარებულმა მშობლებმა მეორე კოლოფი გახსნეს და იქედან ფერები ამოფრინდნენ: წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი და იისფერი. გოგონები, თითოეული ცალ-ცალკე, ფეხის ფრჩხილებიდან დაწყებული თმის ბოლო ღერამდე ამ ლამაზი ფერებით შეიმოსნენ. აფეთქდა და აელვარდა გამოქვაბული. ერთმანეთში არეული შვიდ ფერთა გამა იატაკიდან ჭერამდე აჭრილი ზღაპრულ სამყაროს ქმნიდა, რასაც ულამაზესი, ჰარმონიული მელოდია ერთვოდა. გამოქვაბული ფერთა და ბგერათა მეჯლისს დაემსგავსა, სადაც უნაზესი აკორდებისა და ფერების კონსონანსი ზღვის ტალღებზე მოლივლივე მზის სხივებს გავდა.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველ ღამე ზეიმი იყო გამოქვაბულში, და-ძმები ხშირად ხედავდნენ დასევდიანებულ მშობლებს, რომლებიც განმარტოებულნი რაღაცას ჩურჩულებდნენ.

ერთ დღეს, პატარა და მოუსვენარმა სიმ, ყური მოჰკრა მშობლების ლაპარაკს. ბევრი ვერაფერი გაიგო, მაგრამ მიხვდა,რომ ამ გამოქვაბულის გარდა კიდევ სხვა სამყარო არსებობდა, რომელიც მშობლებს აშინებდა და შვილებისთვის მისი გამხელა არ უნდოდათ. გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა ეს საიდუმლო ამოეხსნა.

ერთ საღამოს, როცა ყველამ დაიძინა, ჩუმად გამოძვრა საწოლიდან და გამოქვაბულის კუთხე-კუნჭული დაათვალიერა. ბოლოს კიბეს აუყვა, ბოლო საფეხურიდან ჭერზე ხვრელი შენიშნა, შეძვრა და უკუნ სიბნელეში აღმოჩნდა. სიბნელეში ერთი, წერტილისოდენა ნაპრალი დაინახა. ნაპრალი, ჯიბეში აღმოჩენილი ვიოლინოს გასაღებით გააფართოვა, წვალებით გაძვრა და გამოქვაბულის წვერზე აღმოჩნდა. უფერული, ცივი, ხავსმოდებული, მისთვის უცნობი სამყარო გადაიშალა, საიდანაც გმინვა, გოდება, ტირილი ისმოდა. შეშენებული დაბრუნდა უკან. თავდაპირველად უნდოდა ეს ამბავი და-ძმებისთვის ეთქვა, მაგრამ მერე გადაიფიქრა. ვერ გაიმეტა ისინი იმ ახალი გრძნობისთვის, რასაც შიში ერქვა.

გავიდა ხანი. ერთ დღეს, მორიგი ნადირობის თუ ნადიმობის შემდეგ, ურჩხულს გამოქვაბულთან ახლოს მოუწია ჩავლა. მისი ყურადღება უჩვეულო ხმებმა მიიპყრო. ახლოს მივიდა და მიხვდა, მხიარულების ხმები გამოქვაბულიდან გამოდიოდა. ჯერ გარშემო დაიწყო გიჟური სირბილი, მერე კლდეზე აცოცდა და ღრიალი მორთო. ხელებს და ფეხებს უბრახუნებდა, იმუქრებოდა. კლდე შეზანზარდა. მისი ღრიალი მთებს ეჯახებოდა და ზათქით ბრუნდებოდა უკან. გამოქვაბულში სიჩუმე ჩამოვარდა. დედოფალს ფერი ეცვალა. უფლისწულმა გაიფიქრა, აი, მოვიდა ის დრო, რასაც ამდენი ხანია ველოდიო. ცოლს თხოვა შვილებისთვის მიეხედა და გარეთ არ გამოსულიყვნენ. ხმალი აიღო. საგულდაგულოდ გადამალული გასაღები კარებს მოარგო, გავიდა.

ხმის ამოღებას და ამბის კითხვას ვერავინ ბედავდა. სი გაიპარა. აძვრა გამოქვაბულის წვერზე და დაინახა, როგორი გამძვირვარებით მირბოდა ურჩხული მამისკენ. უკან დაბრუნებულმა დედა დაარწმუნა, რომ მამას თუ არ მიეშველებოდნენ ყველანი დაიღუპებოდნენ. დედოფალი დიდხანს ყოყმანობდა, მაგრამ როცა სიმ და-ძმები აიყოლია, დათანხმდა.

ყველანი ერთად გამოქვაბულიდან გაძვრნენ და კლდის თავზე გაჩერდნენ. უცებ ქარი ამოვარდა, გაძლიერდა. ფერები და ბგერები ცაში აიტაცა, დაატრიალა და დედამიწაზე დაუშვა ფრიალ-ფრიალით. ულამაზეს პეპლებივით მოეფინენ გარემოს და აფეთქდა, აბრჟღვიალდა დედამიწა. ათას ფერად მოიჩითა მწვანედ ახასხა-

სებული მინდორ-ველი. ხეებზე, ბუჩქებზე აფეთქდა წითელი, ყვითელი, ვარდისფერი ყვავილები. ფერად-ფერადი ჩიტები ჭიკჭიკით მოეფინენ ცას და მიწას. არაკრაკდა ნაკადული, აჩუხჩუხდა მდინარე, აბღავლდა ნახირი, აკიკინდა არვე და ფარა, ცხენების რემა ფლოქვების თქარუნით და ჭიხვინით გაიჭრა ველზე. გაოცებული, ფერად ტანსაცმელში გამოწყობილი ადამიანები გაუბედავად უღიმოდენ ერთმანეთს. სამყაროს უჩვეულოდ ლამაზი, ფერადი, ხმაურიანი დღე გაუთენდა.

ფართოდ გაშლილ, ტრიალ მინდორზე კი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამართულიყო. უბოროტესი და უძლიერესი ურჩხული ბრდღვინავდა, ბღაოდა, თავს ესხმოდა უფლისწულს და მოკვლას ლამობდა. უფლისწულმა ათასი ჭრილობა მიაყენა ურჩხულს, მაგრამ ამაოდ. მის სქელ და ქონიან ტყავს ვერაფერი დააკლო. ბოლოს მოახერხა, ზურგზე შეახტა, ზურგიდან თავზე აცოცდა და ხმალი გულში ჩასცა. ურჩხულის ბღავილმა შეძრა სამყარო. გამოფხიზლებული ხალხი თოხებით, ბარებით, ცულებით დაიძრნენ იმ მხარეს, საიდანაც საზარელი ხმა ისმოდა. ურჩხულმა ძალა მოიკრიბა, უფლისწული და იქვე მდგარი, აცრემლებული დედოფალი კუდით შორს მოისროლა და მიწაზე უსულოდ დაანარცხა. ჭრილობიდან ამოგლეჯილი ხმალი მთელი ძალით მოისროლა. ხმალი ცისკენ გაფრინდა და ცაზე გადაკრული ნაცრისფერი რიდე ნაფლეთებად აქცია. განათებული ციდან, მზის ოქროსფერ სხივებთან ერთად დაშვებული ხმალი მთელი ძალით ჩაეჭო გულში ურჩხულს და სული გააფრთხობინა. გულიდან გადმოფრქვეულმა ბაღლამმა იქაურობა გადაწვა.

სამყაროს გაფერადებით გაბედნიერებული და-ძმები მისაშველებლად დედ-მამისკენ გამოიქცნენ. ადგილზე მისულებს საშინელი სურათი დახვდათ. განგმირული ურჩხულის გვერდით, უამრავი ადამიანით გარშემორტყმული, დედ-მამის უსულო სხეული ესვენა. მათმა გოდებამ შეძრა იქაურობა. ცრემლები ვიწრო, ფერად ნაკადულად მიედინებოდა და მცენარეთა ფესვებში იწურებოდა. ცამ დაიგრგვინა. შეშინებული ადამიანები ერთმანეთს მიეკვრნენ და ზეცას ვედრებით ახედეს. მზე ისე ახლოს იყო, თითქოს მიწაზე აპირებდა ჩამოსვლას. ცოტა ხანს უცქირა, რაღაცას ფიქრობდა. ბოლოს, თბილი სხივები უფლისწულს და დედოფალს მოჰფინა, აიტაცა, მკლავებზე გადაიწვინა და ცაზე ღრუბლებად გადააქცია. ვარდისფერ და ლუჯ ღრუბლებად.

ღრუბლებმა გადმოხედეს აყვავებულ, აფერადებულ, აჭიკჭიკებულ დედამიწას და სიხარულის ცრემლები გადმოსცვივდათ. მერე შვილებს ხელი დაუქნიეს. ჯერ მუსიკალური ბგერები აიჭრნენ ცაში და შვიდ ვერცხლისფერ რკალად გადაჭიმნენ, შემდეგ დებს გამოუწოდეს ხელი. დომ წითელი ფერი აიტაცა, რემ – ნარინჯისფერი, მიმ – ყვითელი, ფამ – მწვანე, სოლს – ცისფერი ერგო, ლამ – ლურჯი ჩაიხუტა, სიმ კი – იისფერი და ულამაზეს, უთბილეს, ყველასთვის საოცნებო ცისატყელად გადაიქცნენ.

როგორც კი, ვარდისფერ და ლურჯ ღრუბელს, შვილების მონატრების ცრემლები გადმოსცვივდებათ და მზე თბილი სხივებით ცრემლების შეშრობას ცდილობს, იმ წუთში გაჩნდება ცისარტყელა ულამაზესი ფერებით. და თუ კარგად დააკვირდებით და მოუსმენთ აუცილებლად გაიგონებთ და დაინახავთ უნაზეს ჰანგებზე მოცეკვავე ფერებს, დაინახავთ კეთილღიმილიან მზეს და ჩახუტებულ, ბედნიერ ღრუბლებს.

სამყაროს იმ კუთხეში, სადაც პირველად გაჩნდა ცისარტელა, ხშირად ხედავენ მდინარეზე თაღოვან ხიდად გადებულ ცისარტყელას, სადაც თეთრწვერა, კეთილთვალებიანი მოხუცი დგას და ღიმილით შეჰყურებს ცას.



ჯონი ჩახვაძე

გახედნილი გრძნობა?

მახსოვს, როცა სიყმაწვილის ხანად,
გულში რბოდა სილაღე და ტრფობა,
ვერ ვამჩნევდი ოცნებათა ბაღში,
გონს და ჭკუას რომ ხედნიდა გრძნობა.

დიდობაში გავერკვიე ვითომ,
გრძნობებს ჯიქურ მივაწოდე ცნობა,
ამელაგმა „თავხედობა“ მისი,
მაგრამ ვერა, ვერ გავხედნე გრძნობა.

ის არა და არ მორჩილობს არც რას,
იმას არ აქვს არავისთან ნდობა,
თუ აღვირი ამოვდევი, შეხსნა,
ვეცადე და ვერ გავხედნე გრძნობა.

დახანება როცა მამცნეს წლებმა
და სანთელმა თითქოს იწყო ქრობა,
მივხვდი, უმალ გამოვუტყდი თავს, რომ
არც ერთ ასაკს არ ნებდება გრძნობა.

ბოლოს გონმა მიმახვედრა ისევ
და ჩემს თავთან თვით გავმართე ბჭობა,
ღმერთო ჩემო! ან ვის რაში უნდა,
ვის ჭირდება გახედნილი გრძნობა.

ახლაც ჟინით კამარას ვკრავ ცაში,
და მინდება სიგიჟისგან თრობა,
ბიჭობაში? ბიჭობაში კი არ,
სიბერეშიც ვერ გავხედნე გრძნობა.

* * *

ეს სილამაზე, სიდარბაისლე გცხია ღმერთისგან,
სულის გენია შეგიგრძვნია მაღლა ფრენისგან,
და იცქირები ისე ლაღად, მშვიდად ზევიდან,
ვითარც ტაძარში ანგელოზის ხედვა კედლიდან.

ჩემში ყოველგან სალოცავი შენი ლანდია,
ჩემში შენამდე უწვდომელი ფიქრი, დარდია,
შენი ნათება ისეთი რამ არსთა განძია,
რომ მის კედლებზე გინატრებდა ფრესკად ვარძია.

მაშინ ვიყავი ოცის

ჩემო სიყრმევ და წარსულო,
ჩემო ოცნების ხანავ,
ვიცი ვერ მოხვალ, კიდევაც
ვეღარასოდეს განახავ.

ვერც შენს უმანკო ფიქრებსა
მე ვერ მივაგნებ გულში,
ვერც ისეთ ძალას მოვიბამ,
მაშინ რომ მქონდა მუხლში.

მაშინ ყმაწვილურ ვნებისთვის
წამი სიცოცხლედ ღირდა,
გონზე გრძნობები მეფობდნენ
ჭკუა ყირაზე იდგა.

მაღლით ღრუბლებში დავქროდი
უკიდეგანო ცაში,
დაბლა კი ვბედაურობდი,
როგორც უხედნი რაში.

სისხლი დაძრწოდა სხეულში
ხმაურითა და შფოთით,
სიცოცხლეც ისე ბრწყინავდა,
როგორც ვარსკვლავი შორით.

დღისით რომ გული ლაღობდა
ღამით მეძინა ვითომ,
ერთ გოგონაზე ვფიქრობდი,
რომელზეც ახლაც ვფიქრობ.

იყო ზეიმი სრულიად
სულის, ფერის და ხორცის,
ახლა ჭაღარა მათოვს და
მაშინ ვიყავი ოცის!

მაია ჯაღიაშვილი

ოთარ ჭილაძის სიცოცხლის ფირფიტები

უკვდავების წყურვილი ასაზრდოებს ხელოვნებას. ოთარ ჭილაძის შემოქმედებაშიც ხშირად წარმოჩნდება სწრაფვა იმ ხსნის გზის პოვნისკენ, რომელიც მარადიული სიცოცხლისკენ მიემართება. ამ თვალსაზრისით, გამორჩეულია მისი „თიხის სამი ფირფიტა“, რომელშიც შუამდინარული ეპოსის, „გილგამეშიანის“, პერსონაჟები ცოცხლდებიან, რათა კიდევ ერთხელ იგემონ სიცოცხლის სიტკბოცა და სიმწარეც. პოეზიის გზით ლიტერატურულ სამოთხეში მოხვედრილთა შორის გილგამეშიცაა, რომლის ფათერაკებიანი ცხოვრების შესახებ თიხის ფირფიტები მოგვითხრობენ. ოთარ ჭილაძემ ალუზიებით, ინტერტექსტუალური გადაძახილებით შექმნა ახალი ფერადოვანი პოეტური სივრცე, რომელშიც მარადიული უპასუხო კითხვები კვლავაც მისთვის დამახასიათებელი ექსპრესიით წარმოჩნდა.

რას შეიძლება ჩაეჭიდოს კაცი ცხოვრების მღელვარე ტალღებზე აქანავებული, ნავდამსხვრეული და დასაღუპავად განწირული. მაგალითები ხომ უამრავია ისტორიასა თუ ლიტერატურაში. ვისი ცხოვრება შეიძლება იქცეს ნუგეშად და ერთგვარ მეგზურად არარაობის წყვდიადიდან თავდასაღწევად? ოთარ ჭილაძისთვის, ამ შემთხვევაში, მხსნელად გილგამეში იქცა, რომელიც თავისი ცხოვრების კიდევ ერთხელ გახსენებით „პოეტად“ აქცია, თავის ალტერ ეგოდ და მისი სახელით კიდევ ერთხელ წარმოაჩინა მრავალგზის გამეორებული, მაგრამ მაინც გაუცვეთელი ჭეშმარიტებანი, რადგან, როგორც იესო ქრისტე ამბობს: ჭეშმარიტება გზაა. სიცოცხლეც გზაა, თან ციკლური, თან სპირალური და თან დაუსრულებელი, მატერიალურსა თუ მეტაფიზიკურ სივრცეებში მიმავალი.

„თიხის სამი ფირფიტა“ მცირე ლირიკული პოემაა, რომელიც სიტყვის, ლოგოსის ძალას კიდევ ერთხელ წარმოაჩენს. გილგამეში ვერ ძლებს დავიწყების ბნელ წიაღში, ამიტომაც „მოარღვევს“ მიწას გიორგი ლეონიძის ყივჩაღივით, დროდადრო რომ აფრთხობს სივრცეს შეძახილით: „ისევ აღვსდექი! მუხრანის ბოლოს ჩასაფრებული ვსინჯავ იარაღს“. თიხა არა მხოლოდ საწერი საგანია, არამედ ალუზიაა ბიბლიური შესაქმისა. ღმერთმა თიხისგან გამოძერწა კაცი, პოეტიც, მაგრამ ეს თიხის კაცი, შემოქმედების ცეცხლით გარდაქმნილი, სიტყვით, ფიქრით, წარმოსახვით ქმნის სხვა ადამიანებს, რომელთაც არა ხანმოკლე, არამედ მარადიულ სიცოცხლეს ჩუქნის.

ოთარ ჭილაძის გილგამეში კიდევ ერთხელ გვიყვება თავის ამბავს, ფათერაკით, ბრძოლით, გამარჯვებით, სიყვარულით, იმედგაცრუებით, ტკივილითა და სიხარულით აღსავსეს:

„მე კაცი ვიყავ, მაგრამ ყოველთვის მშურდა ღმერთების, ან უფრო სწორად, სიცოცხლე მსუ-

რდა დაუსრულებლად. მე მსურდა, მაგრამ არ სურდათ ღმერთებს და ჩემი მძლავრი სუნთქვის ნასახი ამ ხმელ ფირფიტას შემორჩა მხოლოდ. ამ ხმელ ფირფიტას, რომელიც ახლა ჩემი ხელივით გიჭირავს ხელში“.

„დაუსრულებელი სიცოცხლის წყურვილი“ აქმნევინებს ადამიანს ხელოვნების ნიმუშებს, არქიტექტურულ შედევრებს, მუსიკას, პოეზიას, ფერწერას, რათა თავისი „ყოფნა“ რაიმე სახით აღბეჭდოს. „ღმერთებთან ჭიდილს“ აგრძელებენ ადამიანები, მიუხედავად იმისა, ცაში ეგულებათ თუ არა ისინი. პოეტი კი „ხმელ ფირფიტას“ მთრთოლვარე ხელად აქცევს, რომელიც სიცოცხლეს მკითხველის სახით კიდევ ერთხელ ეწაფება. ეს არაჩვეულებრივი შედარება უიტმენის სტრიქონებს ეხმიანება:

„მეგობარო, ეს არ არის წიგნი,
ხელი ახლე და კაცს შეეხები,
(ნუთუ ღამეა და მე და შენ მარტოკა დავრჩით)
ეს მე ვარ – შენ რომ გიჭირავს ხელში
და ვისაც შენ ხელით უპყრიხარ,
გადმოვალაჯე ამ წიგნიდან,
მოვედი შენთან
და სიკვდილმა ვერ დამაკავა.
ო, როგორ მარწევს და ძილსა მგვრის
შენი თითები,
გულზე მეცემა შენი სუნთქვა ციურ ნამივით
და შენი მშვიდი გულისცემა მესალბუნება,
მე ვგრძნობ ვინთქმები,
ვიძირები თხემით ტერფამდე“.

(„მეგობარო, ეს არ არის წიგნი“,
თამაზ ჩხენკელის თარგმანი).

ასე გადმოდის გმირი უძველესი თიხის ფირფიტებზე ამოტვიფრული აქადელი პოეტის ტექსტიდან (რომლის მხოლოდ ორი მესამედია ჩვენამდე მოღწეული,). „გილგამეშიანი“ კაცობრიობამ საკმაოდ გვიან გაიცნო (ძვ. წ. XVIII-XVII საუკუნეებში შექმნილი წარწერიანი თიხის ფირფიტები 1872 წ. აღმოაჩინეს ბრიტანეთის მუზეუმში, შემდეგ სხვაგანაც მოიძიეს ფრაგმენტები. 1900 წელს გამოიცა პირველად და დღემდე გრძელდება მისი კვლევა. სხვადასხვა გამოცემაში განსხვავებული რაოდენობის ტექსტი, „დაფა“ თუ „კარია“). ქართულად პირველად მიხაკო წერეთელმა თარგმნა და გამოსცა 1924 წელს და გამოკვლევაც დაურთო: „რომელშიც გამოვლენილია პარალელები ჰომეროსის პოემებთან, დანტეს „ჯოჯოხეთთან“, მსოფლიო ფოლკლორულ ნიმუშებთან და, რაც მთავარია, „ვეფხისტყაოსანთან“ (ზურაბ კიკნაძე). შემდეგ ზურაბ კიკნაძემ თარგმნა, გამოიკვლია და გამოსცა 1963, 1984 და 2009 წლებში. ეს არის უმაღლესი რანგის პოეტური თარგმანი. რა თქმა უნდა, ოთარ ჭილაძის „სამი ფირფიტის“ სრულყოფილად გასააზრებელ კონტექსტად ზურაბ კიკნაძის სწორედ ეს არაჩვეულებრივად ნათარგმნი და კომენტირებული „გილგამეშიანი“ უნდა იქცეს, რომელშიც ამ მრავალშრიანი, მითოლოგიური, პალიმფსესტური პოეტური ტექსტის საიდუმლოებებია გაჩრეკილი და გამომზეურებული. მისი კითხვისას შეიგრძნობ, მაგრამ ვერ ხვდები, რა მაგიით გარდაიქმნებიან ჩვეულებრივი სიტყვები თუ ფრაზები მაღალ პოეზიად. ზურაბ კიკნაძე ამ ეპოსს „ფაუსტური ყაიდის“, „ინიციაციურ თხზულებად“ მიიჩნევს, რადგან „საგმირო ეპიზოდები არ არის თვითმიზანი, არამედ თითოეული მათგანი ემსახურება გმირის პიროვნების სრულყოფას“, „მასში ზნეობრივი კაცის დაბადებით იწყება ახალი ცხოვრება. იგი პირისპირ დგება სიკვდილის წინაშე, რომელიც შეძრავს მის არსებას და გააღვიძებს მასში მოაზროვნე ადამიანს“. ეპოსის პირველივე სტრიქონებში გაცხადებულია გზა „ჭეშმარიტებას“ ზიარებული გილგამეშისა, რომელსაც ტანში ღმერთების ხორცი ჩადგმია, / ორი მესამედი ღმერთია, ერთი მესამედი კაცი“:

„რომელმან სიღრმე იხილა, ქვეყნის საფუძველი,
ყოველი შეიცნო, შთაიბეჭდა,
იდუმალებანი ვინც სრულად განჭვრიტა, –
სიბრძნის მფლობელმა, ყოვლის მეცნაურმა,
საუნჯეს მიაგნო, გახსნა დაფარული,
მცნება მოგვიტანა წარღვნამდელ დღეთა“.

ოთარ ჭილაძისთვის ეგზისტენციის ძიების გზაზე შთამაგონებლად იქცა ეს ეპოსი. ის თავის

ლირიკულ გმირს, ხან გილგამეშისა და ხან თანამედროვე ავტორის ნიღბით, ზედმიწევნით, სახელთა და ტოპონიმთა ოდნავი სახეცვლილებით, თავს გადამხდადრ ზოგიერთ ამბავთა ზედმიწევნით ზუსტად „გახსენებით“ კვლავ აამბობინებს საკუთარ თავგადასავალს. მაგრამ მკითხველმა ხომ იცის, მთავარი ამბავი არ არის, არამედ ის ემოციურ-ინტელექტუალური შეგრძნებებია, რომლებითაც პოეტი ადამიანური არსებობის გამართლებას დაეძებს, სიცოცხლის ეფემერულობასა და მტკივნეულ წარმავლობაში საყრდენებს ქმნის, სიცარიელისა და გაუცხოების კრიზისის დაძლევასა და გადალახვას ცდილობს.

ოთარ ჭილაძის კომპოზიციურად სამ ნაწილად, „ფირფიტად“ გაყოფილ პოემის პოეტურ სივრცეს სამი ქრონოტოპი გამსჭვალავს: წარსული, აწმყო და მომავალი. სამივე დროს თვითონ პოეტი აერთიანებს. თბილისი, ურუქი და ზეციური უცნობი ქალაქი ის ტოპოსებია, რომლებშიც ფიქრის მდინარე მიედინება და ასოციაციური შენაკადებით უსაზღვროდ განიტოტება. ამ ფიქრის ძაფებით იქსელება უსაზღვროდ გაფართოებული სააზროვნო სივრცე. პირველ ნაწილში ყოფნა-არყოფნის ჰამლეტისეული კითხვა მთავარ საფიქრალად გამოიკვეთება ეკლესიასტეს კონტექსტში: „თაობა მიდის, თაობა მოდის, ეს ქვეყანა კი უცვლელია უკუნისამდე“, „რაც ყოფილა, იგივე იქნება და რაც მომხდარა, იგივე მოხდება; არაფერია მზის ქვეშ ახალი“:

„რაც უნდა მოხდეს დიდი ხნის მერე,
ბევრჯერ მომხდარა დიდი ხნის წინათ“.

ოთარ ჭილაძე პოემაში დიდი ხნის წინათ მომხდარ ამბავთაგან ყველაზე უძველესს ირჩევს. კვლავ აღდგება გილგამეში: „ნინსუნის შვილი, ურუქის მეფე და გმირთაგმირი“, ახლადგაღვიძებული ძველებურად ტკბება ევფრატის წყლით, რომელიც „ქალურად უხვი და იდუმალია“. მკითხველი კიდევ ერთხელ შეიგრძნობს ენქიდუსთან დამეგობრების შთამბეჭდავ ამბავს, წმინდა ხარის მოკვლას, მეგობართა მიერ ხუმბამბას დამარცხებას. მათი ძმობა „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ამბებსაც გაგვახსენებს. გილგამეში კაცთაგან აღმატებულ საქმეებს აკეთებს, მით უფრო ძლევამოსილი ხდება, როცა ენქიდუც გვერდში ამოუდგება, მაგრამ „ამაო იყო ყოველი“: „მაგრამ ვერც ერთი ვერ გავცდით მაინც ადამიანის უბრალო სახელს, ვერ ვძლიეთ სიკვდილს“. დავიწყებული სიკვდილის არსებობა გილგამეშს მეგობრის „მიწად“ ქცევამ კვლავ გაახსენა და უსაშველოდ დაამწუხრა. თავის დროზე ღმერთების მიერ მის მეტოქედ გაჩენილი მხეცის მსგავსი ველური ენქიდუ ქალმა, შამხათმა, მოათვინიერა და კაცად აქცია: „და რადგან იგრძნო პურიც და ქალიც, ენკიდუ იქცა ადამიანად და მოკვდა, როგორც ადამიანი“.

რაც ურუქში ხდებოდა, იგივე მეორდება თანამედროვე ქალაქშიც. აქაც ყოველდღიურ საზრუნავებს, ამაღლებულსა თუ მდაბალს, ჩაუნთქავს ადამიანი. აქაც დროდადრო მდორე რიტმს არღვევენ და თვალს იტაცებენ შამხათის მსგავსი ცეცხლოვანი ქალები:

„დღემდე გრძელდება, ფეთქავს და ბრუნავს.
შამხატის ცხელი და ლაღი სისხლი.
და ჩვენც გვიმძაფრებს სიცოცხლის უნარს,
სიცოცხლის მარტივ კანონებს გვიხსნის“.

თბილისიც ურუქივით იღვიძებს, იძინებს და, მიუხედავად მომქანცველი რუტინისა, ყველა თავის გზას მიუყვება:

„რა უბრალოა ადამიანი!
რა ცოტა ყოფნის, რომ იქცეს მიწად.
და რა უმწეო ხმებით შრიალებს,
რასაც სიცოცხლეს არქმევს და იცავს.
მაინც არავინ არ გარბის არსად,
ცხოვრებას ყველა თავიდან იწყებს.
და, თიხის დიდი თოჯინის მსგავსად,
ქალაქი ხელში უჭირავს სიცხეს“.

ქალაქის მღელვარე დღიურ ხმაურსა თუ სიზმრებით დამძიმებულ პირქუშ ღამეულ საყოველთაო სიჩუმეში არ სძინავს პოეტს და წარმოსახვაში შემოჭრილ გილგამეშის აჩრდილს ესაუბრება. მასაც სტანჯავს შუამდინარელი მონა-

თესავე სულის უპასუხო კითხვები, მასაც სურს სიკვდილის მიღმა გახედვა.

პოემის მეორე ფირფიტაში ავტორი „გილგამეშიანის“ კიდევ ერთ პერსონაჟს, უთანაფიშთს აცოცხლებს, რომელიც „ნაზი ეას“ დახმარებით გადაურჩა ღმერთების მიერ ცოდვებისთვის კაცთა დასასჯელად მოვლენილ რისხვას, დაღუპვას ბიბლიურ ნოესავით კიდობნით გადაურჩა და იმავე ღმერთების დალოცვით უკვდავებით დაჯილდოვდა. ეს იცის გილგამეშმა და უძველეს ეპოსში ნაამბობია, როგორ მოძებნის მას, შემდეგ როგორ იპოვის მისი რჩევით უკვდავების ბალახს, თუმცა ჩაძინებულს გველი მოჰპარავს (ისევ ბიბლიური ალუზია ჩნდება).

ოთარ ჭილაძის პოემაში გილგამეშისა და ავტორის ნიღბები ერთმანეთს ერწყმის და გაისმის უარი უკვდავებისთვის, თუკი ის ყოველივე, რასაც ქმნიდა, უნდა აღიგავოს პირისაგან მიწისა: „თუკი ურუქი უნდა დაინგრეს, მეც დავინგრევი ურუქთან ერთად. მე მირჩევნია, გულზე მეყაროს და არა ფეხქვეშ ურუქის ქვები. მე ახლა მზეზე ვზივარ და ვუცქერ მზეზე გაფენილ თიხის ფირფიტებს. მე მათ გავანდე და ჩავაბარე ჩემი ფიქრები და ოცნებები. ადამიანზე გამძლეა თიხა და იქნებ ვინმემ იპოვოს იგი, როცა ამქვეყნად აღარ ვიქნები, იქნება ვინმემ იპოვოს იგი და წაიკითხოს ჩემი ცხოვრება, შეძრწუნებული სიკვდილის შიშით“.

თიხა, სიმბოლურად, ნაწერი, შემოქმედება ადამიანზე გამძლეა („ხელნაწერები არ იწვიან“, – იტყვის ვოლანდი და ცეცხლს გამოსტაცებს ოსტატის რომანს. ეშმაკიც კი მხატვრული ტექსტის გადარჩენის სამსახურში დგება, რადგან მხატვრული სიტყვა ყველას მიმართ გულმოწყალეა, ერთნაირი წყურვილით აცოცხლებს სიკეთესაც და ბოროტებასაც (მიხაილ ბულგაკოვი, „ოსტატი და მარგარიტა“).

„ადამიანზე გამძლეა თიხა,
მაგრამ თიხაზეც გამძლეა სიტყვა,
ის, შეიძლება, უბრალოც იყოს.
და აუტანელ ტკივილით ითქვას“.

რამ შეიძლება სიკვდილის შიშით გამოწვეული შიში შეამსუბუქოს? ისევ შამხათმა, ყოვლისდამვიწყებელმა და გარდამქმნელმა სიყვარულის სიმბოლომ:

„შენ კი მზადა ხარ, რომ უფრო დიდხანს.
უცადო შენთვის გაჩენილ შამხატს.
ყველაფერს ფერი ეცვლება თითქოს,
როცა შამხატის თვალებში ჩანხარ“.

პლატონისეული ანდროგინოსივით დაეძებს ლირიკული გმირი თავის დაკარგულ მეორე ნახევარს გამრთელებისა და სისრულისათვის.

ამიტომაცაა, რომ მუზეუმში, როგორც კონსტანტინე გამსახურდია ამბობს, „უშველებელ სასაფლაოზე, სადაც ყოველი ერი, ყოველი რასა თავის გრძნობებს მარხავს“ („პორცელანი“) ოთარ ჭილაძის ლირიკული გმირი ამჩნევს:

„საყურეც ისევ ცახცახებს ვნებით.
და ისევ ასდის ნაზი სურნელი,
თითქოს არაფერს არ ნიშნავს წლები.
თითქოს არაფერს არ ცვლის...
სრულებით“.

რა თქმა უნდა, ეს ბარათაშვილის პეპელასავით მოცახცახე, „გრძნობის ამრევი“, „სპეტაკ შროშანასავით“ საყურის ალუზიაცაა, ეკატერინე ჭავჭავაძის ნაზი ყურის ჩრდილში რომ იწვევდა პოეტის „სასუფევლისეული ნეტარების“ შესაგრძნობად და „უკვდავების შარბათის“ შესასმელად.

მესამე ფირფიტა ისევ გილგამეშის აღსარება-მონოლოგია, რომელსაც მსჭვალავს დამთრგუნველი მარტოობის შეგრძნება, თანმდევი ყოველი მშვენიერი პოეტური მაძიებელი სულისა. იგი თავის გამოცდილებას უზიარებს მკითხველს:

„არც მოწყალება და არც საშველი / არ ღირსებია ციდან არავის“, ამიტომ კიდევ ერთხელ აღდგება იმისთვის, სიტყვაში კვლავ განიცადოს სიცოცხლე, ფაუსტივით მშვენიერი წამის შეჩერებაზე იოცნებოს და მკითხველს უანდერძოს:

„სიჩუმე ზოგჯერ სისუსტეს უდრის.
და შენც გახსენი შენი ფიქრები,
რომ პატიოსნად, დიდხანს და მყუდროდ.
იცხოვრო, როცა აღარ იქნები“.

„ფიქრების გახსნა“ სამყაროს მრავალფეროვნების აღქმას, აღიარებასა და მიღებას გულისხმობს, იმგვარ არსებობას, რომელიც ადამიანს ხილულ თუ უხილავ მატერიალურ-სულიერ სივრცეთა ნაწილად შეაგრძნობინებს თავს და მტვრის ნაწილაკივით გაქრობის შიშისაგან იხსნის.

ასე ეუბნება უკვდავი უთანაფიშთი გილგამეშს:

„აუცდენელია უწყალო სიკვდილი:
ვინ არის, ვისაც არ უხილავს სიკვდილი?
ვინ არის, ვისაც სახე სიკვდილისა არ უხილავს?
ვინ არის, ვისაც ხმა სიკვდილისა არ სმენია?
განა სამუდამოდ ვაშენებთ სახლებს?
განა სამუდამოდ ირტყმის ბეჭედი?
  განა სამუდამოდ იყრებიან ძმები?
  განა სამუდამოდ მძულვარებენ მტრები?
განა სამუდამოდ დიდდება წყალი,
წყალი ყანებზე ნიაღვრის მიმღვრელი?
განა სამუდამოდ პარკშია ჭუპრი?
მზის თვალის მარად მჭვრეტელი თვალი
განა არსებულა დასაბამიდან?
ერთნი არიან მძინარე და მკვდარი,
განა არ ხატავენ სახეს სიკვდილისას?
განა თავს ეყუდნის მოკვდავი კაცი,
ოდეს ბედისწერის ჟამი მოაწევს?“

(ზურაბ კიკნაძის თარგმანი).

„გილგამეშიანისა“ და ოთარ ჭილაძის „თიხის სამი ფირფიტის“ მრავალფეროვანი სამყაროები დიალოგისთვის კვლაც იწვევენ მკითხველს, რათა გაუკვალონ გზა საკუთარი თავისა და სამყაროს შემეცნების ლაბირინთებში.

ადამიანად ყოფნის ჭკვილი

„რამ შემქმნა ადამიანად, რატომ არ მოველ წვიმადა?“ – წუხს ვაჟა-ფშაველას ლექსის ლირიკული გმირი. ეგზისტენციალური კრიზისი, რომელიც ადამიანად არსებობის უაზრობას ამხელს, არაერთ მხატვრულ ტექსტში წარმოჩნდება განსხვავებული ვარიაციით, მწერლის ფილოსოფიურ-რელიგიური თუ ესთეტიკურ-მსოფლმხედველობრივი კონტექსტების შესაბამისად. ვაჟას ლექსში („რამ შემქმნა ადამიანად?“) მთავარი საფიქრალი მოკვდავობის, ადამიანის დროში ხანმოკლე არსებობის როგორმე გადალახვაა, „სიკვდილის გაწბილება“ და იმგვარი თავისუფლების მოპოვებაა, ბუნებას რომ ახასიათებს.

ავტორის ფიქრის ნაკადები მიიმართება ადამიანის დანიშნულების გასარკვევად, გასააზრებლად. აქაც აქტუალურია ბარათაშვილისეული კითხვა: „მაინც რა არის ჩვენი ყოფა-წუთისოფელი, /თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?“. ლექსში ამქვეყნიური ყოფა წარმოჩენილია, როგორც დაუსრულებელი სატანჯველი:

„არ გამწირავდა პატრონი,
ასე ოხრად და ტივლადა“.

პატრონი ღმერთია, რომლის შემწეობის იმედიც დაუკარგავს ლირიკულ გმირს. ქვეტექსტურად, აქ გაისმის სახარებისეული გოდება ჯვარზე გაკრული იესოსი: „ღმერთო ჩემო, რაისთვის დამიტევებ მე“ (მათე, 24, 46). ეს მორწმუნე ადამიანის ტკივილია, ღვთისმოსავი კაცისა, რომელსაც სჯერა, რომ არ გაიწირება, მიუხედავად უამრავი დაცემისა და შეცოდებისა, ღვთის ღალატისა და გაცემისა. გვახსენდება გურამიშვილის, ვაჟას „წინამორბედისა“ და „უძვირფასესი პაპის“ მოთქმა-გოდებაც:

„აწ შენ, ჩემო საყვარელო, იმყოფები სადა?
ქვეყნად შენგან უკეთესი მე არავინ მყვანდა.
ქვესკნელსა ვარ, ვერა გხედავ,
მეგულვები ცადა;
გეაჯები, ნუ გამწირავ, წამიყვანე მანდა!“.

„ქვესკნელად“ ქცეული წუთისოფლის სიბნელიდან თავდაღწევის სურვილი მოისმის ვაჟას ლექსიდანაც: ცა და მიწა ერთმანეთს უპირისპირდება, ღვთაებრივ ზესკნელში მხოლოდ ხორცისგან განძარცული „აღიტაცება“, ბუნების ნაწილობა შეაძლებინებს იმ ჰარმონიული სიმშვიდის მოპოვებას, რომლის განცდაც საკუთარ დანიშნულებას აღმოაჩენინებს. ამგვარად, ლექსში შემოიჭრება ჭეშმარიტების ძიების წყურვილი. ლირიკული გმირი ოცნებობს ღმერთთან სიახლოვეზე, რომელიც თავისუფლებას მიანიჭებს:

„ცაშივე ამიტაცებდა,
თან მატარებდა შვილადა.
ასე არ დამჭირდებოდა
სულ მუდამ ყოფნა ფრთხილადა“.

საკუთარ თავსა თუ სამყაროსთან გამუდმებულ ჭიდილში დაღლილ ლირიკულ გმირს სურს დაუსრულებელ მშვენიერებასთან ზიარება. რთულია, რომ „ბალახი იყო სათიბი“, რადგან არა გწადია „ცელობა“: „ცხვრადვე მამყოფე ისევა, / ოღონდ ამშორდეს მგელობა“. მაგრამ სწორედ ამ წინააღმდეგობებთან ბრძოლაში გამოტანჯვით იბადება პიროვნება, რომელიც მხოლოდ მაშინ არის ბედნიერი, როცა „შეწუხებულია“ („ჩემი ვედრება“) და რომელსაც ფიქრის ეკლიანი „კაცობის გვირგვინი“ ადგას.

ლექსის სხვადასხვა წარმოსახული სივრცე ერთმანეთს ენაცვლება. ლირიკული გმირი ცდილობს, გაარღვიოს ცხოვრების ჯურღმული, ამოვიდეს ღია სივრცეში, სადაც არაფერი შეზღუდავს მის ნებას. ერთი მხრივ, ტკივილითა და სიკვდილით დაბინდული მიწაა, რომელიც მას არ აურჩევია, მეორე მხრივ, ზეცაა – სინათლით, მარადისობით, სიხარულით აღბეჭდილი. მას სურს გაცნობიერებული არჩევნით სიცოცხლეს, საკუთარ არსებობას აზრი მიანიჭოს. აქაც შემოიჭრება ბარათაშვილისეული სწრაფვა: „გულისთქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს სადგურს, / ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამაოება“ („შემოღამება მთაწმინდაზედ“).

ლექსის ლირიკული გმირი ეჭვებით დაღლილი, განწირულების ფიქრით დაღდასმულია, თითქოს აღარ შეუძლია ამ ცხოვრებისეული დაქსაქსული გზების გაკვლევა, „სულ მუდამ ფრთხილად ყოფნა“, ათასგვარ საცდურთან გამკლავება, უფსკრულის თავზე ქანაობა. ეს უფსკრული, უპირველესად, მისი სხეულია, საიდანაც სურვილები, ოცნებები დაუსრულებლად ამოიფრქვევა. „ცხოვრება ხომ ჩვენი სურვილების მიხედვით გვტანჯავს“ (ბესიკ ხარანაული). წუთისოფელი გაუსაძლისია, „ორგემაგე“, ფლიდი, მატყუარაა. როგორც რუსთველი ამბობს: „ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა“. ლექსის სტრიქონებში ეკლესიასტეს გოდებაც გაისმის.

ლექსზე ფიქრისას მეხსიერებაში გოდერძი ჩოხელის „ადამიანთა სევდის“ ფინალური აკორდებიც შემოიჭრება: „რა არის სიცოცხლე? – სიცოცხლე სევდა არის, ადამიანად ყოფნის ტკბილი სევდა. – სიკვდილი? – სიკვდილიც სევდა არის, ადამიანად არყოფნის სევდა“. ამ სევდის ფერებითა და არომატებითაა სავსე ვაჟა-ფშაველას ეს მშვენიერი ლექსიც.

დაცარიელებული ზეცის ხატიც უჩნდება მკითხველს და კამიუ გაახსენდება, ყოფის აბსურდულობის აღიარებით. ლირიკული გმირიც სიზიფეს მიაგავს, ლოდის მწვერვალისკენ ატანა მიუსჯიათ ღმერთებს, კამიუს სიზიფე ბედს შერიგებულია, მან იცის, რომ სიცოცხლე აბსურდულია და ამის გაცნობიერებით საკუთარ უბედურებაზე მაღლა დგება. მწვერვალზე ყოფნის წამებით ტკბება. როგორც აკაკი ამბობს:

„ერთი წამიც კი სიცოცხლის,
თუ სხივების მომფენია,
უსინათლოს და უგრძნობელს
საუკუნეს მირჩევნია“.
(„რაც არ იწვის, არ ანათებს“)

სიზიფე შემოქმედი ადამიანის სიმბოლოდაც შეიძლება გავიაზროთ. მწვერვალზე ყოფნა შთაგონების, ექსტაზის წამია, როცა ჩნდებიან იდეები და პოეტური ხატები. მაგრამ ამ ლოდის გარეშე, ტანჯვის გარეშე არც ეს წამები იქნება. მსხვერპლის გარეშე ღირებულს ვერავინ შექმნის.

გოეთეს ფაუსტი მზად არის მეფისტოფელს ხელშეკრულებაზე ხელი მოუწეროს, ოღონდ ერთი პირობით:

„მომეცი ხელი!
თუ წამს მიმავალს როდისმე ვეტყვი:
„შეყოვნდი, წამო, ხარ მშვენიერი"!
დამდე ბორკილი, დამეც შენს ფერხთით,
ჩამასვე ჭანგი ქვესკნელიერი!
განთავისუფლდე იმავ წამიდან,
რა მსახურებაც გაქვს ნაკისრები,
შედგეს საათი – ჟამი წავიდა! –
ძირს ჩამოცვივდეს მისი ისრები".
(დავით წერედიანის თარგმანი)

ვაჟას ლექსის ლირიკული გმირისთვისაც დროს გააუქმებს მზესთან ტრფიალების მშვენიერი წამები. სტრიქონებში ქვეტექსტურად შეიგრძნობა ის სიცარიელე, რომელსაც „უპატრონობის", ღვთისგან მიტოვებულობის განცდა იწვევს. თითქოს ღმერთიც აღარ დაეძებს, რადგან არა მხოლოდ უძღები შვილია, საკუთარი სახლიდან თავისი ნებით წასული და გზააბნეული, არამედ „უძებნი შვილიცაა" (ბესიკ ხარანაული), რაც მეტ ტრაგიკულობას ბადებს.

ვაჟას აზრით, წვიმად ქცევა, ბუნების ნაწილობა, უპირველესად სიკვდილის, მოკვდავად ყოფნის გადალახვის გზაა. ბუნებამ არ იცის სიკვდილის ტკივილი, აქ ყოველივე ტრანსფორმირდება, იცვლება, განახლდება. სიცოცხლე ციკლურია და დაუსრულებლად მეორდება:

„მზის მოტრფიალე ვივლიდი
სიკვდილის გამაწბილადა;
მაღლა ცა, დაბლა ხმელეთი
მე მექნებოდა წილადა".

მზის ტრფიალება იქნებოდა უღალატო, რადგან დაცემა ადამიანის ხვედრია. ბუნება კი სიკეთისა და ბოროტების მიღმაა:

„ბუნება მბრძანებელია,
იგივ მონაა თავისა,
ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს,
ზოგჯერ მქნელია ავისა;
ერთფერად მტვირთველი არის
საქმის თეთრის და შავისა;
საცა პირიმზეს ახარებს,
იქვე მთხრელია ზვავისა...
მაინც კი ლამაზი არის,
მაინც სიტურფით ჰყვავისა!..
(„ღამე მთაში")

ლექსში ჩანს დარდი ადამიანური გარჯის უნაყოფობისა. ბუნებაში კი ყველაფერი კანონზომიერია. აქ სხვისთვის მსახურება ბუნებრივია, ეს არსებობის კანონია. „ოფლის ღვრა" სამყაროს საკეთილდღეოდ, სიცოცხლის დასტურია, მისი გამართლებაა:

„გავიხარებდი, მთა-ბარსა
ოდეს ვნახავდი მწვანედა,
მორწყულსა ჩემის ოფლითა,
ყვავილებს შიგნით, გარეთა.
გადავუშლიდი გულ-მკერდსა
დღისით მზეს, ღამით მთვარესა.
სიცოცხლეს ვაგრძნობინებდი
მომაკვდავ არე-მარესა".

წვიმა, წყალი სიცოცხლის სიმბოლოა. მითოლოგიური თვალსაზრისით, წყალი განმაახლებელია. მეცნიერული თვალსაზრისითაც, სიცოცხლე წყლიდან წარმოიშვა.

ვაჟას სამყაროში პოეტური ნიღბების მრავალფეროვნებაა, მისი ალტერ ეგო ხან დაჭრილ არწივად, ხან ნაიალაღარ ხარად, ხან მთად თუ ნისლად გარდაისახება. პოეტი მეტაფორებით შთამბეჭდავად წარმოაჩენს იმ შეგრძნებებს, რომლებიც წვიმად გადაქცევისას ექნებოდა. აქ წვიმის სურნელით გაჟღენთილ-გაწმენდილი სამყაროა დახატული:

„თოვლად ქცეულსა გულშია
ცეცხლად იმედი მრჩებოდა,
რომ ისევ ჩემი სიკვდილი
სიცოცხლედ გადიქცეოდა
და განახლებულ ბუნებას
ყელ-ყურზე მოეხვეოდა".

ლექსში ჩანს პიროვნული რეალიზების სურვილი, საქმე აკეთოს და დაინახოს ამ საქმის, ზრუნვის, სიყვარულის შედეგი. ეს საოცარი სახარებისეული უშურველობა კი, რომელიც მხოლოდ გაცემას ემყარება, სავსეა ნეტარებით. დავით მეფსალმუნის „ყოველი სული აქებდით უფალსა“ გვახსენდება. ეს აკაკისეული სიმთვრალეცაა:

სხვებმა სვან ღვინო, მე უღვინოდაც
მთვრალი ვარ პირად ბედნიერებით
და ნეტარებას მიმრავალკეცებს
მიდამო მისის მშვენიერებით.
ვიშ, ამ საღამოს, მშვიდსა, საამოს,
ტკბილ ნეტარებით შეზავებულსა!..
რა უცნაურად, მაღლით ციურად
სამოთხისაკენ იტაცებს გულსა“.

(„ქებათა-ქება“)

ვაჟას ლექსში „სამოთხის“ შეგრძნება წარმოსახულია, ოცნებისეული სივრცეა, რადგან ილუზია ჩნდება, რომ ამოხსნილია სიცოცხლის საიდუმლო. ლექსის მიღმა სამყაროში კი ჯოჯოხეთური უპასუხო კითხვებია, რომლებიც ანატრებინებენ „ადამიანად არყოფნას“.

ამ ლექსთან დაკავშირებით არსებობს ვაჟას ქალიშვილის, გულქან რაზიკაშვილის ლამაზი მოგონება: „წვიმდა ჩქეფითა, მაშინ ცხრა-ათის წლისა ვიქნებოდი. ძროხაში ვიყავ. ყველას მოუვიდა პატრონი და სახვევები მოუტანეს, მე კი არა, არავინა. მამა ჩარგალს არ იყო. ჩამდიოდა წკრიალასა წყალი კაბის ბოლოზედა და ვიდეგ აი, იქა... გამყინა. მოვიდა უცებ ცხელი მზე. გავთბი. მომშივდა კიდეცა. ზაფხული იყო, მომშივდა და ერთი პატარა პურაი მქონდა, ისიც გამხმარი, დავფიქრდი: მე რო ობოლი არა ვყოფილიყავ, განა ეგრე ვიქნებოდიო. დავფიქრდი და ვთქვი:

რად გამაჩინე, უფალო,
რატომ არ მოვედ წვიმადა
ამითვისებდენ ღრუბელნი,
თან მატარებდენ შვილადა...

ჩემი ობლობა და მწყემსობა ემაგ ორ-სამ სიტყვაში ჩავხატე. შენა მყვანდიო, – მითხრა, – შენაო, პირველად მაშინ მაკოცა. შევნანდი მამასა და იმითა. მამამ მითხრა, რო ეგაო ძალიან გენიოსური სიტყვაა, შენაო, გოგოო, ჩემზე მეტი ნიჭი გქონიაო. დაწერე, როცა რა მოგაგონდეს ესეთი, ქვებზე და მომიტანე, ჩავწერო.

დავწერდი, გაიავდრებდა, გადამირეცხდა, დავწერდი ქვაზედა, ძროხები დამიბზიკავდებოდნენ, მივბრუნდებოდი, ადგილი გადამიბრუნდებოდა, დავკარგავდი, ეეე!.. მამა მთხოვდა, ქვებზე წერე და მოიტანეო...“

„განგების გასართობნი ვართ“, – წერს ვაჟა ერთ ლექსში და მკითხველს შეაგრძნობინებს ბედისწერის გარდაუვალობას, მაგრამ პოეზიით გამოდის ამ ჩაკეტილი წრიდან და, მიუხედავად იმისა, რომ „სიცოცხლე სამოთხე არ არის“ და „მოსვლაში არა ყრია რა“ („იას უთხარით ტურფასა“), მაინც დაბადებას არჩევს, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაშია ოცნებისეული მეტამორფოზები შესაძლებელი, იმგვარი გარდასახვა, როდესაც უბედურება ბედნიერებად იქცევა და არაფრის მქონე კოსმოსის მფლობელად გადაიქცევა:

„მთლად მე მეკუთვნის ქვეყანა:
მთაში – მთა, ბარად – ბარია,
ზღვა და ხმელეთი ერთიან,
ცას – ვარსკვლავების ჯარია“.

(„სიმღერა“)

ვაჟა-ფშაველას ამ ფილოსოფიურ ლექსში ლირიკული გმირი სვამს კითხვებს, რომლებითაც დგება სამყაროსა და საკუთარი თავის შემეცნების დაუსრულებელ გზაზე. ეს გზა ტკივილითა და სიხარულით სავსეა, იმგვარი ფიქრის აღმძვრელია, რომელიც აწუხებს, მაგრამ თანვე აბედნიერებს („მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ, / როცა ვარ შეწუხებული“ („ჩემი ვედრება“), ამიტომაც გულწრფელი აღტაცებით აღმოხდება:

„დიდება ქვეყნის შემოქმედს,
რა კარგად დაუწერია!

(„სოფლისა წესი ასეა“)

სიძულვილის ჯოჯოხეთიდან სიყვარულის სამოთხემდე

(გურამ დოჩანაშვილის თვალით დანახული 9 აპრილი)

კაცის „გაადამიანურების“, უკეთესად გარდაქმნის წყურვილით, ვნებითა და რწმენით სავსე გურამ დოჩანაშვილი დონ კიხოტივით გამოდიოდა შინიდან, „მაღალი სოფლიდან“ და დომენიკოსავით მოგზაურობდა ქვემო, მატერიალურ სამყაროში. უამრავ ნიღაბს ირგებდა, რომელთა მიღმა ირეკლებოდა ქრისტესეული სახე, შინაგანად განათებული და უხილავ შარავანდედიანი. თავისი შემოქმედებით ეხმიანებოდა ყველა პრობლემას, რომლებიც მითოლოგიური დროიდან დღემდე აწუხებს კაცობრიობას. უახლოეს პოლიტიკურ-კულტურულ მოვლენებს მხატვრულ განზომილებაში დაშიფრულად წარმოადგენდა, ისე, რომ ნამდვილი მკითხველი, ვასიკო კეჟერაძისნაირი, აუცილებლად მიუხვდებოდა სათქმელს. 1989 წელს დაწერილ მოთხრობაში კი „ორნი აქა-იქ“ პირდაპირ, შეუფარავად წარმოაჩინა მოუშუშებელი ჭრილობა, 9 აპრილის ტრაგედია. ფრთხილი, გაბედული მონადირესავით ჩაუსაფრდა მოვლენებს და მოიხელთა იმ დღის ყველა მნიშვნელოვანი წუთი და წამი. სწორედ მონადირის ნიღაბი მოირგო მწერალმა ამ პატარა მოთხრობაში და ადამიანთა სულები ისე შთამბეჭდავად მოინადირა, რომ მკითხველის თვალწინ კითხვისას ცოცხლდება 9 აპრილის სისხლიანი დღე, თანაც არა მხოლოდ საქაო, არამედ საიქიო. ეპიგრაფადაც გამოიტანა „მონადირის“ სიტყვები: „ესე ამბავი შესაძლოა ზოგან გამოგონილად მოეჩვენოს ვისმე, მაგრამ არა, არაა მთლად გამონაგონი“.

9 აპრილს მხეცურად მოკლული გოგონას სულის სამოთხეში ზეასვლის სურათით იწყება მოთხრობა: „– ძალიან გეტკინა, შვილო? – იქა ჰკითხეს. ფერები იყო უცხო, საკვირველი, დაბინდულივით, მაგრამ სუყველა შინაგანად აბჟუტებული, მსგავსი სილამაზე კი არა, რაღა მეტი, რომ არნანახი სილამაზეც აღარ ეთქმოდა, სჭვიოდა იქა, და ერთადერთი სამხმოვანება გაისმოდა“. გოგონას თავს ევლებიან ღვთისმშობელი, წმინდა ნინო, ანგელოზები და წმინდანები: „დედათაგან უნეტარესმა კარგად იცოდა იქ, ქვემოთ, აქაც, ჭრილობიანი ტკივილის ფასი, რა ხანმა განვლო, მაგრამ შვილის ნალურსმნალები ისევ სტკიოდა იესოს დედას, ვინც ადრე, აქა, გაოგნებული შესცქეროდა ბრბოს, გაავებულ, სიმწრით დაღმეჭილ სახეებს, რომ უსასრულობამდე უკეთესი ძე კაცისაი მოუვიდათ და იხილეს, იხილეს, ნახეს, დაიჯერეს და ამიტომ სიმწრით გაჰყვიროდნენ: „ჯუარს აცუ, ჯუარს აცუ ეგე!“. 1989 წლის 9 აპრილსაც კვლავ ჯვარს აცვეს ქრისტე, კვლავ „აჯანყდნენ“ სიბნელის მოციქულები, მაგრამ უცოდველ გოგონათა უმანკო მსხვერპლმა ისევ გადაარჩინა სინათლე. ამიტომაც გაიელვებს მოთხრობაში სურათი: „იესომ, ჯვარზე გაკრულმა, ზედ მოკვდომის წინ ველარ მოითმინა და დაიჩივლა, ასე წამოსცდა: „ღმერთო, ღმერთო ჩემო, რაისათვის დამიტევებ მე?“

სამყაროს მთლიანობაში წარმოიდგენს მწერალი, სიძულვილის ჯოჯოხეთი და სიყვარულის სამოთხე თანაბარი ინტენსივობით იხატება. აქ – დანტესეული ჯოჯოხეთია, კბილთა ღრჭენით, ურჩხულად ქცეული, სახედაკარგული საბჭოთა ჯარისკაცებით, სისხლმოწყურებულნი საწამლავითა და ალესილი ბარებით რომ დასდევენ მშვიდობიან დემონსტრანტებს და ჩეხენ ბავშვებს, ქალებს, განსაკუთრებით, ყველაზე უმწეოებს. იქ – იქაც დანტესეული სამოთხეა, უმშვენიერეს ყვავილებად გადაშლილი ადამიანებით, უხვი სინათლის ჩქერებითა და ნეტარებით, „სამხმოვანების“ გონებისწამღები მუსიკით და სიხარულის დამათრობელი სურნელით, სადაც „სიყვარული ატრიალებს მზეს და ვარსკვლავებს“.

მოთხრობაში ერთმანეთს ენაცვლება მონტაჟის ტექნიკით შესრულებული სულისშემძვრელი სურათები. მწერლის მიერ მაგიური ძალმოსილებით შექმნილ სიტყვიერ ნახატში სააქაო და საიქიო კონტრასტულ სივრცეებს ქმნიან. აქ 9 აპრილის ბნელი დღის სურათებია, უღვთოდ დაჩეხილი სხეულებით, სისხლში ჩახშობილი თავისუფლებით, ჯალათი ჯარისკაცებით. იქ სამოთხეა, შვებითა და სიხარულით. ორივე თანაბარი ენერგეტიკით იხატება, გურამ დოჩანაშვილისეული განუმეორებელი ხელწერით, როდესაც სიტყვები ისე მიმოიხრებიან, რომ გადიან ჩვეული მნიშვნელობების საზღვრებიდან და რაღაც უცნაურის, აქამდე განუცდელის შეგრძნებებს ბადებენ. ავტორი თავისი საყვარელი მწერლის, მარიო ვარგას ლიოსას პარალელური თხრობის ტექნიკით ხატავს მატერიალურ-სულიერ სივრცეებს.

მოთხრობას ორი გმირი ჰყავს: 9 აპრილის დემონსტრაციაზე გამოსული, თავისუფლების წყურვილით სავსე ბედნიერი გოგონა და რუსი ჯარისკაცი, თავისუფლების ჩახშობის წყურვილით ანთებული უბედური და უბადრუკი ჯალათი სტასიკი. სახელიც საგანგებოდ უსახური და უფერული შეურჩია მწერალმა, რადგან ის საბჭოთა რეჟიმის სტატისტიკის ერთეულია მხოლოდ და არა პიროვნება. მოზაიკურ ნახატში გამოიკვეთება სტასიკის მხეცად „ტრანსფორმირების“ სურათები, საბჭოური სისტემის მიერ მისი გაწვრთნა, „მანქურთად“ და „ჰომო სოვეტიკუსად“ ჩამოყალიბება, მორალურ-ზნეობრივი ღირებულებებისაგან, სინდისისაგან განძარცვა, რათა მერე რუსთაველზე ტანკებით შეიარაღებული გამოსულიყო და თავისუფლება თვალის დაუხამხამებლად მოეკლა, კვლავაც ისეთივე მონური თავგამეტებით შეესრულებინა ირიდის ბრძანება, როგორც სახარებისეული ჰეროდეს ჯარისკაცებმა ამოწყვიტეს ბავშვები. ირიდი, რა თქმა უნდა, გენერალი იგორ როდიონოვია, ქართველის ტრავმირებულ მეხსიერებაში შავი ასოებით ჩაწერილი ერთ-ერთი ჯალათი, თბილისში დანიშნული კომენდანტი, რომლის ბრძანებითაც აღსრულდა მშვიდობიანი დემონსტრანტების ხოცვა-ჟლეტა. მოთხრობაში სატირულად იხატება საბჭოური სივრცე, ყალბი იდეალებითა და გამოთაყვანებული ბელადებით, როგორც რობაქიძე იტყოდა, სადაც „დემოკრატია კი არა, დემონოკრატია“ იყო სისტემის საფუძველი.

მწერალი ხატავს, დაჩეხილი გოგონა როგორ „აფრინდა“ ზეცაში: „და უხილავ მხრებში მაშინვე ფაქიზად შეუდგა ორი ცისარტყელა. გოგონა რა, სხეული როცა ჰქონდა, მაშინაც კი ძალიან მჩატე იყო, ციმციმ წაიყვანეს.

აქა კი, ქვემოთ, მონადირე იმის ახლახანა საფლავთან გულგასიებული იდგა და, კიდევ კარგი, ტიროდა, რადგან ცრემლს ვაება ასე თუ ისე გამოჰქონდა. საფლავის ქვაზე ასე ეწერა: – რამდენისა გამოდიოდა და, ცოტასი...“. გიორგი ლეონიძის მარიტას სიკვდილი გვახსენდება: „საიქიოში ოქროს სკამი მიართვესო, დაღლილსაო. ღვთისმშობელს ეთქვა თურმე: ფერზე გეტყობა, ძლიერ დაღლილი ხარ, დაჯე, შვილო, შორიდან მომავალი ხარ! იესო ქრისტემ კი ხელმანდილი ამოიღო, შუბლზე უნდა მოესვა, რომ გაეცოცხლებინა, მაგრამ ისეთი ლამაზი იყოო, მიწაზე დასაბრუნებლად ვერ გაიმეტაო, მოინდომა, სულ გვერდით ჰყოლოდა, ახლაც გვერდითა ჰყავსო ვარსკვლავადო...“ („მარიტა“).

მწერალი შთამბეჭდავი ორიგინალურობით ხატავს სამოთხისეულ სურათებს: „ბაღი იყო რომ, როგორი მერე... არსად ენახა ასეთი უცხოდ ფერადოვანი ყვავილები, ბაღი იყო რომ, რა მოხატული, სურნელი იდგა. იქა, მეორეს არც ერთი ჰგავდა, და ყოველისგან, ახალ-ახალი სურნელისთვის თუ დაიხრებოდა, საოცრება რამ ამოდიოდა, მოტივტივებდა: ხან საოცნებო ხმები ამოჩქეფდა, ხანაც ნახატებს ხედავდა დიადს, ზოგისგანაც კი, ისე მართალი და სწორად ძნელი, სანუკვარი სიტყვები ესმოდა, ამ სიდიადით ითრგუნებოდა და მაინც, მაინც მაღლდებოდა ერთი პატარა ქართველი გოგონა, ამას რა ჰქვია, დეიდა წმინდა ნინო? იაკობი. გოგონამ ყური ნეტარებით მიუგდო და, წამოიძახა: სწორედ ახლახან გვასწავლიდნენ... ცურტაველია არა? ცურტაველია,

შვილო. ცოტათი იქით ყვავილი იდგა? გონიერი და შემართული, წმინდა ნინოსკენ მორჩილად და მოწიწებით თავდახრილი მაინც, ყვავილი კი არა, უფრო ყვავილის დიდი ხე იყო, დაბინდული რამ შვინდისფერი გადაჰკვროდა, როგორ ნათობდა, კრძალვით ასცქეროდა გოგონა, და ამას, დეიდა წმინდა ნინო? მაგას, დავითი“.

ისინი, ვინც გოგონას იდენტობას, მის ქართველობას განსაზღვრავენ, ყველანი აქ არიან, მწერლები, მოღვაწენი, მეფენი და მხედართმთავარნი; გოგონა კიდევ ერთხელ იგრძნობს „ერთი რამის სიყვარულს, დაფარვა რომ სჭირდება“ და გააცნობიერებს, რომ აქაც ზეციურ საქართველოშია, რადგან „უსამშობლოდ არავინ არა ხარ“. მოთხრობიდან მომდინარე თავბრუდამხვევ სურნელსა და მუსიკას შეიგრძნობს მკითხველიც: „დიდი სათუთი ყვავილოვანი ბუჩქი იდგა რომ? – „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო...“ – სულ ფირუზად და სულ ზურმუხტად აალებულიყო, წვით ციაგებდა. ბუჩქიც იყო რომ? ბრძენი, გონიერი, დაფიქრებული, იქაურობას დარდიან სურნელს მიმოჰფენდა – „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია...“ – ბუჩქი იყო რომ, იქაურობის სინდისი და ნამუსი. და, ბუჩქიც იყო, მინდვრის ყვავილებით ჭარბად მოხატული, ალაგ კი – ვარდებამოყრილი, რა ფერად აღარ ხასხასებდა – „რამ შემქმნა ადამიანად, რად არ მოვედი წვიმადა“ – სურნელი ჰქონდა? ბარბაცებდი... იმ სიბრძნის ბუჩქთან შეჩერებულიყო გოგონა, ხარბად ისუნთქავდა“.

მოთხრობაში გრილი მღვიმეცაა დახატული: „გრილი, საამო, წყნარი, თითქოსდა სევდასავით, მაგრამ სევდა კი არა, განუზომელი უბედურება და ჩუმი ვაება ტრიალებდა იქ, მღვიმის კედლებზე სუფთა წვეთები მოჟონავდა, და გოგონა როგორც კი შევიდა, მთლად დაიცვარა მღვიმის კედლები, ჟონვამ იმატა, დაცხა, და რაღაც მშობლიური რომ იგრძნო გოგონამ, პატარა პეშვი შეუშვირა ჩამონაჟონს, სახეზე მოისვა, ყოველი წვეთი ეფერებოდა, მალამოდ შეეჟღინთა, არადა, მხოლოდ მლაშე კი არა, ცხარეზე ცხარე და მდუღარე წვეთები იყო, დეიდა წმინდა ნინო, ასეთი ცხელი, რაა? ეგ დედაშენის ცრემლებია, შვილო“. ზეციურ საქართველოში წმინდა ნინომ გოგონას ქართველი ერის სიღრმეები შეამეცნებინა: „სიმღერები ჰქონდათ? რომელსაც სხვა ვერ ჩასწვდებოდა, სხვა, დიდი-დიდი, აღტაცებულიყო. ფრესკები ჰქონდათ? მოიხიბლებოდნენ სხვებიც. ეკლესიები ედგათ? ციდან სულის მყარ მალამოდ დაკიდებულნი, გული ჰქონდათ რომ? სხვა ვერასდროს დააფასებდა... და, დიადი ხალხური პოეზია ჰქონდათ ისეთი, რომლის გაგებაც სხვას არ ეწერა“.

მკითხველი უმაღლესი მართლმსაჯულების მოლოდინშია. რა ელით დამნაშავეებს? როგორ განისჯებიან? მწერალი ხატავს, როგორ მიჰგვრიან გოგონას დასასჯელად ლოთობისა და ფუტურო ცხოვრებისაგან დაბერებულ გარდაცვლილ სტასიკს. „თადარიგში გასული კაპიტანი სტასიკ წარსმდგარიყო იმათ წინაშე, ვიტიას გამონაცვალი უცნობი ფერის პალტო ეცვა, ოცდაათი კაპიკი ჰქონდა ჯიბეზე.

– შენი მკვლელია, შვილო.

– მე მკვლელი არ ვარ! – წამოიძახა სტასიკმა, – მე მხოლოდ პრიკაზს ვასრულებდი!... ეგენი დავკაში მოყვნენ...

მე... ამან მომკლა, იქა? – იკითხა გოგონამ... ყველანი, დუმდნენ.

ის სამხმოვანებაც კი, მარადიული, ახლა დადუმებულიყო; არაფერი უბიძგებდა არსაითკენ, მხოლოდ თავისით უნდა გამოეტანა მსჯავრი, უმწეოდ მიმოიხედა გოგონამ და, წმინდა ნინოს ვაზის ნასხლევს რომ მოჰკრა თვალი, წამოიძახა: **გთხოვთ, აპატიოთ, დიდო მარიამ ღვთისმშობელო!** რკინის თითები გაკვირვებისგან მოუდუნდა უცხო პირქუშს!.. კარგად დაფიქრდი. გთხოვთ, აპატიოთ, შეხედეთ, რა უბედურია... ღრმად დაფიქრებულიყო ყველაზე დიდი ქალბატონი, წმინდა მარიამ ღვთისმშობელი, დიდი მარიამი, მზე. გოგონასათვის, და თავისათვისაც, სიხარულის ცრემლი სდიოდა“.

ისეთი ფინალია, მკითხველის კათარზისს რომ იწვევს, რაც ასე ეოცნებებოდა გურამ დოჩანაშვილს. ამგვარი დასასრული მით უფრო რთული

უნდა ყოფილიყო მისთვის, რადგან ეს მოთხრობა 1989 წელს დაწერა. მიხეილ ჯავახიშვილი გვახსენდება, 1924 აგვისტოს სისხლში ჩახშობილი აჯანყების კვალდაკვალ ამავე წლის სექტემბერ-ოქტომბერში რომ დაწერა „ჯაყოს ხიზნები“: „სული იმ დროის სისხლში მქონდა ამოვლებულიო“. ასეთივე გმინვა მოისმის ამ მოთხრიდანაც, თანვე გვეფინება მიტევების მადლი.

შენდობის გამორჩეული მაგალითებით სავსეა ქართული და მსოფლიო ლიტერატურა. ცოდვის შენდობა ღვთაებრივი სამყაროსკენ, სულიერი სრულყოფილებისაკენ მიმავალ გზაზე აყენებს ადამიანს. ის არის „გაადამიანების“ მთავარი პირობა. მიტევება შობს სიყვარულს, რომელსაც სიძულვილის დამარცხება შეუძლია. მიტევება ქრისტიანული ცხოვრების მთავარი კანონია, „მამაო ჩვენოში“ ამგვარად გამოთქმული: „და მოგვიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა“. გურამ დოჩანაშვილისთვის, როგორც ერთ ინტერვიუში ამბობს, „მთავარი შემოქმედი სულიწმინდაა. ის შთაგაგონებს და შენ ხდები გამტარი“, ამიტომ სულიწმინდის შთაგონებით წერდა და გოგონას სახეში არა მხოლოდ ქრისტე და ტარიგად შეწირული უმანკო სული, არამედ თვითონაც ირეკლება ცრემლიანი თხოვნით: „მიუტევე, რამეთუ არა იციან, რას იქმან“.

ერთ ინტერვიუში ამასაც ამბობს გურამ დოჩანაშვილი: „ყველაფერს ეშველება, ოღონდ სულს არ მოედოს ჟანგი. ჟანგზე სულხან-საბას, თუ გახსოვთ, როგორ აქვს ნათქვამი, რკინის გესლიაო. ჯერ ისედაც ედება ადამიანის სულს ჟანგი და ახლა ყოველდღიურად უმატებენ ძალადობისა და უხამსობის ამდენი ჩვენებით“.

მიხეილ ჯავახიშვილი წერს: „ნეტარ იყვნენ ტანჯულნი მხატვრული სიტყვისათვის რამეთუ მათი არს გული ყოველთა მკითხველთა“ („გივი შადური“). სწორედ ასეთი ტანჯულია გურამ დოჩანაშვილი, რომლის მარადიული სასუფეველი მკითხველთა გულებშია.

სხვად ყოფნის მისჯერია

მსოფლიო ლიტერატურაში არაერთი პერსონაჟია, რომლებიც საკუთარ თავთან, საზოგადოებასა თუ სამყაროსთან შეურიგებლობის გამო სხვად გადაიქცევიან (მაგალითად, ფრანც კაფკას „მეტამორფოზა“). ეს ტრანსფორმაცია ხან გაცნობიერებულია, ხან – არა, ხან ილუზიურია, ხან კი ნამდვილი. ეს ზღაპრისეული, მითოლოგიური გარდასახვანი რეალისტურ თხრობას მაგიური, ჯადოსნური ელემენტებით ამდიდრებენ, მწერლის სათქმელს სიღრმეს სძენენ და მკითხველზეც წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენენ.

ხულიო კორტასარის მოთხრობების რეალობაშიც ისე ბუნებრივად იჭრება მაგიური და ფანტასმაგორიული, როგორც ეს სამხრეთამერიკული ლიტერატურისთვისაა დამახასიათებელი. მოთხრობა „აქსოლოტლსაც“ აქვს სიურრეალისტური ელფერი. საკუთარი თავისა და სამყაროსგან გაუცხოებული ადამიანი გადაიქცა თევზად, კერძოდ, აქსოლოტლად. გაგვახსენდება გოდერძი ჩოხელის „თევზის წერილები“, თუმცა აქ „გადაქცევის“ მცდელობაა მხოლოდ. ამ მოთხრობაშიც პერსონაჟი საზოგადოებასთან უთანხმოების გამო გადაწყვეტს გაცლას, რადგან ხედავს გაუფასურებულ მორალურ-ზნეობრივ პრინციპებს, უიდეალო, უღირს ყოფას, სულიერებისაგან დაცლილ ყოველდღიურობას. ამ ეგზისტენციალური კრიზისის კონტექსტში, რა თქმა უნდა, გოდერძი ჩოხელის ეს მოთხრობაც ჩაეწერება. მისი მთავარი გმირი, გამიხარდაი, ასე ხსნის თავის თევზად „გარდასახვის“ მოტივაციას: „დღეის მერე მე ხალხთან საქმე აღარა

მაქვს. მე აღარა მსურს ადამიანად ყოფნა იქ, სადაც არც სიმართლე გადის, არც შრომა ფასდება და კაცს კაცად არ გთვლიან. მე მიყვარდა ადამიანები, მაგრამ აღარ მიყვარან. აღარ მიყვარან იმიტომ, რომ აღარა ვარ ადამიანი. მე თევზი ვარ და თქვენთან საერთო აღარაფერი მაქვს... თქვენ გინდათ თავისუფლება და ჩიტად ყოფნას იმიტომ ნატრობთ? მერედა თუ გიყვართ, რატომღა იმონებთ ერთიმეორეს? თავისუფლება კი არა, უფრო მეტად ერთიმეორის დამონება და დამცირება გიყვართ. სიკვდილისა კი არ მეშინია. იმიტომ, რომ სულს არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული. „სულს უფლება აქვს აირჩიოს ის, რაც მას სურს“.

გოდერძი ჩოხელის ეს მოთხრობა მდიდარია არა მხოლოდ ზოგადსაკაცობრიო, არამედ კონკრეტული პოლიტიკურ-კულტურული კონტექსტებით. საბჭოთა საზოგადოების ძალადობა პიროვნულ თავისუფლებაზე ამ მოთხრობაში გამიხარდაის, უბრალო გლეხის, უჩვეულო პროტესტს აწყდება. მისი ქცევა და სიკვდილი ხალხს შეძრავს, დააფიქრებს. მწერლისეული დასკვნა კი ასეთია: სიცოცხლე და ადამიანად ყოფნა ღირს, რადგან მას შეუძლია, ნებისმიერ „ფასად“ იყოს თავისუფალი. ეს ფასი ადამიანს ყოველ დროში აქვს „გადასახდელი“, ოღონდ ყველა ეპოქაში თავისებურად მოდიფიცირებული.

გმირები, რომლებიც პიროვნულ არჩევანს აკეთებენ, ჰუმანურ ღირებულებებს აღიარებენ, საზოგადოებას უპირისპირდებიან, იღვიძებენ და პლატონისეული „გამოქვაბულიდან“ გამოდიან, რადგან ჭეშმარიტი სინათლის მხილველთ უმეცრების სიბნელეში დაბრუნება არათუ აღარ სურთ, არამედ აღარც შეუძლიათ (ვაჟა ფშაველას „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, რიჩარდ ბახის „თოლია ჯონათან ლივინგსტონი“, ჯემალ ქარჩხაძის „იგი“ და სხვ.).

კორტასარის მოთხრობა კი იმით იქცევს ყურადღებას, რომ მკითხველს გაურკვევლობის ბურუსს უქმნის. თავდაპირველად ადამიანი მოგვითხრობს თავის თავგადასავალს, მაგრამ ბოლოში მკითხველი იბნევა და აღარ იცის, ვისი ამბავი მოისმინა: კაცისა, რომელიც თევზად გადაიქცა თუ თევზისა, რომელიც კაცად ტრანსფორმირდა. ეს ჩინური ფილოსოფიის ერთ მაგალითს ეხმიანება, რომლის მიხედვითაც, კაცს ესიზმრებოდა, რომ პეპელა იყო, გამოღვიძებული კი ეჭვით იტანჯებოდა, აღარ იცოდა, ვინ იყო – ადამიანი თუ პეპელა, რომელსაც ესიზმრებოდა, რომ ადამიანი იყო.

თევზი ქრისტეს სიმბოლოა და შემთხვევითი არ უნდა იყოს ადამიანის გარდასაქმნელად მისი არჩევა, თანაც წყლის სივრცესაც შემოაქვს თავისი პალიმფსესტური შრეები. წყალი ხომ მითოლოგიაში განახლების, აღორძინების სიმბოლოა. წყალში დანთქმული თუ მდინარის ნაპირას განმარტოებული პერსონაჟებიც გვახსენდება (ტარიელი, თარაშ ემხვარი, ლექსის „ფიქრნი მტკვრის პირას“ ლირიკული გმირი და სხვ.)

კორტასარის მოთხრობის გმირი პირველ პირში ჰყვება ამბავს. პირველივე ფრაზებიდან დაეუფლება მკითხველს შეცბუნება: „იყო დრო, როცა ბევრს ვფიქრობდი აქსოლოტლებზე. ხშირად მივდიოდი ბოტანიკური ბაღის აკვარიუმში და საათობით მივშტერებოდი, ვაკვირდებოდი მათ სუსტ საცოდავ მოძრაობებს. ახლა მეც აქსოლოტლი ვარ“. სამყაროს განსხვავებული რაკურსით დანახვაც ნაცნობია ლიტერატურისთვის, მაგრამ მაინც ყოველ ჯერზე გვეუფლება შეცბუნების განცდა. ასეა ამჯერადაც. სიცოცხლის განცდა ამ მხატვრულ განზომილებაშიც უცნაურ შეგრძნებებს იწვევს, რადგან გადიხარ ნაცნობი სასიცოცხლო სისტემიდან, რომელშიც დაიბადე და ყველაფერი უშენოდ მოძრაობს. შენი ჩარევის გარეშეც სიცოცხლე ჩვეულ მდინარებას განაგრძობს. კორტასარის მოთხრობაში რეალობა ირაციონალურ-მისტიკური ელფერითაა შემოსილი, ამიტომაც ველარ არკვევ რეალურ-ირეალურის საზღვრებს.

„რამ შემქმნა ადამიანად, რატომ არ მოველ წვიმადა?“ – წერს ვაჟა-ფშაველა. ამ ფილოსოფიური ლექსის ლირიკული გმირი ეგზისტენციის, ამქვეყნიური არსებობის გამართლების, მისი საზრისის ძიებას მიჰყავს სხვად გარდასახვაზე

ოცნებამდე. თითქოს ამგვარად თავს დააღწევს უბადრუკ ყოფას, „უპატრონობას“, „სულ მუდამ ფხიზლად ყოფნის“ აუცილებლობას, სიკვდილის შიშს, მიაგნებს სიცოცხლის აზრსა და მიზანს, დატკბება სიცოცხლის მშვენიერებით („მზის მოტრფიალე ვივლიდი, სიკვდილის გამაწბილადა“), ჩაერთვება ბუნების ციკლურ, მარადიულ ყოფაში („ცაშივე ამიტაცებდა“, „გავიხარებდი“), მოემსახურებოდა სიცოცხლეს, მოკვდებოდა და აღდგებოდა ოსირისივით. ამიტომ ასეთი ნაწარმოებები ყოველთვის ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ ჭრილში განიხილება.

სხვად გარდასახვის მისტერიას აქვს, როგორც ზედაპირული იმპულსები, სხვადასხვა ტიპის საბაბი, მაგალითად, კონკრეტული კონფლიქტი საკუთარ თავთან, საზოგადოებასთან, სამყაროსთან, ასევე არაცნობიერიც, რაც გულისხმობს იმას, რომ ადამიანი დაბადებით გამოეყო ბუნებრივ სამყაროს და ახლა კვლავ უბრუნდება იმ წიაღს. გარდასახვის გზით ცოდვის გამოსყიდვა აქტუალურია ინდურ-ბუდისტურ რელიგიებში. ბერძნული მითოლოგიის სამყაროში ბევრია არსება, რომლებიც ადამიანისა და ცხოველის შერწყმას წარმოადგენენ (კენტავრი, ნიმფა, ქალთევზა, ქიმერა). ოვიდიუსის „მეტამორფოზები“ გარდასახვების ერთგვარი მხატვრული ენციკლოპედიაა.

რატომ არ უნდათ პერსონაჟებსა და ლირიკულ გმირებს ადამიანად ყოფნა ან რა გზას ირჩევენ ისინი ტყვეობისაგან თავდასახსნელად? ამის არაერთი მაგალითია მსოფლიო ლიტერატურაში. უპირველესად, ფრანც კაფკას „მეტამორფოზა“ გვახსენდება, რომლის გმირი, გრეგორ ზამზა, სწორედ გაუცხოებამ, უსიყვარულობამ, საზრისისაგან დაცლილმა ყოველდღიურმა რუტინამ გადააქცია ხოჭოდ. ამ გარდასახვით კი მწერალმა მკითხველს ადამიანური ყოფის აბსურდულობა კიდევ ერთხელ შეაგრძნობინა.

რას გვიყვება ხულიო კორტასარის აქსოლოტლი, რით ჰგავს და განსხვავდება სხვა გარდასახული გმირებისაგან? ამ მოთხრობაში მეტი ფანტასმაგორია და მისტიკაა, ვიდრე სხვაგან. ეს იმ რიგის მოთხრობაა, იდუმალებით მოცული რომ შეიძლება ვუწოდოთ. იქნებ აქაც მოქმედებს არაცნობიერი ფროიდისეული ეროსისა და თანატოსის, სიყვარულისა და სიკვდილის ურთიერთსწრაფვა, ან იქნებ რაც გიყვარს, მოგწონს, იმად ქცევა გინდა?

ხულიო კორტასარის უსახელო გმირის ცხოვრებაში მოულოდნელად იჭრება აქსოლოტლი. ამ თევზების ყურებამ გმირი ისე შეძრა, რომ ამ მათ გარდა ვეღარაფერზე ფიქრობდა. დაინტერესდა მათი ცხოვრებით, ყოველდღე დადიოდა აკვარიუმში, თითქოს უხილავი ჯაჭვით სამუდამოდ დაუკავშირდა ამ თევზებს. მან მალე შეამჩნია, რომ ისინი ოქროსფერი თვალებით ყველას აკვირდებოდნენ, ვინც კი მიუახლოვდებოდა. ხანდახან სირცხვილსაც კი გრძნობდა, რომ ასე უცერემონიოდ აშტერდებოდა. იმისთვის, რომ უკეთ შეესწავლა, ყურადღება შეაჩერა ერთ-ერთ აქსოლოტლზე, რომელიც „15-სანტიმეტრიან ხვლიკს წააგავდა, პატარა ვარდისფერი სხეული ჰქონდა, თითქოს გამჭვირვალე (ჩინური შუშის ფიგურებს მივამსგავსე), და თევზის საოცრად მოხდენილი კუდი. მას ხერხემლის მთელ სიგრძეზე განლაგებული გამჭვირვალე ფარფლები უერთდებოდა, მაგრამ ყველაზე მეტად ჩემი ყურადღება საოცრად მოხდენილი მოყვანილობის ფეხებმა მიიპყრო – ერთი ბეწო თითებმა და ადამიანის მსგავსმა ფრჩხილებმა“.

აქსოლოტლების ყურება მთხრობლისთვის ერთგვარ მედიტაციად იქცა. ის ფიქრით ეძიებდა ადამიანური არსების სიღრმეებს და იქ უფსკრულებსა თუ ლაბირინთებში იკარგებოდა. მასზე მაგნიტურ, მომაჯადოებელ ზემოქმედებას ახდენდა თევზის ოქროსფერი, არაფრისმთქმელი უსიცოცხლო თვალები, მაგრამ სწორედ მათი გზით მიემართებოდა უცნობი, საშიში, მაგრამ მიმზიდველი სიღრმეებისაკენ. ეს თვალები იქცა მისთვის სხვა სამყაროში გასასვლელ კარად: „აქსოლოტლის თვალები მესაუბრებოდნენ და ამ სამყაროს სრულიად ახალ განსხვავებულ ხედვას მიცნობდნენ“. ისინი წარმოიდგინა თავისივე სხეულის მონებად, რომლებიც უსასრულო

ჩუმ უფსკრულში მიექანებოდნენ სიმშვიდისა და იმედის ძიებაში. თითქოს მზერით ეეედრებოდნენ, გადაგვარჩინეო. მათ თვალებში გრძნობდა შემაძრწუნებელ სისპეტაკეს, რაც თავს დამნაშავედ აგრძნობინებდა. თევზები თავიანთი ოქროსფერი თვალებით თითქოს უმხელდნენ, როგორ უჭირდათ აკვარიუმში ყოფნა, მაგრამ თანვე საოცარად მშვიდად ეგუებოდნენ ბედს: „ვცდილობდი, გამეგო მათი ნებისყოფის საიდუმლო, სადაც დრო და სივრცე ამ უმოძრაო გულგრილ სამყაროში შთაინთქმებოდა“. ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს ისინი რაღაცის თვითმხილველნი და მსაჯული იყვნენ. ნელ-ნელა იგრძნო, როგორ იტანჯებოდა მათი ტკივილით, როგორ შეიგრძნობდა აკვარიუმის შხამს. თითქოს ამ თევზებს ჰქონდათ რაღაც სამარადისო წყევლა, რომელიც მათ ჯოჯოხეთის უფსკრულისაკენ მიაქანებდა. აკვარიუმის მინას კაცისა და თევზის სახეები ეწებება და უხილავად ხდება ადგილთა შენაცვლება. მთხრობელი უკვე აქსოლოტლია. ტრანსფორმაცია ბედისწერის ხელით სრულდება. ის ახლა აკვარიუმშია, თევზია და კაცს აკვირდება, რომელთანაც უხილავი ძაფებითაა დაკავშირებული. მან ახლა იცის, რომ აქსოლოტლებიც ფიქრობენ ადამიანებივით, მათაც თავიანთი სამყარო აქვთ. გმირი გრძნობს, რომ „ცოცხლად დაიმარხა აქსოლოტლის სხეულში“. კაცი კი, აქამდე ერთგულად რომ მოდიოდა, დაიკარგა, მაგრამ აქსოლოტლს სჯერა: „ის ჩვენ შესახებ აუცილებლად დაწერს, დაწერს ამბავს აქსოლოტლებზე“. ასე შემოიყვანა საკუთარი თავი კორტასარმა თხრობაში. აქსოლოტლიც და მთხრობელიც მისი ალტერ ეგოები არიან. ის თვითონ ცდილობს მხატვრული სიტყვის საშუალებით სამყაროს, ბუნების საიდუმლოთა ამოცნობას მასთან შერწყმის გზით, თან კი ადამიანად ყოფნის ტკივილის გამოხატვას. ამგვარად, მწერალი ამ იგავური მოთხრობით კიდევ ერთხელ შეეხმიანა ზოგადსაკაცობრიო გაუცვეთელ თემას: ადამიანთა გაუცხოებას, რომელიც, ამ შემთხვევაში, სიცოცხლის განუყოფელ ნაწილად წარმოაჩინა.

მინიატურა – თავნება ჟანრი

„ჩვენ უნდა შევიყვაროთ მინიატურის ფორმა და ერთხელ კიდევ გავაკვირვოთ ევროპა, როგორც ჩვენი წინაპრები აოცებდნენ მათ უჩვეულო მინანქრებით“, – წერდა ცისფერყანწელი სანდრო ცირეკიძე. თუ თვალს გადავავლებთ მინიატურის ჟანრულ თავისებურებებს, შევნიშნავთ, რომ ის ძალიან წააგავს ლექსს თავისი ლირიზმით და ესეის განსჯის სუბიექტურობით. ამიტომ ხშირად მინიატურებად მოიხსენიებენ, მაგალითად, ბოდლერის ორიგინალურ მხატვრულ ტექსტებს, თვითონ ავტორმა „ლექსები პროზად“ რომ უწოდა. მართლაც, გარეგანი თუ ფარული რიტმით, განწყობილებათა გადმოცემის ხატოვანებით, ჭარბი მეტაფორულობით ან ხაზგასმული სისადავით მინიატურა ხშირად წააგავს თეთრ ლექსს. ამ ჟანრს ყველაზე მეტად სჭირდება იუველირის ოსტატობა, ნიუანსების გადმოცემის ხელოვნება, სიტყვის განსაკუთრებული შეგრძნება, რათა რამდენიმე წინადადებაში მოაქციო სათქმელი. მიუხედავად მცირე ფორმისა, ეს არის თავისებური პრიზმა, რომელშიც მთელი სამყარო შეიძლება გადატყდეს.

მკვლევართა დაკვირვებით, მინიატურა თავნება ჟანრია და არ ემორჩილება ფორმის არავითარ კანონებს. ის ჰგავს აისბერგს, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილი ჩანს ზედაპირზე, მისი მთლიანი დანახვა კი მხოლოდ მკითხველის გონების სიღრმესა და სულიერ სიმდიდრეზეა დამოკიდებული. „მინიატურას განწყობილებანი წარმართავს, ესეის – განსჯა, ხოლო განსჯა

როგორ პოეტურადაც უნდა გამოიხატოს, განწყობილებად მაინც ვერ გარდაისახება, ხოლო მინიატურას რარიგ ღრმა ფილოსოფიური შინაარსიც უნდა ჰქონდეს, ეს სიღრმე ყოველთვის მხოლოდ განწყობილებათა და სურათთა მეშვეობითაა მიღწეული“, – წერს როსტომ ჩხეიძე, რომლის რედაქტორობითაა გამოცემული შესანიშნავი წიგნი „ქართული მინიატურული პროზა“ (1992 წ.). ამ წიგნში მკითხველმა შეიძლება თვალი გაადევნოს მინიატურის ჟანრობრივ ცვალებადობასა და თავისებურებებს ვაჟა-ფშაველათი დაწყებული და მერაბ კოსტავათი დამთავრებული (აქვე აღვნიშნავთ, რომ კარგი იქნებოდა, თანამედროვე მინიატურაც შეძლებისდაგვარად წარმოჩენილიყო მსგავს კრებულში, რადგან ამ ჟანრს დღესაც ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს).

ქართულ ლიტერატურაში მინიატურა განსაკუთრებით პოპულარული გახდა მეოცე საუკუნის დასაწყისში, როდესაც მოდერნისტული ძიებები დაიწყო. ამ თვალსაზრისით, ყველაზე გამორჩეულია ნიკო ლორთქიფანიძე, რომელმაც იმპრესიონიზმისთვის დამახასიათებელი ესთეტიკით შექმნა ამ ჟანრის საუკეთესო ნიმუშები. იმპრესიონისტული მინიატურისთვის დამახასიათებელია „უაღრესი ლაკონიურობა, შეკუმშულობა, ესკიზურობა, ფრაგმენტულობა, დაუმთავრებლობა. სურათი ან სილუეტი რამდენიმე შტრიხით მოიხაზება ხოლმე, ხოლო ბოლო, სურათის დამასრულებელი წინადადება „პუანტის“, ე. ი. კულმინაციური, გადამწყვეტი მომენტის, გონებამახვილური, მოულოდნელი, დამამთავრებელი ეფექტის შემცველია“ (ნოდარ კაკაბაძე). მინიატურას გენეტიკურად უკავშირებენ ძველ ეგვიპტურ, ბაბილონურ, ასირულ, ინდურ, არაბულ, სპარსულ, ლათინურ და ბერძნულ ლიტერატურას, აგრეთვე, შუა საუკუნეების არაკებს. მინიატურა იტალიური სიტყვაა, წარმოიშვა ლათინური მინიატურედან, რაც წითელ საღებავს ნიშნავს. თავდაპირველად ხელნაწერებში აფორმებდნენ თავკიდურ ასოებს და მინიატურული ორნამენტებით ქმნიდნენ ტექსტთა ფონს. შემდგომში კი ტექსტებში აღწერილი ამბების დასურათხატებასაც მიჰყვეს ხელი და ასე ჩამოყალიბდა მინიატურული ფერწერის ნიმუშები. მინიატურა განსაკუთრებით განვითარდა აღმოსავლურ ქვეყნებში და განუმეორებელი ელფერი შეიძინა (შუა აზია, ირანი, არაბული ქვეყნები, ინდოეთი).

ხელოვანთა აზრით, სხვათაგან მკვეთრად განსხვავდება ქართული მინიატურა. იგი გამოირჩევა შესრულების უმაღლესი ოსტატობითა და დახვეწილი ტექნიკით. დეკორატიული კომპოზიციებით, ფერებით, რომლებიც განსაკუთრებულ ლირიკულ განწყობილებას ქმნიან, „საქართველოში ოდითგანვე წიგნის მხატვრულ გაფორმებას ისეთივე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც არქიტექტურას, კედლის მხატვრობასა და ლითონის პლასტიკას“ (შალვა ამირანაშვილი, „ქართული ხელოვნების ისტორია“). ისტორიამ შემოგვინახა ქართველ მინიატურისტთა ნამუშევრები. ლიტერატურული მინიატურისთვის ფერწერის ამგვარ ტრადიციას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ხელოვნება ქმნის ერთიან კულტურულ ველს და არაცნობიერად ახდენს გავლენას ნებისმიერ ფორმაზე. იოანე მოსხის სამოთხისა და ექვთიმე მთაწმინდელის მიერ ნათარგმნი „შუა საუკუნეთა ნოველები“, სულხან-საბას „სიბრძნე სიცრუისას“ იგავ-არაკები ქმნიდნენ ქართული ლიტერატურული მინიატურის მდიდარ ტრადიციას.

ცისფერყანწელი სანდრო ცირეკიძე, „მინიატურის უნაზესი მოცარტი“ (როგორც ვალერიან გაფრინდაშვილმა უწოდა), თვითონ შესანიშნავი მინიატურების ავტორი, ერთ-ერთი იყო, რომელიც შეეცადა მინიატურის გენეზისის გარკვევას. მან უარყო გავრცელებული შეხედულება, რომ ევროპაში „ელექტრონისა და მოტორის ხანამ“, ცხოვრების რიტმის დაჩქარებამ წარმოქმნა მინიატურის მცირე და სხარტი ფორმა. გრძელი ამბებისთვის, დიდი მხატვრობისთვის აღარავის სცალია და ევროპაში რომანების ნაცვლად მინიატურების წერა დაიწყესო. სანდრო ცირეკიძის აზრით, ეს საბუთი არ გამოდგებოდა საქართველოში ამ ჟანრის აყვავების ასახსნელად, რადგან

ჩვენში ცხოვრება ჯერ საკმაოდ ნელიაო. მან მინიატურის აკვნად ევროპა კი არა, აღმოსავლეთი აღიარა, რადგან „დიდ სურათს უნდა ფართო, გაბედული კალმის მოსმა. ეს შეიძლება ჩქარ ქვეყნებში. მინიატურა წერტილებით იწერება. იმას ზანტი, მოზომილი ხატვა უნდა. მინიატურას მოცლილი სპარსელი უნდა ხატავდეს შუადღისას, ჭანდრის ჩრდილში. მონასტრის მშვიდ კედლებში ხატავდნენ მინიატურებს გელათის სახარებისთვის. სადაც მინიატურაზე ფიქრობენ, იქ ცხოვრების ფერადი კარუსელი ისე ნელა უნდა ბრუნავდეს, როგორც არსად სხვაგან: მინიატურული ფორმა აღმოსავლეთის კანონიერი შვილია და ევროპაში ის მოგზაურობს მხოლოდ“. სანდრო ცირეკიძე ევროპაში მინიატურის „სახელოვან კავალრებად“ მიიჩნევს: კატულ მენდესს, შარლ ბოდლერს, ოსკარ უაილდს, სტეფან მალარმეს, ვილიე დე ლილ ადანს, პიტერ ალტენბერგს, ტეტმაიერს, რუსეთში ტურგენევსა და რემიზოვს. საქართველო კი „ევროპის კარებზეაო“, ამიტომ „ჩვენ ევროპას სამხრეთის ლურჯ ჰაერში უნდა შევხედოთ პირდაპირ და არა ჩრდილოეთის გაყინულ სათვალეებითო“. ქართველმა მოდერნისტებმა მოახერხეს არა მხოლოდ გონების, არამედ ხორციელი თვალებითაც პირდაპირ შეეხედათ ევროპისთვის. ისინი ევროპის სხვადასხვა ქალაქში ცხოვრობდნენ, სწავლობდნენ, ეცნობოდნენ უახლესი ხელოვნების მიღწევებს, ნიჭისა და ოსტატობის წყალობით გარედან მიღებულ ცოდნას გარდაქმნიდნენ და საკუთარი შემოქმედების ინოვაციური ექსპერიმენტებისთვის იყენებდნენ, გამოთქმისა და ასახვის უჩვეულო და გამოუცდელ გზებს ეძებდნენ (გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ნიკო ლორთქიფანიძე, ნიკოლო მიწიშვილი, პაოლო იაშვილი და სხვ.).

სანდრო ცირეკიძეს სჯეროდა: „რომანის გადაგვარების პროცესი ჩვენში დამთავრდება მინიატურის საბოლოო დაკანონებით და მიღებით“ („მინიატურა“).

საბედნიეროდ, ქართულმა მწერლობამ ისე მოახერხა, რომ არც რომანი გადაგვარებულა და მინიატურამაც დაიმკვიდრა თავისი ღირსეული ადგილი. დღესაც ბევრი ქართველი თუ უცხოელი შემოქმედი წარმატებით იყენებს ამ ჟანრის თავისი სათქმელის გამოსახატავად.



ნოდარ ჯასიდაძე

სენტ-ეგზიუპერი – ჰუმანისტი და მორალისტი

არიან ადამიანები, რომლებიც სხვებისაგან გამოირჩევიან თავიანთი საოცარი ბუნებრივი ნიჭით, დაკისრებული მოვალეობისადმი პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობითა და ადამიანების უსაზღვრო სიყვარულით. ასეთი ადამიანების სახელსა და ნაღვაწს დრო და ჟამი ვერაფერს აკლებს. ისინი სიკვდილის შემდეგაც განაგრძობენ სიცოცხლეს და ღრმა კვალს ტოვებენ ერის სულიერ ცხოვრებაში, თავისებურ იდეალად, ეტალონად რჩებიან ნებისმიერი თაობის ახალგაზრდობისათვის. ასეთ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნებოდა XX საუკუნის პირველი ნახევრის დიდი ფრანგი მწერალი და პილოტი (მფრინავი) ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი (1900-1944).

თავისი მაღალზნეობრივი თვისებებით, ადამიანური ღირსებებითა და ნათელი მომავლის ურყევი რწმენით, იგი რაღაც არაორდინალური პიროვნება იყო. რა არ დატრიალდა მის თვალწინ, რისი მომსწრე და მნახველი არ გახდა ცხოვრებაში, მაგრამ მისი სიკეთით სავსე გული ოდნავადაც არ შეცვლილა, არ გაბოროტებულა, ბოლომდე დარჩა თავისი საქმისა და ადამიანების მოყვარული. ამ რწმენითა და ადამიანების სიყვარულით არის გამთბარი მთელი მისი შემოქმედება.

თავის მოთხრობებში სენტ-ეგზიუპერი აღწერს მფრინავთა ხიფათით სავსე ცხოვრებას, უმღერის მამაც და თავდადებულ ადამიანებს, უბრალოდ და გულში ჩამწვდომად მოგვითხრობს ცხოვრების მიზანზე, ადამიანის დანიშნულებაზე, მოვალეობასა და პასუხისმგებლობაზე, სიცოცხლესა და ადამიანების უანგარო სიყვარულზე, ბოროტებასთან შეურიგებლობასა და იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს, საერთოდ, ადამიანი. „ჩვენ ბედნიერი ვიქნებით მხოლოდ მაშინ, – წერს იგი, – როცა შევიცნობთ ჩვენს თუნდაც მცირე როლს ცხოვრებაში, მხოლოდ მაშინ შეგვეძლება ვიცხოვროთ და მოვკვდეთ მშვიდად, რადგან ის, რაც აზრს აძლევს სიცოცხლეს, აზრს აძლევს სიკვდილსაც“ (ეგზიუპერი, 1966: 122).

ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი დაიბადა 1900 წლის 29 ივნისს, ქალაქ ლიონში, ღარიბი არისტოკრატის ოჯახში. ოთხი წლის იყო ანტუანი, როცა მამა გარდაეცვალა. დედას საზრუნავად დაურჩა ხუთი შვილი – სამი ვაჟი და ორი ქალიშვილი, მაგრამ იგი შვილებს მოწყენილი და გულჩათხრობილი არასოდეს უნახავთ, თავი მუდამ ამაყად ეჭირა. ბავშვებზე ზემოქმედების ერთადერთ საშუალებად მას სიყვარული მიაჩნდა. თითოეულ მათგანს თანაბრად უნაწილებდა დედობრივ სითბოსა და ალერსს.

კოლეჯის დამთავრების შემდეგ ეგზიუპერი მფრინავი ხდება და მუშაობას იწყებს სპეციალობის მიხედვით, გადააქვს ფოსტა ჯერ ტულუ-

ზა-კასაბლანკის, შემდეგ კასაბლანკა-დაკარის ხაზზე, 1944 წლის 31 ივლისს კი ერთ-ერთი საბრძოლო დავალების შესრულებისას იგი ტრაგიკულად დაიღუპა.

წერა ანტუანმა ადრეულ ასაკში დაიწყო, მაგრამ პირველ ხანებში იგი წერდა თავის გასართობად, მეტადრე ლექსებს და აზრადაც არ მოსდიოდა მწერალი გამხდარიყო, მაგრამ 1926 წელს, როცა გამოქვეყნდა მისი პატარა მოთხრობა „მფრინავი“ და მკითხველმა იგი ინტერესით მიიღო, გადაწყვიტა სერიოზულად მოეკიდა კალმისთვის ხელი.

1929 წელს გამოდის ეგზიუპერის პირველი წიგნი „სამხრეთის ფოსტა“, შემდეგ მას მოჰყვა „ღამის ფრენა“, „ადამიანთა მიწა“, „სამხედრო მფრინავი“ და ბოლოს „პატარა უფლისწული“. 1939 წელს ეგზიუპერის „ადამიანთა მიწას“ საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიამ „რომანის დიდი პრემია“ მიანიჭა. პრემიით აღინიშნა ასევე მისი „ღამის ფრენა“.

სენტ-ეგზიუპერის მთელი შემოქმედების დედააზრია ადამიანის არსის შეცნობა, შეცნობა იმ საუკეთესო თვისებებისა, რაც ადამიანს ცოცხალ არსებათა შორის ყველაზე მაღლა აყენებს და „ჰომო საპიენსად“ აქცევს. მისი ღრმა რწმენით, ადამიანი არის უმაღლესი ღირებულება ყველა სხვა ღირებულებათა შორის. ამიტომ მას ყველგან და ყოველთვის ყურადღება და დაფასება სჭირდება. მაგრამ, სამწუხაროდ, უკანასკნელ ხანებში, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში ადამიანი მივიწყებულ იქნა და იგი მანქანის დანამატად, ჭანჭიკად იქცა. ადრე ტექნიკა საშუალებად მიაჩნდათ, ხოლო ადამიანი მიზნად, ახლა კი პირიქით მოხდა – ადამიანი საშუალებად იქცა და ტექნიკა მიზნად. ამიტომ წერს ეგზიუპერი: „მანქანა მიზანი არ არის. თვითმფრინავი მიზანი კი არა, საშუალებაა, ისეთივე საშუალება, როგორიც – გუთანი“ (ეგზიუპერი, 1966: 32).

თავისი მოსაზრების სისწორეში რომ დაგვარწმუნოს, მწერალი ისევ იმეორებს: „თვითმფრინავი საშუალებაა და არა მიზანი. სიცოცხლეს თვითმფრინავისათვის როდი სწირავ, ისევე როგორც გუთნისათვის არ ხნავს გლეხი“ (ეგზიუპერი, 1966: 107).

ეგზიუპერი, როგორც მწერალი და მორალისტი, მოითხოვს სიტყვისა და საქმის ერთიანობას, რისი საუკეთესო მაგალითიც თავად იყო. მისი კონცეფციით, ცხოვრების აზრი მხოლოდ მოქმედებაში, ადამიანებზე ზრუნვასა და დაბრკოლებათა გადალახვაშია, რამეთუ „ადამიანი ვლინდება დაბრკოლებებთან ბრძოლებში“. მხოლოდ მასში პოვებს იგი ნამდვილ ბედნიერებას. მოვალეობის გრძნობა აძლევს ჩვენს ცხოვრებას შინაარსსა და მიზანდასახულობას, ასპეტაკებს, ალამაზებს, აკეთილშობილებს თითოეულ ჩვენგანს. პიროვნების ავტორიტეტის საზომიც სამშობლოსა და ხალხის წინაშე მოვალეობასა და პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული, რასაც ადამიანი ძირითადად თავისი საქმიანობით გამოხატავს. ამიტომ ოდითგანვე ორი სიტყვა – ადამიანი და მოვალეობა – ისეა ერთმანეთში ჩაწნულ-ჩახლართული, რომ უერთმანეთოდ არც ერთი არ ფასობს.

ჭეშმარიტი, ზნეობრივად სრულყოფილი ადამიანი მხოლოდ ისაა, ვინც ზრუნავს არა მარტო საკუთარ თავზე, არამედ სხვებზეც, საზოგადოების თითოეულ წევრზე, რადგან „ჩვენ ყველანი ერთი და იგივე პლანეტით მივექანებით სივრცეში, ერთი და იგივე ხომალდის ეკიპაჟი ვართ“ (ეგზიუპერი, 1966: 121-122). ყოველი ჩვენგანი ადამიანთა ურთიერთობის, მთელი საზოგადოების შემადგენელი ნაწილები ვართ და უერთმანეთოდ არსებობა არ შეგვიძლია. ამიტომ ყველას ვალია ერთმანეთზე ზრუნვა – შენ ისევე უნდა იზრუნო ჩემზე, როგორც მე შენზე.

მოვალეობა და პასუხისმგებლობა, აი ის, რაც ამკობს და ალამაზებს ნებისმიერი რანგის ადამიანს. ამიტომაც ებრძვიან ეგზიუპერის გმირები უაზრო სიკვდილს. „იყო ადამიანი, – წერს იგი, – ნიშნავს, გრძნობდე პასუხისმგებლობას; გრძნობდე სირცხვილს თავსდატეხილი უბედურების გამო, რომელიც თითქოს არც არის შენზე დამოკიდებული; ამაყობდე ყოველი გამარჯვებით, რომელიც შენმა ამხანაგებმა მოიპოვეს;

გჯეროდეს, რომ შენი მიტანილი აგურით შენც შეგაქვს წვლილი ქვეყნის შენებაში“ (ეგზიუპერი, 1966: 31).

მოყვასისათვის ზრუნვა და მისთვის თავდადება ყოველი ჩვენგანის უპირველესი ადამიანური ვალია. ამიტომაც ამბობს მწერალი: „მერმოზმა მოიხადა თავისი ვალი და განისვენა, მსგავსად იმ მომკელისა, რომელმაც გულმოდგინედ შეკრა უკანასკნელი ძნა და იქვე, მინდორში მიიძინა“ (ეგზიუპერი, 1966: 21). ასეთი ადამიანები თავიანთი სიკვდილით უკვდავყოფენ და განადიდებენ ადამიანს. ამიტომ ყოველი ადამიანი უნდა ზრუნავდეს საკუთარი სახელის უკვდავყოფაზე. ის, ვინც ცხოვრების აზრს ჭამა-სმასა, თავის გართობასა და დროსტარებაში ხედავს, ფაქტობრივად, ადამიანი არ არის. იგი არაფრით განსხვავდება ცხოველისაგან.

ზოგიერთი ჩვენგანი მხოლოდ საკუთარ სხეულზე ზრუნავს და ოდნავადაც არ ფიქრობს სულზე. ჩვენ მეტისმეტად „დიდ ყურადღებას ვუთმობთ ჩვენს სხეულს, – წერს ეგზიუპერი, – ...მონდომებით ვმოსავთ მას, ვბანთ, ვუვლით, ვპარსავთ, ვასმევთ და ვაჭმევთ. ჩვენ სხეული შინაურ ცხოველად ვაქციეთ. თერძთან, ექიმთან და ქირურგთან დაგვყავს იგი. მასთან ერთად ვიტანჯებით, მასთან ერთად ვტირით, მასთან ერთად გვიყვარს“ (ეგზიუპერი, 1977: 109).

ეგზიუპერის სამართლიანი აზრით, სხეული კი არა, სული უნდა გავიხადოთ ზრუნვისა და ყურადრების საგნად. ყოველმა ჭეშმარიტმა ადამიანმა უნდა შეძლოს საკუთარ სხეულზე მაღლა დგომა, ზოგ შემთხვევაში კი საკუთარ ბიოლოგიურ არსებობაზეც უარი უნდა თქვას და თავისი სიცოცხლე სხვას ანაცვალოს. აი, სწორედ ამაშია ზნეობრივი სიწმინდე, ზნეობრივი საქციელი და სულის უკვდავება. ვინც მხოლოდ სხეულს ემსახურება და სულზე არ ფიქრობს, მალე დარწმუნდება თავისი მოქმედების უსაფუძვლობაში. როცა ჩვენთვის ყველაზე ახლობელი ადამიანის, ვთქვათ, შვილის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი დგება, მაშინ სულაც არ ვფიქრობთ სხეულზე და მაშინვე ვწირავთ მას შვილის სიცოცხლეს – დაუფიქრებლად ვეშვებით მდინარეში, მაშინაც კი, როცა ცურვა არ ვიცით და ვცდილობთ, ვიხსნათ იგი განსაცდელისგან, ვვარდებით ალმოდებულ სახლში, რათა იგი დაწვას გადავარჩინოთ და ა.შ.

ეს აზრი ეგზიუპერმა ასე ჩამოაყალიბა: „შენი შვილი ხანძარში აღმოჩნდა? – შენ გადაარჩენ მას! ვერავინ ვერ დაგაკავებს! ცეცხლი გედება? – მიგიფურთხებია! თუ საჭირო გახდა, შენი სხეულის ნაფლეთებს შესწირავ და უცებ ხვდები, რომ სრულებითაც არ გყვარებია ის, რაც ასეთი მნიშვნელოვანი გეჩვენებოდა. და შენ მზად ხარ გასწირო შენი ხელი, ოღონდ კი გაუწოდო იგი მას, ვისაც შენი დახმარება სჭირდება“ (ეგზიუპერი, 1977: 109).

ასეთ ადამიანს, ეგზიუპერის აზრით, ვერავინ დაიმორჩილებს მის „სხეულზე ძალადობის მუქარით“. იგი გმირია, უშიშარი რაინდი. „შენ მტრის სიკვდილი ხარ, – მიმართავს ასეთ კაცს ავტორი, – შენ შვილის გადარჩენა ხარ... შენ ცვლი შენს თავს მტრის სიკვდილზე, შვილის გადარჩენაზე, ავადმყოფის განკურნებაზე და შენს აღმოჩენაზე – თუ გამომგონებელი ხარ“ (ეგზიუპერი, 1977: 109).

ამრიგად, სხეული კი არა, სული, მისი სიწმინდე და სილამაზე უნდა იქცეს ჩვენი ყოველდღიური ზრუნვისა და ყურადღების საგნად. ცხოვრების აზრი სულის სილამაზით ტკბობაშია. მხოლოდ ასეთ ადამიანს ძალუძს, გარდაქმნას სამყარო, სახე უცვალოს მას.

ყოველივე ზემოთქმული იმას როდი ნიშნავს, რომ ეგზიუპერი ქადაგებდა სიცოცხლის არად ჩაგდებას. პირიქით, მისი გმირები ყოველნაირად იბრძვიან სიცოცხლის გადასარჩენად, განსაკუთრებით კი ებრძვიან უაზრო სიკვდილს, როცა იგი სხვისი სიცოცხლის გადარჩენას არ ემსახურება. ამასთან, „საჭიროა, რომ ის, რისთვისაც კვდებიან, სიკვდილად ღირდეს“. ამიტომაც ამბობს მწერალი: „თავის გაწირვა მშვენიერია, როდესაც სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად კვდები. როდესაც ცეცხლში შედიხარ, რომ მეზობლის სახლი ხანძარს გადაარჩინო“ (ეგზიუპერი, 1977: 59).

ზნეობრივად სრულყოფილმა ადამიანმა მაშინაც კი არ უნდა შეწყვიტოს ბრძოლა, ფარ-ხმალი არ უნდა დაყაროს, როცა თითქოსდა სიკვდილი გარდაუვალია და თავის დახსნის არავითარი შანსი არ არსებობს. თვითმფრინავის ავარიის შედეგად ეგზიუპერი და მისი მექანიკოსი პრევო უდაბნოში უწყლოდ და ულუკმაპუროდ რჩებიან და გადარჩენის არავითარი შანსი არ გააჩნიათ, მაგრამ ისინი ბედს არ ურიგდებიან, სიკვდილს არ ნებდებიან და გზას განაგრძობენ. „ – მარტო რომ ვიყო ქვეყანაზე, – ამბობს პრევო, – დავწვებოდი და აღარც გავინძრეოდი“ (ეგზიუპერი, 1966: 99). ამიტომაც არ დაწვა. არ დაწვა ეკზიუპერიც, რადგან ორივე ფიქრობდა იმაზე, „ვისაც გული უკვდება ამ საშინელი შეცდომის გამო“.

კიდევ უფრო საოცარი პიროვნებაა მოთხრობის „ადამიანთა მიწა“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი ანრი გიომე. მისი ცხოვრება სულის სიმტკიცის, შეუპოვრობისა და ვაჟკაცური შემართების საუკეთესო მაგალითია. მან გადაიტანა ის, „რასაც ვერ გადაიტანდა ვერც ერთი პირუტყვი“, – ამბობს მწერალი.

ორმოცგრადუსიან ყინვაში ანრი გიომეს საწვავი გამოელია და თვითმფრინავი რის ვაი-ვაგლახით უკაცრიელ ადგილას დასვა, რომელიც დაჯდომისას გადაბრუნდა. „თვითმფრინავიდან გამოვძვერი თუ არა, – უყვება იგი მეგობრებს, – ქარიშხალმა ძირს დამცა. წამოვდექი, მაგრამ კვლავ ძირს დამცა ქარიშხალმა. იძულებული გავხვდი, თვითმფრინავის ქვეშ შევცოცებულიყავი და თოვლში საფარი ამომეთხარა, ზემოდან ფოსტით სავსე ტომრები გადავიხურე და ორი დღე-ღამე ლოდინში გავატარე. მერე, როცა ქარიშხალი ჩადგა, გზას გავუდექი და ხუთი დღე და ოთხი ღამე ვიარე“ (ეგზიუპერი, 1966: 25-27).

ბუნების წინააღმდეგ გამართულ ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლიდან გამარჯვებით დაბრუნებულ გიომეს ეგზიუპერი ასე მიმართავს: „...როცა გისმენდი, მე ვხედავდი, როგორ მიდიოდი ორმოცგრადუსიან ყინვაში მშიერი, უალპენშტოკოდ, უთოკოდ მიხოხავდი მაღალმთიან უღელტეხილებზე, მიცოცავდი ციცაბო კლდეებზე და დახეთქილი ქუსლებიდან, მუხლებიდან, ხელებიდან სისხლი გდიოდა. თანდათანობით კარგავდი სისხლს, ძალას, გონებას და მაინც მიდიოდი წინ ჭიანჭველასავით შეუპოვრად, წყდებოდი კლდეს და ისევ ადიოდი ზედ, უკან ბრუნდებოდი, რომ გადაულახავი დაბრკოლებისთვის გარს მოგევლო, ფერდობებით მიხოხავდი მწვერვალისაკენ, რომლის იქით არაფერი იყო, გარდა უფსკრულისა. თავს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდი, რადგან ერთხელ მიწოლილი ვეღარც ადგებოდი თოვლის საწოლიდან“ (ეგზიუპერი, 1966: 27).

ორი-სამი დღის სიარულის შემდეგ გიომე მხოლოდ ძილზე ოცნებობდა, მაგრამ მან კარგად იცოდა, რომ ეს შეუძლებელი იყო, რადგან ერთი წუთით შესვენებაც კი სიკვდილს მოასწავებდა. ამიტომ იგი შეუჩერებლივ მიდიოდა და სხვაგვარად არც შეეძლო მოქცეულიყო, რადგან პასუხისმგებლობისა და მოვალეობის მაღალი გრძნობა ამის საშუალებას არ აძლევდა. იგი ფიქრობდა არა საკუთარ თავზე, არამედ ცოლზე, ამხანაგებზე და, საერთოდ, იმ ადამიანებზე, რომლებთანაც ათასი ძაფი აკავშირებდა. „ცოლს, თუკი მას სჯერა, რომ ცოცხალი ვარ, – ფიქრობდა იგი, – სჯერა, რომ მივალ, ამხანაგებს სჯერათ, რომ მივალ. ისინი მენდობიან მე და არამზადა უნდა ვიყო, რომ გავჩერდე!“ (ეგზიუპერი, 1966: 28).

და არც გაჩერებულა. როგორც თვითონ ამბობს, „ხუთი დღე და ოთხი ღამე“ იარა თოვლში დაღლილ-დაქანცულმა და მშიერ-მწყურვალმა, რომ ცოტათი მაინც მიახლოებოდა იმ ადგილს, სადაც მის გვამს ადვილად იპოვნიდნენ და მუშაობის დროს დაღუპული პილოტის ცოლს პენსიას დაუნიშნავდნენ.

ასეთი „დიდი გულისა და ფართო ჰორიზონტის“ ადამიანი იყო გიომე. იგი ვაჟკაცურად და წარბშეუხრელად ებრძოდა სიკვდილს, ებრძოდა ქარსა და ყინვას, დარსა და ავდარს, მთებსა და კლდეებს, ზღვებსა და ქვიშას, რათა პირნათლად შეესრულებინა მასზე დაკისრებული მოვალეობა, მოეხადა ადამიანური ვალი. აი,

რას ამბობს მის შესახებ ეკზიუპერი: „მისი სულის სიდიადე პასუხისმგებლობის შეგრძნებაში მდგომარეობს. პასუხისმგებლობისა საკუთარი თავის, მინდობილი ფოსტის, ამხანაგების გამო, ამხანაგების, რომელთაც მისი იმედი აქვთ, რომელთა მწუხარება და სიხარული მასზეა დამოკიდებული. იგი მდგომარეობს პასუხისმგებლობის შეგნებაში იმ ახლისათვის, რაც შენდება იქ, ცოცხლებთან, რასაც უნდა შეეხოს მისი ხელიც; თუნდაც სულ მცირედი პასუხისმგებლობისა ადამიანთა მომავლისათვის იმდენად, რამდენადაც მათი მომავალი მის წვლილზეც არის დამოკიდებული“ (ეგზიუპერი, 1966: 31).

მოვალეობის მაღალი გრძნობა და ადამიანებისადმი გულწრფელი სიყვარული გამსჭვალავს ეგზიუპერის ყველა ნაწარმოებს. მისთვის მთავარია ადამიანთა სიყვარული, მაგრამ ისეთი სიყვარული, რომელიც ყველა ადამიანს ერთ სიბრტყეზე განიხილავს და გამორიცხავს მათ განსხვავებას ეროვნული, რელიგიური პოლიტიკური თუ ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით. მწერლის აზრით, ასეთი „სიყვარული ნიშნავს არა ერთმანეთის ყურებას, არამედ ყურებას ერთად და ერთი მიმართულებით. ამხანაგები მხოლოდ ისინი არიან, რომელნიც ერთ ბაგირს ეჭიდებიან, საერთო ძალით ადიან მწვერვალზე და ამგვარად აღწევენ ურთიერთსიახლოვეს“ (ეგზიუპერი, 1966: 117-118). სწორედ ასეთი ერთობლივი შრომა და ურთიერთსიახლოვეა, ადამიანებს რომ აძლიერებს, აკეთილშობილებს და პირუტყვზე მაღლა აყენებს.

ცხოველს საარსებო საშუალებების მოპოვება არ ძალუძს. იგი კმაყოფილდება მხოლოდ იმით, რასაც ბუნება უწყალობებს, ადამიანი კი თვითონ აწარმოებს, თვითონ ქმნის მათ. ამასთან, მოქმედებს არა იზოლირებულად, განცალკევებულად, არამედ სხვა ადამიანებთან წარმოებით ურთიერთობაში შესვლით, თანამშრომლობის გზით. ამიტომაც ამბობს ეგზიუპერი: „ყოველი ხელობის სიდიადე, პირველ ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ იგი აერთიანებს ადამიანებს. არსებობს ერთადერთი ნამდვილი ღირებულება და ეს ადამიანთა ურთიერთობაა“ (ეგზიუპერი, 1966: 32).

ასეთი ურთიერთობა ადამიანებს შორის მყარდება თავისუფალი შემოქმედებითი შრომის პროცესში. ისეთი შრომა კი, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ აზრს და პიროვნებას არ აკავშირებს ადამიანებთან, ეკზიუპერის აზრით, არის იძულებითი, მონური შრომა.

შრომის პროცესში ადამიანთა ურთიერთობას ეგზიუპერი საფუძვლად უდებს ურთიერთსიყვარულსა და პატივისცემას, თანადგომას, რომელიც გულისხმობს „პასუხისმგებლობას ყველას მაგიერ და ყველას – თითოეულის მაგიერ“. ამ აზრს ეკზიუპერი შემდეგნაირად აყალიბებს: „თითოეული პასუხს აგებს ყველას მაგიერ, ოღონდ... ყველა ცალ-ცალკე აგებს პასუხს ყველას მაგიერ“ (ეგზიუპერი, 1977: 139).

ამრიგად, ადამიანი საზოგადოების წევრია და უნდა ემორჩილებოდეს ამ საზოგადოებაში არსებულ კანონებს. საზოგადოებისაგან იზოლირებული, „განცალკევებული პიროვნება არ არსებობს. ის, ვინც საკუთარ თავს საზოგადოებისაგან განაცალკევებს, – წერს ეგზიუპერი, – ზიანს აყენებს მას. ის, ვინც დარდიანია, სხვასაც ადარდიანებს“ (ეგზიუპერი, 1977: 154).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ყოველი ჩვენგანი უნდა ცდილობდეს კოლექტივის წევრებთან ნორმალური ადამიანური ურთიერთობის დამყარებას, რაც დაფუძნებული იქნება ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულზე.

ეგზიუპერის აზრით, ყველას საერთო საზომი – ამხანაგის, მეგობრის, ერისა თუ ბერისა – არის ადამიანობა, რაც, მისი აზრით, რთული ფენომენია და მისი სრულყოფილი დახასიათება შეუძლებელია. „– როდესაც ადამიანობაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, – ამბობს იგი, – ჩვენი ენა საკმარისი არ არის, ადამიანობა სხვა რამეა და ადამიანები – სხვა რამ... ადამიანობაზე ვერაფერს არსებითს ვერ იტყვი, თუ ეცდები, ადამიანების თვისებებით განსაზღვრო იგი“ (ეგზიუპერი, 1977: 150-151).

ზნეობრივად სრულყოფილი ადამიანის უპირველესი მოვალეობაა ბოროტებისა და უსამართ-

ლობის წინააღმდეგ ბრძოლა. „ბოროტებას, სადაც უნდა ნახო იგი, – წერს ეგზიუპერი, – თუ მაშინვე არ ამოძირკვავ, უსათუოდ სინათლეც დაიჩრდილება. როცა ბოროტების აღმოფხვრის საშუალება გაქვს და არ ებრძვი, – ნამდვილ ბოროტებას სჩადიხარ“ (ეგზიუპერი, 1976: 48).

სადაც ასეთი სიყვარული და პატივისცემა არაა, პიროვნებას ეუფლება სასოწარკვეთილება და ცხოვრებაზე გულაცრუება, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმას, რომ ადამიანისათვის უფრო მნიშვნელოვანია სულიერი კეთილდღეობა, ვიდრე მატერიალური, რამეთუ „მდიდრებიც ტირიან“. ამიტომაცაა, რომ ეგზიუპერი თავისი შემოქმედებით ცდილობს ადამიანთა ურთიერთდაახლოებას და ებრძვის ყოველივე იმას, რაც მათ გაუცხოებასა და დაშორებას იწვევს. მწერლის დევიზია: „ვაჩუქოთ ერთმანეთს ღიმილი“, რადგან, მისი აზრით, „ყველაზე მთავარი ხშირად ღიმილია. ღიმილით უხდიან ვალს, ღიმილით აჯილდოებენ, ღიმილით უბრუნებენ სიცოცხლეს. ზოგიერთი ღიმილის გულისათვის თავს გასწირავ“ (ეგზიუპერი, 1977: 175-176).

სენტ-ეგზიუპერი სამშობლოს სიყვარულის უპირველესი გრძნობის აღზრდის საკითხსაც არ ივიწყებს, მაგრამ აქვე მიუთითებს, რომ სიტყვებით, ზნეობრივი სენტენციებით ამის მიღწევა შეუძლებელია, რამეთუ „მას, ვისაც სამშობლოს სიყვარულის გრძნობა არ გააჩნია, ვერავითარი სიტყვებით ვერ შთაუნერგავ ამ გრძნობას“ (ეგზიუპერი, 1977: 151). მწერლის აზრით, სამშობლოს სიყვარული იბადება მოქმედებაში, მის საკეთილდღეო შრომაში. „მხოლოდ ის მიხვდება, რა არის მამული, – წერს ეგზიუპერი, – ვინც თავისი თავის ნაწილს შესწირავს მას, ვინც იბრძოლებს მის გადასარჩენად და იშრომებს, რომ უკეთესი გახადოს იგი. მაშინ იგი მამულის სიყვარულს იძენს“ (ეგზიუპერი, 1977: 152). ჭეშმარიტი მამულიშვილი ის არის, ვინც წინ იხედება და მომავალს იმედის თვალით შესცქერის.

ეგზიუპერის გმირების ცხოვრება და სიცოცხლისათვის დაუოკებელი ბრძოლა ახალგაზრდობის სულიერ-ზნეობრივი აღზრდის, ნებისყოფისა და ხასიათის სიმტკიცის საუკეთესო მაგალითია. ამ მხრივ ყველაზე მეტად გამოირჩევა გამოცდილი მფრინავი ანრი გიომე, რომელიც, მწერლის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ისე აფრქვევდა რწმენას, როგორც ნათურა სინათლეს“. ამიტომაც იყო, რომ ეგზიუპერმა პირველი გაფრენის წინ რჩევა-დარიგებისთვის მხოლოდ მას მიმართა. ამ უკანასკნელმა იგი ასე დაარიგა: „ქარიშხალი, ნისლი, თოვლი, – რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს თავს მოგაბეზრებს, მაგრამ მაშინ იფიქრე მათზე, ვინც შენზე ადრე განიცადა იგივე და უთხარი საკუთარ თავს: თუ სხვამ დაძლია და გაართვა თავი, მეც დავძლევ და გავართმევ-თქო თავს“ (ეგზიუპერი, 1966: 8).

ასე უნდა შემოუძახოს ყოველმა ადამიანმა საკუთარ თავს, როცა იგი რაიმე რთულ, სახიფათო და საპასუხისმგებლო დავალებას ასრულებს და პირველივე დაბრკოლებისთანავე ფარ-ხმალი არ უნდა დაყაროს. ამაშია თვითაღზრდის, თვითშთაგონების დიდი ძალა.

როგორც დავინახეთ, ეგზიუპერის ჰუმანიზმი უსაზღვროა. მწერალი ყველგან და ყოველთვის ლაპარაკობს ადამიანის სიყვარულსა და მის წინაშე მოვალეობაზე, რომელიც გამორიცხავს ანგარებას, საკუთარი პირადი გამორჩენით მოქმედებას. მაგრამ, სამწუხაროდ, აღნიშნავს იგი, „ადამიანებს ავიწყდებათ, რომ სიცოცხლე ყველგან – აქაც და სხვაგანაც – ფუფუნებაა, და რომ ადამიანის ფეხქვეშ მიწა არასოდეს არ არის ღრმა და მყარი“ (ეგზიუპერი, 1966: 37).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სენტ-ეგზიუპერი, ადამიანთა მიწა, თბ., 1966.
2. სენტ-ეგზიუპერი, სამხედრო მფრინავი, თბ., „მერანი“, 1977.
3. სენტ-ეგზიუპერი, ღამის ფრენა, თბ., 1976.



მიხეილ მახარაძე

სახელოვანი მეცნიერი

ნოდარ ბარამიძე – 75

ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ღირსეულ წარმომადგენელს, ემერიტუს პროფესორს ნოდარ ბარამიძეს მიმდინარე წლის 2 ივნისს დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა. თავის საიუბილეო თარიღს მეცნიერი ხელხვავრიელი შეხვდა. მისი მოღვაწეობა მხოლოდ მეცნიერული კვლევა-ძიებით არ შემოიფარგლება. იგი ამავე დროს შესანიშნავი პედაგოგი, არაერთი სტუდენტური თაობის აღმზრდელი და საზოგადო მოღვაწეა. ნ. ბარამიძე ორგანიზატორული ნიჭითაც არის დაჯილდოებული. მივყვეთ ყველაფერს თანმიმდევრობით.

ნ. ბარამიძე დაიბადა 1946 წლის 2 ივნისს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გონიოში (დღეს უკვე ქალაქ ბათუმის გონიოს უბანი). მისმა სოფელმა თავისი ისტორიული წარსულითა და მატერიალურ-კულტურული ძეგლებით, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბატონი ნოდარის ცხოვრებასა და შემოქმედებით მოღვაწეობაში. ეს კი უპირველესად გამოიხატა სამშობლოს, საქმისა და თავისი ხალხის დიდ სიყვარულში.

1964 წელს ნ. ბარამიძემ მედალზე დაამთავრა გონიოს საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის სპეციალობით. აქ მას დიდად გაუმართლა იმ მხრივ, რომ მაშინ ფსიქოლოგიის სპეციალობის სტუდენტებს



ლექციებს უკითხავდნენ გამოჩენილი ქართველი ფსიქოლოგები, აკადემიკოსები – რევაზ ნათაძე, ალექსანდრე ფრანგიშვილი და შოთა ნადირაშვილი, პროფესორი ბარნაბ ხაჭაპურიძე და სხვები.

ნ. ბარამიძეს იმ მხრივაც გაუმართლა, რომ მაშინ ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სპეციალობები ერთ ფაკულტეტს წარმოადგენდა. აღნიშნული გარემოების გამო, მას პირდაპირ თუ არაპირდაპირ შეხება ჰქონდა გამოჩენილ ქართველ ფილოსოფოსებთან. ეს სწორედ ის პერიოდია, როცა ფაკულტეტზე ლექციებს კითხულობდნენ: კოტე ბაქრაძე, სავლე წერეთელი, ზურაბ კაკაბაძე, აპოლონ შეროზია, გელა ბანძელაძე, ვენორ ქვაჩახია, გურამ თევზაძე და სხვე-

ბი. რაც შეეხება შალვა ნუცუბიძეს, მართალია ის ლექციებს უკვე აღარ კითხულობდა, მაგრამ ფაკულტეტთან მუდმივი კავშირი ჰქონდა. ბატონი ნოდარი სარგებლობდა ამ გარემოებებით და ესწრებოდა ქართველი ფილოსოფოსების ლექციებს, საჯარო გამოსვლებს და, აგრეთვე, მათ შორის გამართულ ცხარე დისკუსიებს. ბუნებრივია, ყოველივე ამას უკვალოდ არ ჩაუვლია მისთვის, რაც აისახა როგორც პირად ცხოვრებაში, ისე შემოქმედებით საქმიანობაში.

1969 წელს, უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრებისა და ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურაში მისაღები გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ, ნ. ბარამიძეს მეცნიერ-ხელმძღვანელად გამოუყვეს გამოჩენილი მეცნიერი და დიდი პიროვნება, პროფესორი შალვა ჩხარტიშვილი. ბატონი ნოდარის აღიარებით, მისი წარმატებები მეცნიერებაში, დიდწილად არის განპირობებული შალვა ჩხარტიშვილის, როგორც გამოჩენილი მეცნიერის, დიდი პიროვნების და, ასევე, გამორჩეული მოქალაქის ფაქტორით.

მეცნიერების მაღალი მწვერვალებისკენ გასავლელი რთული გზა ნ. ბარამიძემ დაუღალავი შრომითა და შემოქმედებითი კვლევა-ძიებით გაიარა. მან 1975 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1995 წელს სადოქტორო დისერტაცია.1997 წლიდან არის საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

დროის ამ მონაკვეთში, ის სამეცნიერო მოღვაწეობას წარმატებით უთავსებდა საზოგადოებრივ საქმიანობას. ამის ნათელი დადასტურებაა ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ინიციატივითა და მისი უშუალო ხელმძღვანელობით პედაგოგიური ფსიქოლოგიის ლაბორატორიის დაარსება ქუთაისში. ბატონი ნოდარი 1976-1979 წლებში ხელმძღვანელობდა აღნიშნულ ლაბორატორიას.

ნ. ბარამიძე 1980 წლიდან მშობლიურ მხარეს დაუბრუნდა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრის დოცენტის თანამდებობა დაიკავა.

ახალ გარემოშიც გამოჩნდა ნ. ბარამიძის ორგანიზატორული უნარი. სწორედ მისი უშუალო ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა ფსიქოლოგიის კათედრა, რომელსაც თავადვე ხელმძღვანელობდა 14 წლის განმავლობაში (1991-2005 წწ.). ბათუმის უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის დამოუკიდებელი კათედრის ჩამოყალიბებამ და კათედრაზე ჩატარებულმა კვლევებმა, გამოქვეყნებულმა ნაშრომებმა და კათედრის თანამშრომელთა აქტიურმა მონაწილეობამ ადგილობრივ თუ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, ნათლად აჩვენა, რომ განთქმულ ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლას დიდი პოტენციალის მქონე რეგიონალური სამეცნიერო ცენტრი შეემატა. ყველაფერი ამის შემოქმედი, რა თქმა უნდა, კათედრის თანამშრომლებთან ერთად, იყო ბატონი ნოდარი.

ნ. ბარამიძე შემდგომ სათავეში ედგა პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის დეპარტამენტს, 2008-2009 წლებში იყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, ბოლოს კი ხელმძღვანელობდა სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტს. 2013 წლიდან კი ის დამსახურებულად გახდა ემერიტუსი პროფესორი.

თითქმის ოთხი ათეული წლის განმავლობაში წარმატებული პედაგოგიური და მეცნიერული საქმიანობის პარალელურად, ბატონი ნოდარი დიდ დროს უთმობდა დარგის მომავალი კადრების აღზრდას, მათ კვალიფიციურ მეცნიერად ჩამოყალიბებას. ამიტომაც დაიმსახურა მან საყოველთაო სიყვარული და დიდი პატივისცემა როგორც პროფესორ-მასწავლებლების, ისე სტუდენტების მხრიდან.

ნ. ბარამიძეს თავისი მოღვაწეობის დასაწყისში და შემდგომაც დახვდა შესანიშნავი გარემო (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის სამეცნიერო-კვლევი-

თი ინსტიტუტი და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი) შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის. მაგრამ რომ არა მისი შემართება, დაუღალავი შრომა და საქმისადმი ერთგულება, ეს წარმატებები ვერ იქნებოდა. ამის თვალსაჩინო დადასტურებაა ის, რომ მისი ხელმძღვანელობის პერიოდში ფსიქოლოგიის დეპარტამენტი დაჯილდოვდა დ. უზნაძის მედლით.

პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა ნ. ბარამიძის მოღვაწეობის მთავარი სფეროებია. ის მრავალმხრივი და ნაყოფიერი მკვლევარია, რასაც ადასტურებს მის მიერ გამოქვეყნებული 10-ზე მეტი მონოგრაფიული გამოკვლევა და 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთა შორისაა როგორც ექსპერიმენტული, ისე თეორიული ხასიათის გამოკვლევები. და მაინც უნდა აღინიშნოს, რომ მას აქვს კვლევა-ძიების გამორჩეული სფერო, კერძოდ: *შორეული მოტივაციური ქცევისა და სწავლის პრობლემა*, რასაც მის სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში ცენტრალური ადგილი უკავია. აღსანიშნავია, რომ იგი დღეს შორეული მოტივაციის მეტად მნიშვნელოვანი პრობლემის ერთადერთი და, ამავე დროს, ცნობილი მკვლევარია საქართველოში. ერთ წერილში ძნელია მისი სამეცნიერო მოღვაწეობის სრულყოფილი წარმოჩენა. მაგრამ ძირითადზე ყურადღების გამახვილება აუცილებელია.

ნ. ბარამიძემ დაამუშავა შორეული მოტივაციური ქცევის შესწავლის მრავალვარიანტული ექსპერიმენტული მეთოდიკა, რომელსაც თავიანთ ნაშრომებში წარმატებით იყენებენ როგორც მეცნიერ მუშაკები, ისე სტუდენტები. ამ მეთოდის გამოყენებით მან სისტემატიური სახით იკვლია აღნიშნული ქცევის ფსიქოლოგიური და ასაკობრივი თავისებურებები. დაასაბუთა, რომ შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე ქცევა არსებითად ემყარება ნებისყოფას, რომლის განვითარების დონეც განსაზღვრავს ძირითადად მისი განხორციელების შესაძლებლობებსაც. ეს ქცევა თავისი ბუნებით აქტივობის ერთ-ერთი ურთულესი და უმაღლესი ფორმაა, რომელიც ადამიანის, როგორც პიროვნების, განსაკუთრებით დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს. ამ ქცევის სუბიექტი ყოველთვის მისი ახლანდელი მდგომარეობისგან დამოუკიდებელი, მეტ-ნაკლებად შორეული მიზნებითა და მოტივებით, ობიექტური და საზოგადოებრივი ღირებულებებით ხელმძღვანელობს. იგი ამჟამად ისეთ მოქმედებებს ასრულებს, რომლის შედეგიც მიმართულია არა აწმყოს აქტუალური დანაკლისის შევსებისკენ, არამედ იმთავითვე გათვალისწინებულია როგორც ქცევის სუბიექტის მომავლისთვის, ისე სხვა ადამიანების, საზოგადოების ინტერესებისთვისაც.

ნ. ბარამიძე ასაბუთებს, რომ სწავლა, როგორც მოსწავლის ქცევის ძირითადი ფორმა, გონებრივი შრომის სახესხვაობაა. იგი სოციალურად დეტერმინირებული აქტივობაა და თავისი ბუნებით შორეული მოტივაციური ქცევაა. სწავლა, როგორც ქცევის სპეციფიკური ფორმა, მოსწავლის მიერ განიცდება არა მისი აწმყოს მდგომარეობის, ახლანდელი შემეცნებითი მოთხოვნილებების, ე. წ. წმინდა „მე მინდას“ დაკმაყოფილების საშუალება, არამედ სავალდებულო რამ, „მე უნდას“ მოტივაციური ფაქტორით აღძრული აქტივობა, რომელსაც შედეგად უნდა მოყვეს მისი ახლანდელი მდგომარეობისგან დამოუკიდებელი (ობიექტური) ღირებულების შექმნა – ცოდნა-ჩვევის შეძენა. სწავლა, ისევე როგორც შრომა, შედეგზე ორიენტირებული აქტივობაა და სწავლის დროს განცდილი სიამოვნებისა თუ უსიამოვნების გრძნობები მხოლოდ თანმხლები პროცესუალური მოვლენებია, როგორც ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს შრომის შემთხვევაშიც. ნ. ბარამიძის დაკვირვებით, სწავლა არსებითად შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე ნებისმიერი ქცევაა.

ამ მიმართებით ნ. ბარამიძის კვლევის შედეგებს მაღალ შეფასებას აძლევდა აკად. შოთა ნადირაშვილი. მისი აღნიშვნით, *„შორეული მოტივაციური ქცევის თავისებურებების და სწავლის ფსიქოლოგიური ბუნების ასეთი გაგება ახალი ეტაპია პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში და ფართო პერსპექტივებს შლის ამ მიმართებით მუშაობისთვის“.*

ასევე საყურადღებოა ნ. ბარამიძის გამოკვლევები აქსელერაციის პრობლემასთან დაკავშირებით. მკვლევარმა 35 წლიანი ინტერვალის შემდეგ გაიმეორა თავისი ადრინდელი ექსპერიმენტები და კვლავ შეისწავლა შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე ნებელობითი ქცევის შესაძლებლობანი 4-დან 7 წლამდე ბავშვების ასაკში. კვლევის შედეგად დაადგინა, რომ დღევანდელი ბავშვები უფრო „ახლო მოტივაციურები" გახდნენ; აქსელერაცია არათუ არ შეეხო შორეული მოტივაციური ქცევის განხორციელების შესაძლებლობებს, არამედ, პირიქით, ასეთი ქცევის უნარი უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე შესამჩნევად შემცირდა. როგორც ჩანს, დღეს უფრო ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ამ ასაკის ბავშვებში მოთხოვნილების სუბიექტის ფორმირებისთვის და ნაკლებ ხელსაყრელი – პიროვნების, ნებისყოფის სუბიექტის ფორმირება-ჩამოყალიბებისთვის.

ნ. ბარამიძის ბოლოდროინდელი შრომებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა მისი თეორიული ხასიათის გამოკვლევები ნებისყოფის ფსიქოლოგიაში, რომლებშიც წარმოდგენილია ახლებური შეხედულება ნებისყოფის ფენომენოლოგიაზე, კერძოდ „მე მინდა" და „მე უნდა" განცდების ადგილზე ნებისყოფის სტრუქტურაში. როგორც ცნობილია, დ. უზნაძეს და შ. ჩხარტიშვილს განსხვავებული შეხედულება ჰქონდათ ამ საკითხზე. ნ. ბარამიძე პრობლემის საინტერესო ანალიზის საფუძველზე ორივე ზემოაღნიშნული განცდის არსებობას ადასტურებს ნებელობითი ქცევის სტრუქტურაში. ისინი ამგვარი ქცევის სხვადასხვა ეტაპზე იჩენენ თავს და სპეციფიკურ ფუნქციას ასრულებენ. აქედან გამომდინარე, ნ. ბარამიძე გამოთქვამს საყურადღებო მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, უზნაძისა და ჩხარტიშვილის შეხედულებები არსებითად ავსებენ ერთმანეთს და ქმნიან ერთ მწყობრ შეხედულებას ნებისყოფისა და ნებისმიერი ქცევის შესახებ.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს ნ. ბარამიძის განსაკუთრებული დამოკიდებულება მისი მასწავლებლის – შალვა ჩხარტიშვილის მიმართ. მან განწყობისა და შორეული მოტივაციური ქცევის მიმართების შესწავლის საფუძველზე ნათლად აჩვენა განწყობის ჩხარტიშვილისეული დინამიკური მოდელის მართებულობა. მისი აზრით, ჩვენ ვერ მივიღებთ თეზისს შორეული მოტივაციური ქცევის განწყობით განსაზღვრულობის შესახებ (ქცევისა, რომელიც შეიძლება დროში ფართოდ გაშლილ, ერთმანეთისადმი დაქვემდებარებულ მოქმედებათა მთელ სისტემას შეიცავდეს), თუ ვიდგებით განწყობის სტრუქტურის თავიდანვე დამკვიდრებული სტატიკური მოდელის პოზიციებზე და არ ვაღიარებთ განწყობის სტრუქტურის ცვალებადობის შესაძლებლობას ქცევის განხორციელების პროცესში; წინააღმდეგ შემთხვევაში, მიზანშეწონილი ქცევის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა, ვინაიდან, თავიდანვე შექმნილ და უცვლელ განწყობაში პრინციპულად შეუძლებელია აისახოს ყველაფერი ის, რაც უშუალოდ ქცევის პრაქტიკული მიმდინარეობის დროს იჩენს ხოლმე თავს.

ნ. ბარამიძის ნაშრომები ეხება, აგრეთვე, სახელდების პრობლემას, ნებისმიერი და ზნეობრივი ქცევის ურთიერთმიმართებას, აღზრდისა და განათლების, ისტორიული ფსიქოლოგიის საკითხებს და სხვ. აქვე აღვნიშნავთ, რომ იუბილარის გამოკვლევები და მათში გატარებული მოსაზრებები გამოყენებული და მითითებულია ათეულობით ავტორის მიერ, რომელთა შორის არაერთი ცნობილი მეცნიერია. მისი რედაქტორობითა და წინასიტყვაობით გამოცემულია 20-მდე ნაშრომი.

ნ. ბარამიძე ფართო დიაპაზონის მეცნიერია. ის ინტერესით იკვლევს, აგრეთვე, ისტორიული ფსიქოლოგიის საკითხებსაც. საყურადღებოა ხასიათის სტრუქტურაში მთელისა და ნაწილის უზნაძისეული გაგების საფუძველზე, მის მიერ წარმოადგენილი სტალინის გახმაურებული ლენინისეული დახასიათების მეტად ორიგინალური ანალიზი. სტალინზე დაწერილი ძირითადად სახოტბო ხასიათის ნაწარმოებისგან განსხვავებით, ამ ნაშრომში მოცემული და გაანალიზებულია სტალინის ფსიქოლოგიური პორტრეტი.

ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნა მეტად საჭირო საქმეა, იმის მიუხედავად, თუ ვინ იქნება მისი ობიექტი – ხელოვანი, მეცნიერი, პოლიტიკოსი, ტირანი და სხვ. ეს გააკეთა სტალინთან მიმართებით ნ. ბარამიძემ და ამით კიდევ უფრო გაამრავალფეროვნა მისი ისედაც მრავალმხვრივი შემოქმედება.

ასევე საყურადღებოა ბატონი ნოდარის ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაშრომი – „ჩემი გადასახედიდან“ (ბათუმი, 2016), სადაც იგი მოკლედ და ლაკონიურად მოგვითხრობს განვლილ ცხოვრების პერიპეტიებზე.

ნ. ბარამიძე გულგრილი არასოდეს ყოფილა ქვეყნად, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულებში, მიმდინარე პოლიტიკური, სოციალური და კულტურული პროცესებისადმი. ამ საკითხებსა თუ პრობლემებზე მას უამრავი პუბლიცისტური წერილი და სამეცნიერო სტატია აქვს გამოქვეყნებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი პრინციპული გამოსვლა ერთ-ერთ საერთაშორისო კონფერენციაზე. 1992 წელს, როცა იგი მონაწილეობდა მნიშვნელოვან სამეცნიერო ფორუმში თურქეთის ქალაქ სამსუნში, ერთ, კონგრესის მონაწილე პროფესორს, თავის გამოსვლაში საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკები მოხარშული კვერცხისთვის შეუდარებია. ქვეტექსტი გასაგებია – მათ მომავალი არ აქვთ.

ბატონ ნოდარს მაშინვე სიტყვა მოუთხოვია და თავის გამოსვლაში პროფესორის სიტყვებიდან ქვა ქვაზე არ დაუტოვებია. აი მისი გამოსვლის ტექსტი: *„მე არ ვიცი საბჭოურმა სისტემამ რომელი კვერცხი რამდენად მოხარშა, მაგრამ ის კი შემიძლია განვაცხადო, რომ თქვენს მიერ ქართულ კვერცხად წოდებული ქართული სული არც მანამდე და არც სოციალისტური იმპერიის პერიოდში არ მოხარშულა და არც მოთვინიერებულა. ჩვენ დარწმუნებული ვართ ქართული კვერცხიდან თავის დროზე ჯანსაღი წიწილა გამოიჩეკება, ასეთია ქართული გენეტიკური კოდი, რაც ისტორიას არაერთხელ დაუდასტურებია“.* უნდა აღინიშნოს, რომ ბატონმა ნოდარმა პოლემიკა თურქულ ენაზე წარმართა, რამაც მეტი დამაჯერებლობა შესძინა მის გამოსვლას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მის ამ საკმაოდ მკაცრ გამოსვლას დარბაზი ოვაციით შეხვედრია.

ბატონი ნოდარი დღესაც აქტიურ პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევა. მონაწილეობს სამეცნიერო კონფერენციებში, აქვეყნებს სამეცნიერო ნაშრომებს და სხვ. მან 2003 წელს დააფუძნა სამეცნიერო კრებული – „ფსიქოლოგიური გამოკვლევები“. უკვე გამოსულია კრებულის 10 ტომი.

ნ. ბარამიძის ნაყოფიერი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა სათანადოდ არის დაფასებული. მას მინიჭებული აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, დაჯილდოებულია იაკობ გოგებაშვილის მედლით, ღირსების ორდენით,

საქართველოს განათლების სამინისტროსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელებით. მას განსაკუთრებით ეამაყება იაკობ გოგებაშვილის მედალი.

შესანიშნავ მეცნიერს, პედაგოგსა და პიროვნებას ნოდარ ბარამიძეს ასევე შესანიშნავი ოჯახი აქვს: მეუღლე – ქალბატონი ნათელა, ორი შვილი – მამუკა (ეკონომისტი) და ირაკლი (ისტორიკოსი, პროფესორი) და ხუთი შვილიშვილი.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ბატონი ნოდარ ბარამიძე მსოფლიოში აღიარებული ქართული ფილოსოფიური სკოლის – სკოლისა, რომელსაც საფუძველი დიდმა დიმიტრი უზნაძემ ჩაუყარა – ღირსეული წარმომადგენელია.

ბატონი ნოდარი, სახელოვანი ქართველი მეცნიერი, აჭარის ღირსეული შვილია. მისი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა რეგიონის დიდი პოტენციალის ნათელი დადასტურებაა. მას 75 წელი შეუსრულდა, რაც არც ცოტაა და არც ძალიან ბევრი. რამდენადაც კარგად ვიცნობ მის პიროვნებას, მჯერა, რომ იგი კვლავ არაერთხელ გაგვახარებს ახალი მიღწევებით და კიდევ დიდხანს იქნება ასე შემართული მეცნიერების, პედაგოგიური საქმიანობისა და თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

აკაკი ბერიძე

ბუხენვალდის ზყვე №64206 ბათუმიდან

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ლონდონში გამართულ გამარჯვებულ სახელმწიფოთა (სსრკ, აშშ და დიდი ბრიტანეთი) წარმომადგენლების კონფერენციაზე დამტკიცდა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი და მისი წესდება. გაეროს გენერალური ასამბლეის დადგენილებით ტრიბუნალზე განიხილებოდა კაცობრიობის წინაშე ჩადენილი უმძიმესი დანაშაულებები.

1946 წლის 1 ოქტომბერს გაცხადდა ნიუნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის განაჩენი, მთავარი სამხედრო დამნაშავეების დასჯის შესახებ. ეს იყო კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი სასამართლო პროცესი. პროცესი მიმდინარეობდა 10 თვის განმავლობაში. სულ ჩატარდა 216 სასამართლო მოსმენა. სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანეს ჰიტლერის თანამზრახველებს. ზოგი სასჯელის აღსრულებას არ დაელოდა და თავი მოიკლა. განაჩენის ერთი პუნქტი ასე იკითხება: „ისჯება სამხედრო ტყვეთა და სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ სასტიკი მოპყრობა ან სიცოცხლის ხელყოფა“.

ომის შემდეგ დიდი ხნის მანძილზე იძებნებოდნენ სამხედრო დამნაშავეები, რომლებიც ყოველნაირ ხერხს მიმართავდნენ დამალვის მიზნით – იძენდნენ ყალბ დოკუმენტებს, იცვლიდნენ ვინაობას, იკეთებდნენ პლასტიკურ ოპერაციებს და სხვ. ბევრი მათგანი გამოვლინდა და სამხედრო ტრიბუნალმა გაასამართლა.

მეორე მსოფლიო ომში საქართველოდან გაიწვიეს 700-ათასზე მეტი მებრძოლი, მათგან 300-ათასზე მეტი დაიღუპა.

ბევრმა ქართველმა გერმანული საკონცენტრაციო ბანაკების სუსხი იწვნია. საქართველოში ყველაზე სასახელო და მრავალრიცხოვანი გვარის, ბერიძეების წარმომადგენელს, ორი წელი გაუტარებია ბუხენვალდის ბანაკში.

ივანე ბერიძის შვილები – მაყვალა და ომარ ბერიძეები სიამაყით ყვებიან ეპიზოდებს მამის ბიოგრაფიიდან:

ივანე (იბრაიმ) ჯემალის ძე ბერიძე 1924 წელს დაბადებულა, ქობულეთის რაიონის სოფელ აჭყვაში. მალე ოჯახი საცხოვრებლად ბათუმში გადმოსახლებულა, პავლოვის ქუჩაზე. აქვე დაუმთავრებია საშუალო სკოლა.

ივანე ბერიძე სპორტული აღნაგობის, ძალზე ემოციური, მკვირცხლი ბიჭი ყოფილა, განსაკუთრებულად უყვარდა და კარგად თამაშობდა ფეხბურთს. ომის დაწყებიდან პირველივე დღეებში ივანე ბერიძემ და მისმა მეგობარმა შოთა სტურუამ სამხედრო კომისარიატს მიმართეს ფრონტზე გაგზავნის თხოვნით. არასრულწლოვანების გამო მათ ომში გაგზავნაზე უარი უთხრეს. მაშინ მეგობრები მშობლებისგან მალულად, ჩუმად გაიპარნენ და უშუალოდ ფრონტის

ხაზზე მებრძოლ საბჭოთა ჯარს შეუერთდნენ. პირველივე შეტაკების შემდეგ მეგობრებმა ერთმანეთი დაკარგეს.

ივანეს უფროსი ძმა მიხეილი, სამხედრო მოსამსახურე – ოფიცერი იყო, მოქმედ არმიაში იბრძოდა. მან ბევრი ეძება, მაგრამ უმცროსი ძმის ადგილსამყოფელს ვერ მიაგნო.

სპეციალური დავალების შესასრულებლად სამხედრო მატარებელი ფრონტის ხაზისაკენ მიემართებოდა, ეშელონით მეომრები გადაჰყავდათ. ერთ-ერთი ვაგონით ივანე ბერიძე მგზავრობდა 28 თანამებრძოლთან ერთად. მოულოდნელად, არმავირის ახლოს, მატარებლის თავზე გერმანელების თვითმფრინავები გამოჩდნენ, სეტყვასავით დააყარეს ბომბები. მატარებელი თითქმის მიწასთან გასწორდა. რკინის ბოძს ამოფარებული ივანე სასწაულით გადაურჩა სიკვდილს, მხოლოდ მსუბუქი ჭრილობები მიიღო. დაბომბვისას ივანეს ბევრი მეგობარი დაიღუპა. ყველა მათგანის სახელი და გვარი ახსოვდა. ომის დამთავრებიდან 10 წლის შემდეგ პატრონებს ზუსტად აჩვენა მათი სასაფლაო.

ივანე 76-ე პოლკში, სადაზვერვო ქვეგანაყოფში პოლტავის მისადგომებთან გადაისროლეს. პოლკის ხელმძღვანელობას უახლესი ინფორმაციისათვის მოენე დასჭირდათ. ორჯერ გაგზავნეს სადაზვერვო ჯგუფი – პირველად 10, მეორეჯერ 30 კაცის შემადგენლობით. უკან არავინ დაბრუნებულა, ყველანი გერმანელებმა დახოცეს. მაშინ გადაწყვიტეს ხელჩართული ბრძოლით აეყვანათ მოენე. მოწინააღმდეგეს ცოცხალი ძალის დიდი უპირატესობა და უახლესი მოდელების საბრძოლო იარაღი აღმოაჩნდა. ჩვენი ჯარისკაცების ნახევარზე მეტი ბრძოლის ველზე დაიღუპა, ნაწილმა, მათ შორის მძიმედ დაჭრილებმაც, ბუნებრივ გამოქვაბულს შეაფარეს თავი. ისინი მალე მიაგნეს გერმანელებმა, ავტომატებით დაცხრილეს იქაურობა, შემდეგ გაწვრთნილი ძაღლები მიუშვეს, რომლებმაც დაჭრილები მოძებნეს და გარეთ გამოათრიეს. თავში, ხელში და ფეხში დაჭრილი ივანე ბერიძე თოკით ავტომანქანას მიაბეს, იქვე ტყვეთა დროებით ბანაკში მიათრიეს და დააგდეს. რამდენიმე დღის შემდეგ ტყვეები გერმანიის სიღრმეში წაიყვანეს, სადაც მუშახელი ძალიან სჭირდებოდათ. ტყვეებმა რამდენჯერმე სცადეს გაქცევა, მაგრამ მდევრებმა ყველანი შეიპყრეს და სასტიკად აწამეს.

ჯანგაცლილი, დაჭრილი ტყვეები ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსეს. ბანაკი ყოველდღე ივსებოდა ტყვეების ახალი ნაკადით. ახალმოსულებს ახარისხებდნენ და მათ ეროვნებას გულმოდგინედ სწავლობდნენ. აცალკევებდნენ ებრაელებს და გაზის კამერაში გუდავდნენ.

ებრაელთა ამოცნობის მეთოდიკა კარგად ჰქონდათ დამუშავებული ფაშისტებს: ახალმოყვანილ ტყვეებს აშიშვლებდნენ და რამდენიმერიგად ამწკრივებდნენ. გულმოდგინედ ათვალიერებდნენ თავის ქალას, მამაკაცის ასოს – წინდაცვეთილებს ებრაელებად მიიჩნევდნენ და გაზის კამერაში უკრავდნენ თავს.

ივანეს მშობლები მუსლიმანები იყვნენ და 5 წლის ასაკში შვილისათვის რელიგიური წესით მონათვლა – წინდაცვეთა ჩაუტარებიათ. გერმანელებმა ეს ნიშანი ებრაელობის დასტურად მიიჩნიეს და ებრაელთა ნაკადს შეუერთეს, აქედან გაზის კამერამდე ორი ნაბიჯიღა იყო. გამოვლინებულ ებრაელთა სხვადასხვა ჯგუფებს აქ ერთად უყრიდნენ თავს და ნახირივით ყრიდნენ გაზის კამერაში.

ეს განაჩენი ელოდა ივანესაც. ძალიან შეშინდა და ხმამაღლა ტირილი მორთო, ქართულად მოთქვამდა. ტირილის ხმა გაუგონია კოშკურაზე მდგომ მორიგე მცველს (გერმანელები მცველებს ჩვეულებრივ საბჭოთა ტყვეებისგან აკომპლექტებდნენ, როცა მათ ერთგულებასა და უღალატობაში რწმუნდებოდნენ). მცველი ქართული ენის მცოდნე აღმოჩნდა, გამოელაპარაკა ივანეს, დარწმუნდა, რომ ნამდვილად არ იყო ებრაელი და მაშინვე მოახსენა ბანაკის ხელმძღვანელობას. რამდენიმე წუთის შემდეგ რადიოთი ხმამაღლა გამოაცხადეს: ტყვე, ნომერი 64206 გამოიყვანეთ ეზოდან და დააბრუნეთ ბანაკშიო.

ივანე გადარჩა, ებრაელები კი გაზის კამერაში გაგუდეს, გვამები ტყვეებს დაამარხვინეს.

ბუხენვალდის ბანაკიდან ტყვეები სხვადასხვა სამუშაოს შესასრულებლად დაანაწილეს. ივანე ცხენების ლაზარეთში მოხვდა მეჯინიბედ.

ლაზარეთის საერთო ზედამხედველი ეფრეიტორი იყო, გვარად ბაია. უშუალოდ ცხენებს უვლიდნენ პატიმრები და გერმანელი ჯარისკაცები (ეტყობა, მთლიანად არ ენდობოდნენ ტყვეებს). ცხენებს კარგ მოვლა-პატრონობასთან ერთად კარგად კვებავდნენ, ტყვეებს კი სისტემატურად აშიმშილებდნენ.

ერთ დღეს ივანეს, ნახევრადმშიერს, ცხენების საკვებად ახალგამომცხვარი, საოცრად გემრიელი არომატის მქონე ცხელი, გოგორა პური მიჰქონდა. ტყვემ ცდუნებას ვერ გაუძლო, პურს დიდი ნაჭერი მოაგლიჯა და უცებ შესანსლა. თურმე ეს მომენტი დაინახა ერთმა გერმანელმა ზედამხედველმა ჯარისკაცმა, გაქანდა, წააქცია და სასტიკად სცემა, გაასისხლიანა. ეს ამბავი რომ გამახსენდება, ახლაც მეწვის მთელი სხეული, ხშირად იგონებდა ივანე.

კიდევ ერთ ეპიზოდს იხსენებს ბუხენვალდის ტყვეობიდან: ზედამხედველები სისტემატურად გვაფრთხილებდნენ, მორჩილნი ვყოფილიყავით, ბანაკიდან გაქცევის შემთხვევაში ციმბირში გადასახლებით გვემუქრებოდნენ. ხშირად შეგვახსენებდნენ – რუსეთი სულ მალე თავისი ციმბირიანად ჩვენი გახდებაო. მუქარას მეტად დამამცირებელი ტონი ახლდა.

საკონცენტრაციო ბანაკის ტყვეებს ტანზე ზოლიანი პიჟამო, ფეხზე კი ხის ქოშები გვეცვა. ქოშები სიარულის დროს ხმამაღალი ბაკუნის ხმას გამოსცემდნენ. ეს ერთგვარი საშუალება იყო, რომ ბანაკიდან არ გავპარულიყავით.

გერმანელებში კარგი ადამიანებიც გვხვდებოდნენ. ლაზარეთში სამი ჯიშიანი ცხენი ერთერთ მაიორს ეკუთვნოდა. მას ცხენები ძალიან უყვარდა, ხშირად ნახულობდა, ეფერებოდა, სპეციალური კარით მინდორში გაყავდა საჯირითოდ. ამ კარის იქით დაბრკოლების გარეშე შეიძლებოდა საავტომობილო გზებზე, ტყეში, მინდორში გასვლა. სხვა კარების იქეთ კი გაუვალი მავთულხლართები, დანაღმული ტერიტორია და სხვა ხელოვნური დაბრკოლებები იყო მოწყობილი.

მაიორი ზოგჯერ შეფუთულ ამანათს გადმომცემდა, ცხენებს აჭამეო. ამანათში სიგარეტები და ძეხვის ხორციანი ბუტერბროდები ეწყო, რომელიც ცხადია ჩემთვის იყო განკუთვნილი.

ლაზარეთში ცხენების დარწყულების სპეციალური სისტემა იყო მოწყობილი. წყალი ბრჭყვიალა რკინის მილებით მოდიოდა. მაიორის საყვარელი ცხენი „რაჩა“ ჭირვეული ხასიათისა იყო, რკინის ბრჭყვიალა მილები ძალზე აღიზიანებდა და დროგამოშვებით წიხლებით ამტვრევდა. წყალი იღვრებოდა, იატაკი იტბორებოდა და მილების შესაკეთებლად საჭირო ხდებოდა სანტექნიკის ბრიგადის გამოძახება. ეს ლაზარეთის ხელმძღვანელობას არ მოსწონდა. ივანეს მოთხოვნით მოიტანეს სათანადო ხელსაწყოები, მასალები და ივანეს ჩააბარეს. დაზიანებულ მილებს ივანე მაშინვე აღადგენდა, ამასთანავე, შეუმჩნევლად აკეთებდა თავისუფალ სივრცესთან დაუბრკოლებლად გამავალი კარების საკეტის გასაღებს. მალე გააკეთა კიდეც და გაქცევისათვის ხელსაყრელ მომენტს დაელოდა.

ეს მომენტიც დადგა. მოკავშირეებმა მეორე ფრონტი გახსნეს და ევროპას დასავლეთიდან შეუტიეს. საჰაერო თავდასხმის დროს ჭურვებმა მიწასთან გაასწორეს ცხენების ლაზარეთი. ბანაკის მცველი გერმანელები გაიქცნენ, ტყვეები კი პატარა ჯგუფებად დანაწილდნენ და ტყეს შეაფარეს თავი. ივანე ტყეში შეხვდა ქართველ ვასო გოდერძიშვილს და რუს სამხედრო ექიმს, ლეიტენანტ ვალენტინა სტავსკაიას.

თითქმის ორი თვე იმალებოდნენ ტყეში ერთად ივანე, ვასო და ვალენტინა. ექიმთან ერთად ცხოვრება ნამდვილად გადარჩენა, ღმერთის ნება იყო. ექიმმა შეადგინა კვების მენიუ – ორგანიზმს უნდა მიეღო ყოველდღიურად ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების, ვიტამინების და მინერალების აუცილებელი რაოდენობა, რასაც ამავე დროს არ უნდა გამოეწვია მოწამვლა. დღის რა-

ციონში შედიოდა ბაყაყის უკანა ფეხები, გარკვეული ჯიშის ხის ფოთლები და ქერქი, ლოკოკინა, კალია და სხვ. ყოველი დღის ბოლოს, მოტეხილ ჩხირს ჯიბეში იდებდნენ და ამით რითაც გასული დღეების რაოდენობას ითვლიდნენ. ივანეს და ვალენტინას შეუყვარდათ ერთმანეთი. ომის შემდეგ დაქორწინებაც გადაწყვიტეს, მაგრამ... ვალენტინა შემთხვევით დანაღმულ ადგილას აღმოჩნდა, ნაღმი აფეთქდა და დაიღუპა...

ტყვეები პერიოდულად ტყიდან გამოდიოდნენ დასაზვერავად, ვითარებაში გასარკვევად და საკვების მოსაპოვებლად. ერთ-ერთი ასეთი გამოსვლის დროს ტყვეებს თავზე დაადგნენ და დააპატიმრეს. ამერიკელმა მზვერავებმა შტაბში ადვილად დაადგინეს მათი ვინაობა, რეაბილიტაციას და მომავალი ცხოვრების დაგეგმვაში დახმარებას შეპირდნენ.

პირველ რიგში ტყვეებს აუკრძალეს ერთბაშად დიდი რაოდენობით საკვების მიღება. სამი დღის განმავლობაში მცირე ულუფებით, ხშირად (4-5-ჯერ) კვებავდნენ. მენიუ თანდათან გაფართოვდა და ბოლოს არაჩვეულებრივი სურსათსანოვაგით სავსე თვალუწვდენელი სიგრძის მაგიდა გაუწყვეს.

ამერიკელმა სამხედროებმა ტყვეებს დახმარება აღუთქვეს – ჩანაფიქრის განხორციელებისათვის თქვენ ახალშობილებივით ხართ, აირჩიეთ საცხოვრებლად რომელი ქვეყანაც გინდათო. ქართველებმა სამშობლოში დაბრუნება ვარჩიეთ. ირკვევა, რომ ამერიკელთა შუამდგომლობის შედეგი იყო, რომ გერმანულ საკონცენტრაციო ბანაკებში ნამყოფი, ივანესთანა ტყვეები სამშობლოში დაბრუნების შემდეგ „გულაგსა“ და საერთოდ, გადასახლებაში არ გაუმწესებიათ.

ამერიკელებმა ივანე სსრკ-ს ჯარს გადააბარეს.

სამშობლოში დაბრუნების წინ სსრკ-პოლონეთის ფეხბურთის მატჩი გაიმართა. სსრკ-მ გაიმარჯვა 7:0. ივანემ პოლონელთა კარში 2 ბურთი გაიტანა.

ივანეს ქალიშვილი, მაყვალა იგონებს:

– 1945 წლის ივნისის შუა რიცხვებში მამა ბათუმში, ოჯახში დაბრუნდა. ერთხანს ბათუმის „დინამოს“ ფეხბურთის გუნდში თამაშობდა, შემდეგ ავტოსატრანსპორტო კანტორაში მოეწყო ავტობუსის მძღოლად და უცხოელი ტურისტები ექსკურსიაზე დაჰყავდა.

რამდენიმე დღით ივანე ბერიძე თავისი ავტობუსით „ინტურისტს“ მიამაგრეს – მოულოდნელად მძღოლმა ავტობუსის სარკეში ძალიან ნაცნობი სახე შენიშნა. დიდხანს ვერ გაიხსენა, სად ენახა ეს კაცი. ორი დღის ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ თვალწინ დაუდგა ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკი და მისი ბოროტმოქმედი, უსულგულო ზედამხედველი, რომელმაც ცხენისათვის განკუთვნილი პურის ნატეხის ჭამისათვის უმოწყალოდ სცემა უმწეო, მშიერი ტყვე. დადგა მომენტი, რომ სამაგიერო გადაეხადა.

მამაჩემი ყვებოდა:

...დილით სასტუმროს მორიგეს ნომერში დავარეკვინე, ვიღაც ნაცნობი ეზოში იხმობს-მეთქი. გავიყვანე ინტურისტის წინ ბაღში და სასტიკად ვცემე. როგორც ფეხბურთელი, ჩხუბში კარგად ვიყენებდი თავს და ფეხებს. სახე სულ დავუსისხლიანე, წავაქციე და ფეხებით დავზილე. გული რომ ვიჯერე, გავიქეცი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარესთან, დაწვრილებით მოვუყევი ყველაფერი და ვუთხარი, ცხადია სასჯელისათვის მზად ვარ მეთქი. ბატონმა ტიტე ჩიქოვანმა წამიკითხა ნიუნბერგის სასამართლო განაჩენი სამხედრო ტყვეებისადმი სადისტური მოპყრობისათვის მკაცრი სასჯელის შესახებ. ვინც გამოიცნობს და გამოააშკარავებს მათ ვინაობას, ჯილდოს ღირსიაო. თქვენ დააშავეთ, ხულიგნობისთვის 15 დღის პატიმრობას მოგისჯითო.

ახლანდელ პატიმრობაში კარგად მეპყრობოდნენ, არ მალავდნენ ჩემდამი სიმპათიას.

ტიტე ჩიქოვანმა კი სტუმარ ტურისტს ბორკილები დაადო და მოსკოვში გაგზავნა.



ოთარ გოგოლიშვილი

იაგო წულაძის ნაშრომი „გურია. წულაძეები“

საზოგადოებამ მიიღო ბატონ იაგო წულაძის მონოგრაფია „გურია. წულაძეები“. მონოგრაფიაში საუბარია ერთი გვარის ისტორიაზე. უნდა ითქვას, რომ გვარების ისტორიაზე საკმაოდ ბევრი ნაშრომებია, სადაც ამა თუ იმ გვარის წარსული და დღევანდელობა არის მიმოხილული. ამ ნაშრომში ავტორი საზოგადოებას აცნობს ამ გვარის ერთ-ერთი საინტერესო წარმომადგენლის, მღვდელ იონა წულაძის და მისი შთამომავლების ისტორიას. ნაშრომის შესავალში ავტორი აღნიშნავს, რომ „წულაძეთა გვარი მრავალრიცხოვანი არ არის. ისინი ძირითადად გურია, აჭარასა და თბილისში ცხოვრობენ. გურიას წულაძეები მშობლიურ კუთხედ მიიჩნევენ, ზოგჯერ „გადამეტებულადაც“ კი ეამაყებათ თავიანთი წარმომავლობა“.

ასევე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ გვარის შესანიშნავი წარმომადგენელია, ცობილი საზოგადო მოღვაწე აპოლონ წულაძე. აპოლონ წულაძე იყო სახელგანთქმული პიროვნება. მისი უკვდავი ნაწარმოებები „ეთნოგრაფიული გურია“ და „ძმური სიტყვა“ წარმოადგენს იმ უნიკალურ ქმნილებებს, რომელზედაც თაობები გაიზარდნენ.

ავტორი ნაშრომში საუბრობს გურიის ისტორიაზე. აქ უნდა ითქვას, რომ გურიის ისტორია საკმაოდ ბევრმა ავტორმა გამოიკვლია. ამ შემთხვევაში სიუხვესთან გვაქვს საქმე. ბატონი



იაგო საზოგადოებას თავის ნაშრომში კიდევ ერთხელ ჩაახედებს გურიის წარსულში და განიხილავს საქართველოს ამ გამორჩეული კუთხის ისტორიას. ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როდის გაჩნდა გურია პირველად საისტორიო წყაროებში (მერვე საუკუნე), შემდეგ მკითხველებს აცნობს სიტყვა გურიის ეტიმოლოგიას და მიმოიხილავს ყველა მეცნიერის მოსაზრებას. მეცნიერები კი მიიჩნევენ, რომ შესაძლებელია გურია წარმოდგებოდეს რომელიმე დასახლებული პუნქტის სახელწოდებიდან ან კიდევ მეგრული სიტყვისაგან – გურიდან, რაც გულს ნიშნავს და სხვა. ყველა მოსაზრება გასათვალისწინებელია. ავტორი საზოგადოებას აცნობს დიდი გრიგოლ რობაქიძის მოსაზრებას გურიასა და გურულებზე. ბევრი საინტერესო მასალაა მოტანილი ნაშრომში გურიაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებზე მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში, ეს შეეხება 1900-1902 წლის მოვლენებს, 1905 წლის რევოლუციას, რომელმაც მთელი რუსეთის იმპერია აალაპარაკა, ავტორი ასევე საუბრობს

ალიხანოვ-ავარსკის სადამსჯელო ექსპედიციაზე გურიაში და იმ საშინელებებზე, რომელიც ამ სადისტმა გენერალმა იქ დაატრიალა და რაც საინტერესოა, ავტორს არ გამორჩენია მეტად ერთი საყურადღებო ფაქტი, ეს არის პირველი რევოლუციის დროს ე.წ. „გურიის რესპუბლიკის“ შექმნა და მისი მოღვაწეობა. მართლაც რომ საინტერესოა „გურიის რესპუბლიკა“, სადაც არ არსებობდა არავითარი სახელმწიფო ორგანოები და ყველაფერს ხალხი წყვეტდა მათ მიერ არჩეული რევოლუციური კომიტეტების მეშვეობით.

ავტორი ნაშრომში საუბრობს გურიის ისტორიიდან სხვადასხვა მოვლენებზე, ეს არის გურულების მიგრაცია, განსაკუთრებით ბათუმში, ფოთში, ბაქოში და სხვა, გურიის სამთავროს გაუქმებაზე და მის შემდეგ აქ განვითარებულ მოვლენებზე და განსაკუთრებით წარმოჩენილია ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ერთი მეტად გამორჩეული მოვლენა, კერძოდ გურული მოჯირითეების წასვლა ამერიკაში და იქ საცირკო სანახაობებში აქტიური მონაწილეობის მიღება. ამ მოჯირითეებს შორის ავტორის ინფორმაციით იყო ორი წულაძე – ონოფრე და ვასო წულაძეები.

გურია გამორჩეულია საქართველოს კუთხეებს შორის თავისი განათლებულობით. გურიაში იშვიათია ოჯახი, სადაც ერთი ან ორი უმაღლესი განათლებით არ იყოს. გურულები ეტანებოდნენ და ეტანებიან სწავლა-განათლებას და იმიტომაცაა ამდენი მეცნიერი, მწერალი თუ სხვა მიმართულების წარმომადგენელი გურიაში. ამის შესახებაც ავტორი დამაჯერებლად საუბრობს. ისიც უნდა ითქვას, რომ პირველ ქართულ დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წ.წ.) მთავრობისა და პოლიტიკური პარტიების წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა გურულები იყვნენ.

შემდეგ ავტორი მიმოიხილავს საეკლესიო ცხოვრებას და ჩამოთვლის გურიის ტერიტორიაზე არსებულ ეკლესია-მონასტრებს და საინტერესოდ წარმოაჩენს მათ. განსაკუთრებით საყურადღებოა შემოქმედის, ჯუმათისა და ხინოწმინდის საეპისკოპოსოები.

ბატონი იაგო საუბრობს წულაძეთა გვარის ეტიმოლოგიაზე და წარმომავლობაზე და მიიჩნევს, რომ გვარი წულაძე სახეცვლილი ფორმაა და ძველად ტუნაძე ყოფილა. არის მეორე ვარიანტიც, წულაძე შეიძლება იყო სახეცვლილი ფორმა წუნაძესი (წუნიაობა), მე ეს მეორე ფორმა უფრო სწორად მიმაჩნია. ასევე, ავტორი ამბობს, რომ წულაძეები გადმოსულან გურიაში ღორჯომიდან, ხოლო მეორე ვერსიით, რომელიც ეკუთვნის ამ გვარის დიდებულ წარმომადგენელს იოანე წულაძეს, წულაძეები წამოსული არიან მესხეთიდან და ჩასახლებულნი არიან ჭანჭათში, რომელიც, ჩემი აზრით, უფრო სწორი და დამაჯერებელია. თანაც ფაქტია ისიც, რომ წულაძეები ადრე ცხოვრობდნენ მესხეთში, სოფელ ჭანჭახში.

ბატონი იაგო ნაშროში დეტალურად აღწერს წულაძეების სამკვიდრო სოფელს – ჭანჭათს, მის უბნებს. აღნიშნავს, რომ სოფელში იყო საგვარეულო ეკლესიები. ერთ-ერთი მათგანი ეკუთვნოდა მღვდელ იოანე წულაძის ოჯახს, სადაც ჯერ იოანე, ხოლო მოგვიანებით კი მისი ვაჟი ლავრენტი წულაძე მოღვაწეობდა.

ბატონი იაგო წარმოაჩენს წულაძეებს, როგორც ქართული ეკლესიის მსახურებს. ახასიათებს იოანე, ნიკოლოზ და ლავრენტი წულაძეებს. სწორედ ამათ ეძღვნება ეს ნაშრომი. განსაკუთრებით აღსანიშნავია იოანე წულაძე. ის იყო არა მარტო საეკლასიო მოღვაწე, არამედ ეროვნული მოღვაწეც. მღვდელი იოანე წულაძე რელიგიური წესების, მორალურ-ზნეობრივი ცხოვრების მკაცრი დამცველი იყო. მისთვის მიუღებელი იყო ყოველგვარი ანგარება. იგი ამბობდა, რომ მღვდელი მსახურებაში ფულს არ უნდა ითხოვდეს, მხოლოდ იმას უნდა დასჯერდეს, რასაც შემოსწირავენ. დიახაც, ეს ასეც უნდა იყოს დღესაც, მაგრამ ზოგჯერ ეს ქრისტიანული ჭეშმარიტი შეგონება ავიწყდება ზოგიერთ საეკლესიო მოღვაწეს. მღვდელ იოანეს შესახებ საინტერესოდ საუბრობს გაზეთი „სახალხო საქმე“. ამ გაზეთის 1911 წლის 380-ე ნომერში დაბეჭდილ სტატიაში „იშვიათი მოძღვარი“ სწორედ ამის შესახებაა საუბარი.

იოანეს შვილი დეკანოზი ლავრენტი წულაძე დაახლოებული იყო ნიკო ნიკოლაძესთან. ჯერ ის იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფოთის განყოფილების თავმჯდომარე. მან დაარსა ფოთში სამოქალაქო სასწავლებელი და ქალთა გიმნაზია. იგი ებრძოდა ჟურნალ „განათლების“ ფურცლებიდან შოვინისტ პედაგოგებს და სხვა. იგი თანამშრომლობდა ილიასეულ „ივერიაში“ და იქ მოთხრობებიც აქვს გამოქვეყნებული. ლავრენტი წულაძე მეგობრობდა დიდ ვაჟა-ფშაველასთან. ავტორს არაერთი საინტერესო ამბები აქვს შემოტანილი ნაშრომში ამ მეგობრობის შესახებ. ტრაგიკული იყო ამ პიროვნების ბედი ბოლშევიკების დროს. იგი რეპრესიებს შეეწირა, ისე როგორც ათასობით ქართველი.

ავტორი საზოგადოებას აცნობს დეკანოზ ლავრენტი წულაძის შთამომავლობას და მოჰყავს ცნობები მათ შესახებ. ესენი არიან მარიამ წულაძე-ჩხაიძისა, კატო წულაძე, სოფი წულაძე-ძიმისტარიშვილისა, სოკრატ წულაძე, ბაგრატ წულაძე. ეს პიროვნებები საინტერესო ბიოგრაფიის ხალხია და საზოგადოება ამ ნაშრომით იგებს მათ შესახებ.

ასევე ნაშრომში ბატონი იაგო საუბრობს ლავრენტი წულაძის შვილიშვილებზე. ერთი მათგანია საფრანგეთში მცხოვრები გურამ ბაგრატის-ძე წულაძე, საუბარია მადლენ წულაძეზე.

ზემოთ აღვნიშნე, რომ ნაშრომში დიდი ადგილი უჭირავს ცნობილ საზოგადო მოღვაწეს აპოლონ წულაძეს და მის შთამომავლებს. აპოლონი დიდი პიროვნება იყო. მის ნაშრომებს „ეთნოგრაფიული გურია“ და „ძმური სიტყვა“ მაღალ შეფასებას აძლევდა თვით ივანე ჯავახიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი და სხვები. ბატონ იაგოს მონოგრაფიაში მიმოხილული აქვს ეს ნაშრომები და აღნიშნულია, რომ აპოლონი იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, რომლის უკვდავი შედევრები სამაგიდო წიგნებია და მის გარეშე წარმოუდგენელია ისტორიის ისეთი დამხმარე დისციპლინის გაშუქება, როგორიც ეთნოგრაფიაა. აჭარის ისტორიაზე ნაკლებად თუ მოიძებნება ისეთი დიდებული ნაშრომი, როგორიცაა „ძმური სიტყვა“, სადაც ავტორი უაღრესად საინტერესოდ და საყურადღებოდ მიმოიხილავს აჭარის ისტორიას, განსაკუთრებით მაჭახლის ხეობას, რომელიც თითქმის უცნობი იყო ქართული საზოგადოებისათვის და აკეთებს სწორ და მიგნებულ დასკვნებს. ბატონი აპოლონი მეფუტკრეობის ცნობილი სპეციალისტი იყო მთელ საქართველოში და ამ დარგის განვითარებაზე რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომიც აქვს დაწერილი.

ბატონი იაგო საზოგადოებას აცნობს აპოლონ წულაძის შთამომავლებს ბიძინა წულაძეს, ის იყო რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი და ქართულ კინოსა და თეატრში არაერთი საინტერესო სახე აქვს განსახიერებული, მას მამის შესახებ საინტერესო მოგონებები აქვს დაწერილი; ასევე ოტია წულაძეს, რომელიც მამის შესახებ ბევრ საინტერესო ამბავს იხსენებს, საუბარია შვილიშვილზე ლია წულაძეზე; ასევე რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტზე, ცნობილ რეჟისორსა და მსახიობზე ბაადურ წულაძეზე.

ბატონი იაგო წარმოაჩენს გალინა წულაძის, ათინოგენ წულაძის, ათინოგენის შვილების მზია წულაძის, ივანე და ოტია წულაძეების პიროვნებებს.

ასევე ნაშრომში ბატონი იაგო საუბრობს ათინოგენ წულაძის შთამომავლებზე და მღვდელ იოანე წულაძის ნათესავებსა და ახლობლებზე.

ბატონ იაგო წულაძის ნაშრომი კარგი შენაძენია საზოგადოებისათვის, რომელიც გაეცნობა ამ გვარის ისტორიას და პიროვნებებს.



უჩა
ოქროპირიძე

იაშა თანდილავა – პოეზია ფიროსმანული უბრალოებით

სანამ იაშა თანდილავას ლექსების კრებულის „სხივი ნათლისა“ ჩემეულ განხილვას დავიწყებდი, რაღაც შინაგანმა ძალამ მიკარნახა, რომ თავიდან მისი ვინაობის ჰემატრია დამედგინა, და აი რა მივიღე: სახელისა და გვარის შემადგენელი ასოების რიგითობის ჯამმა 97 შეადგინა [9.7 – , რაც აღნიშნულ ასო-ბგერათა საკრალური მნიშვნელობის მიხედვით სრულყოფილებისაკენ ლტოლვასა და მიახლოების სურვილს ნიშნავს. და ეს სრულებით არ გამკვირვებია, რადგან აღნიშნული ჰემატრიის შინაარსშიც ზუსტად აისახა ამ პიროვნების საკრალური ბუნება, რაც ნიშნავს ჭეშმარიტ პოეზიასთან წილნაყარობასა და თანაარსობას. ამიტომაც, მისი ლექსების კრებულსაც – „სხივი ნათლისა“, – ჩვენ ჩვენებურად მივუდგებით და ჩვენეულ შეხედულებებს პოეზიის ენითა და პარალელური მოსაზრებების გადმოცემით, ერთმანეთს შევუპირისპირებთ.

კრებულში მოთავსებულ ლექსში „მონოლოგი“, ის ამბობს:

...მხოლოდ სიყვარულს არ თხოულობენ!
მათ რომ არა აქვთ,
რის გემოც არ იციან,
რისგანაც ვერაფერს გამორჩებიან,
აბა, ის რაში სჭირდებათ.
ყველაფერს ჩემგან თხოულობენ,
სხვისგან კი... გინდ თავდაყირა იდგნენ –

სწორად დგანანო გეტყვიან... – კითხულობ ამას და იმ წუთში თვალწინ გიდგება ჩვენი ცოდვილიანი ყოფის მთელი ანა-ბანა... და იქვე:

...რასაც ჩემგან თხოულობთ, სხვასაც იგივე მოსთხოვეთ,
და უპირველესად საკუთარ თავს.
სიყვარული მომთხოვეთ რამდენიც გენებოთ,
ოღონდ სესხისა და ვალის წესი არ დაგავიწყდეთ;
ეს უცვეთი წესი წუთისოფლისა. (გვ. 9-10)

– და აი, ამას მოყოლებული ჩვენი ემოციაც – „გაიხარე, ჩემო იაშა!“

მე შემდგომშიც შევეცდები ნათლად და მკაფიოდ მოვახდინო ავტორის შემოქმედებიდან ჩემში წარმოშობილი პარალელური აზრების მოკლე შეჯამება.

„მე მხოლოდ ერთხელ დავიფიცე მზის ჩემი წილი
და იმ წუთიდან სხვა ვედრება არ დამცდენია“... – და იქვე
„მიყვარს სვანეთი, აფხაზეთი, რაჭა, შატილი...
მაინც ლაზიკას ისტორიის ჯურღმულში ვეძებ“. (11)

– ამ ემოციისა და პასუხისმგებლობის მქონე პოეტი, მიუხედავად ყველაფერი ქართულისადმი უდიდესი პატივისცემისა, მის დაჩაგრულ, ორად გახლეჩილ და ამით გულმკვნესარ სამკვიდროს ანიჭებს უპირატესობას და უპირველეს ყოვლისა, თავისი მშობლიური ლაზიკის ისტორიას ეძებს და ექომაგება, რაც მისასალმებელი და სადღაც, მისაბაძიცაა, რადგან ეს გვიჩვენებს, თუ რაოდენი ტკივილია ლაზეთი ორივე მხარეს მცხოვრები ლაზებისათვის. ხოლო რაც შეეხემა პოეტის მეტად პოპულარულ, თითქმის მისტიური ალალი გრძნობებით განმსჭვალულ ლექს-ამონათქვამს „ტრაპიზონის იმპერია“, ჩემი აზრით, მოშურნეებმა და ინტრიგების დიდოსტატებმა ამ შესანიშნავი პოეტური ალუზიებით სავსე შედევრში გამოხატული აზრის გამო, ავტორს ტრაპიზონის იმპერატორი შეარქვეს. ამით მათ სურდათ ეს დიდებული ლექსი და მასში ჩადებული ტრაპიზონის იმპერიის, მართლაცდა, ვულკანური სული მათებურად გაექილიკებინათ.

ასეც ხდება, როცა არაფერი აქვთ სათქმელი მწუხარებისაგან „სხვისა სიკეთესა ზედა“, ანდა პიროვნების პოეზიის ვერ გაგების თუ უცოდინარობის გამო.

ჩვენ ასე აღვიქვით, რომ იაშა თანდილავას ლექსი და სათქმელი ფიროსმანული უბრალოებითა და ამასთან, ყოვლის მომცველობითაა გამორჩეული, რაც მშვენივრად ჩანს აქ წარმოჩენილ „გენიალურ“ არამზადათა გენეალოგიაში:

„...მოძმეს მტრად შერაცხ და ცეცხლით მოდგები,
საკუთარ შვილებს მიატოვებ მშიერ-მწყურვალეს,
მშვენივრად ვიცნობ შენს მონა სულს ველურ მოდგმების,
მე რა ვქნა თორემ, ან რა ვუყო ამ გულს მხურვალეს.
სად დავირწყულო მოწოლილი გრძნობა კეთილი,
საით გავექცე ამღვრეულ და ქონიან თვალებს,
მომისმენია წუთისოფლის ბრმა გაკვეთილი
ბარე მრავალჯერ და სწორედაც ეს გზა მაწვალებს“... (13)

– ან კიდევ:

„დაძეხით და დაიბერეთ ტიკი,
დაამშვიდეთ თქვენი ურცხვი ვნება,
მე კი ამ დროს, ეჰეე... ცხრა მთას იქით
მზის შვილებთან ნადიმი მექნება...
დაღამდება და მზეს შეცვლის მთვარე,
შემოახვევს ტანზე ვერცხლის ვარაყს,
რა ტკბილი დღე დავაღამეთ მდარედ,
ხვალინდელის დაღამებაც მზარავს“. (15)

– ასე აქვს ავტორს განცდილი და წარმოჩენილი ამ ქვეყნის არაამქვეყნიური ტკივილები. იქვე პოეტი კვლავ ფიროსმანული უბრალოებით ეთამაშება მსოფლიო დარდსა და სატკივარს:

„...კიდევ იტყვიან, მომრავლდაო ლექსის შემთხზველი,
ბევრი აგებსო დღეს სიტყვებით ოდას და დარბაზს,
მე გეკითხებით, თუ არსებობს ლექსის შემცვლელი
სხვა საიდუმლო, რომ დაიტევს მიჯნურთა ამბავს...
მე გეკითხებით, ატომის და წყალის გაგლეჯვას
არ სჯობს მაისის ალუბალის ბაგე გახლიჩოთ?
თქვენ გეკითხებით, ატომის და წყალის ნაგლეჯნო,
მთვარიდან გნახეთ, როგორ ჰგავდით საწყალ ბაღლინჯოს“... (15)

ამ ფიროსმანული უბრალოებით აღტაცებულმა, ზოგიერთ ლექსს იქვე, ასევე უბრალოდ, მივაწერე – „მარადიული ხედვის თანამდევი სიფხიზლე“ (18), „ჰიმნი მარადისობას“ (19), „ადამიტური შეგრძნებების გაბაასება საკუთარ თავთან, როდესაც ღვთის სულის შთაბერვამდე და მის სისხლად ქცევასა და სხეულში მიმოდენამდე, მართლაც რომ ყველაფერი მტვერია“ (20-21), „აქ პოეტი აშკარად გრძნობს, რომ ვიღაც ღმერთის ნებას ეწინააღმდეგება და სატანურის სამსახურში იხარჯება“ (22); „იმედით და ოცნებით, სულდგმულობენ მგოსნები“ (22), იქვე ამბობს იგი და ჩვენც იქვე ვეპასუხებით: „დიახ, იმიტომ, რომ ყოველგვარ ღვთიურსა და სიკეთეში ღმერთის შემწეები არიან, – და თუ ამ მისიას არ ასრულებენ, თვითმარქვიებად კვდებიან!“; „უგუნურებთან არ ყოფნა, ღირსების არ ქონასთან არის, უპირველეს ყოვლისა, წილნაყარი და ამიტომაც, ავტორს თვით აღდგენის მადლზე აქვს ყურადღება გამახვილებული“ (26), „ნამდვილად ბოჰემური არსითაა გაჟღენთილი“ (26-27); – „ჟამი გაარჩევს ბილწსა და რჩეულს“ (28), პრობლემა, რომელიც ამქვეყნად ყველას აწუხებს; „ამ ქვეყნად მისი ადრესატი არ ეგულება და აი, იშვა უმისამართო ბარათების იდეაც“... (28); იქვე, მეორეზე კი მიმიწერია „აქ ჩანს, რომ ზღვის ტალღებს მინდობილი ვიკინგივით საკუთარ „საგებს“ მიუსადაგა თავისი კოლხური სამყაროდან ნასაზრდოები თავისუფლების მსაზღვრელი ოცნებები ლაზმა, ამ ისტორიისაგან მოუხელთებელმა მარადისობის მდევარმა“ (29); ლექსში „დავით აღმაშენებელი“, მთელი ერის სატკივარი ალალად იღვრება, თუმცა ბოლო შეძახილი – „ბევრი ვილაყბე საკუთარ თავთან“ – ლექსის ამაღლებულ განწყობილებას რამდენადმე აფერმკრთალებს, ამიტომ ხომ არ აჯობებდა, „ბევრი ვიყალბე საკუთარ თავთან“ (31); „ხორცი ფეხზე დამდგარა“-ს კი, ხომ არ აჯობებდა „ხორცი ყალყზე შემდგარა“, გავუთამამდი და ჩემი აზრიც შევთავაზე ხელოვნების თავისუფლების ფიროსმანულ აღქმას და ლექსთა წყობაში გადატანას. ასევე ბუნებრივი და აზრობრივად გამჭოლია პატარა შედევრი „ადამიანებო!“ (35); შესანიშნავი ალუზიაა ლექსში „ჩემს იათამზეს“ (36), ხოლო „სიტყვა“, პოეტის თვალით დანახული შიშველი რეალობაა.

„ტოტიდან ტოტზე ისე დახტის მწვანე კალია,
ალბათ წუხელის მეგობრებთან ბევრი დალია“ (39)

– ისე მომეწონა, აღტაცებულმა ჩემეული სტრიქონები ექსპრომტს დავამატე:

„მაინც არავის ეპუება, მისი ვალია
ისევ ისეთი სხარტია და ფრთამალია“.

სხვაგან კი ისევ მიმიწერია: „ტკივილიანი კაცის ტკივილიანი ფიქრები“(46), მეორეგან კი – „ვარგია და კარგია, არა დასაკარგია“. (47)

„მე ჩემი გვარის, ტომისა და ჩემი ჯილაგის,
ამოსაგდებად გამზადებულ ხმლების წინაშე,
ჯამბაზობანას ვთამაშობ“.

– ამბობს პოეტი. და ჩვენც ვფიქრობთ, რომ საქართველოში ბევრის შეგრძნება უნდა იყოს ასეთი. სტრიქონში –

„შეხვდა სიცივე, უჰანგობა თეთრი დღეების
და თანაგრძნობის საძიებლად კარ-კარ იარა,
ნახა გაძარცვა სიცოცხლისგან მშიერ ხეების,
ღალატი ნახა საოცარი, გრძნობა კი არა“.

– საოცარი ალუზიაა... თანამედროვე ცხოვრების შემზარავი რეალობა. ხოლო ამ განწყობას იმედით ანაცვლებს ძალიან თბილი და საყვარელი ლექსი „სანთელს“ (55), „გრძელი სიზმარი გცოდნია, ჩემო იაშა!“ – შემინიშნავს და მიმიწერია ერთგან (56), ხოლო ლექსზე „სიყვარულის ანატომია“ (59), მიმიწერია – „მთელი პროცესია, უავხორცესია“.

ლექსში „ტიმ სევერინს“, ისევ მივეცი თავს უფლება „ფიროსმანული თავისუფლების პატივისცემით, მის პირველ სტროფში ჩემეული ვარიანტი დამეფიქსირებინა:

„ელვად მივიღეთ ცნობა კოლხებმა –
„მოდის იაზონი ახალ არგოთი“,
გაპელაზგებული კაცი „ბოჰემა“,
ვათვრეთ ყანწებით, ღვინით სარგოთი“. (61-62)

იქვე ანდერძზე განცდით აღმინიშნავს – „სული საპარავი, სალეკავი, მაინც ყველაფრის წამლეკავი!“ (63). და ისევ ლაზის ამაყი ბუნება არ ეგუება სინამდვილეს:

ქარი აშარი
ველარ ღუნავს ამაყ ალვის ხეს,
წლები მიდიან,
გამკითხავი არ სჩანს არავინ...
მაგრამ, იმედი
დაცლილ სასმისს ისევ ამივსებს,
სული მაქვს, რადგან უტეხი და გაუბზარავი“ (66).

იქვე კი, საკუთარი ღირსების გრძნობით გამსჭვალული, იგი ამბობს:

„კაცობრიობა შექმნილა რაც კი,
ჩემი ლაზური ფესვიც ჩენილა“. (71)

ლექსზე „რომ სვეტიცხოვლის დიდ ტაძართან „...ისევ მიმიწერია – „უბრალო, ალალი და ხელმისაწვდომია“ (78), ხოლო იქვე მახლობლად – „ისევ ფიროსმანული უბრალოება და „პრიმიტივიზმი“ (82); „ნაღდია ნაღდი გრძნობა, ამას არ უნდა ბრძნობა“... (86), ხარკი და ურვადი“... (88), „გულგამონავალი პოეზია“ (90), „ალალი განცდა“ და „ეს იაშაა, თავად იაშა (94), „ესეც იაშაა“ (95), „ქვენაგრძნობიდან აყოლილი ქვეტექსტები“ და „რა უნდა ქნა როცა იცი, მუდამ გვარზე ხტისო კვიცი!“ (96)

ისევ წინაპართა სისხლის ძახილი არ ასვენებს პოეტს და ჭანეთის უმაღლესი მწვერვალებიდან გადასძახის მშობლიურ მხარეს:

ჰე, ჰე, ჰე იამმო, ჰელასადაი იალესა!
მუხის ტოტზე ნაკიდი ხარის თავი გამხმარი,
გაბმულ ბაიათებმა რა უწყალოდ დაგესლეს,
ხელში შემომეჟანგა ხმალი პაპის ნახმარი... (98)

– ამ დროს კი მისი სამშობლო ისევ თავისუფლების გზის ძიებაშია და მასთან დაკავშირებული სევდა და გაუსაძლისობაა მოაზროვნე ლაზეთის გულში აგიზგიზებული ლტოლვის მთავარი სატკივარი; ამასთან წარმართობის დროინდელი რიტუალების ნაფუძარზე ქართული ჰანგების მაგიერ, იძულებულია ბაიათების სმენით დაიგესლოს ისედაც უშრეტი დარდით გასენილი გული. მაგრამ მაინც ამბობს:

ზღვა ღელავს, ცრის და მწვავს პირისახეს,
სიმშვიდე ჩემში ვერ იწვევს ტრფობას,
მე ისევ ელვას მოვეფერები –
ჭექა-გრგვინვასთან მსურს მეგობრობა... (99)

– მე მიმიწერია: – **„ორი აპრილია, ყველა აყრილია, გამოიხატა ზღვაში და არა სხვაში“;** მეორეგან კი – **„მე მიყვარს ლექსი მაჯამა, პური მე მაგან მაჭამა“;** ხოლო სტრიქონი „რის სათქმელად გამოაფრქვევ შვიდფერ სხივებს“... ასე გამიგრძელებია – **„მე შენ მზესთან გაიგივებ“...**

ჩვენი აზრით, ნამდვილი პოეზია სწორედ ეს არის, – თავის სათქმელს ხომ ამბობს და ამბობს, და შენც გაიძულებს საკუთარ სივრცეეებში გაყვე, იაზროვნო, და ამასთან რაღაც ამაღლებულთან ზიარებით, შენაც ანალოგიურს გათქმევინებს. ეს მხოლოდ ღვთიური სიალალით ნაკურთხ სიტყვაში ასახულ გრძნობას შეუძლია, რომელიც თავისთავად მოედინება და საკუთარი სიანკარით გარწყულებს.

იქ, სადაც პოეტი წერს, რომ –

ფიროსმანივით კიბის ქვეშ ვცხოვრობ,
კიბე გრძელია
ადგილი ფართო,
აქ არც ქარიშხლის სუსხი მაწუხებს,
აღარც მაწვიმს და აღარც მათოვს.

– მიმიწერია: **„მეც ადრევე ვთქვი, – ფიროსმანია პოეტიკაში, ასეთი ნაღდი, რად ერევა პოლიტიკაში?“...** ხოლო სადაც წერია –

ყველა სამშობლოს ყმები ვართ,
გინდ მეფე იყოს, გინდა ყმა. (102)

– მიმიწერია –

„ზოგს სათქმელი აქვს, უნდა თქვას,
ზოგმაც გაკმინდოს უნდა ხმა“...;

იქვე კი, ბოლო სტროფისთვის –

თორო ჭილყვავი, ხომ იცი,
დაგითვლი გინდა?!

რამდენსაც-მეთქი – დამიმატებია:

„საქმეში განიავებულს
და ქვაზე ბოლის ამდენსაც“.

– ან კიდევ, იქვე:

შენზე ლექსებს მუდამ ვწერდი,
მაშინ გეტყვი, როს გენებოს,...
არასოდეს არას გყვედრი,
ჩემო წარსულის გენებო.
გამოვძებნო მინდა სულში
ჩემში, შენი სახის კრედო,
სამუდამოდ რომ ამ გულში
ნეტარებად დამებედო!

– აი, ასეთია ის პარალელური აზრები, რომლებიც იაშა თანდილავას კრებულში „სხივი ნათლისა“ წარმოჩენილ ლექსებს ჩემში წარმოუშვია და მრავალფენოვანი კეთილშობილური გრძნობებითაც შევუძვრივარ.

ახლა კი, ისევ ჩვენს მიერ გაკეთებულ მინაწერებს მივუბრუნდები: – „კარგიაო, თუმცა ზოგჯერ უფრო მეტიც, იტყვის მავანი“ (107); „განა შენ უნდა არწყულო, ყველა გველი და „ქაფირი?!“; „როცა საწუთროს გადაშლი... ვერაფრით ვეღარ გადაშლი, – ეს არის ჩვენი ცხოვრება, – რის ატამი და რა ვაშლი“ – (112); „ეს ყველაზე მაგარია, – წარსული და მისი ხსოვნა, აქა ფეხზე დამდგარია, საკუთარი თავის პოვნა, ფაქტია და შემდგარია“ (118); ერთმანეთში გადამავალი გამა ფერების, დროა რომ მოვრჩეთ ფხანას...“, და იქვე „სრული სურათია მოაზროვნე გონების, და აღსასრული ნებიერი მონების“ (120); იქვე „შემიკეთებია“ – „და შენი ჩრდილი გაჰყვა გზატკეცილს“ (121) და – „იმ უნაყოფო კანაფის თრიაქს, **ჩვენი ცხოვრება უაზროდ მიაქვს“... (125),** „ცა ნახეთ და ნუ აბნელებთ ტალავერით სოფელს, **ვერ დათრგუნავთ ვერასოდეს, თქვენს აზრს ყველგანმყოფელს“... „**იყო დრო და ჩვენ იმ დროშიც ვიქნებოდით დასტურ, **მიწოლილი აქ ინახად, ვწრუპავ ალადასტურს და ლოცვაშიც კი ვღებულობ უფლისაგან დასტურს! (127); „გიბრძანებ, ჩქარა დუღაბი მომეც, წარსულის კიდე რომ ამოვქოლო!“–** (იქვე);

აი, ასეთია იაშა თანდილავას პოეზია ფიროსმანული უბრალოებით, რომლებიც გაფიქრებს, გაიძულებს იაზროვნო და მისი სტრიქონების აქეთ და იქეთ კიდევ დაინახო დასანახავი, რომ მისი აღქმისას გაგიჩნდეს ასევე კეთილგონივრული, კეთილშობილი და კეთილხმოვანი პარალელური აზრები და გახდე მისი შესანიშნავი შემოქმედების უშუალო თანაავტორი. ამიტომაც, სრული თავდაჯერებულობით შემიძლია ვთქვა, რომ მისი პიროვნების ჰემატრიაში ასახულ შინაარს სრულად პასუხობს მისი ალალი და ღვთიურთან ნაზიარები შემოქმედება... და იგი შემთხვევით არ ატარებს საკრალურად ასე ტევადი შინაარსის სახელს – იაშა თანდილავა.

ჭოროხი 3

2021

მალხაზ ფაღავას
პირადი ციფრული
ბიბლიოთეკა
2021
malkhaz.pagava@mail.ru